სააქციო საზოგადოება
„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“
(საიდენტიფიკაციო კოდი: 405746634)

ობლიგაციების წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი

წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს შეთავაზების პირობებს მისი წარდგენის თარიღისთვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე და წარმოადგენს ობლიგაციის შეთავაზების პირობებს.

აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება 350,000,000 (სამას ორმოცდაათი მილიონი) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების ცვლადი საპროცენტო სარგებლის (შემდგომში - „კუპონი“, ან „პროცენტი“ ან „საპროცენტო სარგებელი“) და „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად განსაზღვრული უფლებების სოლიდარული თავდებობით, იპოთეკით და გირავნობით უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული, დემატერიალიზებული სოციალური ობლიგაციების (შემდგომში „ობლიგაციები“) საორიენტაციო შეთავაზების პირობები. საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება არაუგვიანეს [12] სექტემბრისა.

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (**„ემიტენტი“**, **„კომპანია“**) არასუბორდინირებული, სოლიდარული თავდებობით, იპოთეკით და გირავნობით უზრუნველყოფილი სოციალური ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (ს/ნ: 405746634) **მისამართი:** საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 24ა **ელ-ფოსტა:** contact@ghg.com.ge **ვებ-გვერდი:** https://ghg.com.ge/ **ტელ.:** (+995 32) 2 600 600
განთავსების აგენტ 1-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს გალტ ენდ თაგარტი; (ს/ნ: 211359206) **მისამართი:** N3, პუშკინის ქ., 0105, თბილისი, **ელ-ფოსტა**: gt@gt.ge; sales@gt.ge, **ვებ-გვერდი**: www.galtandtaggart.com, **ტელ.:** (+995 32) 240 11 11
განთავსების აგენტ 2-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს თიბისი კაპიტალი (ს/ნ: 204929961) **მისამართი:** მარჯანიშვილის ქ. N7, 0102, თბილისი **ელ-ფოსტა**: info@tbccapital.ge **ვებ-გვერდი**: www.tbccapital.ge **ტელ:** (+995 32) 227 27 97
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	საქართველოს ეროვნული ბანკი **მისამართი:** ზ. გამსახურდიას სანაპირო N1, თბილისი, 0114 **ელ-ფოსტა**: info@nbg.gov.ge; **ვებ-გვერდი**: www.nbg.gov.ge **ტელ:** (+995 32) 240 64 06 **ფაქსი:** (995 32) 240 6577
პროსპექტის დამტკიცების თარიღი	
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები:

ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი (კუპონი)	ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან, "დღიურ კუმულაციურ რთულ TIBR განაკვეთს" (TIBR გამოქვეყნებულია შემდეგ მისამართზე: https://nbg.gov.ge/monetary-policy/tibr) დამატებული [325-400] საბაზისო პუნქტი (სპრედი). საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონი) დადგენა ხდება ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე (Book-building).
ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები	ობლიგაციების ძირი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში.
სარგებლის დარიცხვა და გადახდა	პროცენტის დარიცხვა ზემოაღნიშნული განაკვეთით მოხდება ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან დაფარვის თარიღამდე. პროცენტი დარიცხვა მოხდება 365-დღიანი წლის მიხედვით. დარიცხული პროცენტი გადაიხდება ნახევარწლიურად [17] მარტს და [17] სექტემბერს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა განხორციელდება 2026 წლის [17] მარტს.
ობლიგაციის ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ლარში.
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები	„ობლიგაციების შეთავაზების პირობებით" განსაზღვრულის გარდა, პროსპექტით არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები.
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის.
გამოსყიდვის ოფცია (Call Option)	ობლიგაციებს გააჩნიათ გამოსყიდვის ოფცია (Call Option) „ობლიგაციების შეთავაზების პირობების" 7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა (დ) პუნქტის შესაბამისად.
ობლიგაციონერების მოთხოვნით გამოსყიდვის ოფცია (Put Option)	კონტროლის ცვლილების შემთხვევაში ობლიგაციონერებს გააჩნიათ უფლება მოითხოვონ, რომ „ემიტენტმა" გამოისყიდოს მათ მფლობელობაში არსებული „ობლიგაციები", „ობლიგაციების შეთავაზების პირობების 7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა (ე) პუნქტის შესაბამისად.
ემიტენტის/ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი	ემიტენტს მინიჭებული აქვს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი შემდეგი საკრედიტო სააგენტოებიდან: • ემიტენტის რეიტინგი - B+ / სტაბილური პერსპექტივით Scope Ratings-ისგან. • ობლიგაციების რეიტინგი - BB- წინასწარი რეიტინგი /სტაბილური პერსპექტივით Scope Ratings-ისგან.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2030 წლის [17] სექტემბერს.
ცენტრალური დეპოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი" (ს/ნ 204935400). საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N 71, ოფისი N 7, სართული 7, ბლოკი 10; ტელ: (995 32) 2 50 02 11; ელ. ფოსტა: info@gcsd.ge
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას" ან

	„თბილისის საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟაზე დაშვების თაობაზე. “ემიტენტი” აკმაყოფილებს ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და განთავსების შესახებ დებულების პირობებს. საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://gse.ge/upload/Listing_Rules_24.05.2016_01a6b9aa.pdf თბილისის საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: TSE Listing Rules
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაციები წარმოადგენს „კომპანიის“ სოლიდარული თავდებობით, იპოთეკით და გირავნობით უზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებებს. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.
სოციალური ობლიგაციების ჩარჩო / მეორე მხარის მოსაზრება	ემიტენტმა მოიპოვა მეორე მხარის მოსაზრება (Second Party Opinion - “SPO”) Scope-სგან. აღნიშნული SPO ასახავს Scope-ის დამოუკიდებელ მოსაზრებას კომპანიის სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს 2023 წლის სოციალური ობლიგაციების პრინციპებთან შესაბამისობის შესახებ, როგორც ეს ადმინისტრირებულია ICMA-ს მიერ.
დივიდენდის გაცემის პოლიტიკა	დივიდენდის გაცემის პოლიტიკა აღწერილია პროსპექტის ქვეთავში „დივიდენდების პოლიტიკა“.

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

შეთავაზება	350,000,000 (სამას ორმოცდაათი მილიონი) ლარამდე ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის სავარაუდო ვადით 2030 წლის [17] სექტემბერს.
განთავსების მინიმალური მოცულობა	1 ობლიგაცია
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია
ნომინალური ღირებულება	[1,000] ([ათასი]) ლარი
ობლიგაციების რაოდენობა	[350,000] ([სამას ორმოცდაათი ათასი]) ცალამდე
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	350,000,000 (სამას ორმოცდაათი მილიონი) ლარამდე
გამოშვების ფასი	ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 100%
ობლიგაციების გამოშვების თარიღი	ობლიგაციების გამოშვება მოხდება სავარაუდოდ 2025 წლის [17] სექტემბერს.
ემისიის დამტკიცების შესახებ დირექტორთა საბჭოს კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება;	2025 წლის 21 აგვისტოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი 2025 წლის 21 აგვისტოს აქციონერის გადაწყვეტილება
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალური ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი.
შეთავაზების პერიოდი	დროის მონაკვეთი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან შეთავაზების დასრულებამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2030 წლის [17] სექტემბერს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ლარში.
ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის/გაკოტრების შემთხვევაში	გაკოტრების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელები წარმოადგენენ „კომპანიის“ უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ კრედიტორებს, რომელთა დაკმაყოფილების წესსაც განსაზღვრავს ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 105-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით, პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს

	უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104-ე მუხლის თანახმად, გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის მასა შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდება: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს, გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას და საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოქმნილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯებს, ქონების მართვის ხარჯებს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯებს; ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები - მოიცავს სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 (სამი) თვის ხელფასების და შვებულების ხარჯებს (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასებისა და შვებულების ხარჯებისა, ასევე მათი ოჯახის წევრებისთვის), საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელ თანხებს (არაუმეტეს 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით თითოეულ კრედიტორზე; დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - მოიცავს სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 (სამი) წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილ, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ არაპირდაპირ გადასახადებს; ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის გადახდისუუნარობის შესახებ განაცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს: ვ) არაპრივილეგირებული მოთხოვნები - მოიცავს იმ კრედიტორთა მოთხოვნებს, რომელთა არაპრივილეგირებული წესით დაკმაყოფილებაზე წინანსწარ შეთანხმდნენ მოვალე და კრედიტორი, და ზ)კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება). ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილ კრედიტორად ითვლებიან კრედიტორები, რომელთა მოთხოვნაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. შესაბამისად, „ობლიგაციონერები“ ექცევიან უზრუნველყოფილი კრედიტორების კატეგორიაში და მათზე გავრცელდება ზემოაღნიშნული კანონის 105-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების წესები იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციონერები“ წარმოადგენენ მეორე რიგის უზრუნველყოფილ

	კრედიტორებს, რომლებიც დაკმაყოფილდებიან „პირველი რიგის კრედიტორების“ შემდეგ. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვრცლად „პროსპექტის“ ქვეთავში „ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები“ და „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე და 105-ე მუხლები.
კალკულაციის აგენტი	სს გალტ ენდ თაგარტი
დეფოლტი	თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერებს შეუძლიათ პროსპექტით განსაზღვრული პირობებით მიმდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვონ „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა: (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეპუნქტი 10. “დეფოლტის შემთხვევები”).
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები გამოყენებული იქნება არსებული სასესხო ვალდებულებების ნაწილის რეფინანსირებისთვის და კომპანიის კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, კომპანიის სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად. ჯამური მოზიდული სახსრებიდან 250 მილიონი ლარი მოხმარდება არსებული გრძელვადიანი სესხების რეფინანსირებას, რომელთა რეფინანსირებაც მოხდება გამოშვების თარიღიდან 20 სამუშაო დღეში. 100 მილიონი ლარი მოხმარდება კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას, სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად (ამ მოცულობიდან კომპანიას 50 მილიონი ლარის კაპიტალური დანახარჯები უკვე გაწეული აქვს, რისთვისაც 2025 წელს მოიზიდა მოკლევადიანი დროებითი (bridge) სესხები, რომლებიც დარეფინანსირდება გამოშვებული ობლიგაციებით). დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „შემოთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრული განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები არ იქნება გამოშვებული ჯამური ნომინალური ღირებულების 98.5%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია	„პროსპექტიდან“ გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება არბიტრაჟის გზით, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით.
ობლიგაციების განთავსების ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტ 1-ს და განთავსების აგენტ 2-ს (ერთობლივად „განთავსების აგენტები“), უზრუნველყონ ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. თითოეული განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან,

	რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
განთავსების და სხვა ხარჯები	განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 1.5%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო ხარჯები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

• კავშირი, ერთი მხრივ, ემიტენტს და, მეორე მხრივ, განთავსების აგენტებს შორის

ემიტენტი და განთავსების აგენტი 1, რომელიც ასევე მოქმედებს როგორც კალკულაციის აგენტის სახით (გალტ & თაგარტი) დაკავშირებულები არიან არაპირდაპირ. ემიტენტი წარმოადგენს „Georgia Capital PLC“-ის 100%-იან შვილობილ კომპანიას („უკანასკნელი მშობელი“), რომელიც ასევე არაპირდაპირ ფლობს 19.7%-იან წილს (ხმის მიცემის უფლების გარეშე) „Lion Finance Group PLC“-ში (იგივე „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, იგივე „BGEO Group”), რომელიც თავის მხრივ, ფლობს სს „გალტ ენდ თაგარტის“ 100%-ს. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არ არის არსებითი, იმის გათვალისწინებით, რომ მას გააჩნია წილი „გალტ ენდ თაგარტში“ ხმის მიცემის უფლების გარეშე. ასევე, აღნიშნული კომპანიების მმართველ ორგანოთა წევრები ერთმანეთისგან სრულად განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციულ საფუძველზე.

ემიტენტი და განთავსების აგენტი 2 (შპს თიბისი კაპიტალი) არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

ემიტენტის აუდიტორები და ნებისმიერი მესამე მხარე და/ან ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობენ პროსპექტის მომზადებაში, არ არიან დაკავშირებული არც განთავსების აგენტ 1-თან და არც განთავსების აგენტ 2-თან და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

• კავშირი განთავსების აგენტებს და პოტენციურ ინვესტორებს შორის

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია „განთავსების აგენტ 1-თან“, კერძოდ, „განთავსების აგენტი 1-ისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „Lion Finance Group PLC”. ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტ 1-ს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტ 1-სა“ და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტ 1-სა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტი 1“-ს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „საქართველოს ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება

ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი 1“.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია „განთავსების აგენტ 2-თან“ („განთავსების აგენტი 2“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, „განთავსების აგენტ 2-სა“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტ 2-სა“ და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტ 2-სა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტ 2-სა“ და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტ 2“-ს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;
(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი 2“.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

სააქციო საზოგადოება
სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი
(საიდენტიფიკაციო ნომერი: 405746634)

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი

350,000,000 (სამას ორმოცდაათი მილიონი) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული,სოლიდარული თავდებობით, იპოთეკით და გირავნობით უზრუნველყოფილი ცვალებადი საპროცენტო სარგებლის მქონე სოციალური ობლიგაციები (შემდგომში "ობლიგაციები"), გამოშვებული ერთი ემისიით. თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას იქნება 1,000 ერთეული შესაბამის ვალუტაში. გამოშვების ვალუტა: ლარი. ფასი გამოშვების დროს შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს (ას პროცენტს). „ობლიგაციების" გამოშვების დეტალური პირობები, როგორიცაა შესაბამისი ემისიის ჯამური მოცულობა, გამოშვების ზუსტი თარიღი და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და შესაბამისი ემისიის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით". ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტლური; გ) ნახევარწლიური; ვადიანობა განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1-დან 5 წლამდე1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; 5) 5 წლიანი. ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის სოლიდარული თავდებობით, იპოთეკით და გირავნობით უზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (შემდგომში "**კომპანია**", **"ემიტენტი",** „**GHG**" და მის შვილობილ კომპანიებთან ერთად მოხსენიებული, როგორც „**ჯგუფი**", ან „**GHG ჯგუფი**") პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას) წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობაზე და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია *კომპანიისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.*

საქართველოს ეროვნული ბანკის ("ეროვნული ბანკი") მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორებისთვის:

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში **„პროსპექტი“**) და შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი უპირველეს ყოვლისა გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით).

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1, თბილისი 0114, თბილისი, საქართველო. ტელ: 2 40 64 06. ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge. ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:
გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტები, კალკულაციისა აგენტი, ცენტრალური დეპოზიტარი (შემდგომში „ცენტრალური დეპოზიტარი“ ან „დეპოზიტარი“), კომპანიის სხვა მრჩევლები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელნი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით წინამდებარე პროსპექტში გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე, ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და შეთავაზებასთან დაკავშირებულ წინამდებარე პროსპექტში გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტები და კომპანიის მრჩევლები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან პროსპექტში მითითებულ მათ რაიმე განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების აგენტები და კალკულაციისა აგენტი მოქმედებენ ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ისინი არ წარმოადგენენ არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევენ არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავიანთ კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ისინი არ არიან ვალდებულნი გაუწიონ ვინმეს, გარდა კომპანიისა, მომსახურება ან მისცენ რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით (ა) რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან (ბ) რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასავრცელებლად.

ინვესტორის დადასტურება: პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს შესაბამის განთავსების აგენტ 1-ს: სს გალტ ენდ თაგარტს; (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0105, პუშკინის N3, ტელ: (995 32) 2401-111; ელ-ფოსტა: st@gt.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი 1“), და განთავსების აგენტ 2-ს: შპს თიბისი კაპიტალს (ს/ნ 204929961), მისამართი: საქართველო, თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქ. 7; ტელ.: (+995 32) 277-27-97; ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge (შემდგომში – „განთავსების აგენტი 2“) და ემიტენტს სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“), რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ii) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, ან/და (iii) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, კომპანია, განთავსების აგენტები ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირები არ იქნებიან რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ დამტკიცებულ პროსპექტს.

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტებისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი

სარჩევი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა 13
შესავალი 13
ინფორმაცია ემიტენტის შესახებ 17
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 25
ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები 28
რისკის ფაქტორები 43
კომპანიის მიმოხილვა 77
ინდუსტრიის მიმოხილვა 104
ბაზარზე პოზიციონირება 119
ფინანსური მიმოხილვა 121
საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა 121
კაპიტალიზაცია და დავალიანება 153
მარეგულირებელი გარემო 165
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი 180
ბენეფიციარი მესაკუთრეები 189
სასამართლო დავები 193
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა ..... - 200 -
ობლიგაციების გამოშვების პირობები ..... **Error! Bookmark not defined.**
ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში ..... **Error! Bookmark not defined.**

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (“**ემიტენტი**”, “**კომპანია**”) არასუბორდინირებული, სოლიდარული თავდებობით, იპოთეკით და გირავნობით უზრუნველყოფილი სოციალური ობლიგაციები (“**ობლიგაციები**”)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (ს/ნ: 405746634) **მისამართი:** საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 24ა **ელ-ფოსტა:** contact@ghg.com.ge **ვებ-გვერდი:** https://ghg.com.ge/ **ტელ.:** (+995 32) 2 600 600
განთავსების აგენტ 1-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს გალტ ენდ თაგარტი; (ს/ნ: 211359206) **მისამართი:** N3, პუშკინის ქ., 0105, თბილისი, **ელ-ფოსტა**: gt@gt.ge; sales@gt.ge, **ვებ-გვერდი**: www.galtandtaggart.com, **ტელ.:** (+995 32) 240 11 11
განთავსების აგენტ 2-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს თიბისი კაპიტალი (ს/ნ: 204929961) **მისამართი:** მარჯანიშვილის ქ. N7, 0102, თბილისი **ელ-ფოსტა**: info@tbccapital.ge **ვებ-გვერდი**: www.tbccapital.ge **ტელ:** (+995 32) 227 27 97
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	საქართველოს ეროვნული ბანკი **მისამართი:** ზ. გამსახურდიას სანაპირო N1, თბილისი, 0114 **ელ-ფოსტა**: info@nbg.gov.ge; **ვებ-გვერდი**: www.nbg.gov.ge **ტელ:** (+995 32) 240 64 06 **ფაქსი:** (995 32) 240 6577
პროსპექტის დამტკიცების თარიღი	
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე.

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის რომელიმე ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტია, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან არ იძლევა ისეთ ძირითად ინფორმაციას, რაც უნდა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში.

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად, პროსპექტში წარმოდგენილი

ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს კომპანიასთან, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას ვითარების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული ობლიგაციების გაყიდვა, ან ობლიგაციების ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც კომპანია და არც განთავსების აგენტები არ აკეთებენ არანაირ განცხადებას და არ იძლევიან გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ობლიგაციებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი კომპანიის ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული ობლიგაციების რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩევლებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

გაფრთხილება

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, ობლიგაციებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ობლიგაციების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;

ii. გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;

iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (ქართული ლარი ან აშშ დოლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;

iv. შეეძლოს ობლიგაციების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;

v. ჰქონდეს შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს ემიტენტის პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

გამოყენებული წყაროები:

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- 2024 წლის აუდიტირებული წლიური ცალკე გამოყოფილი (Carve-out) ფინანსური ანგარიშგება და 2023 წლის შესადარისი აუდიტირებული წლიური ცალკე გამოყოფილი (Carve-out) ფინანსური ანგარიშგება;
- სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის წესდება (NAPR- სისტემაში განცხადების ნომერი: B25063357);
- სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის ვებ-გვერდი (ghg.com.ge);
- Scope Ratings-ის საკრედიტო ანგარიში სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფისთვის“ B+ რეიტინგის მინიჭების შესახებ: https://www.scoperatings.com/ratings-and-research/rating/EN/178875
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge);
- საქართველოს ეროვნული ბანკი (nbg.gov.ge);
- გალტ ენდ თაგარტის კვლევების დეპარტამენტი (gt.ge);
- თიბისი კაპიტალის კვლევების დეპარტამენტი (tbccapital.ge);
- სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო (nha.moh.gov.ge);
- სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო (rama.moh.gov.ge);
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (ncdc.ge);
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (saras.gov.ge);
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (moh.gov.ge).

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ *“როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის მათთვის ცნობილი გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.“*

ემიტენტი - **სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“** (ს/ნ: 405746634). იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, №24ა. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 17 დეკემბერი.

„ჯგუფის“ ოპერაციები 1990 წლიდან დაიწყო და ბაზარზე ოპერირებდა დამოუკიდებელი სადაზღვევო კომპანიის - „ალდაგის“ სახელით. „კომპანია“ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანად გაიზარდა, რაც ჯანდაცვის ცენტრალიზებული მართვის მოდელით არის განპირობებული. „ჯგუფი“ იყო პიონერი საქართველოში რეგიონული კლასტერული მოდელისა და რეფერალური იერარქიის დანერგვაში, რაც მას საშუალებას აძლევს, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულება ერთი სტრუქტურის ფარგლებში ეფექტიანად მართოს. „ჯგუფი“, როგორც ქვეყნის უმსხვილესი ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერი, ოპერირებს ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურით და საქართველოს სწრაფად მზარდ, ძირითადად კერძო საკუთრებაში არსებულ ბაზარზე, მომხმარებლებს სთავაზობს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების ფართო და მრავალმხრივ სპექტრს.

„ჯგუფი“ მუდმივად ორიენტირებულია მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაზე, რაც აისახება მისი საქმიანობის ძირითად ოთხ მიმართულებაში: i. **დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები,** ii. **რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები,** iii. **კლინიკები** („ევექსის“ პოლიკლინიკების ქსელი) და iv**. დიაგნოსტიკა** („მეგა ლაბორატორია“). თითოეული რეგიონული კლასტერი ფუნქციონირებს სტრუქტურირებული რეფერალური იერარქიის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პაციენტების სწორად მართული ნაკადით გადამისამართებას - ადგილობრივი ექიმებიდან და საზოგადოებრივი ჰოსპიტლებიდან, დიდ, სპეციალიზებულ რეფერალურ ჰოსპიტლებში მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მისაღებად. დამატებით, სპეციალიზებული სასწრაფო დახმარების მომსახურება უზრუნველყოფს პაციენტების დროულ და კოორდინირებულ გადაყვანას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში სისტემის ფარგლებში.

ორგანიზაციული სტრუქტურა



2024 წლის მეოთხე კვარტლამდე, „GHG“-ის შემადგენლობაში შედიოდა ფარმაცევტული მიმართულებაც (სს „გეფა“). თუმცა, დედა კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილების შედეგად, ფარმაცევტული სეგმენტი გამოეყო „GHG“-ს და ამჟამად დამოუკიდებლად ფუნქციონირებს „საქართველოს კაპიტალის“ (შემდგომში „**GCAP**“) ქოლგის ქვეშ. ვინაიდან „გეფას“ და „GHG“-ის ჯანდაცვის მიმართულების მმართველი გუნდები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, გამოყოფა შეესაბამება იმ სტრატეგიულ მოსაზრებას, რომ აღნიშნული სუბიექტები უნდა ფუნქციონირებდნენ სხვადასხვა ჰოლდინგური სტრუქტურების ფარგლებში.

შერწყმის, შეძენისა და გამოყოფის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი - *„ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები“.* შვილობილი კომპანიების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი – *„შვილობილი კომპანიები“.*

ქვემოთ წარმოდგენილია მოქმედი ბიზნეს მიმართულებების მიერ შეთავაზებული ექსკლუზიური და სხვა სახის მომსახურებების მოკლე მიმოხილვა:

ბიზნეს მიმართულება	მოკლე აღწერა	შემოსავლის სტრუქტურა, 2024

დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები	ჰოსპიტლების ბიზნესი წარმოადგენს მრავალფეროვანი სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების ექსკლუზიურ მიმწოდებელს, მათ შორის: • ონკოლოგია • პედიატრიული ონკოლოგია • ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია • სქესის შეცვლის ოპერაცია ექსტრაკორპორალური განაყოფიერება (სუროგაცია), და სხვა.
რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები	• ნეიროქირურგია – თავის ტვინისა და ხერხემლის ოპერაციები, მათ შორის ტრავმებისა და სიმსივნეების მკურნალობა • ენდოსკოპიური დიაგნოსტიკა • კომპიუტერული ტომოგრაფია (კტ) – 160 შრიანი კტ მაღალი სიზუსტის დიაგნოსტიკისთვის ქირურგია და ინტენსიური თერაპია და სხვა
კლინიკები	საქართველოში ყველაზე დიდი პოლიკლინიკების ქსელი, რომელიც მოიცავს 16 სამედიცინო დაწესებულებას და მომხმარებლებს სთავაზობს: • ამბულატორიულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას • სპეციალიზებულ მომსახურებას ტრანსპლანტოლოგიის, ჰემატოლოგიის, რადიოლოგიის, ოფთალმოლოგიისა და 38-ზე მეტი სამედიცინო მიმართულების ფარგლებში
დიაგნოსტიკა	მომხმარებლებს სთავაზობს როგორც საბაზისო, ისე გაფართოებულ ანალიზებს ონკოლოგიასა და მოლეკულურ დიაგნოსტიკაში - მომსახურებებს, რომლებიც მანამდე საქართველოში ხელმისაწვდომი არ იყო. ფუნქციონირებს როგორც ლაბორატორიული ჰიპერმარკეტი, რომელიც იყენებს მაღალი გამტარუნარიანობის ავტომატიზებულ სისტემებს.



„GHG“ აქტიურად მუშაობს საერთაშორისო აკრედიტაციების მოპოვებაზე, რათა უზრუნველყოს თავის ყველა ბიზნეს მიმართულებაში მომსახურების მაღალი დონე. 2024 წლის ივლისში, „კავკასიის მედიცინის ცენტრი“ გახდა პირველი მრავალპროფილური რეფერალური ჰოსპიტალი საქართველოში, რომელმაც მოიპოვა „Joint Commission International“ (JCI)-ის აკრედიტაცია. „მეგალაბმა“ 2022 წლის ივლისში მოიპოვა „JCI“-ის აკრედიტაცია და გახდა პირველი სამედიცინო ლაბორატორია სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც აღნიშნული საერთაშორისო აღიარება მიიღო. 2023 წლის აგვისტოში, იაშვილის საავადმყოფომ მოიპოვა „American Accreditation Commission International“ -ის (AACI) აღიარება და გახდა პირველი საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პედიატრიული ცენტრი რეგიონში. აგრეთვე, „საქართველოს კლინიკების“ ქსელის ყველა 27 დაწესებულებას მიღებული აქვს „KTQ“-ს სერტიფიცირება, რაც ხაზს უსვამს პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომასა და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას. „ევექსის“ ქსელი სრულად შეესაბამება ISO 9001:2015 სტანდარტს და სერტიფიცირებულია „TÜV AUSTRIA“-ს მიერ.

„ჯგუფის“ შემოსავალი შედგება სამი ტიპის გადახდებისგან: (i) მოსახლეობის ჯიბიდან გადახდები, (ii) სახელმწიფო გადახდები და (iii) კერძო სადაზღვევო გადახდები. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ინდივიდუალური კლიენტი ან სადაზღვევო კომპანია დამოუკიდებლად არ წარმოადგენს შემოსავლის 10%-ზე მეტს.

ჯანმრთელობის მომსახურების საფასურის გადამხდელთა ხვედრითი წილი შესაბამისი წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:



ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

1990	• დაარსდა როგორც „ალდაგი“ - დამოუკიდებელი სადაზღვევო კომპანია.
2006	• თბილისში პირველი ამბულატორიული კლინიკის გახსნა.
2008-2012	ჯანდაცვის სერვისების გაფართოება განხორციელებული შესყიდვებისა და ახალი დაწესებულებების გახსნის შედეგად. • 2008-2011: 13 ჰოსპიტლის შეძენა, მათ შორის 11 - კომპანია „ბლოკ ჯორჯია“-სგან. • 2012: სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ის შეძენა, რის შედეგადაც დაემატა ათი ჰოსპიტალი. • 2012: ექვსი ახალი ჰოსპიტლის გახსნა.
2013	• ოთხი ჰოსპიტალისა და ერთი ამბულატორიული კლინიკის დამატება; 60 საწოლიანი სპეციალიზებული კლინიკის - „კარაპს მედლაინის“ შეძენა.
2014	• საქართველოში სიდიდით მეორე ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერის – „Avante Hospital Management Group“-ის – შეძენა. • „Sunstone Medical LLC“-ის შეძენა და თბილისის რეფერალური ჰოსპიტლის (332 საწოლი) განახლება. • 60 საწოლიანი რეფერალური ჰოსპიტლის - ტრავმატოლოგიის ცენტრის - შეძენა თბილისში.
2015	• „დეკა“-ს (350 საწოლიანი ჰოსპიტალი) 95% წილისა და „GNCo“-ს (450 საწოლიანი მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა) 50% წილის შეძენა • GHG PLC-ის აქციების პირველადი განთავსება (IPO) ლონდონის საფონდო ბირჟაზე. • ახალი ამბულატორიული კლასტერების გახსნა.
2016	• იაშვილის რეფერალური ჰოსპიტლის დარჩენილი 33.3%-ის შეძენა. • წამყვანი ფარმაცევტული საცალო ქსელის – სს „GPC“-ს 100%-სა და მის მფლობელობაში არსებული თემქის რეფერალური ჰოსპიტლის 35%-იანი წილის შეძენა. • ახალი ამბულატორიული კლინიკების გახსნა. • სს „ABC ფარმაცია“-ს 67%-ის შეძენა და მისი შერწყმა „GPC“-სთან, რის შედეგადაც შეიქმნა სს „გეფა“.

2017	• „Sunstone“-ის რეფერალური ჰოსპიტლის რეკონსტრუქციის დასრულება. • ხაშურისა და ქარელის საზოგადოებრივი ჰოსპიტლების შეძენა. • „ატირანსის“,ნატურალური კოსმეტიკური ბრენდის, შეძენა. • სამი ახალი პოლიკლინიკის გახსნა.
2018	• საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვება. • თბილისში „Home Care“ მომსახურების ამოქმედება. • ლაბორატორია „მეგალაბის“ მშენებლობის დასრულება. • სტომატოლოგიურ ბაზარზე დამკვიდრება პოლიკლინიკებში სტომატოლოგიური კლინიკების გახსნით.
2019	• ფრენშაიზინგის ხელშეკრულების გაფორმება „The Body Shop“-თან საქართველოს ბაზარზე ოპერირებისთვის.
2020	• მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში (HTMC) არსებული 40%-იანი წილის გაყიდვა. • „ექიმოს“ აპლიკაციის ამოქმედება.
2021	• შეთანხმება საცალო (ფარმაცევტული) ბიზნესში 33%-იანი მინორიტარული წილის ეტაპობრივად, ექვსწლიან ვადაში შეძენაზე. • ტრავმატოლოგიური ჰოსპიტლის 100%-იანი წილის გაყიდვა 2.9 მილიონ აშშ დოლარად.
2022	• საცალო (ფარმაცევტული) ბიზნესში 10%-იანი წილის შეძენა მინორიტარული აქციონერებისგან.
2023	• საცალო (ფარმაცევტული) ბიზნესის დამატებით 20.5%-ის წილის შეძენა. • ჰოსპიტლების რეორგანიზაცია „ვიან“-ის ბრენდის ქვეშ და „საქართველოს კლინიკების“ ქსელის დაფუძნება რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლებისთვის. • პოლიკლინიკებისა და დიაგნოსტიკის სეგმენტი ამჟამად მოიცავს 16 პოლიკლინიკასა და „მეგალაბს“.
2024	• 2024 წლის იანვარში „GHG“-მ შეიძინა „არდი დაზღვევა“, რის შედეგადაც „GCAP“ გახდა საქართველოში უმსხვილესი ჯანმრთელობის დაზღვევის პროვაიდერი. • 2024 წლის ივნისში „არდი“ და „იმედი L“ გადაეცა „GCAP“-ის სადაზღვევო ქვეჰოლდინგს, „A Group“-ს. • 2024 წლის მეოთხე კვარტალში „GHG“-ის ფარმაცევტული ბიზნესი გამოეყო და ამჟამად ფუნქციონირებს როგორც სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფი“.

კომპანიის პარტნიორები და ბენეფიციარი მესაკუთრეები

„ემიტენტი“ სრულად ეკუთვნის სს „საქართველოს კაპიტალს“. თავის მხრივ, „ემიტენტის“ მფლობელი კომპანია მთლიანად ეკუთვნის „Georgia Capital PLC“-ს, ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულ (დალისტულ) კომპანიას (ტიკერი: CGEO).

სს „საქართველოს კაპიტალის“ ბიზნესი წარმოადგენს ბიზნესის შეძენის, მართვისა და განვითარების პლატფორმას საქართველოში. „საქართველოს კაპიტალი“ ეხმარება შვილობილ კომპანიებს განვითარებასა და სწორი მენეჯმენტის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში იქამდე, სანამ ბიზნესები მიაღწევენ განვითარების ისეთ დონეს, როდესაც მეტწილად თავად შეეძლებათ საკუთარი ზრდის დაფინანსება, „საქართველოს კაპიტალის“ ზედამხედველობით ან დამოუკიდებლად.

სს „საქართველოს კაპიტალის“ პორტფელი პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის:



**GCAP-ის წილი Lion Finance Group-ში პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის*

შემდეგი ცხრილი ასახავს Georgia Capital PLC-ის აქციონერებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ზე მეტს:

	პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის (%)
Gemsstock Ltd	**7.56%**
Lazard Asset Management LLC	**7.37%**
Allan Gray Proprietary Ltd	**6.45%**
სხვა*	**78.62%**
სულ	**100.00%**

**სხვა ინვესტორები 5%-ზე ნაკლებ წილს ფლობენ Georgia Capital PLC-ში*

„ჯგუფის“ საქმიანობა გეოგრაფიულად კონცენტრირებულია საქართველოში.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორის მოკლე მიმოხილვა

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ჯანდაცვის ინდუსტრიაში განხორციელდა არაერთი რეფორმა და გარდაქმნა. სახელმწიფომ ჯანდაცვის სექტორი პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა, შედეგად მნიშვნელოვნად გააქტიურდა კერძო ინვესტიციების მოზიდვა. რეფორმის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენდა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სექტორის ლიბერალიზაცია, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის დანერგვა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, რაც რეფორმების მთავარ შედეგად ითვლება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ - *„მარეგულირებელი გარემო“.*

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი ეფუძნება მოდელს, სადაც მომსახურებას უზრუნველყოფენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პროვაიდერები. ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების მიმართულებით წამყვან პოზიციას იკავებს კერძო სექტორი - ჰოსპიტალებისა და კლინიკების უმეტესობას კერძო პროვაიდერები მართავენ. ამასთან, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში, რაც ხორციელდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის და სხვადასხვა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. სექტორი ზომიერად კონცენტრირებულია - ბაზრის მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 50%-ს ათი უმსხვილესი ჰოსპიტალი აგენერირებს, ხოლო დარჩენილი წილი ნაწილდება მცირე პროვაიდერებზე.

ჯანდაცვის ინდუსტრია ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და სწრაფად განვითარებად სექტორს წარმოადგენს. მოთხოვნისა და მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორების გავლენით, სექტორის საერთო გამოშვება ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. 2018–2023 წლებში ჯანდაცვის სექტორის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა (CAGR) 8.9% შეადგინა. ამავე პერიოდში ჯანდაცვის სექტორის წილი ეკონომიკის მთლიანი გამოშვებიდან შემცირდა - 2018 წლის 3.8%-დან 2023 წლის 3.3%-მდე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჯანდაცვის სექტორის ზრდის ტემპი ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით უფრო ნელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ 2022 და 2023 წლებში დაფიქსირდა საერთო კლების ტენდენცია, **2024 წლის პირველ ცხრა თვის განმავლობაში** აღინიშნება ზრდა - გამოშვება გაიზარდა 3.1 მლრდ ლარიდან (9თ2023) 3.3 მლრდ ლარამდე (9თ2024), რაც 7%-იან ზრდას წარმოადგენს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. აღნიშნული გაჯანსაღება მეტყველებს იმაზე, რომ სექტორი პანდემიის შემდგომ სტაბილური განვითარების ფაზაში შედის.

მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტორები

<u>სახელმწიფო პოლიტიკა ჯანდაცვის სფეროში:</u> საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გაფართოებამ შეამცირა მოსახლეობის მიერ მოსახლეობის ჯიბიდან გადახდების წილი - 2018 წლის 53%-დან 2023 წელს 40%-მდე, მაშინ როცა სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვაზე გაიზარდა 40%-დან 50%-მდე. კერძო დაზღვევის წილი გაიზარდა 6%-დან 9%-მდე, თუმცა საერთო დანახარჯების მოცულობა არსებითად არ შეცვლილა. 2023 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებებმა 1.1 მილიარდ ლარს მიაღწია (+18% წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით), ხოლო ძირითადი სახელმწიფო დაფინანსება მიმართული იყო პირველადი/გადაუდებელი დახმარების, რეფერალური სერვისებისა და ორგანოთა ტრანსპლანტაციის დაფინანსებაზე.

<u>დემოგრაფიული დინამიკა:</u> საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ 2023 წელს 3.74 მილიონს მიაღწია - რაც ბოლო ათწლეულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ზრდა ძირითადად განპირობებულია მიგრაციით, ეკონომიკური პირობებითა და სოციალური ფაქტორებით.

<u>დაავადებები და რისკ-ფაქტორები:</u> 2023 წელს ავადობის მაჩვენებელი 24%-ით გაიზარდა. განსაკუთრებით მაღალი ზრდა დაფიქსირდა ენდოკრინულ დარღვევებში (54%), ორსულობასთან დაკავშირებულ გართულებებში (51%) და კანის დაავადებებში (50%).

<u>ჯანდაცვის სერვისების გამოყენება:</u> ერთი მოსახლეზე ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა 3.3-დან (2018) 4.1-მდე (2023), რაც ჯანდაცვის პროგრამების გაფართოებასა და მოთხოვნის ზრდას ასახავს.

<u>ხელმისაწვდომობა და გადახდისუნარიანობა:</u> შინამეურნეობების შემოსავლები გაიზარდა - 2023 წელს ერთ სულზე საშუალო შემოსავალმა 486 ლარი შეადგინა (21% წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 71%-იანი ზრდა 2018 წელთან შედარებით). უკანასკნელი წლების განმავლობაში ჯანდაცვის სერვისების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა 2023 წელს 6.5%-ით შემცირდა და 2024 წელს დაფიქსირდა მხოლოდ 1%-იანი ზრდა.

მიწოდების განმაპირობებელი ფაქტორები

რაც შეეხება მიწოდების მხარეს, 2018–2023 წლებში ჯანდაცვის სერვისების პროვაიდერების რაოდენობა შემცირდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბაზრის მაღალი ფრაგმენტაცია და ბოლო პერიოდში დაწესებული რეგულაციები ქმნის წინაპირობას მისი კონსოლიდაციისთვის.

2020–2021 წლებში საქართველოში ჰოსპიტალების საწოლფონდის რაოდენობა გაიზარდა COVID-19-ის პანდემიის შედეგად, რაც ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობების გაფართოებას მოითხოვდა. თუმცა, ზრდის ამ ეტაპს 2022 და 2023 წლებში შემცირება მოჰყვა, რაც პანდემიის მკვეთრი შესუსტებითა და დამატებით საწოლებზე შემცირებული მოთხოვნით იყო განპირობებული. 2023 წლისთვის საწოლების რაოდენობა დაბალი იყო იმ დონესთან შედარებით, რაც ფიქსირდებოდა პანდემიის დაწყებამდე. აღნიშნული, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო მათი დაბალი დატვირთვითა და საწოლებს შორის სავალდებულო დისტანციის შესახებ ახალი რეგულაციების ამოქმედებით.

2020 და 2021 წლებში საწოლფონდის გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა და პაციენტთა დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობამ შესაბამისად შეადგინა 5.6 და 6.2 დღე. აღნიშნული ზრდა გამოწვეული იყო COVID-19-ის პანდემიით, რომელმაც გამოიწვია ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის ზრდა და სტაციონარში ხანგრძლივი დარჩენა შემთხვევათა სიმძიმისა და გრძელვადიანი სამედიცინო დახმარების საჭიროების გამო. პანდემიის შენელებასთან ერთად შემცირდა COVD-19-ით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი, შესაბამისად, პაციენტთა დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა2022 წელს 5.1 დღემდე შემცირდა. 2023 წელს ეს მაჩვენებელი მცირედით გაიზარდა და 5.3 დღე შეადგინა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს საავადმყოფოების მიმართვიანობის იმ სტაბილურ დონეზე დაბრუნებას, რაც პანდემიამდე არსებობდა და რომელზეც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება, ქრონიკული დაავადებების გავრცელება ან სამედიცინო მომსახურების მიწოდების სტრუქტურული ცვლილებები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში პაციენტების ჰოსპიტალში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი შერჩეულ ქვეყნებში დაფიქსირებულ საშუალო მაჩვენებელზე (6.5 დღე) ნაკლებია. 2023 წელს საქართველოში ჰოსპიტალების საწოლფონდის საშუალო დატვირთვის მაჩვენებელი 56.1%-ია, რაც ასევე საკმაოდ დაბალია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საწოლფონდის დატვირთვის ზრდისა და ჰოსპიტალში ყოფნის ხანგრძლივობის შემცირების მიუხედავად, საქართველოში საწოლების საშუალო დატვირთვის მაჩვენებელი კვლავ დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამ მიმართულებით არსებობს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების პოტენციალი, რაც დადებით გავლენას მოახდენდა ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში სამედიცინო პერსონალის რაოდენობაც გაიზარდა, საქართველოში ექიმებისა და ექთნების თანაფარდობა კვლავ დაბალია (0.89). აღნიშნული დისბალანსი მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს ექთნების რესურსზე და უარყოფითად აისახება ჯანდაცვის სექტორის მომგებიანობაზე, ვინაიდან მაღალანაზღაურებადი ექიმები ხშირად ასრულებენ ექთნების ფუნქციებს.

დიაგნოსტიკური სერვისების ბაზარი

ბაზარი ძლიერ ფრაგმენტირებულია - მასში ოპერირებენ ისეთი მსხვილი მოთამაშეები, როგორებიც არიან „სინევო“, „ციტო“, „ლიმბახის დიაგნოსტიკის ევროპული ჯგუფი“, ასევე მრავალი მცირე პროვაიდერი. მიუხედავად ლაბორატორიების დიდი რაოდენობისა, მაღალხარისხიანი პათოლოგიური პროცესების კვლევის სერვისებზე წვდომა შეზღუდული იყო მანამდე, სანამ „მეგალაბმა“ - კავკასიის რეგიონში უმსხვილესმა დიაგნოსტიკურმა ლაბორატორიამ - არ დანერგა კლინიკური და პათოლოგიური კვლევების თანამედროვე სისტემა.

ემიტენტის დირექტორები

ირაკლი გოგია იკავებს კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობას. იგი გენერალურ დირექტორად 2022 წლის 12 აგვისტოს დაინიშნა. მანამდე, 2017 წლიდან იკავებდა ფინანსური დირექტორის, ხოლო 2014 წლიდან - საოპერაციო მიმართულების დირექტორის თანამდებობას. ასევე იყო „სამედიცინო კორპორაცია ევექსისა“ და სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მას აქვს ფინანსურ სექტორში ათწლიანი გამოცდილება. 2009-2014 წლებში იგი იკავებდა სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ გენერალური დირექტორის მოადგილის, ხოლო კომპანიაში „Liberty Consumer“ - ფინანსური დირექტორის თანამდებობას. კარიერა დაიწყო წამყვანი აუდიტორის პოზიციით საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებში „Ernst & Young“ და „Deloitte“. ბატონ ირაკლი გოგიას მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი თბილისის ევროპის მენეჯმენტის სკოლიდან. იგი დაჯილდოებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ ღირსების ორდენით და მიღებული აქვს აკადემიური წარმატების ჯილდო გაერთიანებული სამეფოს განათლების მინისტრისგან.

ნიკა წიკლაური - გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური მიმართულება

ნიკა წიკლაური გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 2024 წლის აპრილში დაინიშნა. იგი ჯგუფს 2015 წლის მაისში შეურთდა ფინანსური დირექტორის მოადგილის პოზიციაზე. 2023 წლის აპრილიდან არის „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“, ხოლო 2023 წლის დეკემბრიდან - სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2009–2015 წლებში მუშაობდა საერთაშორისო აუდიტორულ კომპანია Ernst & Young-ში, სადაც იკავებდა პროექტების უფროსი აუდიტორის პოზიციას და ხელმძღვანელობდა ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებული კომპანიის – „საქართველოს ბანკის“ პროექტებს. ის ფლობს მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხს თავისუფალი უნივერსიტეტისგან (თბილისის ევროპის მენეჯმენტის სკოლა). 2017 წლიდან არის „CFA“-ს

სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსი, 2020 წლიდან - პროექტის მენეჯმენტის სერტიფიცირებული პროფესიონალი (PMP). ის 2018 წლიდან ფლობს ფინანსური რისკების მენეჯერის (FRM) სერტიფიკატს, ალტერნატიული ინვესტიციების სერტიფიცირებული ანალიტიკოსი (CAIA) და გამოცდილი დიპლომირებული ბუღალტრების ასოციაციის (ACCA) წევრი.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს „კომპანიის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითად მაჩვენებლებს 2023 და 2024 წლების აუდიტირებული carve-out ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე. აღნიშნული ანგარიშგებები შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად. 2023 და 2024 წლების აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებებისთვის აუდიტის დასკვნა იყო **არამოდიფიცირებული.**

2024 წლის დეკემბერში, დედა კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილების შედეგად, ფარმაცევტული სეგმენტი გამოეყო „GHGს ჯგუფს“ და ამჟამად დამოუკიდებლად ფუნქციონირებს „GCAP“-ის ქოლგის ქვეშ. ამ ეტაპზე „GHG“ მოიცავს ორ საოპერაციო სეგმენტს: 1) ჰოსპიტლები და 2) კლინიკები და დიაგნოსტიკა.

აღნიშნული კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი (Carve-out) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ და მისი შვილობილი კომპანიების (GHG ჯგუფის) კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველზე, იმგვარად, თითქოს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ რეორგანიზაცია ძალაში შევიდა 2023 წლის 1-ლი იანვრიდან და რომ ამჟამინდელი სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“-ის „IFRS“-ზე გადასვლის თარიღად ითვლება ძველი საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის „IFRS“-ზე გადასვლის საწყისი თარიღი.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2023 და 2024 წლებისთვის წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება, '000 ლარი	*2024*	*2023*
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	400,233	369,109
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(247,541)	(235,273)
საერთო მოგება	**152,692**	**133,836**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10,608	13,570
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(59,697)	(51,629)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(18,910)	(22,320)
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(5,999)	(6,131)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,993)	(5,460)
EBITDA	**73,701**	**61,866**
ცვეთა და ამორტიზაცია	(44,174)	(42,400)
საპროცენტო შემოსავალი	925	1,342
საპროცენტო ხარჯი	(37,080)	(38,806)
ზარალი უცხოური ვალუტიდან	(1,388)	(1,407)
ზარალი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან	(2,259)	(2,621)
ზარალი მარაგების ჩამოწერიდან და ვადაგასული ან შეწყვეტილი ერთჯერადი პროექტებიდან	(1,060)	-
გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(270)	-
ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სხვა მოთხოვნების გაუფასურება, ინდივიდუალურად შეფასებული ხარჯები და სასამართლო დავების გამო დაკისრებული ხარჯები	-	(18,016)

შემოსულობა სამეურნეო ერთეულების გაყიდვიდან	-	4,506
წმინდა არარეგულარული შემოსავალი/(ხარჯი)	(702)	(342)
ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე	**(12,307)**	**(35,878)**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი	**(12,307)**	**(35,878)**

წლის (ზარალი)/მოგება და მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი, რომელიც მიკუთვნებადია:		
კომპანიის აქციონერებისთვის	(15,632)	(36,073)
არამაკონტროლებელი წილების მფლობელებისთვის	3,325	195

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, '000 ლარი	*31-დეკ-24*	*31-დეკ-23*	*1-იან-23*
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები	167,683	200,787	155,870
გრძელვადიანი აქტივები	661,913	626,888	628,296
სულ აქტივები	**829,596**	**827,675**	**784,166**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	281,656	350,492	137,129
გრძელვადიანი ვალდებულებები	167,784	83,417	220,981
სულ ვალდებულებები	**449,440**	**433,909**	**358,110**
სულ საკუთარი კაპიტალი	**380,156**	**393,766**	**426,056**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**829,596**	**827,675**	**784,166**

საბრუნავი კაპიტალი

ჯგუფის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) და მიმდინარე კოეფიციენტი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული პერიოდების მიხედვით:

'000 ლარი	*2024*	*2023*	*2022*
საბრუნავი კაპიტალი	(113,973)	(149,705)	18,741
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	0.60	0.57	1.14

უარყოფითი საბრუნავი კაპიტალის ძირითადი მიზეზი არის სესხების მიმდინარე ნაწილის არსებობა. აღნიშნული მაჩვენებელი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული პერიოდების მიხედვით:

'000 ლარი	*2024*	*2023*
ნასესხები სახსრები, მიმდინარე ნაწილი	200,540	220,091

ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები გამოყენებული იქნება არსებული სასესხო ვალდებულებების ნაწილის რეფინანსირებისთვის და კომპანიის კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, კომპანიის სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად. ჯამური მოზიდული სახსრებიდან 250 მილიონი ლარი მოხმარდება არსებული გრძელვადიანი სესხების რეფინანსირებას, რომელთა რეფინანსირებაც მოხდება გამოშვების თარიღიდან 20 სამუშაო დღეში. 100 მილიონი ლარი მოხმარდება კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას, სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად (ამ მოცულობიდან კომპანიას 50 მილიონი ლარის კაპიტალური დანახარჯები უკვე

გაწეული აქვს, რისთვისაც 2025 წელს მოიზიდა მოკლევადიანი დროებითი (bridge) სესხები, რომლებიც დარეფინანსირდება გამოშვებული ობლიგაციებით). 300 მილიონ ლარს ზემოთ არსებულ სასესხო ვალდებულებებს კი კომპანია თავისი ფულადი სახსრებით ჩაფარავს, რის შედეგადაც სესხის მიმდინარე ნაწილი ნულამდე შემცირდება, ვინაიდან ემიტენტი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გათავისუფლებულია რეფინანსირებული თანხის ძირის გადახდის ვალდებულებისგან. შესაბამისად, გაუმჯობესდება როგორც საბრუნავი კაპიტალის მაჩვენებელი, ისე ლიკვიდობის კოეფიციენტები.

ქვემოთ წარმოდგენილია პრო-ფორმა (ობლიგაციების გამოშვების შემდეგი) საბრუნავი კაპიტალი და მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი.

'000 ლარი	*პრო-ფორმა*
საბრუნავი კაპიტალი	90,516
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	2.07

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

ქვემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტები 2024 და 2023 წლებისთვის გაანგარიშებულია კონსოლიდირებული აუდიტირებული მონაცემების საფუძველზე; ფინანსური კოეფიციენტები დათვლილი და წარმოდგენილია პროსპექტის მიმართ არსებული მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და არ წარმოადგენს აუდიტირებული ანგარიშგებების ნაწილს.

	2024 პრო-ფორმა	*2024*	*2023*
ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები			
გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	0.9	0.4	0.2
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	0.6	0.8	0.5
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	0.5	0.5	0.4
მომგებიანობის კოეფიციენტები			
აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი	n/a	-1.5%	-4.5%
კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი	n/a	-3.2%	-8.8%
საერთო მოგების მარჟა	n/a	38.2%	36.3%
საოპერაციო მოგების მარჟა	n/a	7.4%	5.3%
წმინდა მოგების მარჟა	n/a	-3.1%	-9.7%
EBITDA მარჟა	n/a	18.4%	16.8%
ინვესტირებულ კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი	n/a	5.4%	4.1%
ლიკვიდობის კოეფიციენტები			
ლიკვიდური აქტივები /მთლიანი აქტივები	n/a	0.1	0.1
ლიკვიდური აქტივები / მოკლევადიანი ვალდებულებები	n/a	0.4	0.3
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	n/a	(3.0)	(5.6)
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	n/a	0.6	0.6
სესხის მომსახურების კოეფიციენტი **	1.8	1.1	0.9
საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი	n/a	0.2	0.1
საოპერაციო კოეფიციენტები			
ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი	n/a	0.8	0.7
მარაგების ბრუნვის დღეები	n/a	44.3	41.8
დებიტორული დავალიანების ამოღების დღეები	n/a	75.4	85.5
კრედიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები	n/a	40.4	42.9
ფულის ამოღების ციკლი	n/a	79.3	84.5
ობლიგაციების კოვენანტები			
კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი*	5.23	4.55	4.43
ფინანსური იჯარის მაჩვენებელი აქტივებზე	3.7%	3.9%	3.2%

* 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიას გააჩნია ჯამურად 342,247 ათასი ლარის სასესხო ვალდებულებები. ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები გამოყენებული იქნება არსებული სასესხო ვალდებულებების ნაწილის რეფინანსირებისთვის და კომპანიის კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, კომპანიის სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად. ჯამური მოზიდული სახსრებიდან 250 მილიონი ლარი მოხმარდება არსებული გრძელვადიანი სესხების რეფინანსირებას, რომელთა რეფინანსირებაც მოხდება გამოშვების თარიღიდან 20 სამუშაო დღეში. 100 მილიონი ლარი მოხმარდება კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას, სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად (ამ მოცულობიდან კომპანიას 50 მილიონი ლარის კაპიტალური დანახარჯები უკვე გაწეული აქვს, რისთვისაც 2025 წელს მოიზიდა მოკლევადიანი დროებითი (bridge) სესხები, რომლებიც დარეფინანსირდება გამოშვებული ობლიგაციებით). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ობლიგაციების გამოშვებისთვის

კომპანია გეგმავს დარჩენილი სასესხო ვალდებულებების (42,247 ათასი ლარის) თავისუფალი ფულადი სახსრებით ჩაფარვას, რაც საგრძნობლად შეამცირებს მის ლევერიჯს.

** 2023 წელს საოპერაციო ფულადი ნაკადები EBITDA-ზე ნაკლები იყო და კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადები არ იყო საკმარისი სესხის მოსამსახურებლად. აღნიშნულის დასაბალანსებლად, კომპანიამ აიღო დამატებითი სესხები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ობლიგაციების გამოშვების შემდგომ კომპანიას მომდევნო 4 წლის განმავლობაში აღარ მოუწევს ნასესხები სახსრების ძირის გადახდა, შესაბამისად, მისი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მკვეთრად გაუმჯობესდება.

მატერიალური ცვლილებების აღწერა კოეფიციენტებში:

- გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი 2024 წელს 127%-ით გაიზარდა, რაც კომპანიის მხრიდან დამატებითი სასესხო ვალდებულებების აღებამ გამოიწვია. პრო-ფორმა კოეფიციენტი მკვეთრად იზრდება იქიდან გამომდინარე, რომ მომდევნო წლების განმავლობაში კომპანიის ობლიგაციები სრულად გრძელვადიან ვალდებულებებში ჩავარდება.

- 2024 წელს მკვეთრად, 59%-ით გაიზარდა ჯგუფის პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი, ისევე როგორც მომგებიანობის კოეფიეიცენტები, რაც ჯგუფის შემოსავლიანობის ზრდით იყო გამოწვეული. შემოსავლების ზრდის ძირითადი მიზეზებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ქვეთავს „საოპერაციო შედეგები“.

ზოგადი შენიშვნები კოეფიციენტებთან დაკავშირებით:

პრო-ფორმა კოეფიციენტები ასახავს ობლიგაციების გამოშვების გავლენას „ჯგუფის“ სასესხო ვალდებულებებსა და შესაბამის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები გამოყენებული იქნება არსებული სასესხო ვალდებულებების ნაწილის რეფინანსირებისთვის და კომპანიის კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, კომპანიის სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად. ჯამური მოზიდული სახსრებიდან 250 მილიონი ლარი მოხმარდება არსებული გრძელვადიანი სესხების რეფინანსირებას, რომელთა რეფინანსირებაც მოხდება გამოშვების თარიღიდან 20 სამუშაო დღეში. 100 მილიონი ლარი მოხმარდება კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას, სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად (ამ მოცულობიდან კომპანიას 50 მილიონი ლარის კაპიტალური დანახარჯები უკვე გაწეული აქვს, რისთვისაც 2025 წელს მოიზიდა მოკლევადიანი დროებითი (bridge) სესხები, რომლებიც დარეფინანსირდება გამოშვებული ობლიგაციებით). დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილეთ წინამდებარე „პროსპექტის“ შესაბამისი სექცია – „მოზიდული სახსრების გამოყენება“.

2024 წლის ბოლოს, „ჯგუფის“ ბალანსზე ასახული სასესხო ვალდებულებები შეადგენს 342,247 ათას ლარს. ობლიგაციების გამოშვების მომენტისთვის, „ჯგუფი“ არსებული სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას განახორციელებს ობლიგაციებიდან მიღებული სახსრებითა და შიდა ფულადი სახსრებით (კერძოდ გამოსაშვები ობლიგაციებიდან 300 მილიონი ლარი მოხმარდება სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას, ხოლო დარჩენილი სასესხო ვალდებულებები ჩაიფარება კომპანიის თავისუფალი ფულადი სახსრებით). შესაბამისად, 2024 წლის ბოლოსა და ობლიგაციების გამოშვების მომენტისთვის არსებული ვალის მოცულობებს შორის სხვაობა არსებითი არ იქნება, ხოლო ობლიგაციების გამოშვება „ემიტენტის“ პრო-ფორმა კოეფიციენტებზე მხოლოდ მინიმალურ გავლენას მოახდენს.

თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგიაში გამოყენებული ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:

- **ლიკვიდური აქტივები** - ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა და მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნების ჯამი;
- **საბრუნავი კაპიტალი** - მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები;
- **ჩადებული კაპიტალი** - მთლიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები;

შენიშვნები შერჩეულ კოეფიციენტებზე:

2024 წელს საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო შემოსავლების ზრდით და, ამავდროულად, „ჯგუფის“ მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირებით. მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირება ძირითადად გამოწვეულია სესხების მიმდინარე ნაწილის კლებით. ობლიგაციების გამოშვების შედეგად, , „ჯგუფს“ დარჩება მხოლოდ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები და პრო-ფორმა საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

ობლიგაციების გამოშვება ასევე მნიშვნელოვნად ზრდის გრძელვადიანი სესხისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტს, რაც ასევე გამოწვეულია იმით, რომ ობლიგაციების გამოშვების შემდეგ „ჯგუფს“ დარჩება მხოლოდ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (კერძოდ, მხოლოდ ამ პროსპექტის ფარგლებში გამოშვებული ობლიგაციები).

ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია

ლევერიჯის კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია:

- **გრძელვადიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი** - გრძელვადიანი საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული მთლიან კაპიტალთან;
- **პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი -** EBIT შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან, სადაც საპროცენტო ხარჯები აღებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან;
- **მთლიანი ვალის კოეფიციენტი** - მთლიანი მოკლევადიანი და გრძელვადიანი საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან;

მომგებიანობის კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია:

- **უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე** - წმინდა მოგება შეფარდებული პერიოდის მთლიან საშუალო აქტივებთან;
- **უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე** - წმინდა მოგება შეფარდებული პერიოდის საშუალო კაპიტალთან;
- **უკუგება კოეფიციენტი ინვესტირებულ კაპიტალზე** - EBIT შეფარდებული ჩადებულ კაპიტალთან;
- **საერთო მოგების მარჟა** - საერთო მოგება (საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გამოკლებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება) შეფარდებული საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალთან;
- **საოპერაციო მოგების მარჟა** - EBIT შეფარდებული სულ მიღებულ შემოსავალთან (EBIT მოიცავს საიჯარო ხარჯებს);
- **EBITDA მარჟა** - EBITDA შეფარდებული სულ მიღებულ შემოსავალთან;
- **წმინდა მოგების მარჟა** - წმინდა მოგება შეფარდებული სულ მიღებულ შემოსავალთან;

ლიკვიდობის კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია:

- **ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები** - ლიკვიდური აქტივები შეფარდებული მთლიან აქტივებთან;
- **ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები** - ლიკვიდური აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;
- **საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი** - შემოსავალი შეფარდებული საბრუნავ კაპიტალთან;
- **მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი** - მოკლევადიანი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;
- **სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR)** - EBITDA შეფარდებული სესხებისა და საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯისა და ძირის გადახდების ჯამთან (რეფინანსირების ეფექტის გამოკლებით);
- **საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი** - საოპერაციო ფულადი ნაკადები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;

საოპერაციო კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია:

- **ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი** - შემოსავალი შეფარდებული პერიოდის ძირითადი საშუალებების საშუალო ბალანსთან;
- **მარაგების ბრუნვის დღეები** - პერიოდის საშუალო მარაგები გამრავლებული 365 დღეზე, შეფარდებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაზე;
- **დებიტორული დავალიანების ამოღების დღეები** - პერიოდის საშუალო სავაჭრო მოთხოვნები გამრავლებული 365 დღეზე, შეფარდებული შემოსავალთან;
- **კრედიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები** - პერიოდის საშუალო სავაჭრო მოთხოვნები გამრავლებული 365 დღეზე, შეფარდებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულებასთან;
- **ფულის ამოღების ციკლი** - მარაგების ბრუნვის დღეებს დამატებული დებიტორული დავალიანების ამოღების დღეები და გამოკლებული დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები;

კოვენანტების კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია:

იხილეთ სექცია – *კაპიტალიზაცია და დავალიანება.*

საკრედიტო რეიტინგი

კომპანიას და ობლიგაციებს მინიჭებული აქვთ საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტო. კომპანიის კორპორატიული რეიტინგი არის B+ სტაბილური პერსპექტივით, ხოლო გამოსაშვები ობლიგაციების წინასწარი რეიტინგია BB- სტაბილური პერსპექტივით. რეიტინგის მოპოვება მოხდა 2025 წლის 6 ივნისს.

ქვემოთ მოცემულია საკრედიტო რეიტინგის სააგენტოს მიერ კომპანიის შეფასების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები (დეტალური რეპორტისთვის იხილეთ „გამოყენებული წყაროების“ ქვეთავი, სადაც გამჟღავნებულია რეპორტის მისამართი):

რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორები:

ბიზნეს რისკ პროფილი: BB-

კომპანიის ბიზნეს რისკებს მნიშვნელოვნად ანეიტრალებს შემდეგი ფაქტორები:

i) ინდუსტრიის თანდაყოლილი ხელსაყრელი მახასიათებლები, კერძოდ: დაბალი ციკლურობა, ბაზარზე შესვლის საშუალო ბარიერები, ჩანაცვლების დაბალი რისკი;
ii) GHG ლიდერი კომპანიაა ჯანდაცვის ინდუსტრიაში;
iii) კომპანიას აქვს ზომიერი/კარგი მომგებიანობა;

მეორე მხრივ, ბიზნეს რისკებს ზრდის ლიმიტირებული დივერსიფიცირების დონე, რაც გამოწვეულია გეოგრაფიული და სექტორული კონცენტრაციით.

GHG-ის წამყვანი პოზიცია უკავია საქართველოს ჯანდაცვის ბაზარზე, რომელიც საკმაოდ ფრაგმენტირებულია. ჯგუფს საწოლების რაოდენობით 14%-იანი ბაზრის წილი აქვს, ხოლო მისი გაყიდვების წილი საყოველთაო ჯანდაცვაში 21%ს უტოლდება 2024 წლის მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, ბაზრის ლიმიტირებული ზომა ზღუდავს GHG-ის გაფართოების შესაძლებლობას. თუმცა, მეორე მხრივ, მიმდინარე გაფართოების/მოდერნიზაციის პროგრამის შედეგად სამომავლოდ მოსალოდნელია ჯგუფის საწოლების უტილიზაციის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც აისახება ბაზრის წილის ზრდაშიც.

იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფი მხოლოდ ერთ ქვეყანასა და ერთ ინდუსტრიაზეა ფოკუსირებული, იგი მულტინაციონალურ კონკურენტებთან შედარებით ბევრად ნაკლებად დივერსიფიცირებულია. სამომავლოდ ამის გაუმჯობესება შესაძლებელია სამედიცინო ტურიზმის განვითარებითა და მოსაზღვრე ქვეყნების პაციენტების

მოზიდვით, ისევე როგორც დიაგნოსტიკურ ბიზნესის განვითარებით. ჯგუფის ჰოსპიტლები, კლინიკები და დიაგნოსტიკის ცენტრი ვერტიკალურად ინტეგრირებული მოდელით ხასიათდება და მომხმარებლებს მრავალფეროვან სამედიცინო სერვისებს სთავაზობს. სწორედ მრავალფეროვანი სერვისების გამო მას ადგილობრივ კონკურენტებთან შედარებით დივერსიფიცირების უპირატესობა აქვს.

მიმდინარე მდგომარეობით GHG საგრძნობლად არის დამოკიდებული სახელმწიფოზე, კერძოდ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან მიღებული ამონაგები ჯგუფის ჯამური შემოსავლების 54%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი მხრივ, ეს განაპირობებს ძლიერ მოკლევადიან საკრედიტო მხარდაჭერას მთავრობის მხრიდან გადახდების სტაბილური ისტორიიდან გამომდინარე, ის ასევე კომპანიას აყენებს პოლიტიკური რისკის წინაშე, კერძოდ, პოტენციური ადგილობრივი ეკონომიკური და მარეგულირებელი ცვლილებები დიდ გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე. ამის საპასუხოდ მენეჯმენტი ცდილობს გაზარდოს კერძო გადამხდელებისგან მიღებული შემოსავლების წილი ჯამურ შემოსავლებში, რაც დააჩქარებს ფულადი ნაკადების შემოდინებას და შეამცირებს დამოკიდებულებას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე, სადაც სახელმწიფოს დიდი ლევერიჯი აქვს ფასისა და გადახდის პირობების ნაწილში.

GHG-ის მომგებიანობა კვლავ იზრდება, კერძოდ, 2024 წელს Scope-adjusted EBITDA მარჟამ თითქმის 20%-ს მიაღწია (2023 წელს - 17%). გაუმჯობესება შემდეგი ფაქტორებით არის განპირობებული:

- რეგულატორული ცვლილებების შემდეგ საავადმყოფოების სრული ფუნქციონირების აღდგენით;
- ამბულატორიულ მომსახურებაზე გაზრდილი ფოკუსირებით (ამბულატორიული მომსახურება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით დაფინანსებულ სერვისებთან შედარებით საგრძნობლად მაღალი მარჟიანობით ხასიათდება);
- ხარჯების დისციპლინირებული მართვით, განსაკუთრებით ფიქსირებული პერსონალის ხარჯების კუთხით.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი კვლავ მარეგულირებელი ზედამხედველობის ქვეშ რჩება, განსაკუთრებით UHC პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებადი მომსახურების შემთხვევაში, სადაც ფასებს სახელმწიფო ადგენს. მეორე მხრივ, ისეთი პროვაიდერები, როგორიცაა GHG, კვლავ სარგებლობენ შედარებით მოქნილი ოპერაციული გარემოთი. UHC ჩარჩოს გარეთ GHG-ს უფრო მეტი თავისუფლება აქვს დაადგინოს ტარიფები კერძო დაფინანსებით და კერძო პირების მიერ გადახდილი მომსახურებისთვის, რაც აძლიერებს მის შესაძლებლობას, გააუმჯობესოს მოგება.

მომგებიანობის შემდგომ ზრდას ხელს უწყობს კომპანიის შიდა ციფრული ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც ამარტივებს სამედიცინო მომსახურებაზე წვდომას, ამცირებს ლოდინის დროს და ოპტიმიზაციას უკეთებს შიდა სამუშაო პროცესებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინვესტიციებმა მოკლევადიან პერსპექტივაში გაზარდა კაპიტალური ხარჯები, მოსალოდნელია, რომ ისინი გააუმჯობესებენ ოპერაციულ ეფექტურობას და პაციენტების გამტარუნარიანობას.

ფინანსური რისკ პროფილი: B

GHG-ის ფინანსური რისკის პროფილი მის ბიზნეს რისკის პროფილთან შედარებით სუსტია. ჯგუფის საკრედიტო მაჩვენებლები შესაძლოა მომდევნო რამდენიმე წელიწადში გაუმჯობესდეს, თუმცა მიმდინარე ფინანსური რისკის პროფილი ასახავს კვლავ მაღალ ლევერიჯს, შეზღუდულ თავისუფალ საოპერაციო ფულად ნაკადებს (FOCF), ასევე საქართველოს ეკონომიკური გაურკვევლობის (რეიტინგი BB/უარყოფითი) მიმართ მაღალ სენსიტიურობას, რამაც შეიძლება შეაფერხოს EBITDA-ს მოსალოდნელი ზრდა და დელევერიჯინგის ტრაექტორია.

GHG-ის დავალიანების დონე განპირობებულია კაპიტალური დანახარჯების მნიშვნელოვანი საჭიროებებით. მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების საჭიროებების ნაწილი კმაყოფილდება კომპანიის შიდა სახსრებით, კომპანია ასევე ეყრდნობა დაფინანსების გარე წყაროებს, მათ შორის საბანკო სესხებს. დაგეგმილი ობლიგაციიდან (350 მილიონი ლარი) მოზიდული თანხები გამოყენებული იქნება არსებული სასესხო ვალდებულებების ნაწილის რეფინანსირებისთვის და კაპიტალური დანახარჯებისთვის.

სარეიტინგო 2025-2026 წლებში 4.0x-დან 5.0x-მდე შუალედში მყოფ Debt/EBITDA-ს აპროგნოზებს (2024 წელს: 5.2x), ხოლო 2027 წელს კოეფიციენტის 4.0x-ზე ქვემოთ კლებაა მოსალოდნელი. მოსალოდნელია, რომ ლევერიჯი შემცირდება EBITDA-ს ზრდის ხარჯზე, რასაც გამოიწვევს ერთი მხრივ საავადმყოფოების დატვირთულობის ზრდა, ხოლო მეორე

მხრივ მაღალმარჟიან ამბულატორიულ მომსახურებებზე ფოკუსირება. სარეიტინგო ვარაუდობს, რომ ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრების (FFO) ვალთან თანაფარდობა მსგავს ტენდენციას მიჰყვება და 2025 წლიდან 10%-ზე მეტს მიაღწევს (2024: 9%). დადებით ფაქტორს წარმოადგენს ისიც, რომ კომპანია საშუალო ვადაში 2.5x-ის ტოლ ლევერიჯს ისახავს მიზნად და ობლიგაციების კოვენანტი ლევერიჯის ნაბიჯ-ნაბიჯ შემცირებას ავალდებულებს კომპანიას. თუმცა, თუ EBITDA პროგნოზის შესაბამის ზრდას არ აჩვენებს, ლევერიჯის კოეფიციენტები მკვეთრად გადაიხრება პროგნოზიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ხასიათდება, ჯგუფის პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი სტაბილურ დონეზე ნარჩუნდება. იგი 2024 წელს 1.9x-ს უტოლდება და მოსალოდნელია, რომ 2025-26 წლებში დაახლოებით 2.0x-ზე შენარჩუნდება. ამას ხელს შეუწყობს EBITDA-ს ზრდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელს შეუშლის სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია გეგმავს 350 მილიონი ლარის ოდენობის ობლიგაციების გამოშვებას TIBR + 300-350 საბაზისო პუნქტის საპროცენტო განაკვეთში, სარეიტინგოს მიერ პროგნოზირებული საპროცენტო განაკვეთი (cost of debt) უფრო კონსერვატიულ ვარაუდებს ეყრდნობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობის გამო. სააგენტოს საბაზისო სცენარი არ ითვალისწინებს მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის სერიოზულ გავლენას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სანქციები საქართველოზე და მნიშვნელოვნად შეზღუდოს საერთაშორისო კაპიტალის შემოდინება. Scope-ი ყურადღებით დააკვირდება მოვლენებს და ასეთი მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნის შემთხვევაში შეცვლის თავის საბაზისო სცენარს.

2025 წლის მაისის მდგომარეობით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.0%-ზე შეინარჩუნა, რაც უცვლელია 2024 წლის მაისიდან. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაცია 3%-იან სამიზნე მაჩვენებელზე დაბალი რჩება, პოლიტიკურმა გაურკვევლობის გამო ცენტრალურმა ბანკმა ფრთხილი პოზიციის დაკავება არჩია. ბანკმა მიანიშნა, რომ თუ რისკები შემცირდება, ის განაკვეთის ეტაპობრივ ნორმალიზაციას გეგმავს და მიზნად ისახავს მის მიყვანას ნეიტრალურ დონემდე — დაახლოებით 7%-ზე.

GHG-ის საერთო ფინანსური რისკის პროფილი გარკვეულწილად შეზღუდულია იმის გამო, რომ FOCF მუდმივად დაბალია (FOCF/ვალი მუდმივად 5%-ზე ნაკლებია). ეს განპირობებულია ერთი მხრივ იმით, რომ კომპანია გაფართოების ფაზაშია და დიდი ოდენობის კაპიტალურ დანახარჯებს წევს, ხოლო მეორე მხრივ საბრუნავი კაპიტალის მუდმივი მერყეობით.

ლიკვიდობა: ადეკვატური

მიუხედავად იმისა, რომ ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი 110%-ზე ნაკლებია, რაც ძირითადად განპირობებულია მუდმივად სუსტი ან უარყოფითი თავისუფალი საოპერაციო ფულადი ნაკადებით (FOCF) და იმით, რომ კომპანიას არ აქვს გარანტირებული საკრედიტო ხაზები, რეფინანსირებასთან დაკავშირებულიი სირთულეები მოსალოდნელი არ არის შემდეგი ფაქტორების გამო:

i) ობლიგაციების ბულეტ სტრუქტურიდან გამომდინარე ჯგუფს მომდევნო 4 წლის განმავლობაში არ მოუწევს ძირის გადახდა;

ii) საპროგნოზო ფულადი სახსრების ბუფერები მინ. 5 მლნ ლარის ოდენობით;

გარდა ამისა, კომპანიას გრძელვადიანი ურთიერთობები აქვს ჩამოყალიბებული როგორც ადგილობრივ ბანკებთან, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ შორის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და აზიის განვითარების ბანკთან.

კომპანიის მიმდინარე სესხები მოიცავს კოვენანტებს. მათ შორის ყველაზე მატერიალური/მნიშვნელოვანი კოვენანტები დაკავშირებულია:

i) ლევერიჯის მაჩვენებელთან;

ii) საპროცენტო ხარჯების დაფარვის კოეფიციენტთან;

iii) ლიკვიდობასა და მოკლევადიან ვალდებულებებთან;

iv) დამატებითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში წინასწარ შეტყობინებისა და თანხმობის მოპოვების ვალდებულებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში გაწერილი კოვენანტების შესრულება ვერ მოხდა, ჯგუფმა წარმატებით მოიპოვა გათავისუფლების წერილები (waivers) ბანკებისგან. იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფს ადგილობრივ ბაზარზე მყარი პოზიცია უკავია და დამფინანსებელ პარტნიორებთან მრავალწლიანი ურთიერთობები აქვს ჩამოყალიბებული, მოსალოდნელია, რომ GHG-ს ბანკებისგან სამომავლოდაც ექნება მხარდაჭერა.

დამატებითი რეიტინგის განმაპირობებელი ფაქტორები: ნეიტრალური გავლენა

დამატებითი ფაქტორებს რეიტინგზე გავლენა არ ჰქონიათ. სარეიტინგო აღნიშნავს ჯგუფის ლიმიტირებულად გაცემულ დივიდენდებს, ფინანსურ და საკრედიტო კოვენანტებთან შესაბამისობას და ლევერიჯის გაწერილ კოვენანტებს, უარყოფითი გავლენა აქვს დაფინანსების არადივერსიფიცირებულ სტრუქტურას და რეფინანსირების რისკს.

სამომავლო პერსპექტივა და რეიტინგზე მოქმედი ფაქტორები:

სტაბილური პერსპექტივა ასახავს Scope-ის მოლოდინს, რომ საკრედიტო მაჩვენებლები შენარჩუნდება ამჟამინდელ დონეზე — ვალისა და EBITDA-ს თანაფარდობა დარჩება 4.0x-დან 5.0x-მდე დიაპაზონში, ხოლო საპროცენტო ხარჯების დაფარვის კოეფიციენტი დაახლოებით 2x-ის ფარგლებში. პერსპექტივა ასევე ეფუძნება ოპერაციული მაჩვენებლების პროგრესული გაუმჯობესების მოლოდინს, რაც გამოიხატება EBITDA მარჟის 20%-ზე მაღლა შენარჩუნებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საკრედიტო მაჩვენებლების გაძლიერებას. პერსპექტივა ასევე ეფუძნება სარეიტინგოს მოლოდინს, რომ კომპანია ყველა ფინანსურ კოვენანტს შეასრულებს.

რეიტინგის ცვლილების განმსაზღვრელი დადებითი ფაქტორები:

- სასესხო ვალდებულებებისა და EBITDA-ს ფარდობის სტაბილურად 4x-ზე დაბალ დონეზე შენარჩუნება;
- საპროცენტო ხარჯების დაფარვის კოეფიციენტის სტაბილურად 2x-ზე მაღლა შენარჩუნება;
- რეფინანსირების რისკის შემცირება;

რეიტინგის ცვლილების განმსაზღვრელი უარყოფითი ფაქტორები:

- სასესხო ვალდებულებებისა და EBITDA-ს ფარდობის სტაბილურად 5.5x-ზე მაღალ დონეზე შენარჩუნება;

ობლიგაციების რეიტინგი

2025 წლის აგვისტო-სექტემბერში ჯგუფი გეგმავს 350 მილიონ ლარამდე არასუბორდინირებული, უზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვებას. ობლიგაციებს მიენიჭათ (P) BB- რეიტინგი. ობლიგაციები უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის უძრავი ქონებით და შერჩეული მაღალი ღირებულების მქონე სამედიცინო ტექნიკით, რომელთა ჯამური ღირებულებაც დაახლოებით 491 მილიონ ლარს შეადგენს.

სარეიტინგოს ანალიზი ეფუძნება ჰიპოთეტურ დეფოლტის სცენარს 2027 წელს იმ დაშვების საფუძველზე, რომ ამ დროისთვის ჯგუფს არ ექნება არასუბორდინირებული უზრუნველყოფილი სასესხო ვალდებულებები. ანალიზმა აჩვენა, რომ დეფოლტის შემთხვევაში არსებობს კრედიტორების სრულად დაკმაყოფილების ძალიან მაღალი ალბათობა იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული მოთხოვნების დაქვითვის შემდეგ უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს 416 მილიონ ლარს.. მიუხედავად ამისა, სარეიტინგომ ფასიანი ქაღალდების რეიტინგი კომპანიის რეიტინგთან შედარებით მხოლოდ 1 საფეხურით გაუმჯობესა, რაც გამოწვეულია განვითარებადი ბაზრის რისკით.

მოზიდული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს არაუმეტეს 350 მილიონი ლარის ნომინალური ღირებულების ოდენობის ობლიგაციების გამოშვებას, საიდანაც მოზიდული თანხის არანაკლებ 98.5% იქნება წმინდა შემოსავალი. ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები გამოყენებული იქნება არსებული სასესხო ვალდებულებების ნაწილის

რეფინანსირებისთვის და კომპანიის კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, კომპანიის სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად. ჯამური მოზიდული სახსრებიდან 250 მილიონი ლარი მოხმარდება არსებული გრძელვადიანი სესხების რეფინანსირებას, რომელთა რეფინანსირებაც მოხდება გამოშვების თარიღიდან 20 სამუშაო დღეში. 100 მილიონი ლარი მოხმარდება კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას, სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად (ამ მოცულობიდან კომპანიას 50 მილიონი ლარის კაპიტალური დანახარჯები უკვე გაწეული აქვს, რისთვისაც 2025 წელს მოიზიდა მოკლევადიანი დროებითი (bridge) სესხები, რომლებიც დარეფინანსირდება გამოშვებული ობლიგაციებით).

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ ქვესექცია: *„შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“*.

ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები:

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი: ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს „იუაი" („EY"). ს/ნ: 204441158. მისამართი: 44, კოტე აფხაზის ქ., თბილისი, საქართველო. ელ-ფოსტა: info@ge.ey.com

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების განმავლობაში კომპანიის ფინანსური აუდიტორი არ შეცვლილა.

ემიტენტის დეპოზიტარი: სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი (ს/ნ: 204935400), ტელ.: (+995 32) 2 50 02 11, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71. ბლოკი 10.

ობლიგაციების მფლობელის წარმომადგენელი: შპს „სუქნიძე და პარტნიორები" (ს/კ 405413299), ელ-ფოსტა: office@alfg.ge, ტელ: 551 14 30 66, მის: ი. აბაშიძის ქ. 34.

სარეიტინგო კომპანია: Scope Ratings

მეორე მხარის დასკვნის პროვაიდერი: Scope ESG Analysis GmbH

შეთავაზებაში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირები:

განთავრების აგენტი 1, კალკულაციის აგენტი: სს გალტ ენდ თაგარტი (ს/ნ 211359206); მისამართი: საქართველო, თბილისი 0105, პუშკინის ქ. 3; ელ.ფოსტა: st@gt.ge; sales@gt.ge;; ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/en; ტელ.: (+995 32) 2 40 11 11

განთავსების აგენტი 2: შპს „თიბისი კაპიტალი" (ს/ნ: 204929961); ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge; ვებ-გვერდი: tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 97.

კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა განთავსების აგენტებთან, კალკულაციის აგენტთან - სს გალტ ენდ თაგარტთან და შპს თიბისი კაპიტალთან. ხელშეკრულება ავალდებულებს სს გალტ ენდ თაგარტს და შპს თიბისი კაპიტალს უზრუნველყონ ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე (Best Effort-ის პირობებში). განთავსების აგენტების მოვალეობაა მოამზადონ ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულონ განთავსების აგენტების ფუნქცია და კომპანიას გაუწიონ ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები. გალტ ენდ თაგარტის, როგორც კალკულაციისა აგენტის მოვალეობაა კუპონისა და ძირითადი თანხის კალკულაცია.

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

• კავშირი, ერთი მხრივ, ემიტენტს და, მეორე მხრივ, განთავსების აგენტებს შორის

ემიტენტი და განთავსების აგენტი 1, რომელიც ასევე მოქმედებს როგორც კალკულაციის აგენტის სახით (გალტ & თაგარტი) დაკავშირებულები არიან არაპირდაპირ. ემიტენტი წარმოადგენს „Georgia Capital PLC"-ის 100%-იან შვილობილ კომპანიას („უკანასკნელი მშობელი"), რომელიც ასევე არაპირდაპირ ფლობს 19.7%-იან წილს (ხმის მიცემის უფლების გარეშე) „Lion Finance Group PLC"-ში (იგივე „საქართველოს ბანკის ჯგუფი", იგივე „BGEO Group"), რომელიც თავის მხრივ, ფლობს სს „გალტ ენდ თაგარტის" 100%-ს. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არ არის არსებითი, იმის გათვალისწინებით, რომ მას გააჩნია წილი „გალტ ენდ თაგარტში" ხმის მიცემის უფლების გარეშე. ასევე, აღნიშნული კომპანიების მმართველ ორგანოთა წევრები ერთმანეთისგან სრულად

განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციულ საფუძველზე.

ემიტენტი და განთავსების აგენტი 2 (შპს თიბისი კაპიტალი) არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

ემიტენტის აუდიტორები და ნებისმიერი მესამე მხარე და/ან ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობენ პროსპექტის მომზადებაში, არ არიან დაკავშირებული არც განთავსების აგენტ 1-თან და არც განთავსების აგენტ 2-თან და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

- **კავშირი განთავსების აგენტებს და პოტენციურ ინვესტორებს შორის**

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია „განთავსების აგენტ 1-თან“, კერძოდ, „განთავსების აგენტი 1-ისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „Lion Finance Group PLC”. ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტ 1-ს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტ 1-სა“ და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტ 1-სა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტი 1“-ს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „საქართველოს ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი 1“.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია „განთავსების აგენტ 2-თან“ („განთავსების აგენტი 2“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, „განთავსების აგენტ 2-სა“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტ 2-სა“ და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტ 2-სა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტ 2-სა“ და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტ 2“-ს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;
(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი 2“.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისთვის და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისთვის დამახასიათებელი მატერიალური რისკის ფაქტორების შესახებ:

<u>ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები:</u>

1.1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა:

1.1.1. პოლიტიკურმა და სახელმწიფო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკასა და ჯგუფის ბიზნესზე;

1.1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა;

1.1.3. ჯგუფის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან და სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;

1.1.4. ვინაიდან ჯგუფი მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;

1.2. მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონთან დაკავშირებული რისკები:

1.2.1. რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და ჯგუფის ბიზნესზე;

1.2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების მკვეთრ დასუსტებას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;

1.3. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები:

1.3.1. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;

1.3.2. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;

1.3.3. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის სახელმწიფოს მიერ მომავალში ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა ქმედებამ, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ჯგუფის საქმიანობას;

1.3.4. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;

1.4. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები :

1.4.1. თუ ჯგუფი ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე;

1.4.2. კომპანია ობლიგაციების გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შემდეგ გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე დამატებითი საკანონმდებლო და ანგარიშგების მოთხოვნები გავრცელდება.

<u>ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები</u>

2.1. ინდუსტრიასთან და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

2.1.1 „ჯგუფი“ ოპერირებს სწრაფად ცვალებად რეგულატორულ გარემოში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ბიზნეს მოდელსა და ფინანსურ სტაბილურობაზე

2.1.2 ხელახალი აკრედიტაციის მოთხოვნების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ოპერაციული შეფერხებები და სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებში მონაწილეობის შეჩერება

2.1.3 „ჯგუფის“ ფინანსური ეფექტურობა დამოკიდებულია სახელმწიფო ჯანდაცვის დაფინანსებაზე და კერძო სადაზღვევო კომპანიების შეზღუდულ რაოდენობაზე. სახელმწიფო დაფინანსების ნებისმიერმა შემცირებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს შემოსავლებსა და მომგებიანობაზე

2.1.4 ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესების დაცვა კომპლექსურია და შეიძლება გამოიწვიოს გაზრდილი ხარჯები და საოპერაციო რისკები

2.1.5 „ჯგუფი“ კონკურენციას უწევს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ჯანდაცვის პროვაიდერებს მთელი საქართველოს მასშტაბით და გაზრდილმა კონკურენციამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის საბაზრო პოზიციაზე

2.1.6 „ჯგუფი“ შეიძლება დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას სამედიცინო დაუდევრობის ან სხვა სახის სარჩელების გამო, რომლებიც წარმოიქმნება სამედიცინო დაუდევრობით ან სხვა პროფესიული გადაცდომებით

2.1.7 რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე გადამწყვეტია „ჯგუფის“ წარმატებისთვის და ნებისმიერმა ზიანმა შეიძლება მოახდინოს გავლენა ბიზნესზე

2.1.8 არსებობს რისკი იმისა, რომ პაციენტები „ჯგუფის“ ჯანდაცვის დაწესებულებებში დაავადდნენ სერიოზული ინფექციებით ან გადამდები დაავადებით, აღნიშნული, სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციორების თანდაყოლილი რისკია

2.1.9 არსებობს რისკი იმისა, რომ „ჯგუფის“ საინფორმაციო სისტემების გაუმართაობამ შეიძლება შეაფერხოს „ჯგუფის“ ოპერაციები

2.1.10 „ჯგუფის“ საქმიანობა დამოკიდებულია მისი პოლიკლინიკების საიჯარო ხელშეკრულებების დროულ განახლებასა და ხელსაყრელ პირობებზე. ამ იჯარის განახლების ნებისმიერმა წარუმატებლობამ ან პირობების ცვლილებამ შეიძლება შეაფერხოს მისი ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურება და გავლენა იქონიოს მის საოპერაციო სტაბილურობაზე

2.1.11 კვალიფიციური მუშახელის დეფიციტმა, შრომითმა დავებმა და გაფიცვებმა შეიძლება შეაფერხოს კომპანიისა და ჯგუფის განვითარება და საოპერაციო ეფექტურობა ჯანდაცვის სექტორში

2.1.12 „ჯგუფის“ ექთნებისა და ექიმების თანაფარდობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საოპერაციო ეფექტურობაზე და მომგებიანობაზე ჯანდაცვის სექტორში

2.1.13 „ჯგუფის“ მფლობელობაში არსებული აქტივების არასრულყოფილმა დაზღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „ჯგუფის“ გადახდისუნარიანობაზე

2.2 ინვესტიციებთან, დაფინანსებასთან და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკები

2.2.1. „ჯგუფის“ ოპერაციები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჯანდაცვის სექტორის ტექნოლოგიურ წინსვლაზე და ამ ცვლილებებთან შეუსაბამობა, ან, მეორე მხრივ, ფულადი სახსრების გადინებამ საჭირო აღჭურვილობასა და სერვისებში ინვესტირებისთვის, შეიძლება არსებითად იმოქმედოს „ჯგუფის“ ზრდის პერსპექტივებსა და ლიკვიდურობაზე

2.2.2. სავალუტო კურსების რყევებმა გავლენა მოახდინა და შეიძლება გააგრძელოს გავლენის მოხდენა „ჯგუფის“ ფინანსურ საქმიანობაზე

2.2.3. „ჯგუფის“ ბიზნეს მოდელი ეყრდნობა გადავადებულ ანაზღაურებას და შესაბამისად, დებიტორული ანგარიშების არაეფექტურმა მართვამ შესაძლოა გამოიწვიოს ლიკვიდურობის შეზღუდვა და უარყოფითად იმოქმედოს წმინდა შემოსავალზე

2.2.4. „კომპანიამ“ შესაძლოა დაარღვიოს სასესხო ვალდებულებებით განსაზღვრული ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ლიკვიდურობაზე, იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციები სრულად არ განთავსდება და საბანკო სესხები ბოლომდე არ დაიფარება

2.2.5. „ჯგუფის“ საოპერაციო შედეგები შესაძლოა საკმარისი არ იყოს საპროცენტო ხარჯების დასაფარად

2.2.6. „ჯგუფის“ აქტივები დატვირთულია უზრუნველყოფით დაკავშირებული მხარის სავალო ვალდებულებების სასარგებლოდ და სააღსრულებო მოქმედებებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის ფინანსურ მდგომარეობაზე

2.2.7. „კომპანიას“ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან ერთად აქვს გაფორმებული თანასესხების ხელშეკრულება საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებასთან. დაკავშირებული მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე

2.2.8. სასესხო ვალდებულებების საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი

2.3 ფინანსური ანგარიშგების და აღრიცხვის რისკები

2.3.1 თუ „კომპანია“ ვერ ჩამოაყალიბებს შიდა კონტროლის ეფექტურ სისტემას, ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე შეიძლება დაირღვეს

2.3.2 „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოსავლების შემცირება ფასდაკლებისა და კორექტირებების გამო, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს „ჯგუფის“ მომგებიანობასა და ფულადი ნაკადების პროგნოზირებადობაზე

2.4 გაუთვალისწინებელ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები

2.4.1 გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო სიტუაციები, პანდემიები და სხვა, შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „ჯგუფზე“

<u>შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები</u>

3.1. ობლიგაციების საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები:

3.1.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს;

3.1.2. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი, რაზეც შესაძლოა დამატებით გავლენას ახდენდეს ის ფაქტი, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია;

3.1.3. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად შესაძლოა მიიღონ იმაზე ნაკლები საპროცენტო სარგებელი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან;

3.2. ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები:

3.2.1. „ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს

3.2.2. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი;

3.2.3. ობლიგაციების საპროცენტო შემოსავალი შესაძლოა შემცირდეს ან გაიზარდოს მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო;

3.2.4. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის ინვესტორებზე დაწესებულ შეზღუდვებს;

3.2.5. საკრედიტო ხელშეკრულებითა და „ობლიგაციების“ პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს;

3.2.6. „ობლიგაციების“ არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები;

3.2.7. მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე;

3.2.8. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის;

3.2.9. სოლიდარულ თავდებობასთან, იპოთეკასთან და გირავნობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და „ობლიგაციების“ გადაცემასთან დაკავშირებული რისკები;

3.2.10. ობლიგაციების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მესამე მხარის სასარგებლოდ არსებულმა ან საგადასახადო იპოთეკა/გირავნობამ;

3.2.11. თუ არ განხორციელდა იპოთეკისა და გირავნობის უფლების სათანადო წესით რეგისტრაცია, ობლიგაციონერი იქნება არაუზრუნველყოფილი კრედიტორი;

3.3. ობლიგაციების და მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:

3.3.1. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე;

3.3.2. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის, კალკულაციის აგენტის, ობლიგაციონერების წარმომადგენლისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს;

3.3.3. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას;

3.3.4. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3.3.5. არსებობს პოტენციური კონფლიქტის რისკი „კომპანიასა“ და განთავსების აგენტ 1-ს შორის, ისევე როგორც განთავსების აგენტ 1-სა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის;

3.3.6. არსებობს პოტენციური კონფლიქტის რისკი „კომპანიასა“ და განთავსების აგენტ 2-ს შორის, ისევე როგორც განთავსების აგენტ 2-სა და სს „თიბისი ბანკს“ შორის;

რისკის ფაქტორები

ობლიგაციებში ინვესტიცია გარკვეულ რისკებს გულისხმობს. ინვესტიციაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ობლიგაციების პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ ეს პროსპექტი. პროსპექტში მოწოდებული სხვა ინფორმაციის გარდა, პოტენციურმა ინვესტორებმა, ობლიგაციებში ინვესტირებამდე, საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილ ნებისმიერ რისკს შეიძლება ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე, ასევე - ობლიგაციების საბაზრო ღირებულებაზე. აღნიშნულმა რისკებმა, ერთობლივად თუ ცალ-ცალკე, შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შესაძლებლობაზე, დაფაროს ობლიგაციების ძირითადი თანხა, ასევე ობლიგაციებთან დაკავშირებით დარიცხული პროცენტი და სხვა თანხები. გარდა ამისა, ქვემოთ აღწერილია რისკის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შესაფასებლად, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციების საბაზრო ღირებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შეიძლება წარმოიშვას დამატებითი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც კომპანიამ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად ან არ იცის მათი არსებობის შესახებ. ნებისმიერმა ასეთმა რისკმა, გაურკვევლობამ ან შემთხვევამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე და ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი შედეგი ჰქონდეს. შესაბამისად, ობლიგაციების ფლობის ქვემოთ აღწერილი რისკები ამომწურავია.

1. ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

1.1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა:

1.1.1. პოლიტიკურმა და სახელმწიფო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკასა და ჯგუფის ბიზნესზე

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

ამჟამად საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის, რუსეთთან კვლავ დაძაბული ურთიერთობისა და შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარების საჭიროების ჩათვლით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ გაგრძელდება პოლიტიკური ან/და ეკონომიკური, ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი, რეფორმების გატარება ან რომ ეს მცდელობები წარმატებული იქნება; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს სამთავრობო ცვლილებით ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

ამასთანავე, 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 150-წევრიან პარლამენტში მიიღო 89 მანდატი, 61 მანდატი მოიპოვა ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ - „კოალიცია ცვლილებებისთვის: გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ (19 მანდატი), „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ (16 მანდატი), „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ (14 მანდატი) და „გახარია საქართველოსთვის“ (12 მანდატი). ოპოზიციურმა სპექტრმა უარი თქვა არჩევნების შედეგების აღიარებასა და პარლამენტში შესვლაზე და საპროტესტო რეჟიმში გადავიდა. ამასთან, აღნიშნული ოპოზიციური პარტიებიდან პირველმა სამმა სადეპუტატო მანდატების გაუქმების მოთხოვნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართეს. ამ უკანასკნელმა მოთხოვნის შესაბამისად რეგისტრაცია გაუუქმა სამივე პოლიტიკურ გაერთიანებას.

ამის შემდეგ, პროტესტის ახალი ტალღა მთავრობის მიერ ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყების 2028 წლამდე გადადებამ განაპირობა, რადგან საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 85% მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას. ხანგრძლივი პროტესტის მიმდინარეობისას, აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვახტანგ გომელაურს და სხვა მაღალჩინოსნებს. მოგვიანებით აშშ-ს სახაზინოს

დეპარტამენტმა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელსა და საპატიო თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს დაუწესა ფინანსური სანქციები. პოლიტიკური გაურკვევლობა კვლავ მაღალია და ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და სანქციების დაწესებამ განსაკუთრებით ბიზნესის წარმომადგენლებზე, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატზე და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რასაც ამასთანავე უარყოფითი გავლენა ექნება კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერირების შედეგებსა და განვითარების პერსპექტივაზე.

1.1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა;

განვითარებად ბაზრებს ახასიათებთ უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის, რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის შემთხვევაში, ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და, საბოლოოდ, ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Negative Outlook) - დეკემბერი, 2024;
- Moody’s – Ba2 (Negative Outlook) - მარტი, 2025;
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook) - თებერვალი, 2025.

1.1.3. ჯგუფის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან და სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით

კომპანიას, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, აქვს სავალუტო რისკი, რამდენადაც მისი შემოსავლები დენომინირებულია ლარში, განსხვავებით ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ნაწილობრივ დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში (კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სავალუტო პოზიციის შესახებ იხ. თავი „საოპერაციო შედეგები“, ქვეთავი „რისკების მართვა“). გარდა აღნიშნულისა, კომპანიის საქმიანობაზე ლარის გაუფასურებას შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდეს, ფუნდამენტური ეკონომიკური. ფაქტორების გაუარესებისა (მაგ.: მზარდი ინფლაცია) და ადგილობრივი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე ზეგავლენის თუ სხვა მიზეზების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია. ზოგადად, საქართველოში ოფიციალურად ლარის კურსი ფორმირდება აშშ დოლარის მიმართ, ხოლო ლარი/ევროს კურსზე გავლენას ახდენს როგორც ლარის დოლარის, ასევე ევრო დოლარის კურსის ცვლილებები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა საერთაშორისო რეზერვმა 4.4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც 11.2%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურ დონეზე დაბალია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით. შესაბამისად, მისი შევსება საქართველოს ეროვნული ბანკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან რეზერვების დონეს აკვირდებიან ინვესტორები, საკრედიტო ორგანიზაციები და ა.შ. და აფასებენ თუ რამდენად შესწევს უნარი ქვეყანას შეამსუბუქოს საგარეო შოკებიდან მომდინარე უარყოფითი გავლენები, მათ შორის ლარის გაცვლით კურსზე ერთჯერადი შეტევები.

წლების მანძილზე ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. ამასთან, საგარეო კრიზისების პერიოდში ასევე ადგილი ჰქონდა ევროს დასუსტებას აშშ დოლარის მიმართ. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი - ამ პერიოდში ლარი უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე ევრო გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ლარის კურსის ევროსთან გაუფასურება, თუმცა უფრო ნაკლები ზომით; 2020 წელს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები - გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 აშშ დოლარზე 3.48 ლარს, მიაღწია, ევროს კურსი აშშ დოლარის მიმართ წლის პირველ ნახევარში გაუფასურდა, შემდეგ გამყარდა და მნიშვნელოვნად გააუფასურა ლარის კურსი ევროს მიმართ; 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში - რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. თუმცა, ამავდროულად, ევროც მნიშვნელოვნად გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ და ადგილი არ ჰქონია ლარის დიდ გაუფასურებას ევროს მიმართ. 2022 წლის მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარების ტენდენცია შეიძინა და მისი ღირებულება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლიურად 12.8%-ით გაიზარდა აშშ დოლართან მიმართებით. აღნიშნულ პერიოდში ევროს კურსი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებული დარჩა, რომელიც საბოლოოდ ლარი/ევროს კურსზე პოზიტიურად აისახა. 2023 წლის განმავლობაში ლარის კურსი ევროს მიმართ მცირედით გაუფასურდა, რაც ძირითადად იხსნება ევროს გამყარებით აშშ დოლარის მიმართ. ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ სტაბილურობას ინარჩუნებდა 2023 წლის განმავლობაში, რაზეც დადებითი გავლენა ჰქონდა კაპიტალის მაღალ შემოდინებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, რაც გამოიხატა 2022 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის 11.0%-მდე გაზრდით. ამასთან, მკვეთრად გაზრდილი სავალუტო შემოდინებების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა რეზერვები შეავსო - 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვამ 564.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების შევსება მაღალი საგარეო შემოდინებების პირობებში გაგრძელდა 2023 წელსაც - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 1,474 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, ხოლო გაყიდა 194.9 მლნ აშშ დოლარი, რის შედეგადაც ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები წლიურად 2.2%-ით 5.0 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2023 წელს. რაც შეეხება 2024 წელს, მიუხედავად სტაბილური სავალუტო შემოდინებებისა, პოლიტიკური გაურკვევლობების ფონზე ლარის გაცვლით კურსზე გაუფასურების მიმართულებით მსხვილი ერთჯერადი შეტევები განხორციელდა მაისი-ივნისის და სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში. განსაკუთრებით, წინასაარჩევნოდ შექმნილი გაურკვევლობებიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს მოუხდა 591.1 მლნ აშშ დოლარი გაყიდვა ლარზე გაუფასურების წნეხის მოსახსნელად 2024 წლის ოქტომბერში. ჯამურად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2024 წლის ნოემბერში სავალუტო ბაზარზე გაყიდა 917.4 მლნ აშშ დოლარი, ხოლო შეისყიდა 454.0 მლნ აშშ დოლარი.

ის ფაქტი, რომ ლარი ევროს კურსზე მხოლოდ ლარი დოლარის გაცვლითი კურსი არ მოქმედებს, ამ უკანასკნელის ცვლილებები ძალზედ მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6%, 2022 წელს 11.9% და 2023 წელს 2.5% იყო. საკვებ პროდუქტებსა და ენერგომატარებლებზე გლობალურად გაზრდილი ფასების ფონზე, 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მარტი-დეკემბრის პერიოდში ოთხჯერ გაზარდა, ჯამურად 250 საბაზისო პუნქტით 10.5%-მდე. 2022 წლის დასაწყისიდან, წინა წლის ბაზის გავლენისა და საკვებისა და ენერგომატარებლების რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული კიდევ უფრო გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. 2022 წლის გაზაფხულიდან აღნიშნულ ფაქტორებს დაემატა ქირის ზრდაც,

რაც მნიშვნელოვანწილად მიგრანტების მხრიდან უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ხანგრძლივად მაღალი ინფლაციის საპასუხოდ 2022 წლის მარტში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 50 საბაზისო პუნქტით, 11.0%-მდე გაზარდა და აღნიშნულ ნიშნულზე 2023 წლის მაისამდე შეინარჩნა. იყო პერიოდები, როცა ინფლაციის მაღალ დონეს მეტწილად საგარეო ფაქტორები განაპირობებდა, თუმცა იმ პერიოდებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება საქართველოს ეროვნული ბანკი გარკვეულწილად დაეხმარა ინფლაციის დონის მართვაში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი უმეტესწილად მოთხოვნის ფაქტორებიდან ინფლაციაზე მომდინარე ზეწოლის შემთხვევაში რეაგირებს. ხოლო შემდეგ, როცა საშინაო ფაქტორების კონტრიბუცია გაიზარდა ინფლაციაში, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვნად ეხმარებოდა საქართველოს ეროვნულ ბანკს ინფლაციის მიზნობრივ დონესთან დაბრუნებაში. 2023 წლის მარტიდან ინფლაციამ მკვეთრი შენელება დაიწყო, რომელიც მაისიდან ჩამოცდა 3.0%-იან მიზნობრივ დონეს და 2023 წლის დეკემბერში ინფლაციამ 0.4% შეადგინა. დაბალი ინფლაციური გარემო შენარჩუნდა 2024 წელსაც - საშუალო წლიურმა ინფლაციამ 1.1% შეადგინა 2024 წელს. ინფლაციის შემცირებაზე ძირითადად გავლენა ჰქონდა გლობალურ ბაზრებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, ლარის გამყარებას, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას და ფისკალური დეფიციტის შემცირებას. მას შემდეგ, რაც ინფლაცია მის მიზნობრივ დონეს ჩამოცდა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და 2023 წლის მაისი 2024 წლის მაისის პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ჯამურად 300 საბაზისო პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა. ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

ამასთან, აღსანიშნავია რომ 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. არის რისკი რომ ეს შესაძლოა ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ამ რისკის რეალიზებამ შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და მსოფლიო ეკონომიკების უმრავლესობა რეცესიაში გადავიდეს. საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოა აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება.

1.1.4. ვინაიდან ჯგუფი მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;

ჯგუფის შემოსავლები გარკვეულწილად დამოკიდებულია საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და მომსახურებებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით ზრდა 3.7% იყო. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც

განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმმა სტაბილური ტემპით დაიწყო აღდგენა ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტით იყო განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნა მყარი იყო, რასაც ხელს უწყობდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რელოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. სტაბილური საგარეო შემოდინებებისა და ინფლაციის სწრაფად შემცირების ფონზე, მაღალი ეკონომიკური ზრდა 2023 და 2024 წლებშიც გაგრძელდა. 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2024 წლის იანვარ-სექტემბერში ეკონომიკურმა ზრდამ 9.9% შეადგინა საქსტატის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით. ინფორმაციისათვის, საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს 5.0%-ით, 2018 და 2017 წლებში 4.8%-ით, ხოლო 2015 და 2016 წლებში საშუალოდ 3.0%-ით იზრდებოდა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური ცვლილებები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

1.2. მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონთან დაკავშირებული რისკები:

1.2.1. რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და ჯგუფის ბიზნესზე;

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დაძაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დაძაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კონტროლის ქვეშ აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი და აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, თუმცა 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იუწყებოდნენ. აზერბაიჯანმა სომხეთი ღამით დიდ ქალაქებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და მიუთითა, რომ მან დაარღვია მოსკოვში 10 ოქტომბერს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. საბოლოოდ, 10 ნოემბერს მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო კონფლიქტის მორიგი ესკალაცია 2022 წლის 12 სექტემბერს დაფიქსირდა. 14 სექტემბერს ევროპის საბჭოს შუამდგომლობით მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამჟამად, სიტუაცია დასტაბილურებულია და მიმდინარეობს მოლაპარაკებები საზღვრების დადგენაზე. ის, რომ სამომავლოდ ისევ დაიძაბოს სიტუაცია ამის ალბათობა ამ ეტაპზე შემცირებულია.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში შეიძლება ასევე მოახდინოს არსებითად უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მოუტანა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი არამხოლოდ ომში ჩართულ ქვეყნებს, არამედ რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკასაც. ომის დაწყებიდანვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს არაერთი სანქცია დაუწესა, რომელთა მიზანიც რუსეთზე წნეხის გაზრდა იყო, რათა მას შეეჩერებინა საომარი მოქმედებები. მოსალოდნელია, რომ ამ ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის უარყოფითი ეფექტები რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკას ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით დააზარალებს. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე არსებული გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლური ცენტრალური ბანკები 2023 წლის ბოლომდე ახორციელებდნენ საპროცენტო განაკვეთების ზრდას, რამაც გაართულა გლობალური ფინანსური მდგომარეობა. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია, რაიმე დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაზრდილი გაურკვევლობის დონე, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა და ნებისმიერი სამომავლო გაუარესება საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობისა, შეიძლება გახდეს უარყოფითი ეფექტის მქონე საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

2025 წლის ივნისში ისრაელ-ირანის რამდენიმე დღიანმა სამხედრო დაპირისპირებამ დიდი გაურკვევლობა შექმნა მსოფლიოში, რის შედეგაც მყისიერად გაიზარდა ნავთობის ფასები, წარმოშვა მიწოდების ჯაჭვებთან დაკავშირებული პრობლემები და გაჩნდა ინფლაციური მოლოდინები. ამ ფონზე შესაძლოა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა რეცესიაში გადასულიყო. ის რომ საქართველოს როგორც ისრაელთან, ისე ირანთან აქვს ეკონომიკური კავშირურთიერთობები, კონფლიქტის გახანგრძლივების შემთხვევაში პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტების გავლენები საქართველოს ეკონომიკაზე საგრძნობი იქნებოდა - გამოიწვევდა ინფლაციის დაჩქარებას, ლარის გაუფასურებას, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესებას და საბოლოოდ სოლიდურ ეკონომიკურ დანაკარგს.
ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა გარემოებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების, მათ შორის, სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

1.2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების მკვეთრ დასუსტებას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;

საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკებთან. აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან საქონლის ექსპორტში 2019 წელს შეადგინა 13.4% და 11.4%, შესაბამისად. პანდემიის შემდგომ პერიოდში აზერბაიჯანის წილი მცირედით,

ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს საქონლის მთლიან ექსპორტში და 2021 წელს, შესაბამისად, შეადგინა 12.5% და 6.0%. 2022 წელს აზერბაიჯანის წილი კვლავ შემცირდა, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაბამისად 12.0% და 10.5% შეადგინა. 2023 წელს ორივე ქვეყნის წილი გაიზარდა - აზერბაიჯანის წილმა მთლიანი ექსპორტის 14.2%, ხოლო სომხეთის წილმა 12.9% შეადგინა. 2024 წლის იანვარ-ოქტომბერში აზერბაიჯანზე და სომხეთზე მოდიოდა საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის 11.2% და 9.4%, შესაბამისად. რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიანი საქონლის ექსპორტში 2019 წელს 13.1%-ს, 2020 წელს - 13.2%-ს, 2021 წელს - 14.4%-ს, 2022 წელს 11.5%-ს, 2023 წელს - 10.8%-ს, ხოლო 2024 წლის იანვარ-ოქტომბერში 10.6%-ს შეადგენდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს საიმპორტო ბაზარს საქართველოსთვის და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან საქონლის იმპორტში შეადგენდა 17.0%-ს 2019 წელს, 17.5%-ს 2020 წელს, 18.1%-ს 2021 წელს, 17.5%-ს 2022 წელს, 16.6%-ს 2023 წელს, ხოლო 16.4%-ს 2024 წლის იანვარ-ოქტომბერში. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში - 7.2%, ხოლო იმპორტში - 4.5% შეადგინა. რუსეთ- უკრაინის ომის დაწყებიდან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა უკრაინასთან მნიშვნელოვნად შემცირდა და საქართველოს ექსპორტმა უკრაინაში მთლიანი ექსპორტის 4.2% შეადგინა 2022 წელს, რომელიც 2023 წელს კიდევ შემცირდა 1.7%-მდე. შესაბამისად, რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება რუსეთზე ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით საგრძნობლად გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანწილად რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ რუსი მიგრანტების ტალღამ განაპირობა. თუკი 2021 წელს რუსეთიდან მიღებული ტურისტული შემოსავლები და ფულადი გზავნილები მშპ-ის 3.0%-ს შეადგენდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელს 11.8%-მდე გაიზარდა, 2023 წელს 8.0%-მდე შენელდა, ხოლო 2024 წლის იანვარ-სექტემბერში 4.7% შეადგინა, თუმცა მაინც მაღალია. ასეთი მაღალი დამოკიდებულება ერთ ქვეყანაზე რისკების მატარებელია, რადგან ზემოთ მოცემული ნაკადების შეწყვეტის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზიანდება, რასაც, თავის მხრივ, ექნება უარყოფითი არსებითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ნებისმიერმა შემდგომმა ეკონომიკურმა ჩავარდნამ ან კრიზისმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

1.3. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები:

1.3.1. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“) და შექმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის, პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

- **საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“:** 2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან. განახლებულმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის

წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებშიხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.

- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა:** ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ხდება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ამოქმედდა მთელი რიგი ცვლილებები ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ჩარჩოში, რომლებიც სწორედ ჰარმონიზაციის მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა წესი ინსაიდერული ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე - დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო, განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ წლიური თუ ნახევარწლიური ანგარიშების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. მაგალითისთვის, შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილი ცვლილებები დამსაქმებლებს ავალდებულებდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთი ან ორი თვის ხელფასის ოდენობით), ამყარებდა მუშაკთა უფლებებს მკაფიო მიზეზის გარეშე სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, და ქმნიდა გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული ან მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად, კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებასთან შესაბამისობაში მოსასვლელად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

1.3.2. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.

უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს. ეს პრობლემებს ქმნის საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებისას, რადგან აღნიშნული კანონმდებლობა ბუნდოვანია ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება, რაც რისკს უქმნის კომპანიებს, რომ საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის მათი მცდელობა შესაძლოა ეჭვს ქვეშ დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა.

გარდა ამისა, აღნიშნული საგადასახადო კანონმდებლობა ცვლილებებს და დამატებებს განიცდის, რამაც უჩვეულო სირთულეები შეიძლება შეუქმნას კომპანიას და მის საქმიანობას. ახალი საგადასახადო კოდექსი 2011 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები არსებობს სახელმწიფო სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის და მათ შიგნითაც, მათ შორის საგადასახადო ორგანოებშიც, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. ამასთან, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წინასწარი საგადასახადო

გადაწყვეტილების მიღებას გადასახადის გადამხდელების მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებზე. მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია, რომ კომპანია ამჟამად ასრულებს საგადასახადო კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ სათანადო ორგანოებმა განსხვავებული პოზიცია დაიჭირონ მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საგადასახადო კორექტირებები ან ჯარიმები. არსებობს იმის რისკიც, რომ რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად კომპანიას ჯარიმები და საურავები დაეკისროს.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის შეცვლის შედეგად. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას ან კომპანიის ან მისი მომხმარებლების მიმართ გამოყენებული გადასახადების განაკვეთის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე.

2016 წლის მაისიდან ამოქმედდა ცვლილებები კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ წესებში. დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ განაწილებული მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც ფულადი ან არაფულადი დივიდენდი, განაწილებული მფლობელებს - კერძო პირებს ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებს - შორის - რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება არ მოქმედებს ფინანსური სექტორის კომპანიებზე და მათთვის ძველი მეთოდით ხდება მოგების დაბეგვრა (დასაბეგრი მოგების 20%-ის ოდენობით). საგადასახადო კოდექსის ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

1.3.3. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული გაურკვევლობა, მათ შორის სახელმწიფოს მიერ მომავალში ნებისმიერი თვითნებური ან არათანმიმდევრული ქმედება, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ჯგუფის საქმიანობას;

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა და სასამართლო სისტემა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამოქმედდა ან მნიშვნელოვნად შეიცვალა ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სხვა საბაზისო კანონმდებლობა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ეჭვები კანონმდებლობის ხარისხსა და აღსრულებადობასთან დაკავშირებით, ასევე - გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის საკმარისი კადრებისა და პროფესიონალების ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან, შედარებით, მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა სირთულეებმა და გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

1.3.4. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;

კომპანიასთან დაკავშირებულია „სტეიკჰოლდერების“ ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, მომხმარებლები და მომწოდებლები. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და საოპერაციო საქმიანობაზე. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე (მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“), თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშვება.

1.4. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:

1.4.1. თუ ჯგუფი ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე.

მართალია, ჯგუფი იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის გამოყენება ფულის გათეთრების ხელშემწყობ საშუალებად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად ეფექტიანი გამოდგება. თუ მომავალში ჯგუფი ვერ შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე. გარდა ამისა, ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობას შეიძლება მოჰყვეს მარეგულირებელი ჯარიმები და სანქციები.

1.4.2. ობლიგაციების გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შემდეგ კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე გავრცელდება დამატებითი საკანონმდებლო და საანგარიშგებო მოთხოვნები.

ობლიგაციების გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შემდეგ, კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო, როგორც ეს განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“). ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის და აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციები ივაჭრება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ან თბილისის საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს ან თბილისის საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია. ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაწესებული მოთხოვნები შეიძლება წარმოადგენდეს დამატებით ტვირთს კომპანიისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ შეასრულოს ეს მოთხოვნები.

2. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

2.1. ინდუსტრიასთან და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

2.1.1 „ჯგუფი“ ოპერირებს სწრაფად ცვალებად რეგულატორულ გარემოში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ბიზნეს მოდელსა და ფინანსურ სტაბილურობაზე

„ჯგუფი“ ოპერირებს დინამიურ და განვითარებად რეგულატორულ გარემოში, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. წლების განმავლობაში, ჯანდაცვის სექტორის რეფორმებმა შეცვალა საოპერაციო და შესაბამისობის მოთხოვნები ინდუსტრიის მონაწილეებისთვის. მნიშვნელოვანი მარეგულირებელი ცვლილებები მოიცავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის (UHC) შემოღებას 2013 წელს, დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) სისტემას 2022 წელს, საავადმყოფოს საწოლების შეზღუდვებს 2023 წელს და სამომავლო აკრედიტაციის მანდატებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2025 წელს. აღნიშნული ცვლილებები ქმნის გაურკვევლობებს, რადგან სამომავლო რეგულაციებმა შეიძლება შექმნას ახალი საოპერაციო შეზღუდვები, დააწესოს შესაბამისობის დამატებითი ვალდებულებები ან არსებითად იმოქმედოს „ჯგუფის“ ფინანსურ საქმიანობაზე. საკანონმდებლო ცვლილებების არაპროგნოზირებადობა წარმოადგენს რისკს, რომლის მიხედვით „ჯგუფს“ შეიძლება დასჭირდეს სწრაფი ადაპტაცია გაუთვალისწინებელ მარეგულირებელ ცვლილებებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხარჯების ზრდა, საქმიანობის შეფერხება ან/და პოტენციური შეზღუდვა. გარდა ამისა, მარეგულირებელმა რეფორმებმა შეიძლება შეცვალოს კონკურენტული გარემო, რამაც შესაძლოა დამატებით საჭირო გახადოს ბაზრის მონაწილეების მიერ დამატებითი ინვესტიციები ტექნოლოგიებში, პერსონალის ტრენინგში ან ინფრასტრუქტურის განახლებაში, რაც გავლენას მოახდენს მომგებიანობაზე და სტრატეგიულ პოზიციონირებაზე.

2022 წელს ჯანდაცვის სექტორის შემოსავლები დასტაბილურდა, წმინდა მოგების მარჟა ნორმალიზდა და 8% შეადგინა, ხოლო EBITDA მარჟა ნორმალიზდა და 15%-მდე გაიზარდა. 2023 წელს სექტორის მომგებიანობა შემცირდა: წმინდა მოგების მარჟა 0.2%-მდე შემცირდა, რაც 2022 წლის 8%-თან შედარებით მნიშვნელოვანი კლებაა. ეს შემცირება თავის მხრივ უკავშირდება როგორც პოსტ-პანდემიურ კორექტირებას, ასევე საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების ზრდას, რაც განპირობებულია აკრედიტაციასთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობისა და ხარისხის სტანდარტებში ინვესტიციებით. 2023 წელს EBITDA მარჟამ 12% შეადგინა, რაც 2022 წლის 15%-თან და 2021 წლის 25%-თან შედარებით ნაკლებია. ეს თავის მხრივ საოპერციო ეფექტიანობაზე გაზრდილ წნეხზე მეტყველებს.

მარეგულირებელ გარემოში განხორციელებული ბოლო ცვლილებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ – *„მარეგულირებელი გარემო“.*

2.1.2 ხელახალი აკრედიტაციის მოთხოვნების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ოპერაციული შეფერხებები და სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებში მონაწილეობის შეჩერება

ჯანდაცვის სექტორის რეფორმების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობის დავალებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილე ყველა სამედიცინო დაწესებულებამ უნდა მოიპოვოს საერთაშორისო აკრედიტაცია 2025 წლის განსაზღვრულ ვადებში. სტაციონარულა საავადმყოფოებს უნდა მიეღოთ საერთაშორისო აკრედიტაციები 2025 წლის 1 მაისამდე, ხოლო ამბულატორიულ კლინიკებს, დღის საავადმყოფოებს და ლაბორატორიებს - 2025 წლის 31 დეკემბრამდე. ამასთან, სამედიცინო ლაბორატორიებს ვალდებულება აქვთ მიიღონ ISO 15189 სერთიფიკატი, თუ მათ უკვე არ აქვთ საერთაშორისო აკრედიტაცია მიღებული. ამ დროისთვის, „ჯგუფის“ ყველა დაწესებულებას მიღებული აქვს ყველა შესაბამისი საერთაშორისო აკრედიტაცია.

თუმცა, აღნიშნული აკრედიტაციები გაიცემა განსაზღვრული ვადით და საჭიროებს პერიოდულ განახლებას. მაგალითად, JCI აკრედიტაცია ძალაშია სამი წლის განმავლობაში, ხოლო AACI ითვალისწინებს ყოველწლიურ შესაბამისობის მონიტორინგს და სრულ რეაკრედიტაციას ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. KTQ, ISO 9001:2015, ISO 15189 და სხვა სერტიფიკატები ასევე მოითხოვს მუდმივ შესაბამისობის მონიტორინგს და პერიოდულ გადამოწმებას. აკრედიტაციის შენარჩუნება, შესაბამისად, გულისხმობს დადგენილ ხარისხის სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას, შუალედური შემოწმებებისათვის მზადყოფნას და განახლების აუდიტების დროულად ჩატარებას.

რეაკრედიტაციის ვალდებულებების შეუსრულებლობა, იქნება ეს ოპერაციული ხარვეზების, აკრედიტაციის სტანდარტების ცვლილებების ან სხვა მიზეზების გამო, შესაძლოა გამოიწვიოს ოპერაციული ლიცენზიების შეჩერება ან გაუქმება, სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებიდან გამორიცხვა და რეპუტაციული ზიანი.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ – *„მარეგულირებელი გარემო“* და *„ლიცენზიები და პატენტები“.*

2.1.3 „ჯგუფის“ ფინანსური შედეგები დამოკიდებულია სახელმწიფო ჯანდაცვის დაფინანსებასა და შეზღუდული რაოდენობის კერძო სადაზღვევო კომპანიებზე. სახელმწიფო დაფინანსების შემცირებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს შემოსავლებსა და მომგებიანობაზე

„ჯგუფი“ შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო დაფინანსებიდან იღებს, რომელიც 2024 წელს მთლიანი შემოსავლის 54%-ს შეადგენდა, ხოლო 56%-ს 2023 წელს. „ჯგუფი“ ასევე შემოსავლებს იღებს შეზღუდული რაოდენობის კერძო სადაზღვევო პროვაიდერებისგან. ამგვარი დამოკიდებულება სახელმწიფო დაფინანსებაზე „ჯგუფს“ უქმნის პოტენციურ ფინანსურ რისკებს, სახელმწიფო ჯანდაცვის ხარჯების პოტენციური შემცირების შემთხვევაში. საბიუჯეტო შეზღუდვებმა ან სამთავრობო პოლიტიკის ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ანაზღაურების დაბალი ტარიფები, უფრო მკაცრი დასაშვებობის კრიტერიუმები, გადახდის ვადების გახანგრძლივება ან პაციენტების თანაგადახდების გაზრდა, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ფულადი სახსრების მოძრაობაზე და მთლიან ფინანსურ შედეგებზე.

თუ მთავრობა შეამცირებს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებას ან დააწესებს დამატებით შეზღუდვებს ანაზღაურებაზე, „ჯგუფის“ პაციენტების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, რადგან ინდივიდებმა შეიძლება გადადონ ან უარი თქვან სამედიცინო მკურნალობაზე მაღალი დანახარჯების გამო. ასევე, სახელმწიფო ანაზღაურების შემცირებამ საოპერაციო ხარჯების შესაბამისი შემცირების გარეშე შეიძლება მოახდინოს გავლენა მომგებიანობაზე და შეზღუდოს ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელების, ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურების გაფართოების შესაძლებლობები. მთავრობის მხარდაჭერის ნებისმიერმა მნიშვნელოვანმა შემცირებამ შეიძლება გრძელვადიანი გამოწვევები შეუქმნას „ჯგუფის“ ზრდას, ფინანსურ სტაბილურობასა და მაღალი ხარისხის ჯანდაცვის მომსახურებების მიწოდების შესაძლებლობას.

2.1.4 ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესების დაცვა კომპლექსურია და შეიძლება გამოიწვიოს გაზრდილი ხარჯები და საოპერაციო რისკები

„ჯგუფი“ ოპერირებს მკაცრად რეგულირებულ ინდუსტრიაში, რომელშიც მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა. ამგვარი რეგულაციები მოიცავს სფეროების ფართო სპექტრს, მათ შორის საშიში ნივთიერებების მართვას, სამედიცინო ნარჩენების განადგურებას, ინფექციების კონტროლს და სამუშაო ადგილის უსაფრთხოების პროტოკოლებს. განზრახ ან შემთხვევითმა შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ფინანსური ჯარიმები, საოპერაციო შეფერხებები, რეპუტაციული ზიანები და პოტენციური სამართლებრივი ვალდებულებები. ჯანდაცვის სექტორში მარეგულირებელი ზედამხედველობა მკაცრია, შესაბამისი ორგანოები ატარებენ პერიოდულ შემოწმებას, რათა უზრუნველყონ ცვალებად სტანდარტებთან შესაბამისობა. „ჯგუფს“ შეიძლება სირთულეები შეექმნას რომ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოიყვანოს მისი ოპერაციები, განსაკუთრებით, თუ შემოღებულია ახალი ან უფრო მკაცრი EHS რეგულაციები. შესაბამისობის შესანარჩუნებლად შესაძლებელია გაჩნდეს დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ტრენინგები, ობიექტების მოდიფიკაციასთან დაკავშირებული ხარჯები ან მდგრადი ნარჩენების მართვის სისტემებისთვის საჭირო ხარჯები, რომლებიც დამატებით ფინანსურ ზარალს შეუქმნის „ჯგუფს“. აღნიშნული სტანდარტების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს სააღსრულებო ქმედებები, ჯარიმები ან გარკვეული ბიზნეს ოპერაციების შეჩერება, რაც საბოლოოდ იმოქმედებს „ჯგუფის“ გრძელვადიან მდგრადობაზე.

2.1.5 „ჯგუფი“ კონკურენციას უწევს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ჯანდაცვის პროვაიდერებს მთელი საქართველოს მასშტაბით და გაზრდილმა კონკურენციამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის საბაზრო პოზიციაზე

„ჯგუფი“ ოპერირებს საქართველოს ჯანდაცვის მომსახურებების მაღალკონკურენტულ ინდუსტრიაში, სადაც კონკურენციას უწევს კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ პროვაიდერების დიდ და ძირითადად ფრაგმენტირებულ ჯგუფებს, როგორც საავადმყოფოს (სტაციონარული) ასევე ამბულატორიული კლინიკების სექტორში. ძირითადი კონკურენტები არიან ღუდუშაური-ჩაჩავა, ავერსი, ნიუ ჰოსპიტალსი და სხვა. კონკურენცია ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა რეპუტაცია, კლინიკის გარემო, პაციენტების კმაყოფილება და ფასები. კონკურენცია ყველაზე ინტენსიური თბილისშია, თუმცა მსგავსი გამოწვევები არსებობს ყველა რეგიონში, რომელშიც „ჯგუფი“ ოპერირებს.

ზოგადი ჯანდაცვის მიმწოდებლების გარდა, „ჯგუფი“ ასევე კონკურენციას უწევს სპეციალიზებულ ცალკეულ ცენტრებსა და ლაბორატორიებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა კარდიოლოგია, ონკოლოგია, უროლოგია და დიაგნოსტიკა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საავადმყოფოები და ამბულატორიული კლინიკები ნაკლები რაოდენობითაა და უფრო შეზღუდული მასშტაბი აქვთ, ისინი მაინც წარმოადგენენ კონკურენტებს ბაზარზე. ამასთან, საერთაშორისო ჯანდაცვის პროვაიდერების საქართველოს ბაზარზე შემოსვლით, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვნად მეტი სახსრები, ან სამედიცინო ტურიზმის გზით პაციენტების საზღვარგარეთ გაყვანის გზით, შეიძლება გაძლიერდეს კონკურენცია. კონკურენტებმა შეიძლება განახორციელონ კონსოლიდაცია, სტრატეგიული კავშირები ან აგრესიული ფასების სტრატეგიები ბაზრის წილის გასაფართოებლად, რამაც შეიძლება ზეწოლა მოახდინოს „ჯგუფის“ ფინანსურ მაჩვენებელზე, მას შეიძლება შეეზღუდოს ზრდის პოტენციალი და შესუსტდეს მისი პოზიციონირება ინდუსტრიაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ – *„ინდუსტრიის მიმოხილვა“* და *„ბაზარზე პოზიციონირება “.*

2.1.6 *„ჯგუფი“ შეიძლება დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას სამედიცინო დაუდევრობის ან სხვა სახის სარჩელების გამო, რომლებიც წარმოიქმნება სამედიცინო დაუდევრობით ან სხვა პროფესიული გადაცდომებით*

„ჯგუფის“ ჯანდაცვის მომსახურებები ეყრდნობა მისი სამედიცინო პერსონალის გამოცდილებას და პროფესიონალიზმს. თუმცა, სამედიცინო დაუდევრობის შემთხვევებმა, დიაგნოზში ან მკურნალობაში შეცდომებმა, ან პროფესიული გადაცდომის სხვა ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნები ან სამართლებრივი მოქმედებები „ჯგუფის“ წინააღმდეგ. პაციენტებმა ან მათმა ოჯახებმა შეიძლება მოითხოვონ კომპენსაცია „ჯგუფის“ სამედიცინო პერსონალის მიერ მიყენებული სავარაუდო ზიანისთვის, რაც გამოიწვევს ფინანსურ ვალდებულებებს, რეპუტაციულ ზიანსა და მარეგულირებელ შემოწმებას.

წინამდებარე პროსპექტის თარიღისთვის, ჯგუფი ჩართულია რამდენიმე მიმდინარე სასამართლო პროცესში. აღნიშნული დავები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან - მათ შორის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსთან და სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთან - სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების აუდიტებთან, დაწესებულ ჯარიმებთან და ანაზღაურებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ყველაზე მნიშვნელოვანი სარჩელი აღძრულია „Imedi L International“-ის ყოფილი აქციონერების მიერ „ჯგუფის“ სუბიექტების წინააღმდეგ, აქციების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების იძულების ფაქტზე. აღნიშნული დავის ღირებულება დაახლოებით 17.14 მილიონი აშშ დოლარია. მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ „ჯგუფს“ ნებისმიერ შემთხვევაში აქვს სამართლებრივი საფუძველი და ის შესაბამისად პასუხობს ყველა მოთხოვნას, არახელსაყრელმა შედეგებმა - განსაკუთრებით მაღალი ღირებულების დავების დროს - შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციულ მოქნილობასა და რეპუტაციაზე.

გარდა ამისა, ხანგრძლივმა სამართალწარმოებამ ან მარეგულირებელმა გამოძიებამ შეიძლება ხელი შეუშალოს საოპერაციო საქმიანობას და უარყოფითად იმოქმედოს პაციენტების ნდობაზე. ნებისმიერმა ასეთმა ინციდენტმა შეიძლება მატერიალურად და უარყოფითად იმოქმედოს „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, რეპუტაციაზე,პაციენტების მოზიდვასა და შენარჩუნებაზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ - *„სასამართლო დავები“.*

2.1.7 რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე გადამწყვეტია „ჯგუფის“ წარმატებისთვის და ნებისმიერმა ზიანმა შეიძლება მოახდინოს გავლენა ბიზნესზე

„ჯგუფის“ წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი რეპუტაციის სიძლიერესთან და მისი ბრენდების, მათ შორის “ევექსის”, “მეგა-ლაბის” და “ვიანის” აღიარებასთან. პაციენტების მოზიდვისა და შენარჩუნების შესაძლებლობა, ისევე როგორც დაზღვევის მომხმარებლების უსაფრთხოება, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მაღალი ხარისხის ჯანდაცვის მომსახურებების შესახებ საზოგადოების ძლიერი აღქმის შენარჩუნებაზე. ნებისმიერმა მოვლენამ, რომელიც უარყოფითად აისახება „ჯგუფის“ მომსახურების აღქმულ ან რეალურ ხარისხზე, მათ შორის პრაქტიკულმა შეცდომებმა, პაციენტების ინფექციებმა ან სადაზღვევო მოთხოვნების არასწორმა უარყოფამ, შეიძლება ზიანი მიაყენოს „ჯგუფის“ რეპუტაციას და პოზიციას საქართველოს ჯანდაცვის ინდუსტრიაში.

2.1.8 არსებობს რისკი იმისა, რომ პაციენტები „ჯგუფის“ ჯანდაცვის დაწესებულებებში დაავადდნენ სერიოზული ინფექციებით ან გადამდები დაავადებით, აღნიშნული, სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციორების თანდაყოლილი რისკია

„ჯგუფის“ დაწესებულებებს, ისევე როგორც ყველა სამედიცინო დაწესებულებას, თან სდევთ რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ინფექციების ან გადამდები დაავადებების გადაცემასთან. ინფექციების კონტროლის მკაცრი პროტოკოლებისა და პროცედურების დანერგვის მიუხედავად, პაციენტებს სამედიცინო დახმარების მიღებისას შეიძლება დაემართოთ სერიოზული ინფექციები. ამგვარი რისკები შეიძლება წარმოიშვას საავადმყოფოში შეძენილი ინფექციების, პაციენტების ჯვარედინი დაავადების ან სამედიცინო გარემოში გადამდები დაავადებების ზემოქმედების შედეგად.

ასეთმა ინციდენტებმა შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს პაციენტის ჯანმრთელობაზე, გამოიწვიოს ხანგრძლივი მკურნალობა, სამედიცინო ხარჯების გაზრდა და „ჯგუფის“ რეპუტაციის პოტენციური ზიანი. დაავადებების გავრცელების ან მნიშვნელოვანი ინფექციის შემთხვევაში, „ჯგუფს“ შეიძლება დაეკისროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მარეგულირებელი შემოწმება და უარყოფითი რეკლამირება, რაც პოტენციურად შეასუსტებს პაციენტის ნდობას და შეამცირებს რაოდენობას. ინფექციებთან დაკავშირებული რისკები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მუდმივი ინვესტიციის მნიშვნელობას ინფექციების კონტროლში, პერსონალის ტრენინგსა და დაწესებულებების მოვლაში, რათა თავიდან იქნას აცილებული ამგვარი შემთხვევები. ამ რისკების ეფექტურად მართვის წარუმატებლობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „ჯგუფის“ ოპერაციებზე, პაციენტის შედეგებზე და მთლიან ფინანსურ შესრულებაზე.

2.1.9 არსებობს რისკი იმისა, რომ „ჯგუფის“ საინფორმაციო სისტემების გაუმართაობამ შეიძლება შეაფერხოს „ჯგუფის“ ოპერაციები

არსებობს რისკი იმისა, რომ „ჯგუფის“ ოპერაციები მნიშვნელოვნად გაუარესდეს მისი საინფორმაციო სისტემების გაუმართაობის გამო. ვინაიდან „ჯგუფი“ ოპერირებს ჯანდაცვის ინდუსტრიაში, მყარ და უსაფრთხო საინფორმაციო სისტემებზე დამოკიდებულება გადამწყვეტია პაციენტების ჩანაწერების შესანარჩუნებლად, ადმინისტრაციული ფუნქციების მართვის, პრეტენზიების დამუშავებისა და ჯანდაცვის რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ნებისმიერმა შეფერხებამ, მათ შორის სისტემის გათიშვამ, კიბერშეტევებმა, მონაცემთა დარღვევამ, ან პროგრამული უზრუნველყოფის უკმარისობამ, შეიძლება გამოიწვიოს მომსახურების მიწოდების შეფერხება, პაციენტის კონფიდენციალურობის პოტენციური დარღვევა და ანაზღაურების პროცესების შეფერხება. გარდა ამისა, ამგვარმა შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს მარეგულირებელი ჯარიმები, „ჯგუფის“ რეპუტაციის დაზიანება და პაციენტის ნდობის დაკარგვა. ემიტენტის შესაძლებლობა შეინარჩუნოს ეფექტური ოპერაციები და შეასრულოს მარეგულირებელი მოთხოვნები დამოკიდებულია მისი საინფორმაციო სისტემების უწყვეტ ფუნქციონირებაზე და უსაფრთხოებაზე. რადგან ტექნოლოგიური საფრთხეები ვითარდება და სისტემები უფრო რთული ხდება, იზრდება რისკი, რომ „ჯგუფს“ შეექმნას მნიშვნელოვანი საოპერაციო გამოწვევები, თუ ეს სისტემები ფუჭდება ან ზიანდება.

გარდა ამისა, სამედიცინო საკითხებისა და პაციენტის მონაცემების არასწორმა ჩანაწერმა ან დოკუმენტაციამ შეიძლება გამოიწვიოს სამედიცინო ან ადმინისტრაციული შეცდომები და მარეგულირებელი დარღვევები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯარიმები, გადასახადები და/ან რეპუტაციის დაზიანება.

2.1.10 „ჯგუფის“ საქმიანობა დამოკიდებულია მისი პოლიკლინიკების საიჯარო ხელშეკრულებების დროულ განახლებასა და ხელსაყრელ პირობებზე. ამ იჯარის განახლების ნებისმიერმა წარუმატებლობამ ან პირობების ცვლილებამ შეიძლება შეაფერხოს მისი ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურება და გავლენა იქონიოს მის საოპერაციო სტაბილურობაზე

არსებობს რისკი, რომ „ჯგუფის“ ოპერაციებზე შეიძლება გავლენა იქონიოს პოლიკლინიკების საიჯარო ხელშეკრულებების ვადის გასვლამ და განახლებამ. კომპანია ამჟამად იჯარით იღებს შენობებს 11 პოლიკლინიკისთვის (16 პოლიკლინიკიდან), თითოეულს აქვს საკუთარი ვადის გასვლის თარიღი (საიდანაც ექვსი მათგანი იწურება ობლიგაციების დაფარვამდე) და შეწყვეტის ვადები. ზოგიერთი ამგვარი შეთანხმება შეიძლება ავტომატურად განახლდეს ვადის გასვლის შემდეგ, ზოგს კი შეიძლება დასჭირდეს ხელახალი მოლაპარაკება ან შეწყვეტა.

იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება იჯარების განახლება ან გადახედილი პირობები არასახარბიელო იქნება, „ჯგუფს“ შეიძლება შეექმნას გამოწვევები ამ ადგილებში ჯანდაცვის მომსახურებების უწყვეტობის შენარჩუნებაში. გარდა ამისა, გარკვეული პოლიკლინიკებისთვის საიჯარო ხელშეკრულებების ვადის ამოწურვამ (მაგ.,დიდი დიღმის პოლიკლინიკისთვის 2026 წლის დეკემბერი) შეიძლება გამოიწვიოს საოპერაციო გაურკვევლობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატიული ფართები დროულად არ იქნება უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, იჯარის პირობების ნებისმიერმა არახელსაყრელმა ცვლილებამ, როგორიცაა იჯარის უფრო მაღალი ტარიფები ან პირობების შეცვლა, შეიძლება დამატებითი ფინანსური დატვირთვა მოახდინოს „ჯგუფის“ ოპერაციებზე, რაც პოტენციურად იმოქმედებს მის მომგებიანობაზე და ხარისხიანი ჯანდაცვის მიწოდების უნარზე. ამიტომ, საიჯარო ხელშეკრულებების მართვა და პოტენციური განახლების ან ადგილმდებარეობის ცვლილების დაგეგმვა გადამწყვეტია კომპანიის მიმდინარე საოპერაციო სტაბილურობისთვის.

დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ – *„არსებითი ხელშეკრულებები – იჯარის ხელშეკრულებები“.*

2.1.11 კვალიფიციური მუშახელის დეფიციტმა, შრომითმა დავებმა და გაფიცვებმა შეიძლება შეაფერხოს კომპანიისა და ჯგუფის განვითარება და საოპერაციო ეფექტურობა ჯანდაცვის სექტორში

ამჟამად „ჯგუფში“ სულ 11,025 ადამიანია დასაქმებული. სამუშაო ძალა მოიცავს პროფესიონალთა ფართო ჯგუფს, მათ შორის უფროს მენეჯმენტს, სამედიცინო პერსონალს და ტექნიკურ პერსონალს, რაც გადამწყვეტია კომპანიის ამჟამინდელი ოპერატიული შესაძლებლობების განხორციელებისათვის. ჯანდაცვის სექტორი თავისი ბუნებით დიდწილად ეყრდნობა კვალიფიციურ პერსონალს, რათა უზრუნველყოფილ იქნას დროული და ეფექტური მომსახურების მიწოდება. კომპანიის შესაძლებლობა, გააგრძელოს ოპერაციები ოპტიმალურ დონეზე, არსებითად არის დამოკიდებული კვალიფიციური სამედიცინო პროფესიონალების ხელმისაწვდომობაზე, როგორიცაა ექიმები, ექთნები და ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებული პერსონალი.

შრომითი დავები, გაფიცვები ან კვალიფიციური პერსონალის, განსაკუთრებით სამედიცინო და ტექნიკური პროფესიონალების ნაკლებობამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს „ჯგუფის“ საქმიანობა. შედეგად, ასეთმა შეფერხებებმა შეიძლება არსებითად იმოქმედოს საოპერაციო საქმიანობაზე, ფინანსურ შედეგებზე და „ჯგუფის“ მთლიან სტრატეგიულ მიმართულებაზე.

„ჯგუფის“ წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს, შეინარჩუნოს და მოტივაცია მისცეს მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ მუშახელს, მათ შორის მენეჯმენტის გუნდებს, სამედიცინო პრაქტიკოსებს და დამხმარე პერსონალს. თუ „ჯგუფს“ არ შეუძლია შეინარჩუნოს კვალიფიციური კადრების ადეკვატური რაოდენობა, განსაკუთრებით მაღალ მენეჯერულ ან სამედიცინო პოზიციებზე, აღნიშნულმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, ბიზნეს ოპერაციებზე და გრძელვადიან პერსპექტივაზე.

ძირითადი პერსონალის დაკარგვამ, როგორიცაა უფროსი აღმასრულებლები ან ჯანდაცვის მაღალი დონის პროფესიონალები, შეიძლება გამოიწვიოს: (i) ორგანიზაციული მიმართულების დაკარგვა, (ii) კორპორატიული სტრატეგიის შეუსრულებლობა, ან (iii) სტრატეგიული ინიციატივების იდენტიფიცირებისა და განხორციელების

შესაძლებლობის შემცირება. ასეთმა უარყოფითმა შედეგებმა შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლების შემცირება, საბაზრო პოზიციების შესუსტება და „კომპანიის“ კონკურენტული უპირატესობის დაქვეითება მის მოქმედ ბაზრებზე.

გარდა ამისა, შრომის დეფიციტმა ან შრომითმა დავებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს პაციენტის მოვლაზე, საავადმყოფოს საწოლების დატვირთულობის მაჩვენებლებზე და სამედიცინო მომსახურებების ეფექტურობაზე, რაც ჯანდაცვის ინდუსტრიაში შემოსავლის გამომუშავების მთავარი მამოძრავებელია.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ – *„კომპანიის მიმოხილვა“.*

2.1.12 „ჯგუფის“ მედდა-ექიმთა თანაფარდობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საოპერაციო ეფექტურობაზე და მომგებიანობაზე ჯანდაცვის სექტორში

„ჯგუფი“ აერთიანებს ჯანდაცვის დაწესებულებების დიდ ქსელს, მათ შორის მსხვილ და სპეციალიზებულ საავადმყოფოებს, რეგიონურ და საზოგადოებრივ საავადმყოფოებს და დიაგნოსტიკური ცენტრებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფში“ დასაქმებული იყო 4,679 თანამშრომელი დიდ და სპეციალიზებულ საავადმყოფოებში, 1,566 ექიმით და 1,397 ექთნით. რეგიონულ და საზოგადოებრივ საავადმყოფოებში დასაქმებულია 4,415 თანამშრომელი, 1,463 ექიმი და 1,253 ექთანი. მედდა-ექიმთა თანაფარდობა ამ დაწესებულებებში, რომლებიც გადამწყვეტია ჯანდაცვის მომსახურებების ეფექტური მიწოდებისთვის, არის შემდეგი:

- **დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოები (2024): 0.89x**
- **რეგიონული და საზოგადოებრივი საავადმყოფოები (2024): 0.86x**

სხვა ქვეყნებთან შედარებით, მედდა-ექიმთა ეს თანაფარდობა შეიძლება მიუთითებდეს საექთნო რესურსის შედარებით დაბალ დონეზე თითო ექიმთან მიმართებით. ამგვარმა დისბალანსმა შეიძლება შექმნას რამდენიმე საოპერაციო გამოწვევა. საექთნო პერსონალის დეფიციტის გამო, უფრო მაღალანაზღაურებად ექიმებს შეიძლება მოეთხოვოთ იმ დავალებების შესრულება, რაც ტრადიციულად ექთნებს ევალებათ, მათ შორის პაციენტთა მოვლა. ეს არა მხოლოდ გავლენას ახდენს ჯანდაცვის მომსახურებების ხარისხზე და ეფექტურობაზე, არამედ ზრდის საოპერაციო ხარჯებს, რადგან „ჯგუფს“ შესაძლოა მოუწიოს ექიმებისთვის უფრო მაღალი ხელფასის გადახდა ამ ამოცანების შესასრულებლად, რაც უარყოფითად აისახება მომგებიანობაზე.

თუ „ჯგუფი“ ვერ დააკმაყოფილებს მედდა-ექიმთა თანაფარდობას და ადეკვატურად არ დააბალანსებს პერსონალის საჭიროებებს მის დაწესებულებებში, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის საოპერაციო ეფექტურობაზე, მოვლის ხარისხსა და ფინანსურ შედეგებზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ – *„კომპანიის მიმოხილვა“* და *„ინდუსტრიის მიმოხილვა“.*

2.1.13 „ჯგუფის“ მფლობელობაში არსებული აქტივების არასრულყოფილმა დაზღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „ჯგუფის“ გადახდისუნარიანობაზე

მენეჯმენტი თვლის, რომ „ჯგუფი“ თავისი ბიზნესის ჭრილში ინარჩუნებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, „ჯგუფს“ სრულად აქვს დაფარული უძრავი ქონებები. ეს დაფარვა შესაბამისობაშია საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკასა და ინდუსტრიის სტანდარტებთან.

მიუხედავად ამისა, „ჯგუფის“ ოპერაციებზე შეიძლება გავლენა იქონიოს ისეთმა რისკებმა, რომლებზეც სრული ან ნაწილობრივი სადაზღვევო დაფარვა საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი, ან არ არის ხელმისაწვდომი კომერციულად გონივრული პირობებით. გარდა ამისა, სხვადასხვა სადაზღვევო მოვლენამ, როგორებიცაა: უბედური შემთხვევები, ბიზნესის შეწყვეტა ან მისი ობიექტების, ქონებისა და აღჭურვილობის პოტენციური დაზიანება, გამოწვეული ადამიანური შეცდომით, შრომითი დავებითა და ბუნებრივი კატასტროფებით, შეიძლება გამოიწვიოს დანაკარგები ან იმაზე მეტი ვალდებულების დაკისრება, ვიდრე იფარება დაზღვევით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ „ჯგუფის“ სადაზღვევო დაფარვა იქნება ზარალის ასანაზღაურებლად საკმარისი, ან რომ მას შეეძლება განაახლოს არსებული სადაზღვევო დაფარვა, მათ შორის, კომერციულად გონივრული პირობებით

გარდა ამისა, „ჯგუფის“ სადაზღვევო პოლისები კომერციული შეთანხმებით ექვემდებარება გამოქვითვას, გამონაკლისს და შეზღუდვას. „ჯგუფი“ მიიღებს სადაზღვევო შემოსავალს მხოლოდ იმ პირობით, რომ მის მზღვეველებს აქვთ სახსრები გადახდისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ჯგუფის“ ყველა დაზღვევა მაღალი რეპუტაციის მქონე გადამზღვეველებთანაა გადაზღვეული.

არსებობს რისკი, რომ სადაზღვევო პოლისმა არ დაფაროს „ჯგუფის“ ყველა ზარალი და არ არის იმის გარანტია, რომ „ჯგუფს“ არ მიადგება ზარალი სადაზღვევო პოლისს გარეთ.

თუ მოხდა ისეთი შემთხვევა, რომლის მიმართაც „ჯგუფს“ არ აქვს სადაზღვევო დაფარვა ან ასეთი დაფარვა არ არის საკმარისი, „ჯგუფმა“ შეიძლება დაკარგოს ინვესტირებული კაპიტალი და დაზიანებულ ქონებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი შემოსავალი. ზოგ შემთხვევაში, დაზიანებულ ქონებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელი შეიძლება დარჩეს „ჯგუფი“. რომელიმე ამგვარ მოვლენას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა „ჯგუფის“ ბიზნესზე, საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

დაზღვევასთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის იხილეთ - *„კომპანიის მიმოხილვა“– „სადაზღვევო პოლისი“.*

2.2. ინვესტიციებთან, დაფინანსებასთან და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკები

2.2.1 „ჯგუფის“ ოპერაციები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჯანდაცვის სექტორის ტექნოლოგიურ წინსვლაზე და ამ ცვლილებებთან შეუსაბამობა, ან, მეორე მხრივ, ფულადი სახსრების გადინებამ საჭირო აღჭურვილობასა და სერვისებში ინვესტირებისთვის, შეიძლება არსებითად იმოქმედოს „ჯგუფის“ ზრდის პერსპექტივებსა და ლიკვიდურობაზე

ჯანდაცვის ინდუსტრია ხასიათდება სწრაფი ტექნოლოგიური მიღწევებით და „ჯგუფის“ უნარი შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა დამოკიდებულია უახლეს სამედიცინო აღჭურვილობასა და მკურნალობაში უწყვეტ ინვესტიციებზე. ამგვარ ტექნოლოგიურ განვითარებასთან შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს პაციენტების დაკარგვა მათი გადინება უკეთესი აღჭურვილობის მქონე კლინიკებში ან იმ გამოცდილი სამედიცინო პერსონალის მიერ სამსახურის დატოვება, რომელიც ეძებს უკეთეს სამუშაო ადგილს. გარდა ამისა, ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა შეიძლება გამოიწვიოს არსებული აღჭურვილობის ადრეული მოძველება, რაც პოტენციურად გამოიწვევს გაუფასურების ხარჯებს, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე.

2023 და 2024 წლებში „ჯგუფის“ განვითარებისთვის განკუთვნილმა კაპიტალურმა ხარჯებმა შეადგინა 44,603 და 43,940 ათასი ლარი, შესაბამისად. სამომავლო ტექნოლოგიური განახლებისთვის და სამედიცინო აღჭურვილობის ინვესტიციებისთვის საჭირო კაპიტალურმა დანახარჯებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს „ჯგუფის“ ლიკვიდურობაზე, რაც პოტენციურად ეჭვ ქვეშ დააყენებს ობლიგაციების ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის პროცენტისა და ძირი თანხის გადახდისუნარიანობას. შეზღუდულ თავისუფალ ფულად ნაკადებზე ხაზს უსვამს Scope-იც, მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი - *„საკრედიტო რეიტინგი“.* ახალ ტექნოლოგიებში ადეკვატური ინვესტიციის შეუსრულებლობამ, სავალდებულო კაპიტალურ ხარჯებთან ერთად, შეიძლება არსებითად დააზიანოს „ჯგუფის“ ბაზრის წილი, მომგებიანობა და გრძელვადიანი ზრდის პერსპექტივები.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, იხილოთ - “*ინვესტიციები*”.

2.2.2 სავალუტო კურსების რყევებმა გავლენა მოახდინა და შეიძლება გააგრძელოს გავლენის მოხდენა „ჯგუფის“ ფინანსურ საქმიანობაზე

„ჯგუფი“ ექვემდებარება სავალუტო რისკს ოპერაციებისა და ფინანსური ვალდებულებებიდან გამომდინარე, რომლებიც დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტაში.

ვალუტის კურსის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზარალი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის შემოსავალი და ხარჯები განსხვავდება ერთმანეთისგან ვალუტის დენომინაციის თვალსაზრისით. 2023 და 2024 წლებში ჯგუფმა დააფიქსირა წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის ცვლილებიდან გამომდინარე შესაბამისად 1,407 ათასი ლარის და 1,388 ათასი ლარის ოდენობით. სამომავლო ვალუტის ცვალებადობამ შეიძლება შემდგომი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე, ლიკვიდურობის მდგომარეობაზე და ფინანსური ვალდებულებების შესრულების უნარზე. ჯგუფის სავალუტო რისკის გავლენა ზრდის შემოსავლებისა და ფულადი სახსრების რყევების ალბათობას, რამაც შეიძლება არსებითად იმოქმედოს მის ფინანსურ სტაბილურობაზე და მთლიან ფინანსურ შედეგებზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილოთ – *„საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“* და *„რისკების მართვა“* – *„სავალუტო რისკი“.*

2.2.3 „ჯგუფის“ ბიზნეს მოდელი ეყრდნობა გადავადებულ ანაზღაურებას და შესაბამისად, დებიტორული ანგარიშების არაეფექტურმა მართვამ შესაძლოა გამოიწვიოს ლიკვიდურობის შეზღუდვა და უარყოფითად იმოქმედოს წმინდა შემოსავალზე

„ჯგუფის“ შემოსავლების ციკლი ხასიათდება გადავადებული ანაზღაურებით, განსაკუთრებით სახელმწიფოს მხრიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში და კერძო დაზღვევის პროვაიდერების მხრიდან. შედეგად, „ჯგუფი“ ინარჩუნებს დებიტორული დავალიანების მნიშვნელოვან ნაშთს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯანდაცვის მომსახურებიდან მთლიანმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 143.9 მლნ ლარი (DSO – 75.4 დღე), რომლის 62.6% სახელმწიფოს დავალიანება წარმოადგენს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯამურმა მოსალოდნელმა ზარალმა 54,024 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი საბალანსო ღირებულების 37.5%-ია, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერს ჯამურმა მოსალოდნელმა ზარალმა 47,653 ათასი ლარი შეადგინა, რამაც მთლიანი საბალანსო ღირებულების 33.6% შეადგინა. 180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებულმა მოთხოვნებმა 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით 61,898 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი საბალასო ღირებულების 43.0%-ია, იგივე მაჩვენებლები 2023 წლის ბოლოს 51,808 ათას ლარსა და 36.5%-ს შეადგენდა, შესაბამისად.

თუ „ჯგუფი“ ეფექტურად არ მართავს თავის დებიტორულ ანგარიშებს, შეიძლება წარმოიშვას ლიკვიდურობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც პოტენციურად იმოქმედებს მის უნარზე, შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები, ინვესტირება მოახდინოს გაფართოების მიზნით ან შეინარჩუნოს საოპერაციო ეფექტურობა. გარდა ამისა, ანაზღაურების დაგვიანებამ ან შემცირებამ შეიძლება გაზარდოს დამოკიდებულება გარე დაფინანსებაზე, რაც გამოიწვევს უფრო მაღალ ფინანსურ დანახარჯებს და კიდევ უფრო გაზრდის „კომპანიის“ ლევერიჯს. გაზრდილ ლევერიჯზე, შეზღუდულ თავისუფალ საოპერაციო ფულად ნაკადებსა და დაბალ FOCF/ვალის კოეფიციენტზე ყურადღებას ამახვილებს Scope საკრედიტო სარეიტინგო რეპორტში, მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი - *„საკრედიტო რეიტინგი“.* ამასთან, სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის ზრდამ შეიძლება პირდაპირ შეამციროს „კომპანიის“ წმინდა შემოსავალი, რაც უარყოფითად იმოქმედებს მის მომგებიანობაზე და მთლიან ფინანსურ მდგომარეობაზე.

2023 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა ჩაატარა უფრო დაწვრილებით ანალიზი თავისი ჯანდაცვის და სხვა მოთხოვნებთან, რომლებიც უკავშირდება მარაგების და აღჭურვილობის გაყიდვას, და აღიარა 9.5 მლნ ლარის დამატებითი რეზერვი, ასევე 8.5 მლნ ლარი სასამართლო დავების გამო, რომელიც შემდგომში ჩამოიწერა პირდაპირ მასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან. ასეთი დამატებითი ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის ხარჯი ძირითადად მიკუთვნებადია ან ერთჯერადი გაყიდვის ტრანზაქციისთვის, ან მომხმარებლებისთვის, რომლებთანაც კომპანიამ შეწყვიტა თავისი ოპერაციები გადახდის მნიშვნელოვანი დაგვიანების გამო.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ – *„საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“* – *„გაწეული ჯანდაცვის სერვისებიდან მისაღები დებიტორული დავალიანებები“, „სასამართლო დავები“* და *„რისკის მიტიგაცია“* – *„საკრედიტო რისკი“.*

2.2.4 „კომპანიამ“ შესაძლოა დაარღვიოს სასესხო ვალდებულებებით განსაზღვრული ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ლიკვიდურობაზე, იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციები სრულად არ განთავსდება და საბანკო სესხები ბოლომდე არ დაიფარება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ საბანკო სასესხო დავალიანება შეადგენს 342,347 ათას ლარს. ამგვარი სასესხო ვალდებულებები „კომპანიას“ აკისრებს სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, „ჯგუფს“ დარღვეული აქვს რამდენიმე კოვენანტი, რომლებზეც მოპოვებული აქვს გათავისუფლების წერილი (letter of waiver). კოვენანტების შესახებ მეტი ინფორმაციის სანახავად შეგიძლიათ იხილოთ „კაპიტალიზაცია და დავალიანება“. ობლიგაციების გამოშვებით „კომპანია“ გეგმავს საბანკო დავალიანების სრულად დაფარვას, რის შედეგადაც „კომპანიას“ ობლიგაციების გარდა სხვა სასესხო ვალდებულებები აღარ ექნება.

იმ შემთხვევაში, თუ ამ პროსპექტით შემოთავაზებული ობლიგაციები სრულად არ იქნება განთავსებული, აღნიშნული ხელს შეუშლის „კომპანიის“ საბანკო დავალიანების სრულ რეფინანსირებას და თუ „კომპანია“ ვერ შეასრულებს კრედიტორის მიერ დაწესებულ ვალდებულებებს, შეიძლება დაჩქარდეს სესხის დაფარვის პროცესი. ასეთმა მოვლენამ შეიძლება, თავის მხრივ, გამოიწვიოს სხვა ვალდებულებების ჯვარედინი დეფოლტი და შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ლიკვიდურობაზე, რადგან დაფარვის ვალდებულებებმა - და შედეგად მთლიანი დავალიანების რეკლასიფიკაციამ - შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საბრუნავ კაპიტალსა და საოპერაციო შედეგებზე. ვალდებულებების შესახებ დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ სარეგისტრაციო დოკუმენტის განყოფილება *„კაპიტალიზაცია და დავალიანება“*.

2.2.5 „ჯგუფის“ საოპერაციო შედეგები შესაძლოა საკმარისი არ იყოს საპროცენტო ხარჯების დასაფარად

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და პრო ფორმა საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს არსებული ვალების რეფინანსირებას და 350 მლნ ლარის ობლიგაციების გამოშვებას, „ჯგუფის“ პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR), რომელიც ითვლება, როგორც EBITDA-ს გამოკლებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი გაყოფილი საპროცენტო ხარჯზე, შეადგენდა 1.0x-ზე ნაკლებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ „ჯგუფის“ ამჟამინდელი საოპერაციო მოგება დამოუკიდებლად ვერ დაფარავს საპროცენტო ხარჯებს სრულად.

თუ „ჯგუფის“ EBITDA ვერ გაიზრდება დაგეგმილი ტემპით, „ჯგუფს“ შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი სესხის აღება პროცენტის გასასტუმრებლად. ასეთმა საჭიროებამ შეიძლება გამოიწვიოს ლევერიჯის ზრდა, ფინანსური მოქნილობის შეზღუდვა და ლიკვიდობის რისკების ზრდა.

მიუხედავად ამისა, Scope Ratings-ის 2025 წლის 18 აგვისტოს საკრედიტო შეფასების მიხედვით, „ჯგუფის“ პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (რომელიც ითვლება, როგორც EBITDA გაყოფილი საპროცენტო ხარჯებზე) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1.9x-ს. Scope ასევე ელოდება, რომ აღნიშნული კოეფიციენტი 2025–2027 წლებში გაიზრდება და 2.0x–2.3x-ს მიაღწევს. მოსალოდნელი გაუმჯობესება ეფუძნება EBITDA-ს მდგრად ზრდას, ხარჯების მართვას და დამატებითი ვალის შეზღუდულ საჭიროებას.

2.2.6 „ჯგუფის“ აქტივები დატვირთულია უზრუნველყოფით დაკავშირებული მხარის სავალო ვალდებულებების სასარგებლოდ და სააღსრულებო მოქმედებებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის ფინანსურ მდგომარეობაზე

წინამდებარე პროსპექტის თარიღისთვის, „ჯგუფის“ აქტივები, კონკრეტულად უძრავი ქონება (შენობები) დატვირთულია ვალდებულებით სს გეფა-ს საბანკო სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული სესხის ხელშეკრულებით უზრუნველსაყოფი მაქსიმალური თანხა 123,247 ათასი ლარია, რაც „ჯგუფის“ მთლიანი აქტივების 14.9%-ია.

თუ სს გეფა ვერ შეასრულებს სავალო ვალდებულებებს და „ჯგუფის“ აქტივები დარჩება აღნიშნული ვალდებულებების სასარგებლოდ, კრედიტორებს შეიძლება ჰქონდეთ უფლება აღასრულონ თავიანთი მოთხოვნები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ აქტივების დაყადაღება ან სხვა სააღსრულებო ქმედებები. ნებისმიერ ასეთ ქმედებას შეიძლება ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, ლიკვიდურობასა და ოპერაციებზე.

დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ *„კაპიტალიზაცია და დავალიანება“.*

2.2.7 „კომპანიას“ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან ერთად აქვს გაფორმებული თანასესხების ხელშეკრულება საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებასთან. დაკავშირებული მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, „კომპანიასა“ და სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფს“ (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) გაფორმებული ჰქონდათ თანასესხების ხელშეკრულება საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებასთან 36,190 ლარის ოდენობით. მხარეები იღებენ სრულ პასუხისმგებლობას დაფარონ სესხი როგორც ერთობლივად, ისე ცალკე თანასესხების ხელშეკრულების პირობების თანახმად. აღნიშნული სტრუქტურის მიხედვით, ერთი თანამსესხებლის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შესაძლოა დაეკისროს სესხის სრული ოდენობით მომსახურება.

თუ სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფი“ ვერ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას და კომპანიას მოუწევს სესხის სრული ოდენობით მომსახურება, აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, ლიკვიდურობასა და ოპერაციებზე.

2.2.8 სასესხო ვალდებულებების საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი

„კომპანიის“ მიერ მოზიდული ზოგიერთი სასესხო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი არ არის ფიქსირებული და არის ცვლადი. როგორც სასესხო ვალდებულებების პირობებით არის გათვალისწინებული, საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია TIBR განაკვეთზე. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი კი, ინფლაციის დონის და მოლოდინების, საქართველოს სუვერენული რეიტინგის და სხვა საბაზრო პირობების გათვალისწინებით შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს). საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე და შესაბამისად მის უნარზე დაფაროს „ობლიგაციების“ საპროცენტო ხარჯი

2.3 ფინანსური ანგარიშგების და აღრიცხვის რისკები

2.3.1 თუ „კომპანია“ ვერ ჩამოაყალიბებს შიდა კონტროლის ეფექტურ სისტემას, ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე შეიძლება დაირღვეს

ფინანსური ანგარიშების დროული, ზუსტი და საიმედო მომზადების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შიდა ფინანსური და სააღრიცხვო კონტროლისა და პროცედურების მუდმივი მონიტორინგი და შეფასება. საქართველოს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის თანახმად, „კომპანიამ“, როგორც ანგარიშვალდებულმა საწარმომ, შექმნა აუდიტის კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეს და უზრუნველყოფს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობას. თუ „კომპანია“ ვერ განახორციელებს გამჭვირვალე და სანდო შიდა კონტროლის პოლიტიკის განხორციელებას, მისი ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე შეიძლება დაირღვეს, რაც პოტენციურად უარყოფით გავლენას მოახდენს „კომპანიის“ სანდოობაზე, ასევე მის ფინანსურ და საოპერაციო შესრულებაზე.

2.3.2 „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოსავლების შემცირება ფასდაკლებისა და კორექტირებების გამო, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს „ჯგუფის“ მომგებიანობასა და ფულადი ნაკადების პროგნოზირებადობაზე

„ჯგუფის“ შემოსავალი ჯანდაცვის სერვისებიდან ექვემდებარება შესწორებებს და ფასდაკლებებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების პროგნოზირებადობაზე. 2024 წელს ჯამურმა შესწორებებმა და ფასდაკლებებმა შეადგინა 5.6 მილიონი ლარი, რაც მცირედით ჩამორჩება 2023 წლის 5.59 მილიონ ლარს. ამგვარი კორექტირებები ძირითადად გამოწვეულია ფასების რეტროსპექტული ცვლილებებით, აუდიტის

მოთხოვნებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან (UHC), კერძო სადაზღვევო კომპანიებთან და სხვა გადამხდელებთან სახელშეკრულებო ვალდებულებებით.

ფასდაკლებები ხშირად დაწესებულია ანგარიშსწორეს შეუსაბამობების, პოლიტიკის ცვლილებების, მარეგულირებელი აუდიტის ან სახელშეკრულებო პირობების გამო, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლების მოულოდნელი შემცირება. აღნიშნული ქმნის ფინანსურ რისკს, რადგან ჯანდაცვის მომსახურებებიდან მიღებული შემოსავალი შეიძლება მოგვიანებით შემცირდეს, რაც გავლენას მოახდენს მომგებიანობაზე და ფულადი ნაკადების პროგნოზებზე. გარდა ამისა, ანგარიშსწორების დაგვიანებამ შეიძლება გავლენა იქონიოს საბრუნავ კაპიტალზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ექვემდებარება მომსახურების შემდგომ კორექტირებას.

ნებისმიერმა მარეგულირებელმა ცვლილებამ ან მთავრობის მიერ დაწესებულმა აუდიტის გამკაცრებულმა მექანიზმებმა შეიძლება გამოიწვიოს ფასდაკლების ოდენობის გაზრდა ან გადახდების დაგვიანება. ანალოგიურად, კერძო სადაზღვევო კომპანიებმა შეიძლება შემოიღონ უფრო მკაცრი ანაზღაურების პოლიტიკა, რაც გაზრდის შემოსავლების შემდგომი შემცირების ალბათობას.

2.4 გაუთვალისწინებელ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები

2.4.1 გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო სიტუაციები, პანდემიები და სხვა, შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „ჯგუფზე“

სტიქიურმა უბედურებებმა, საგანგებო სიტუაციებმა და სხვა გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ზიანი „ჯგუფის“ოპერაციებზე, რაც გამოიწვევს საკუთრებასთან დაკავშირებულ ზიანს, ასევე მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობის შემცირებას.

ბუნებრივი კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების და პანდემიების წარმოშობა და სიმძიმე არაპროგნოზირებადია და, შედეგად, მიღებული ზიანის ზომა დამოკიდებულია მოვლენის მასშტაბსა და სიმძიმეზე. ჯგუფის საინვესტიციო ქონებამ და ძირითადმა აქტივებმა, რომლებიც დაზიანდება ბუნებრივი კატასტროფებით ან საგანგებო სიტუაციებითა და პანდემიებით დაწესებული შეზღუდვებით, შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხონ „ჯგუფის“ ოპერაციები, რაც არსებითად იმოქმედებს მათ საოპერაციო შედეგებზე.

3. ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები

3.1. ობლიგაციების საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები:

3.1.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს, რაზეც შესაძლოა დამატებით ახდენდეს გავლენას ის ფაქტი, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია;

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: კომპანიის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს ობლიგაციების საბაზრო ფასზე. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ ობლიგაციების ფასზე ან/და ეკონომიკური და საბაზრო პირობები რაიმე სხვა სახის

უარყოფით გავლენას არ მოახდენს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად გაიყიდოს იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

გარდა ზემოთ აღწერილი გარემოებებისა, ობლიგაციები უზრუნველყოფილია, რაც შესაძლოა დამატებით ახდენდეს ზეგავლენას მათ გასხვისებაზე მეორადი გარიგებების ფარგლებში, იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული მოითხოვს პროსპექტითა და შესაბამისი ხელშეკრულებებით დადგენილი დამატებითი პროცედურების შესრულებას, მათ შორის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანას აღნიშნულისთვის დადგენილი ფორმით (დეტალებისთვის იხ. „ობლიგაციების გამოშვების პირობები“).

3.1.2. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი;

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან განვითარდება და არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ობლიგაციებით სავაჭროდ აქტიური ბაზარი შესაძლოა არ არსებობდეს, მითუმეტეს ისეთ განვითარებად ეკონომიკებში როგორიც საქართველოა.

3.1.3. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად;

კომპანია ობლიგაციებზე საპროცენტო სარგებელსა და ძირითად თანხას გადაიხდის ლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ან/და შემოსავალი ძირითადად დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში („**ინვესტორის ვალუტა**“). ეს მოიცავს იმის რისკსაც, რომ ვალუტის კონვერტაციის კურსები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (იგულისხმება ის ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ლარის დევალვაციამ ან ინვესტორის ვალუტის რევალვაციამ) და ასევე იმის რისკს, რომ ხელისუფლებამ, რომლის იურისდიქციაშიც არის კომპანიის ან ინვესტორის ვალუტა, შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს სავალუტო ოპერაციების რეგულირება. ინვესტორის ვალუტის გამყარება ლართან მიმართებით შეამცირებს (i) ობლიგაციებზე ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ შემოსავალს, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი ძირითადი თანხის ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ ოდენობას და (iii) ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურად ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას.

ხელისუფლებამ და ფისკალურმა/ფულად-საკრედიტო სისტემაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა შეიძლება დააწესონ (მსგავსი გამოცდილება არსებობს სხვა ქვეყნებშიც) სავალუტო ოპერაციების იმგვარი რეგულირება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ იმაზე ნაკლები საპროცენტო სარგებელი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან.

3.2. ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები:

3.2.1. „ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს;

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება „ობლიგაციებს“. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ მეორადი გაყიდვის ფასზე.

3.2.2. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი;

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანიამ“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

3.2.3. ობლიგაციების საპროცენტო შემოსავალი შესაძლოა შემცირდეს ან გაიზარდოს მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო;

აღნიშნული ობლიგაციების გამოშვება ხდება მცურავი საპროცენტო განაკვეთით. კერძოდ ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთის „ბენჩმარკს“ წარმოადგენს დაგროვებითი (compounded) თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი (TIBR გამოქვეყნებულია შემდეგ მისამართზე: https://nbg.gov.ge/en/monetary-policy/tibr) თუ ეროვნული ბანკი შეამცირებს ან გაზრდის თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს, შესაბამისად დაკორექტირდება აღნიშნული ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი და ინვესტორი მიიღებს ნაკლებ ან მეტ საპროცენტო შემოსავალს.

3.2.4. ობლიგაციების განსხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის იწვესტორებზე დაწესებულ შეზღუდვებს;

ობლიგაციების შეთავაზება და განსხვისება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ პროსპექტის გავრცელება და ობლიგაციების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის ობლიგაციების მიყიდვა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით იყოს აკრძალული ან შეზღუდული. შესაბამისად, დაუშვებელია წინამდებარე პროსპექტის გამოყენება ამგვარ იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის ობლიგაციების შესათავაზებლად. პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება წინამდებარე პროსპექტი და პოტენციური ინვესტორები ვალდებული არიან, თავად მოიპოვონ ინფორმაცია ამგვარი აკრძალვების შესახებ და უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნებს შესაბამის იურისდიქციაში.

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის (US Securities Act of 1933) (შემდგომში „**აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონი**“) ან აშშ-ს რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის ან რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ ექვემდებარება ამგვარ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

3.2.5. საკრედიტო ხელშეკრულებითა და „ობლიგაციების“ პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს;

„კომპანიამ“ ან მისმა შვილობილმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ აამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე, მათ შორის, თუ ასეთი ვალდებულებების ჯამური მოცულობა გადააჭარბებს „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ 10 (გ) პუნქტში გაწერილ ლიმიტს, შეიძლება დადგეს ჯვარედინი დეფოლტის შემთხვევა.

3.2.6. „ობლიგაციების“ არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები;

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ.

ინფორმაცია ობლიგაციების ფინანსურ შეზღუდვებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ სექციაში: „ობლიგაციების გამოშვების პირობები“.

3.2.7. მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე;

ობლიგაციების პირობები მოიცავს ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესებს, რათა განხილული იქნეს ის საკითხები, რომლებიც ზოგადად გავლენას ახდენს ობლიგაციონერების ინტერესებზე. აღნიშნული პირობები უშვებს განსაზღვრული უმრავლესობის მიერ დანარჩენი ობლიგაციონერებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას, იმ ობლიგაციონერების ჩათვლით, რომლებიც არ ესწრებოდნენ კრებას და რომლებმაც ხმა მისცეს უმრავლესობის წინააღმდეგ. (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ქვეპუნქტი 11. „ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა“)

3.2.8. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის;

ობლიგაციებს აქვთ გამოსყიდვის ოფცია, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მხრიდან აღნიშნული ოფციის გამოყენების შემთხვევაში, ობლიგაციონერები მიიღებენ პროსპექტის პირობებით განსაზღვრულ ფასს (ობლიგაციების პირობების 7 (დ) პუნქტი - ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვა), რაც შესაძლოა იყოს ნაკლები, ვიდრე ობლიგაციონერები მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში. არსებობს რისკი, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში, კომპანიამ აღნიშნული ოფცია გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციონერებს უფრო მცირე საპროცენტო განაკვეთების პირობებში მოუწევთ თანხების რეინვესტირება, რაც გულისხმობს, რომ ისინი ნაკლებ უკუგებას მიიღებენ თავიანთ ინვესტორებულ თანხებზე, ვიდრე მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრულის ხანდაზმის შემთხვევაში.

3.2.9. სოლიდარულ თავდებობასთან, იპოთეკასთან და გირავნობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და „ობლიგაციების“ გადაცემასთან დაკავშირებული რისკები;

ობლიგაციები უზრუნველყოფილი იქნება გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით, იპოთეკით და გირავნობით, უძრავი და მოძრავი ქონებით („ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მიხედვით). სოლიდარული თავდებობის საფუძველზე გარანტორებს წარმოეშობათ ობლიგაციონერების ყველა ვადამოსული და გადაუხდელი ვალდებულების დაკმაყოფილების ვალდებულება სოლიდარულად, ამ პროსპექტით და შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. იპოთეკის და გირავნობის საფუძველზე, ობლიგაციონერებს უფლება აქვთ, დეფოლტის შემთხვევაში, ვადამოსული და გადაუხდელი მოთხოვნები დაიკმაყოფილონ უზრუნველყოფილი აქტივების ფარგლებში, ამ პროსპექტით და შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო და აღნიშნულთან მიმართებით, მოთხოვნები მაქსიმალურად განსაზღვრულია ამ პროსპექტითა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით. ამის მიუხედავად, უზრუნველყოფების გაფორმება და შესაძლოა შეფერხდეს დადგენილი პროცესების ნაკლებად მოქნილი ფორმატის, გარიგების მონაწილე თუ სხვა არსებული ინვესტორების მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელების თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ასევე, პოტენციურმა ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თავდებობა, იპოთეკა და გირავმობა არ იქნება წარმოშობილი / გაფორმებული ფასიანი ქაღალდების შეთავაზების მომენტში, რა დროსაც ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სოლიდარული თავდებობის, იპოთეკის და გირავნობის ხელშეკრულების სამუშაო ვერსია, წინამდებარე პროსპექტში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე, თუმცა, ამასთან, ობლიგაციების სრულად განთავსების თარიღიდან 60 სამუშაო დღის ვადაში ემიტენტი უზრუნველყოფს სოლიდარული თავდებობის, იპოთეკის და გირავნობის ხელშეკრულების ხელმოწერას,და დასატვირთ ქონებებზე იპოთეკისა და გირავნობის რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;

3.2.10. ობლიგაციების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მესამე მხარის სასარგებლოდ არსებულმა ან საგადასახადო იპოთეკა/გირავნობამ;

მიუხედავად იმისა, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია და ობლიგაციის მფლობელები დარეგისტრირდებიან მოგირავნეებად/იპოთეკარებად, არსებობს იმის რისკი, რომ ობლიგაციების მფლობელების უფლებებზე უარყოფითად აისახოს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაწესებული საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, თუ ობლიგაციის მფლობელი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი ან სებ-ის მიერ განვითარებულ ქვეყნად აღიარებული ქვეყნის მიერ ლიცენზირებული ბანკი (ასეთი ქვეყნების ჩამონათვალი ძირითადად მოიცავს ევროპის ქვეყნებს და ჩრდ. ამერიკას), ასეთ შემთხვევაში საქართველოს შემოსავლების სამსახური სარგებლობს უპირატესი უფლებით და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა (იმ შემთხვევაშიც, თუ აქტივი დაგირავებულია ობლიგაციების მფლობელების სასარგებლოდ) შესაძლოა მიიმართოს საგადასახადო ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.

თუ ობლიგაციის მფლობელი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი ან სებ-ის მიერ განვითარებულ ქვეყნად აღიარებული ქვეყნის მიერ ლიცენზირებული ბანკი, ასეთ შემთხვევაში საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაწესებულ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკას ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ დაწესებულ აკრძალვას, რომელიც დაწესდა როგორც წინასწარი აღსრულების მექანიზმი, შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა ობლიგაციის მფლობელთა უფლებებზე. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შეზღუდვები არ სარგებლობს უპირატესი უფლებით ობლიგაციის მფლობელებთან მიმართებაში და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა პირველ რიგში მიიმართება ობლიგაციების მფლობელების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ამ შეზღუდვებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის გადახდისუუნარობა/გაკოტრება და ობლიგაციების გამოსყიდვა მფლობელების კონტროლის გარეშე.

3.2.11. თუ არ განხორციელდა იპოთეკისა და გირავნობის უფლების სათანადო წესით რეგისტრაცია, ობლიგაციონერი იქნება მხოლოდ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი კრედიტორი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იპოთეკა და გირავნობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. შესაბამისად, თუ ობლიგაციონერი არ უზრუნველყოფს პროსპექტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას, მათ შორის, ნებისმიერი და ყველა საჭირო ან აუცილებელი

ინფორმაციის/დოკუმენტის მიწოდებას და იპოთეკის, გირავნობისა და თავდებობის ხელშეკრულებებზე ხელის მოწერას განსაზღვრულ ვადებში, ემიტენტი ვერ განახორციელებს ობლიგაციონერის სასარგებლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის რეგისტრაციას და, შესაბამისად, ამგვარი ობლიგაციონერის მოთხოვნა „ემიტენტის“ წინააღმდეგ იქნება მხოლოდ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი. „ემიტენტი“ და განთავსების აგენტი პასუხისმგებლობას არ იღებენ იმ შემთხვევებზე, როდესაც იპოთეკის ან/და გირავნობის უფლების ობლიგაციონერის სასარგებლოდ რეგისტრაცია ვერ განხორციელდა ამავე ობლიგაციონერის მიერ განთავსების აგენტის ინსტრუქციებისა და პროცედურების, ისევე როგორც - „ობლიგაციების“ გამოშვების პირობების შესაბამისი დებულებების შეუსრულებლობის ან გაჭიანურებული შესრულების გამო.

3.3. ობლიგაციების და მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:

3.3.1. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრაზე;

ობლიგაციების გამოშვების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, არსებულ ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პრაქტიკაში სამომავლოდ არ შევა/განხორციელდება რაიმე ცვლილება, რომელიც არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს, მათ შორის, ობლიგაციების სამომავლო ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებაზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, გარიგებების დადებისა და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე - არასაბირჟო მეორად ბაზარზე. ამასთან, მომავალში ობლიგაციონერების მიერ ობლიგაციებიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღები წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

3.3.2. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის, კალკულაციის აგენტისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს;

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადახდას განახორციელებს იმ ობლიგაციონერების ან/და ანგარიშის მწარმოებლის სასარგებლოდ, ცენტრალური დეპოზიტარის ანგარიშზე გადარიცხვის გზით. ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს დეპოზიტარის და, შესაბამის შემთხვევებში, შესაბამისი ანგარიშის მწარმოებლის ან კალკულაციის აგენტის მიერ დადგენილ პროცედურებს. კომპანია არ კისრულობს რაიმე პასუხისმგებლობას ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სიზუსტეზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორების დროს ემიტენტი პასუხისმგებლობას არ იღებს სხვა პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

ობლიგაცი(ებ)ის შეძენით თითოეული ობლიგაციონერი (და, შესაბამის შემთხვევებში, ანგარიშის მწარმოებელი) თანხმობას აცხადებს, რომ ობლიგაციების გამოშვების პირობების კომპანიის მიმართ აღსრულების უფლება აქვს მხოლოდ ობლიგაციონერების წარმომადგენლის მეშვეობითა და პროსპექტით დადგენილი წესით. ამასთანავე, საკუთარი მოვალეობების შესრულებისას, ობლიგაციონერების წარმომადგენელი ითვალისწინებს ობლიგაციონერების - როგორც კლასის - ინტერესებს და არა იმ შედეგებს, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს მის მიერ მოვალეობების შესრულებას ცალკეული ობლიგაციონერისათვის, და ობლიგაციონერების სახელით ქმედებების განხორციელებისას, მას ეძლევა ანაზღაურების გარანტია და თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან პროსპექტით და ობლიგაციონერთა წარმომადგენლის ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

დამატებით, ობლიგაციების სტრუქტურა მოიაზრებს ობლიგაციონერების წარმომადგენლის არსებობას, რომლის შესაბამისი სრული საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ჩარჩო ამ ეტაპისთვის არ არსებობს და აღნიშნულთან

მიმართებით, ობლიგაციონერთა უფლებები სრულად განსაზღვრულია ობლიგაციონერების წარმომადგენელთან შეთანხმებულ სახელშეკრულებო პირობებში და „ობლიგაციების გამოშვების პირობებში“.

3.3.3. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას;

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გირაოს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შეძენას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩევლებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

3.3.4. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში: „ობლიგაციის გამოშვების პირობები“.

3.3.5. არსებობს პოტენციური კონფლიქტის რისკი „კომპანიასა“ და განთავსების აგენტ 1-ს შორის, ისევე როგორც განთავსების აგენტ 1-სა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია „განთავსების აგენტ 1-თან“, კერძოდ, „განთავსების აგენტი 1-ისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „Lion Finance Group PLC”. ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტ 1-ს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტ 1-სა“ და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტ 1-სა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტი 1“-ს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „საქართველოს ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი 1“.

მეორე მხრივ, ემიტენტი და განთავსების აგენტი 1, რომელიც ასევე მოქმედებს როგორც კალკულაციისა აგენტის სახით (გალტ & თაგარტი) დაკავშირებულები არიან არაპირდაპირ. ემიტენტი წარმოადგენს „Georgia Capital PLC“-ის 100%-იან შვილობილ კომპანიას („უკანასკნელი მშობელი“), რომელიც ასევე არაპირდაპირ ფლობს 19.7%-იან წილს (ხმის მიცემის უფლების გარეშე) „Lion Finance Group PLC“-ში (იგივე „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, იგივე „BGEO Group”), რომელიც თავის მხრივ, ფლობს სს „გალტ ენდ თაგარტის“ 100%-ს. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არ არის არსებითი, იმის გათვალისწინებით, რომ მას გააჩნია წილი „გალტ ენდ თაგარტში“ ხმის მიცემის უფლების გარეშე. ასევე, აღნიშნული კომპანიების მმართველ ორგანოთა წევრები ერთმანეთისგან სრულად განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციულ საფუძველზე.
ემიტენტი და განთავსების აგენტი 2 (შპს თიბისი კაპიტალი) არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

ემიტენტის აუდიტორები და ნებისმიერი მესამე მხარე და/ან ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობენ პროსპექტის მომზადებაში, არ არიან დაკავშირებული არც განთავსების აგენტ 1-თან და არც განთავსების აგენტ 2-თან და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

3.3.6. არსებობს პოტენციური კონფლიქტის რისკი „კომპანიასა“ და განთავსების აგენტ 2-ს შორის, ისევე როგორც განთავსების აგენტ 2-სა და სს „თიბისი ბანკს“ შორის

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის ერთ-ერთი განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“. არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია „განთავსების აგენტ 2-თან“ („განთავსების აგენტი 2“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, „განთავსების აგენტ 2-სა“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტ 2-სა“ და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტ 2-სა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტ 2-სა“ და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტ 2“-ს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი 2“.

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება

ემიტენტი გეგმავს ობლიგაციების გამოშვებას 350 მილიონ ლარამდე ნომინალური ღირებულებით, საიდანაც წმინდა შემოსავალი იქნება მოზიდული სახსრების არანაკლებ [98,5]%-ისა.

ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრები გამოყენებული იქნება არსებული სასესხო ვალდებულებების ნაწილის რეფინანსირებისთვის და კომპანიის კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, კომპანიის სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად. ჯამური მოზიდული სახსრებიდან 250 მილიონი ლარი მოხმარდება არსებული გრძელვადიანი სესხების რეფინანსირებას, რომელთა რეფინანსირებაც მოხდება გამოშვების თარიღიდან 20 სამუშაო დღეში. 100 მილიონი ლარი მოხმარდება კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას, სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისად (ამ მოცულობიდან კომპანიას 50 მილიონი ლარის კაპიტალური დანახარჯები უკვე გაწეული აქვს, რისთვისაც 2025 წელს მოიზიდა მოკლევადიანი დროებითი (bridge) სესხები, რომლებიც დარეფინანსირდება გამოშვებული ობლიგაციებით). სესხების რეფინანსირება მოხდება ობლიგაციების გამოშვებიდან საორიენტაციოდ 20 დღის ვადაში. კომპანიის საბანკო ვალდებულებების უმეტესი ნაწილი დენომინირებულია ლარში, ნაწილი - უცხოურ ვალუტაში. 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით ჯგუფის ჯამური საბანკო ვალდებულებები შეადგენდა დაახლოებით 365 მილიონ ლარს. კომპანია დარჩენილ (300 მილიონ ლარს ზემოთ არსებულ) სასესხო ვალდებულებებს ჩაფარავს თავისუფალი ფულადი სახსრებით.

ემიტენტი ვალდებულია, გირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების გაფორმებამდე, მაგრამ არაუგვიანეს ობლიგაციების თავდაპირველ ობლიგაციონერებზე განთავსების თარიღიდან 50 სამუშაო დღის განმავლობაში, გააუქმოს იმ არსებულ სესხებთან დაკავშირებული ყველა უზრუნველყოფა, (მათ შორის, ნებისმიერი გარანტიაა ან უზრუნველყოფა, რომელიც დაკავშირებულია მის დაკავშირებულ პირებზე გაცემულ სესხებთან), რომლებიც დარეფინანსირდა ობლიგაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავლებით, და უზრუნველყოს („ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ პუნქტი 14-ის („შეტყობინებები“) შესაბამისად) ობლიგაციონერებისათვის მისაღები ფორმით და შინაარსით შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენა აღნიშნული დაფინანსების განულების და უზრუნველყოფის გათავისუფლების შესახებ.

რეფინანსირებადი სესხების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „კაპიტალიზაცია და დავალიანება“. ემისიასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ ობლიგაციების გამოშვების პირობები და „შეთავაზების პირობების დოკუმენტი”.

სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს მიმოხილვა

მოზიდული სახსრების გამოყენება……..

„ემიტენტი“ გამოყოფს შემოსავალს იმ სოციალური ობლიგაციებიდან პროექტების **დასაფინანსებლად ან რეფინანსირებისთვის,** რომლებიც მიმართულია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. აღნიშნული თანხები ხელს შეუწყობს ახალი საავადმყოფოების/მომსახურების განვითარებას, არსებული სამედიცინო დაწესებულებების გაფართოებას,მოდერნიზაციასა და თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობის შეძენას. გარდა ამისა, ინვესტიციები განხორციელდება ლაბორატორიული მომსახურებების, სამედიცინო პროცესების ოპტიმიზაციისა და პაციენტზე ზრუნვის გასაუმჯობესებლად და ა.შ.

ემიტენტის სამიზნე აუდიტორიაში არიან (მაგრამ არ იზღუდება) დაბალი და საშუალო შემოსავლიანი ჯგუფები, შორეულ რაიონებში მცხოვრები ინდივიდები, ქრონიკული ან მძიმე მდგომარეობების მქონე პაციენტები და ფართო საზოგადოება. აღნიშნულით, „ემიტენტი“ მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ხარისხი, პაციენტებს შესთავაზოს უფრო სპეციალიზირებული სერვისები და გააუმჯობესოს პაციენტის გამოცდილება და სხვა.

პროექტის შეფასება და შერჩევა

იმის უზრუნველსაყოფად, რომ თანხები მიმართული იქნება შესაბამისი ინიციატივებისკენ, „ემიტენტმა“ შექმნა სოციალური ობლიგაციების კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი პროექტების შეფასებასა და შერჩევაზე. აღნიშნული კომიტეტი იკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც, რათა განიხილოს **დასაშვები სოციალური პროექტების/დანახარჯების პორტფელი** და უზრუნველყოს სოციალური ობლიგაციების ჩარჩოსთან შესაბამისობა. პროექტები ფასდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. აღნიშნული კრიტერიუმის შედეგად, ხდება ისეთი პროექტების დაფინანსება, რომელსაც დადებითი გავლენა აქვს სოციუმსა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე. ნებისმიერი პროექტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ სტანდარტებს, ვერ დაფინანსდება. ამგვარად ჩამოყალიბებული შეფასების პროცესი ხელს უწყობს გამჭვირვალობის შენარჩუნებასა და უზრუნველყოფს სოციალური ობლიგაციებიდან მიღებული სახსრების ეფექტურად გამოყენებას.

მოზიდული სახსრების მენეჯმენტი……..

ემიტენტის ფინანსური გუნდი ზედამხედველობს მოზიდული სახსრების მართვას და განაწილებას დასაშვები პროექტებისთვის. მოსალოდნელია, რომ თანხა სრულად განაწილდება ათვისებიდან 36 თვის განმავლობაში, კორექტირებები განხორციელდება განვითარებადი პროექტის საჭიროებებზე დაყრდნობით. განაწილებამდე, სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, გამოუყენებელი სახსრები განთავსდება ფულისა და ფულის ეკვივალენტების სახით. ამგვარი პროცესი უზრუნველყოფს, რომ ობლიგაციებიდან მიღებული სახსრები განკუთვნილი იქნება ისეთი სოციალური მიზნებისთვის, რომელიც თანხვედრაშია კომპანიის მხრიდან აღებულ ვალდებულებებთან.

რეპორტინგი და გარე მიმოხილვა……..

ემიტენტს, სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს ფარგლებში, ეკისრება მოთხოვნები გამჭვირვალობასთან და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, კომპანია გამოაქვეყნებს ყოველწლიურ **განაწილების ანგარიშებს,** მანამ სანამ მიღებული სახსრები სრულად არ განაწილდება. ამგვარი ანგარიშები აღწერს ახალი პროექტებისთვის და რეფინანსირებისთვის გამოყოფილი თანხების პროცენტულ გადანაწილებას, ნებისმიერი

გამოუყენებელი სახსრების სტატუსს და დაფინანსებული ინიციატივების საერთო ფინანსურ ნაწილს. გარდა ამისა, გამოქვეყნდება **ზემოქმედების ანგარიშები** დაფინანსებული პროექტებით მიღწეული სოციალური სარგებლის შესაფასებლად. ძირითადი ინდიკატორები მოიცავს:

- პაციენტთა რაოდენობას, რომლებიც სარგებლობენ ჯანდაცვის ან სამედიცინო მკურნალობით;
- ჩატარებული ტესტების რაოდენობას;
- ელექტრონულ ჯანდაცვის მომსახურებებზე წვდომის მქონე ბენეფიციართა რაოდენობას და ა.შ.

ICMA-ს მიერ დადგენილ სოციალური ვალდებულებების პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ემიტენტმა შესაძლოა ჩაატაროს შეფასება - დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რათა განიხილოს მიღებული სახსრების განაწილება და დაადასტუროს, რომ კომპანიამ წარმატებით შეასრულა ჩარჩოდან გამომდინარე ვალდებულებები.

სოციალური ობლიგაციების კომიტეტი

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, „კომპანიაში“ შექმნილია და სრულად დაკომპლექტებულია სოციალური ობლიგაციების კომიტეტი. კომიტეტის წევრებმა განიხილეს „კომპანიის“ მიერ დაგეგმილი სოციალური ობლიგაციების სტრუქტურა, მიზნები და თანხების გამოყენების ძირითადი მიმართულებები. განხილვის შედეგად კომიტეტმა შეარჩია დაშვებული პროექტები შესაბამისი მოთხოვნების დაცვით.

მეორე მხარის მოსაზრების (SPO) შეჯამება

სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა შეიმუშავა სოციალური ობლიგაციების ჩარჩო, რომელიც სრულად შეესაბამება 2023 წლის საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების ასოციაციის (ICMA) მიერ გამოცემულ სოციალური ობლიგაციების პრინციპებს (SBP) და საქართველოს ეროვნულ ბანკის სოციალურ ტაქსონომიას. ჩარჩო შეფასდა Scope ESG Analysis GmbH-ის („**Scope**“) მიერ, Scope იყო მეორე მხარის მოსაზრების პროვაიდერი. Scope-ის დასკვნით, ჩარჩო სრულად შეესაბამება საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ სოციალური ობლიგაციების პრინციპებს და მიიღო უმაღლესი სოციალური ზეგავლენის რეიტინგი - „Transformative Human Score“.

ტრანსფორმაციული რეიტინგი ასახავს კომპანიის მაღალი დონის შესაბამისობას ქვეყნის ჯანდაცვის პრიორიტეტებთან, ნათლად განსაზღვრულ მდგრადობის სტრატეგიას, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების ეფექტიან მმართველობას და გამჭვირვალე მმართველობით სისტემას, რომლებიც უზრუნველყოფს პროექტების შერჩევის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესების სანდოობას.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ სრული დოკუმენტები „კომპანიის“ ვებ-გვერდზე: ghg.com.ge

სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (ს/ნ: 405746634)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: *„პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს მისთვის* ცნობილ ყველა არსებით ფაქტს და არ მომხდარა იმგვარი ინფორმაციის გამოტოვება, რომელიც გავლენას მოახდენს პროსპექტის შინაარსზე“.

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ *“როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის მათთვის ცნობილი გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.“*

შეთავაზებაში ჩართული პირები:

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი: ემიტენტის ფინანსური აუდიტორია შპს „იუაი” („EY”). ს/ნ: 204441158. მისამართი: 44, კოტე აფხაზის ქ., თბილისი, საქართველო. ელ-ფოსტა: info@ge.ey.com

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების განმავლობაში კომპანიის ფინანსური აუდიტორი არ შეცვლილა.

საკრედიტო რეიტინგის სააგენტო: კომპანიას და ობლიგაციებს საკრედიტო რეიტინგი მინიჭებული აქვთ Scope Ratings-ისგან.

მეორე მხარის დასკვნის პროვაიდერი: Scope ESG Analysis GmbH

ემიტენტის დეპოზიტარი: სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი (ს/ნ: 204935400), საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N 71, ოფისი N 7, სართული 7, ბლოკი 10; ტელ: (995 32) 2 50 02 11; ელ. ფოსტა: info@gcsd.ge (ემიტენტი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას ობლიგაციების გამოშვებამდე).

განთავრების აგენტი 1, კალკულაციის აგენტი: სს გალტ ენდ თაგარტი (ს/ნ 211359206); მისამართი: საქართველო, თბილისი 0105, პუშკინის ქ. 3; ელ.ფოსტა: st@gt.ge; sales@gt.ge;; ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/en; ტელ.: (+995 32) 2 40 11 11

განთავსების აგენტი 2: შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961); ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge; ვებ-გვერდი: tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 97.

ობლიგაციების მფლობელის წარმომადგენელი: შპს „სუქნიძე და პარტნიორები“ (ს/კ 405413299), ელ-ფოსტა: office@alfg.ge, ტელ: 551 14 30 66, მის: ი. აბაშიძის ქ. 34.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო ხარჯები
ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

• კავშირი, ერთი მხრივ, ემიტენტს და, მეორე მხრივ, განთავსების აგენტებს შორის

ემიტენტი და განთავსების აგენტი 1, რომელიც ასევე მოქმედებს როგორც კალკულაციის აგენტის სახით (გალტ & თაგარტი) დაკავშირებულები არიან არაპირდაპირ. ემიტენტი წარმოადგენს „Georgia Capital PLC“-ის 100%-იან შვილობილ კომპანიას („უკანასკნელი მშობელი“), რომელიც ასევე არაპირდაპირ ფლობს 19.7%-იან წილს (ხმის მიცემის უფლების გარეშე) „Lion Finance Group PLC“-ში (იგივე „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, იგივე „BGEO Group”), რომელიც თავის მხრივ, ფლობს სს „გალტ ენდ თაგარტის“ 100%-ს. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არ არის არსებითი, იმის გათვალისწინებით, რომ მას გააჩნია წილი „გალტ ენდ თაგარტში“ ხმის მიცემის უფლების გარეშე. ასევე, აღნიშნული კომპანიების მმართველ ორგანოთა წევრები ერთმანეთისგან სრულად განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციულ საფუძველზე.

ემიტენტი და განთავსების აგენტი 2 (შპს თიბისი კაპიტალი) არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

ემიტენტის აუდიტორები და ნებისმიერი მესამე მხარე და/ან ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობენ პროსპექტის მომზადებაში, არ არიან დაკავშირებული არც განთავსების აგენტ 1-თან და არც განთავსების აგენტ 2-თან და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

• კავშირი განთავსების აგენტებს და პოტენციურ ინვესტორებს შორის

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია „განთავსების აგენტ 1-თან“, კერძოდ, „განთავსების აგენტი 1-ისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „Lion Finance Group PLC”. ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტ 1-ს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტ 1-სა“ და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტ 1-სა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტი 1“-ს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „საქართველოს ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი 1“.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია „განთავსების აგენტ 2-თან“ („განთავსების აგენტი 2“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, „განთავსების აგენტ 2-სა“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტ 2-სა“ და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტ 2-სა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო

მესამე მხრივ „განთავსების აგენტ 2-სა“ და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტ 2“-ს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;
(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი 2“.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

ემიტენტი - **სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“** (ს/ნ: 405746634). იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, №24ა. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 17 დეკემბერი.

„ჯგუფის“ ოპერაციები 1990 წლიდან დაიწყო და ბაზარზე ოპერირებდა დამოუკიდებელი სადაზღვევო კომპანიის - „ალდაგის“ სახელით. „ჯგუფი“ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანად გაიზარდა, რაც ჯანდაცვის ცენტრალიზებული მართვის მოდელით არის განპირობებული. „ემიტენტი“ იყო პიონერი საქართველოში რეგიონული კლასტერული მოდელისა და რეფერალური იერარქიის დანერგვაში, რაც მას საშუალებას აძლევს, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულება ერთი სტრუქტურის ფარგლებში ეფექტიანად მართოს. „კომპანია“, როგორც ქვეყნის უმსხვილესი ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერი, ოპერირებს ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურით და საქართველოს სწრაფად მზარდ, ძირითადად კერძო საკუთრებაში არსებულ ბაზარზე, მომხმარებლებს სთავაზობს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების ფართო და მრავალმხრივ სპექტრს.

„ჯგუფი“ მუდმივად ორიენტირებულია მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაზე, რაც აისახება მისი საქმიანობის ძირითად ოთხ მიმართულებაში: i. **დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები,** ii. **რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები,** iii. **პოლიკლინიკები**, iv. **დიაგნოსტიკა**. თითოეული რეგიონული კლასტერი ფუნქციონირებს სტრუქტურირებული რეფერალური იერარქიის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პაციენტების სწორად მართული ნაკადით გადამისამართებას - ადგილობრივი ექიმებიდან და საზოგადოებრივი ჰოსპიტლებიდან, დიდ, სპეციალიზებულ რეფერალურ ჰოსპიტლებში მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მისაღებად. დამატებით, სპეციალიზებული სასწრაფო დახმარების მომსახურება უზრუნველყოფს პაციენტების დროულ და კოორდინირებულ გადაყვანას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში სისტემის ფარგლებში.

„ჯგუფი“ საქართველოში ახორციელებს მრავალპროფილური ჯანდაცვის ქსელის ოპერირებას, რომელიც მოიცავს შვიდ დიდ და სპეციალიზებულ ჰოსპიტალს, 27 რეგიონულ და საზოგადოებრივ ჰოსპიტალს, 16 პოლიკლინიკასა და ერთ დიაგნოსტიკურ ცენტრს. ჰოსპიტლები უზრუნველყოფს კრიტიკული და სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებების მიწოდებას, მათ შორის ონკოლოგია, პედიატრიული ონკოლოგია, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია და სქესის შეცვლის ოპერაცია. რეგიონული ჰოსპიტლები და კლინიკები აუცილებელ დიაგნოსტიკურ და სამკურნალო სერვისებს უზრუნველყოფს, ხოლო „ჯგუფის“ დიაგნოსტიკური მიმართულება, „მეგალაბი“, წარმოადგენს კავკასიის რეგიონში უმსხვილეს სამეცნიერო და კვლევით ცენტრს, რომელიც ახორციელებს მოწინავე ონკოლოგიურ და მოლეკულურ კვლევებს დიაგნოსტიკის მიმართულებით.

„კომპანიას“ მოპოვებული აქვს B+ რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით Scope Ratings-სგან.

ორგანიზაციული სტრუქტურა



„ჯგუფი“ ამჟამად ოპერირებას უწევს ოთხ ძირითად ბიზნესმიმართულებას. 2024 წლის მეოთხე კვარტლამდე, „GHG“-ის შემადგენლობაში შედიოდა ფარმაცევტული მიმართულებაც (სს „გეფა“). თუმცა, დედა კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილების შედეგად, „GHG“ გამოეყო ფარმაცევტულ სეგმენტს და ამჟამად ორივე კომპანია დამოუკიდებლად ფუნქციონირებს „GCAP“-ის ქოლგის ქვეშ. ვინაიდან „გეფას“ და „GHG“-ის ჯანდაცვის მიმართულების მმართველი გუნდები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, გამოყოფა შეესაბამება იმ სტრატეგიულ მოსაზრებას, რომ აღნიშნული სუბიექტები უნდა ფუნქციონირებდნენ სხვადასხვა ჰოლდინგური სტრუქტურების ფარგლებში.

შერწყმის, შეძენისა და გამოყოფის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი -*„ემიტენტის ბიზნესსაქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები“.* შვილობილი კომპანიების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი – *„შვილობილი კომპანიები“.*

ქვემოთ წარმოდგენილია მოქმედი ბიზნეს მიმართულებების მიერ შეთავაზებული ექსკლუზიური და სხვა სახის მომსახურებების მოკლე მიმოხილვა:

ბიზნეს მიმართულება	მოკლე აღწერა	შემოსავლის სტრუქტურა, 2024
დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები	ჰოსპიტლების ბიზნესი წარმოადგენს მრავალფეროვანი სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების ექსკლუზიურ მიმწოდებელს, მათ შორის: • ონკოლოგია • პედიატრიული ონკოლოგია • ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია • სქესის შეცვლის ოპერაცია	

	ექსტრაკორპორალური განაყოფიერება (სუროგაცია), და სხვა.	
რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები	• ნეიროქირურგია – თავის ტვინისა და ხერხემლის ოპერაციები, მათ შორის ტრავმებისა და სიმსივნეების მკურნალობა • ენდოსკოპიური დიაგნოსტიკა • კომპიუტერული ტომოგრაფია (CT/კტ) – 160 შრიანი კტ მაღალი სიზუსტის დიაგნოსტიკისთვის ქირურგია და ინტენსიური თერაპია და სხვა	
კლინიკები	საქართველოში ყველაზე დიდი პოლიკლინიკების ქსელი, რომელიც მოიცავს 16 სამედიცინო დაწესებულებას და მომხმარებლებს სთავაზობს: • ამბულატორიულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას • სპეციალიზებულ მომსახურებას ტრანსპლანტოლოგიის, ჰემატოლოგიის, რადიოლოგიის, ოფთალმოლოგიისა და 38-ზე მეტი სამედიცინო მიმართულების ფარგლებში	
დიაგნოსტიკა	სთავაზობს როგორც საბაზისო, ისე გაფართოებულ ანალიზებს ონკოლოგიასა და მოლეკულურ დიაგნოსტიკაში - მომსახურებებს, რომლებიც მანამდე საქართველოში ხელმისაწვდომი არ იყო. ფუნქციონირებს როგორც ლაბორატორიული ჰიპერმარკეტი, რომელიც იყენებს მაღალი გამტარუნარიანობის ავტომატიზებულ სისტემებს.	



- **დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები**

„ჯგუფი“ უზრუნველყოფს მრავალპროფილურ და სრულფასოვან სამედიცინო მომსახურებას ყველა ასაკის პაციენტისთვის. „ჯგუფი“ პაციენტებს სთავაზობს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებათა ფართო სპექტრს, მათ შორის ონკოლოგიას, პედიატრიულ ონკოლოგიას (სპეციალიზებული მკურნალობა ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისთვის), ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციას, სქესის შეცვლის ოპერაციებს და ექსტრაკორპორალურ განაყოფიერებას (სუროგაცია). ქვემოთ წარმოდგენილია ამ ქვედანაყოფში შემავალი ბიზნეს მიმართულებებისა და მათი შესაბამისი მომსახურებების მიმოხილვა.

ბიზნეს მიმართულება	**აღწერა**
კავკასიის მედიცინის ცენტრი (CMC)…….	კავკასიის მედიცინის ცენტრი („**CMC**“) არის საქართველოში პირველი მრავალპროფილური რეფერალური ჰოსპიტალი, რომელსაც მინიჭებული აქვს „JCI“-ის აკრედიტაცია - ჯანდაცვის სფეროში პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვის ოქროს სტანდარტი. როგორც წამყვანი სამედიცინო დაწესებულება, CMC სთავაზობს მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ და სამკურნალო მომსახურებებს, მათ შორის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციას, რქოვანის გადანერგვას, კარდიოლოგიასა და გულსისხლძარღვთა ქირურგიას, ნევროლოგიასა და თერაპიას, ზოგად ქირურგიას, თორაკალურ ქირურგიას, გინეკოლოგიურ ჩარევებს, ონკოჰემატოლოგიასა და ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურ ოპერაციებს.
კარაპს მედლაინი……	**დიღმის ფილიალი**

- კარაპს მედლაინის დიღმის ფილიალი არის თანამედროვე, მაღალი სტანდარტების მრავალპროფილური კლინიკა. საწყის ეტაპზე, კლინიკის მთავარ მიმართულებას პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია წარმოადგენდა, დღეისათვის სთავაზობს სრულყოფილ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებებს. მათ შორისაა ინ ვიტრო განაყოფიერება, გინეკოლოგია, საოფისე გინეკოლოგია, ზოგადი ქირურგია, მამოლოგია და ორთოპედ-ტრავმატოლოგია. ჰოლისტურ და პაციენტზე ორიენტირებული მიდგომით სამედიცინო ცენტრი თითოეულ შემთხვევას კონსილიუმის მეთოდით განიხილავს, რაც უზრუნველყოფს მულტიდისციპლინურ შეფასებასა და მკურნალობას.

ვაკის ფილიალი

- კარაპს მედლაინის ვაკის ფილიალი საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტებით შექმნილი ესთეტიკური კლინიკაა, რომელიც პაციენტებს სილამაზეზე ზრუნვას კლინიკური გამოცდილების ბაზაზე სთავაზობს. ხელმისაწვდომია დერმატო-კოსმეტოლოგია (სამკურნალო და მოვლის აპარატურული, ინექციური და არაინექციური პროცედურები), პლასტიკური ქირურგია, ესთეტიკური გინეკოლოგია (კონსულტაცია, კოლპოსკოპია Dysis, MonaLisa Touch) და სხეულის გაჯანსაღებაზე ორიენტირებული თერაპია. გამორჩეული სერვისია პერსონალური მოვლა, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დაგეგმვა-კონსულტირებას გულისხმობს. კარაპს მედლაინის ვაკის ფილიალი აღჭურვილია თავის მოვლის პროცედურებისთვის განკუთვნილი უახლესი თაობის, ინოვაციური აპარატურით, რომელიც აღიარებულია FDA-ის (აშშ-ის საკვებისა და წამლის მარეგულირებელი სააგენტოს) მიერ.

მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო ……..

მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო მე-3 დონის ერთადერთი მულტიპროფილური, რეფერალური პედიატრიული კლინიკაა საქართველოში. იაშვილის კლინიკა, რომელიც 260 საწოლზეა გათვლილი, უზრუნველყოფს ყველა სახის ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას. ხელმისაწვდომია ისეთი მაღალტექნოლოგიური და უნიკალური სერვისები, როგორიცაა - ონკოლოგია, ჰემატოლოგია, ტოქსიკოლოგია, ჰემოდიალიზი, ნეიროქირურგია, თორაკალური ქირურგია, რეკონსტრუქციული და პლასტიკური ქირურგია. ოპერაციების უდიდესი ნაწილი ენდოსკოპიური მეთოდით ხორციელდება. იაშვილის ბავშვთა საავადმყოფოში ფუნქციონირებს ასევე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება.

ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი……...

ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულებაა, რომელიც მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური მედპერსონალით არის დაკომპლექტებული. კლინიკის მისია- ღირებულებები პაციენტებზეა ორიენტირებული, მათთვის

სრულყოფილი, უსაფრთხო და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად . ჰოსპიტალი ყველა ასაკისა და საჭიროების მქონე პაციენტს ემსახურება და უზრუნველყოფს სრულ ამბულატორიულ და სტაციონარულ სერვისს. მათ შორის, ფუნქციონირებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება , რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას გადაუდებელ სამედიცინო შემთხვევებზე.

მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშთა ცენტრალური ჰოსპიტალი ……...

მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი აჭარის რეგიონში არსებული ერთადერთი მულტიპროფილური სამედიცინო დაწესებულებაა, სადაც დედებისა და ბავშვებისთვის ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიღებაა შესაძლებელი. მათ შორის, ხელმისაწვდომია მეან-გინეკოლოგიური სამსახური, სრული ნეონატალური მომსახურება და მეორე-მესამე დონის პერინატალური ცენტრი, რომელიც ახალშობილებისთვის ინტენსიური თერაპიის სრულფასოვან სპექტრს უზრუნველყოფს. ასევე, ჰოსპიტალში ფუნქციონირებს ბავშვთა გადაუდებელი დახმარების განყოფილება.

დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი …….

დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი ვიანის ქსელში შემავალი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ჰოსპიტალია, სადაც ნებისმიერი ასაკის პაციენტისთვის (ნეონატალური, პედიატრიული და მოზრდილთა) სრული ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებაა ხელმისაწვდომი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების მიღება რეგიონიდან გაუსვლელად შეუძლია. ჰოსპიტალმა, სხვა სამედიცინო სერვისებთან ერთად, წარმატებით და სრულად განავითარა კარდიოქირურგიული, ანგიოქირურგიული და ნეიროვასკულური სერვისები. ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინსულტის მართვის ცენტრი. ასევე, კლინიკა უზრუნველყოფს მესამე დონის პერინატალურ სამსახურს, რომელიც მაღალი რისკის ორსულობის მართვასა და დაბალი წონის ახალშობილთა ინტენსიურ თერაპიას გულისხმობს. ჰოსპიტალში ხელმისაწვდომია ასევე გადაუდებელი დახმარების განყოფილება.

კრისტინა კილის სახელობის ონკოლოგიის ცენტრი ……..

კრისტინა კილის სახელობის ონკოლოგიის ცენტრი დასავლეთ საქართველოს რეგიონში მოქმედი ერთადერთი სპეციალიზებული ჰოსპიტალია, სადაც ერთ სივრცეშია ხელმისაწვდომი სხივური და მედიკამენტური თერაპიის სამსახური. კლინიკა აღჭურვილია ულტრა-თანამედროვე სამედიცინო ინფრასტრუქტურით, მათ შორის, დამონტაჟებულია უახლესი ხაზოვანი ამაჩქარებლები, რაც რთულად მისადგომ სიმსივნურად დაზიანებულ უბნებში მიზნობრივ დასხივებას უზრუნველყოფს და გართულებებს მინიმუმამდე ამცირებს. რთული კლინიკური შემთხვევების განხილვაში, მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად, ჩართულნი არიან ევროპასა და ამერიკაში მოღვაწე ქართველი და უცხოელი ექიმები.

- **რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები**

„საქართველოს კლინიკები“ 27 რეგიონულ და საზოგადოებრივ ჰოსპიტალს აერთიანებს დედაქალაქსა და რეგიონებში. „ჯგუფი“ აქტიურად ნერგავს და ავითარებს სამედიცინო მომსახურებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც უზრუნველყოფს როგორც საბაზისო, ისე ინოვაციური ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას ცენტრალურ ქალაქებსა და მთიან რეგიონებში.

ქუთაისის რეფერალურ ჰოსპიტალში ნეიროქირურგიის დეპარტამენტი თანამედროვე მეთოდებით ახორციელებს თავის ტვინისა და ხერხემლის პათოლოგიების ქირურგიულ მკურნალობას. პროცედურები მოიცავს თავის ტვინისა და ხერხემლის სიმსივნეების ოპერაციებს, ხერხემლის დეგენერაციურლი დაავადებების ქირურგიულ მკურნალობას, ასევე თავის ტვინის, თავის ქალის ფუძის, თავის ქალის რკალის, ხერხემლისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანებების ქირურგიულ მკურნალობას.

საერთაშორისო აკრედიტაციის წარმატებით მიღების შემდეგ, ქარელის კლინიკამ მიიღო ქირურგიული და ინტენსიური თერაპიის სერვისების გაწევის ავტორიზაცია და დანერგა მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფიის მომსახურება.

აღნიშნული ბიზნეს მიმართულება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სამედიცინო დაწესებულებებით:

- თელავის რეფერალური ჰოსპიტალი;
- ქობულეთის ჰოსპიტალი;
- ფოთის ჰოსპიტალი;
- ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი;
- ახალციხის რეფერალური ჰოსპიტალი;
- ახალქალაქის ჰოსპიტალი;
- ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი;
- ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა.

- **კლინიკები**

„ევექსი“ მართავს საქართველოში ყველაზე დიდ სამედიცინო კლინიკების ქსელს, რომელიც მოიცავს 15 კლინიკასა და ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრს „კარავს“. აღნიშნული მასშტაბური ქსელი უზრუნველყოფს მრავალპროფილურ ამბულატორიულ მომსახურებებს სხვადასხვა სპეციალიზაციის მიმართულებით და მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მომსახურების გაწევას ქვეყნის მასშტაბით.

„ევექსის“ მიერ შეთავაზებული სამედიცინო მომსახურებები (სულ 42 მომსახურება) მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- ალერგოლოგია
- ანგიოლოგია
- გასტროენტეროლოგია
- დერმატოლოგია
- ენდოკრინოლოგია
- კარდიოლოგია
- ნევროლოგია
- ულტრასონოგრაფია
- ოფთალმოლოგია
- ოტორინოლარინგოლოგია (ENT)
- ორთოპედია/ტრავმატოლოგია
- პედიატრია
- ქირურგია
- თერაპია

- ჰემატოლოგია და სხვა

ყოველი კლინიკა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რომელიც გამოირჩევა პაციენტზე ორიენტირებული მიდგომით. თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების ინტეგრაცია და მომსახურების უწყვეტი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა წარმოადგენს „ევექსის“ მისიის საფუძველს - უზრუნველყოს ჯანმრთელი მომავალი თითოეული პაციენტისთვის მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი სერვისების შეთავაზებით.

- **დიაგნოსტიკა**

„მეგალაბი“ წარმოადგენს კავკასიის რეგიონში უმსხვილეს დიაგნოსტიკურ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინოვაციურ ცენტრს, რომელიც ორიენტირებულია საუკეთესო შედეგებზე და მუდმივად ზრუნავს პაციენტის კმაყოფილებაზე. როგორც ქვეყნის წამყვანი ლაბორატორია, „მეგალაბი“ გამორჩეულ ყურადღებას უთმობს ინოვაციებს, უსაფრთხოებას და იმ შესაძლებლობების შექმნას, რომლებიც პასუხობს პაციენტების მუდმივად ცვალებად საჭიროებებს.

„მეგალაბი“ ყოველდღიურად 2,000-ზე მეტ პაციენტს ემსახურება და ატარებს 7,000-ზე მეტ კვლევას, რაც წლიურად 2,700,000-ზე მეტ ანალიზს შეადგენს. ლაბორატორია აღჭურვილია 50-ზე მეტი თანამედროვე სამედიცინო აპარატურით და უზრუნველყოფს 800-ზე მეტ კვლევის ტიპს. ის თანამშრომლობს 150-ზე მეტ პარტნიორთან, მათ შორის საქართველოს წამყვან კლინიკებსა და სადაზღვევო კომპანიებთან. „მეგალაბი“ კვლავ ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას დიაგნოსტიკისა და ინოვაციების სფეროში, ასევე მუშაობს 24/7 რეჟიმში და მომხმარებლებს სთავაზობს დიაგნოსტიკური ტესტების სრულ სპექტრს.

შვილობილი კომპანიები

#	შვილობილი კომპანია	%, წილი რ	საკუთრების ფორმა[1]	ს/ნ	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
1	სს ვიანი	100%	პირდაპირი	402295716	30.11.2023	ჯანდაცვა
2	შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი	99.80%	არაპირდაპირი	404925747	01.12.2012[2]	ჯანდაცვა
3	შპს ვიან-ლოჯისტიკა	100%	არაპირდაპირი	405085161	13.02.2015	ჯანდაცვა
4	სს ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი	67%	არაპირდაპირი	212674738	05.05.2003[3]	ჯანდაცვა
5	შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი	67%	არაპირდაპირი	212841424	15.10.2004[4]	ჯანდაცვა
6	შპს ვიანი	100%	არაპირდაპირი	402236601	05.09.2022	ჯანდაცვა
7	შპს ბონო ჰელსქეარ	100%	არაპირდაპირი	402281730	15.06.2023	ჯანდაცვა
8	სს საქართველოს კლინიკები	100%	პირდაპირი	404476205	01.08.2014	ჯანდაცვა
9	სს ემერჯენსი სერვისი	85%	არაპირდაპირი	401984965	18.06.2013[5]	ჯანდაცვა
10	სს პედიატრი	100%	არაპირდაპირი	200104840	05.09.2003[6]	ჯანდაცვა
11	შპს წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო	67%	არაპირდაპირი	221269963	29.09.1999[7]	ჯანდაცვა
12	შპს საქართველოს კლინიკები	100%	არაპირდაპირი	402290677	29.09.2023	ჯანდაცვა
13	სს ევექსი	100%	პირდაპირი	405670000	01.04.2019	ჯანდაცვა

[1] დამატებითი დეტალებისთვის საკუთრების ფორმასთან დაკავშირებით იხილეთ – *ორგანიზაციული სტრუქტურა.*
[2] შესყიდვის თარიღი 30.06.2015
[3] შესყიდვის თარიღი 29.11.2011
[4] შესყიდვის თარიღი 29.11.2011
[5] შესყიდვის თარიღი 01.03.2015
[6] შესყიდვის თარიღი 06.07.2016
[7] შესყიდვის თარიღი 29.11.2011

14	სს პოლიკლინიკა ვერე	98.4%	არაპირდაპირი	404548156	22.11.2013[8]	ჯანდაცვა
15	შპს ნიუ დენტი	75%	არაპირდაპირი	405308368	24.12.2018	ჯანდაცვა
16	შპს ექიმო აპი	100%	არაპირდაპირი	405663189	5.12.2023	პროგრამირება
17	შპს მკურნალი 2002	100%	არაპირდაპირი	200079654	08.04.2004[9]	ჯანდაცვა
18	შპს კროლ მედიქალ ქორფორეიშენ საქართველო	100%	არაპირდაპირი	400386042	29.02.2024[10]	ჯანდაცვა
19	სს მეგა-ლაბი	91.98%	პირდაპირი	405211319	06.06.2017	ჯანდაცვა
20	შპს პათჯეო - პათოლოგანატომთა გაერთიანება	91.98%	არაპირდაპირი	409434018	13.01.2010[11]	ჯანდაცვა
21	შპს ვაბაკო ინთერნეიშენალ	100%	არაპირდაპირი	402209436	30.03.2022	პროგრამირება
22	სს ექიმო	100%	პირდაპირი	402199599	14.12.2021	პროგრამირება
23	შპს აიტიფაი	100%	პირდაპირი	402264072	01.02.2023	პროგრამირება
24	სს დიფლექსი	40%	პირდაპირი	405183368	29.12.2016[12]	სხვა

„ჯგუფმა“ ასევე დააფუძნა შემდეგი არაკომერციული ორგანიზაციები სს „ვიანის“ სტრუქტურის ფარგლებში.

#	კომპანია	შვილობილი / მეკავშირე საწარმო	ს/ნ	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
1	ა(ა)იპ ჯანდაცვის ასოციაცია	მეკავშირე საწარმო	405142689	25.03.2016	ჯანდაცვა
2	ა(ა)იპ სისხლის ცენტრი	შვილობილი	412785339	31.05.2024	ჯანდაცვა
3	ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ტურიზმის საბჭო	მეკავშირე საწარმო	405335221	16.05.2019	ჯანდაცვა

„ჯგუფმა“ აგრეთვე დააფუძნა შემდეგი არაკომერციული ორგანიზაცია სს „საქართველოს კლინიკების“ სტრუქტურის ფარგლებში:

#	კომპანია	შვილობილი / მეკავშირე საწარმო	ს/ნ	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
1	ა(ა)იპ ევექსის სასწავლო ცენტრი	შვილობილი	412695294	20.12.2013	ჯანდაცვა

„ჯგუფმა“ აგრეთვე დააფუძნა შემდეგი არაკომერციული ორგანიზაცია სს „მეგა-ლაბის“ სტრუქტურის ფარგლებში:

#	კომპანია	შვილობილი / მეკავშირე საწარმო	ს/ნ	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
1	ა(ა)იპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი-მეგა-ლაბი	შვილობილი	405462887	25.05.2021	სხვა

საოპერაციო მიმოხილვა

„GHG“-ის მმართველობის ქვეშ მყოფი ჰოსპიტალები და კლინიკები იყენებენ სხვა ისეთ რესურსებსაც, როგორიცაა საწოლფონდი და პერსონალი. აღნიშნული რესურსების მიმოხილვა, მათი დატვირთვის მაჩვენებლები და საოპერაციო ეფექტიანობის სხვა შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ:

[8] შესყიდვის თარიღი 25.12.2017
[9] შესყიდვის თარიღი 01.12.2023
[10] შესყიდვის თარიღი 01.05.2024
[11] შესყიდვის თარიღი 01.08.2016
[12] შესყიდვის თარიღი 12.11.2021, არ არის შვილობილი საწარმო, არის ასოცირებული კომპანია.

	დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები		რეგიონული ჰოსპიტლები და საზოგადოებრივი კლინიკები	
	31-დეკ-24	31-დეკ-23	31-დეკ-24	31-დეკ-23
საწოლების რაოდენობა	1,165	1,190	1,054	1,035
თანამშრომლების რაოდენობა	4,679	4,719	4,415	3,561
ექიმების რაოდენობა	1,566	1,580	1,463	1,076
ექთნების რაოდენობა	1,397	1,412	1,253	987
ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა (დღეები)	5.0	4.9	4.1	4.5
საწოლფონდის დატვირთვის მაჩვენებელი, %	66.5%	53.5%	58.1%	44.3%

საწოლების რაოდენობის მიხედვით, დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტალების, ასევე რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტალების გაერთიანებული საბაზრო წილი **2023 წელს** შეადგენდა **14.0%-ს**, ხოლო **2024 წელს** - ასევე **14.0%-ს**.

	კლინიკები	
	31-დეკ-24	31-დეკ-23
რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობა*	394,294	405,886
თანამშრომლების რაოდენობა	1,596	1,529
ექიმების რაოდენობა	863	827
ექთნების რაოდენობა	144	151

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობის შემცირება არ არის გამოწვეული პაციენტთა გადინებით, არამედ დაკავშირებულია „საქართველოს კლინიკების“ ჰოსპიტლებში გადამისამართების პროცესთან. 2024 წლის თებერვალში დაახლოებით 24,000 პაციენტი პოლიკლინიკებიდან ხელახლა დარეგისტრირდა „საქართველოს კლინიკების“ ჰოსპიტლებში.

	დიაგნოსტიკა	
	31-დეკ-24	31-დეკ-23
პაციენტების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს მომსახურება (‘000)	808	779
ჩატარებული ტესტების რაოდენობა (‘000)	2,712	2,481
ერთ პაციენტზე საშუალოდ ჩატარებული ტესტების რაოდენობა	3.4	3.2
თანამშრომლების რაოდენობა	280	273

ძირითადი მომხმარებლები და მიმწოდებლები

„ჯგუფის“ შემოსავალი შედგება სამი ტიპის გადახდებისგან: (i) მოსახლეობის ჯიბიდან გადახდები, (ii) სახელმწიფო გადახდები და (iii) კერძო სადაზღვევო გადახდები. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ინდივიდუალური კლიენტი ან სადაზღვევო კომპანია დამოუკიდებლად არ წარმოადგენს შემოსავლის 10%-ზე მეტს.

ჯანმრთელობის მომსახურების საფასურის გადამხდელთა ხვედრითი წილი შესაბამისი წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:



- შემოსავლის ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (54% 2024 წლის მონაცემებით) მოდის სახელმწიფო უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამიდან, რომელიც აფინანსებს ინდივიდუალური პაციენტების მომსახურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

- მნიშვნელოვანი წილი (36% 2024 წლის მონაცემებით) მოდის თვითონ გადამხდელ პაციენტებზე, რომლებიც თავად ირჩევენ მომსახურებას, სპეციალიზებულ მკურნალობასა და არჩევით პროცედურებს, რაც უზრუნველყოფს ფასებისა და მომსახურების მოქნილობას.

- კერძო დაზღვევა (8% 2024 წლის მონაცემებით) მოიცავს იმ პირებს, რომლებიც დაზღვეულნი არიან კორპორატიული ჯანმრთელობის სადაზღვევო გეგმებით და ნებაყოფლობითი კერძო დაზღვევით.

„კომპანია“ მედიკამენტების უმეტეს ნაწილს ყიდულობს პრეფერენციული მიმწოდებლების სიიდან ტენდერის გზით, „კომპანია“ იყენებს თავის უპირატესობას, როგორც საქართველოში უდიდესი მყიდველი. მომწოდებლები ძირითადად წარმოადგენენ მედიკამენტების, სამედიცინო სახარჯავი მასალების, ერთჯერადი პროდუქტებისა და სამედიცინო აპარატურის დისტრიბუტორებსა და აგენტებს. შესყიდვები ხორციელდება ცენტრალიზებულად და შემდეგ ნაწილდება კომპანიის სხვადასხვა ობიექტებში. კომპანია მედიკამენტებს ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს, თუმცა ნაწილის იმპორტი ხდება გერმანიიდან, თურქეთიდან და ჩინეთიდან. კომპანია თანამშრომლობს მიმწოდებლების ფართო სპექტრთან და არ არის დამოკიდებული რომელიმე ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ინდივიდუალური მომწოდებელი არ წარმოადგენს ემიტენტის ხარჯების 10%-ს ან მეტს.

კომპანია ინარჩუნებს მაღალი დონის მომსახურების სტანდარტებს იმით, რომ თავის მედიკამენტურ და არამედიკამენტურ მარაგებსა და აღჭურვილობას ძირითადად შეისყიდის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მიმწოდებლებისგან, რომლებიც ცნობილნი არიან მაღალი ხარისხითა და სანდოობით. „ჯგუფის“ კლინიკები აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო და დიაგნოსტიკური აპარატურით, რომელიც მოწოდებულია წამყვანი

საერთაშორისო კომპანიების მიერ აშშ-დან, გაერთიანებული სამეფოდან, გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან, იაპონიიდან, შვედეთიდან, ბელგიდან და შვეიცარიიდან. ძირითადი მიმწოდებლები მოიცავს შემდეგ კომპანიებს: GE, Johnson & Johnson, Siemens, Philips, Dräger, B. Braun-Aesculap, Getinge, Olympus, Fujifilm, Roche Diagnostics, Sysmex და Leica. 2023 წელს ტოპ-10 მიმწოდებლის წილი კომპანიის ჯამური ხარჯების 5%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი იგივე დარჩა - 5%.

ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის განვითარების[13] მნიშვნელოვანი მოვლენები

1990…….

- დაარსდა როგორც დამოუკიდებელი სადაზღვევო კომპანია ალდაგის ბრენდის ქვეშ და განავითარა აღნიშნული საქმიანობა რამდენიმე შერწყმისა და შეძენის საშუალებით.

2006…….

- გახსნა პირველი ამბულატორიული კლინიკა თბილისში

2008-2012…….

- „GHG“-მ გააერთიანა სწრაფად მზარდი სამედიცინო დაზღვევის და ჯანდაცვის მომსახურების მიმართულებები, განახორციელა რამდენიმე შესყიდვა და გახსნა ახალი სამედიცინო დაწესებულებები.

2013…….

- გახსნა დამატებით ოთხი ახალი ჰოსპიტალი და ერთი ამბულატორიული კლინიკა.
- შეისყიდა „კარაპს მედლაინი“ - სპეციალიზებული ჰოსპიტალი თბილისში, 60-საწოლიანი ტევადობით.

2014…….

- თებერვალში შეისყიდა „Avante Hospital Management Group“ - საქართველოს მეორე უმსხვილესი სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი საწოლების რაოდენობის მიხედვით.
- მაისში შეისყიდა „Sunstone Medical LLC“ (შემდგომში ეწოდა ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი), რომელსაც აღმოსავლეთ თბილისში მდებარე, წლების განმავლობაში არამოქმედი ჰოსპიტალი ეკუთვნოდა. „GHG“-მა განაახლა თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი, რომელიც სრულად ამოქმედდა 2017 წლის დეკემბერში 332 საწოლით, რათა გაეზარდა წვდომა აღმოსავლეთ თბილისის ჯანდაცვის სერვისების ბაზარზე და მიეღო რეფერალები აღმოსავლეთ საქართველოდან.

2015…….

- ივნისში შეისყიდა 95%-იანი წილი კომპანიაში „დეკა“ (შემდგომში გადაერქვა სახელი და გახდა კავკასიის მედიცინის ცენტრი). კავკასიის მედიცინის ცენტრი ფლობს საავადმყოფოს, რომელიც მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ ადგილას, 2.4 ჰექტარ მიწის ფართობზე და აქვს პოტენციური 350 საწოლიანი ტევადობა. „GHG“-მა ამ საავადმყოფოს მასშტაბური განახლება განახორციელა 2015 წლის განმავლობაში და 2016 წლის დასაწყისში.
- 2015 წლის ნოემბერში „GHG PLC“-იმ წარმატებით განახორციელა IPO და პრემიუმ ლისტინგი ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

[13]აღნიშნული თავი ასევე მოიცავს ინფორმაციას შერწყმების, შეძენებისა და გამოყოფის შესახებ.

2016…….

- თებერვალში შეისყიდა იაშვილის რეფერალური ჰოსპიტალის დარჩენილი 33.3%-იანი წილი, რითაც გააფართოვა პორტფელი და მიაღწია 44 სამედიცინო დაწესებულებას ჯამში 2,588 საწოლით.
- მარტში შეისყიდა GPC-ის 100%-იანი წილი - იმ დროისთვის ერთ-ერთი წამყვანი ფარმაცევტული საცალო და საბითუმო დისტრიბუტორი საქართველოში — და ასევე GPC-ის მფლობელობაში არსებული 35%-იანი წილი თემქის რეფერალურ ჰოსპიტალში.
- ნოემბერში შეისყიდა სს „ABC ფარმაცია“-ს 67%-იანი წილი - იმ დროისთვის მეოთხე უმსხვილესი ფარმაცევტული საცალო და საბითუმო დისტრიბუტორი საქართველოში - შეიქმნა სს „გეფა“.

2017…….

- ივლისში შეისყიდა ხაშურისა და ქარელის საზოგადოებრივი ჰოსპიტალების 100%-იანი წილი IC Group-ისგან, რის შედეგადაც ჯგუფში შემავალი საზოგადოებრივი ჰოსპიტალების რაოდენობა გაიზარდა 22-მდე, ხოლო საწოლების საერთო რაოდენობამ შეადგინა 555.
- გახსნა სამი ახალი პოლიკლინიკა.

2018…….

- დასრულდა მეგა ლაბორატორიის მშენებლობა - უმსხვილესი დიაგნოსტიკური ლაბორატორია როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიის რეგიონში.
- ჯგუფის პოლიკლინიკების ფარგლებში სტომატოლოგიური კლინიკების გახსნით, დეკემბერში გამოაცხადა საქართველოს სტომატოლოგიურ ბაზარზე შესვლა.

2020…….

- გაყიდა HTMC-ის 40%-იანი წილი.
- EKIMO-ს აპლიკაციის ამოქმედება.

2021…….

- გააფორმა აქციათა შესყიდვის ხელშეკრულება საცალო (ფარმაცევტული) ბიზნესის — სს გეფას — 33%-იანი მინორიტარული აქციების შესაძენად, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდებოდა მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში.
- გაყიდა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საინვესტიციო სარგებლის მქონე ჰოსპიტალის - ტრავმატოლოგიის ჰოსპიტალის - 100%-იანი წილი 2.9 მილიონ აშშ დოლარად.

2022…….

- 2021 წელს ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე შეისყიდა საცალო (ფარმაცევტული) ბიზნესის აქციათა 10% მინორიტარული აქციონერებისგან.

2023…….

- 2023 წელს ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე, მინორიტარული აქციონერებისგან დამატებით შეისყიდა საცალო (ფარმაცევტული) ბიზნესის აქციების 20.5%.
- 2023 წლის დეკემბერში ჯგუფში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები. საავადმყოფოების ბიზნესი 7 დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოთი განაგრძობს ოპერირებას „Vian“-ის სახელით. რეგიონული საავადმყოფოები (ადრე წარმოდგენილი საავადმყოფოების ბიზნესის ნაწილად) და საზოგადოებრივი საავადმყოფოები (ადრე მართული კლინიკებისა და

დიაგნოსტიკის ბიზნესის მიერ) ახლა გაერთიანებულია ახლად შექმნილ ერთეულში „საქართველოს კლინიკები“. პოლიკლინიკებისა და დიაგნოსტიკის სეგმენტი მოიცავს 16 პოლიკლინიკას და ლაბორატორიას „მეგალაბი.

2024…….

- 2024 წლის იანვარში „GHG“-მა და სს არდი დაზღვევამ („**არდი**“) გააფორმეს ურთიერთგაგების მემორანდუმი (MOU), რომელიც ითვალისწინებს არდის სადაზღვევო ბიზნესის შეძენას. არდისგან 73 მილიონი ლარის პორტფელისა და ბრენდის სახელის შეძენის შედეგად, ჯგუფის დედა კომპანია - „საქართველოს კაპიტალი“ - ჯანდაცვის დაზღვევის ბაზარზე ქვეყნის უდიდესი ჯანმრთელობის მზღვეველი გახდება.
- „საქართველოს კაპიტალის“ მიზანი იყო თავისი ყველა სადაზღვევო შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია სადაზღვევო ქვე-ჰოლდინგში - „A Group“-ში. შესაბამისად, 2024 წლის ივნისში „A Group“-მა - ჯგუფის და და სს „საქართველოს კაპიტალის“ შვილობილმა, ჯგუფისგან შეისყიდა „არდის“ აქციების 100%.
- 2024 წლის მეოთხე კვარტალში, დედა კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილების საფუძველზე, „GHG“ გამოეყო ფარმაცევტულ სეგმენტს და ამჟამად ორივე კომპანია დამოუკიდებელ ბიზნესად ფუნქციონირებს „საქართველოს კაპიტალის“ სტრუქტურის ფარგლებში.

სეზონურობა

„ჯგუფის“ სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტების ნაკადები ხშირად ცვალებადია წლის სხვადასხვა პერიოდში. ზამთრის თვეებში, როგორც წესი, მატულობს რესპირატორული დაავადებების, გრიპისა და სხვა სეზონური ინფექციების შემთხვევები, რაც ზრდის როგორც სტაციონარული, ასევე ამბულატორიული პაციენტების რაოდენობას.

მიუხედავად ამისა, ზაფხულის თვეებში, როგორც წესი, შემცირებულია ზოგადი სამედიცინო ვიზიტები, რადგან ადამიანები უფრო მეტად მიდრეკილნი არიან მოგზაურობისკენ ან არასაჭარო პროცედურების გადადებისკენ. ეს კლება განსაკუთრებით შესამჩნევია ივლისის მეორე ნახევარში, აგვისტოსა და სექტემბერში - რაც მიღებებისა და ფინანსური მაჩვენებლების თვალსაზრისით ყველაზე დაბალშედეგიანი თვეებია.

სეზონური ტენდენციები ძირითადად მოქმედებს არასაჭარო და არჩევით სამედიცინო მომსახურებაზე, მაშინ როცა გადაუდებელი დახმარების მოცულობა შედარებით სტაბილურია.

სტრატეგია და მიზნები

„ჯგუფის“ სტრატეგია მიმართულია პაციენტთა მოზიდვის გაზრდაზე, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნას გამოყენებული არსებული ინფრასტრუქტურა. მომავალში „ჯგუფი“ გააგრძელებს რეგისტრირებული მომხმარებლების ბაზის ზრდას, სამედიცინო და პირადი მოვლის მომსახურების გაფართოებას, დისტანციური არხების - როგორიცაა საკონტაქტო ცენტრი - განვითარებას და ციფრული პლატფორმის გაუმჯობესებას მომხმარებელთა კომფორტისა და გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

დიაგნოსტიკის მიმართულება მიზნად ისახავს არსებული დატვირთვის (ამჟამად დაახლოებით 60%) გაზრდას საცალო ქსელის გაფართოების, B2B კონტრაქტების გაფორმებისა და მოწინავე ტექნოლოგიების, მათ შორის, მომდევნო თაობის გენეტიკური სეკვენირების დანერგვის გზით. კლინიკური კუთხით, „ჯგუფი“ რჩება ერთგული უმაღლესი ხარისხის სტანდარტების მიმართ კლინიკურ პროცესებში და გეგმავს აკრედიტებული სასწავლო ცენტრის, რეზიდენტურის პროგრამისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განვითარებას.

სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი აქცენტია არჩევით და ამბულატორიულ მომსახურებაზე შემოსავლების ზრდა, რომლებიც არ ექვემდებარება სახელმწიფო დაფინანსებას. აღნიშნულ მომსახურებებს გააჩნიათ მაღალი მარჟა და მნიშვნელოვნად მოკლე შემოსავლის მიღების ციკლი, რაც ხელს უწყობს ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას. სპეციალიზებული მომსახურების - ონკოლოგიის, კარდიოლოგიის, პედიატრიული მომსახურების და მოწინავე დიაგნოსტიკის - გაფართოება კიდევ უფრო გააძლიერებს „ჯგუფის“ საბაზრო პოზიციას და შემოსავლების გენერირების შესაძლებლობას.

- **გაფართოების სტრატეგია**

„ჯგუფი“ გეგმავს საავადმყოფოების ქსელის გაფართოებას, განსაკუთრებით თბილისში, არსებული მაღალი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. სტრატეგია მოიცავს საბაზრო წილის გაზრდას ახალი ამბულატორიული კლინიკების გახსნითა და არსებული ობიექტების შესაძლებლობების შერჩევითად გაზრდით.

„ჯგუფის“ მიზანია შემოსავლებში ამბულატორიული მომსახურების წილის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს პრევენციული მომსახურების მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომად ქცევას და ასევე მისცემს საშუალებას ისარგებლოს ოპერაციული და მომსახურების ხარჯების შედარებით დაბალი დონით სტაციონარულ მომსახურებასთან შედარებით.

მიმდინარე სტრატეგიის ფარგლებში, „ჯგუფი“ ავითარებს ორ ძირითად პროექტს, რომლებიც ამჟამად განვითარების ფაზაშია:

ონკოლოგიური პროექტი - „ჯგუფის“ ჰოსპიტლები თბილისში ამჟამად არ უზრუნველყოფენ ონკოლოგიურ მომსახურებებს, მაშინ როდესაც ქუთაისში არსებული კლინიკები სთავაზობენ სრულფასოვან ონკოლოგიურ მკურნალობას. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, „ჯგუფი“ გეგმავს 2025 წლისთვის თბილისში ონკოლოგიური ცენტრის გახსნას. მოსალოდნელია, რომ ეს ინიციატივები ბიზნესისთვის დამატებით შემოსავლის წყაროს შექმნის.
აღნიშნული ინვესტიცია: (i) მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს წვდომას თანამედროვე ონკოლოგიურ მკურნალობაზე ქვეყნის მასშტაბით, შეამცირებს მგზავრობის საჭიროებას და ხელს შეუწყობს დაავადების ადრეულ ეტაპზე დიაგნოზსა და ჩარევას; (ii) მხარს დაუჭერს ადგილობრივ ჯანდაცვის სისტემას სპეციალიზებული სამუშაო ადგილების შექმნის, სამედიცინო ექსპერტიზის განვითარებისა და საქართველოს საერთო შესაძლებლობების გაძლიერების გზით არაგადამდებ დაავადებებთან ბრძოლაში.

„ჯგუფი“ უკვე ფლობს ჩამოყალიბებულ მომხმარებელთა ბაზას როგორც ქუთაისში, ასევე თბილისში. „კომპანიის“ მიზანია, ერთდროულად მოახდინოს მნიშვნელოვანი სოციალური გავლენა და გააძლიეროს თავისი საბაზრო პოზიცია.

ამბულატორიული მომსახურების პროექტი - ამბულატორიული მომსახურება „ჯგუფის“ შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ხასიათდება უფრო მაღალი მარჟითა და შემოსავლის უფრო სწრაფი მიღების ციკლით. ამ მომსახურების გაფართოება მოსალოდნელია, რომ გააუმჯობესებს როგორც ფინანსურ შედეგებს, აგრეთვე, საოპერაციო ეფექტიანობას, რადგან ამბულატორიული მომსახურება, როგორც წესი, დაკავშირებულია შედარებით დაბალ საოპერაციო და მომსახურების ხარჯებთან სტაციონარულ მომსახურებასთან შედარებით. სტაციონარული მომსახურებისგან განსხვავებით, ამბულატორიულ მომსახურებებს ესაჭიროებათ ნაკლები რესურსი, როგორიცაა ღამისთევა, ინტენსიური საექიმო მეთვალყურეობა ან დიდი რაოდენობით სამედიცინო მოხმარებადი მასალები. ამის წყალობით, საავადმყოფოებს შეუძლიათ ეფექტიანად მოემსახურონ მეტ პაციენტს, ოპტიმიზებული რესურსითა და გაზრდილი მომგებიანობით.

„GHG“-ის კაპიტალური ინვესტიციების სტრატეგია მოიცავს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ამბულატორიულ მომსახურებაში, რაც გულისხმობს როგორც ამბულატორიული განყოფილებების განახლებასა და ახლის მშენებლობას, ასევე აუცილებელი სამედიცინო აპარატურის შეძენას. დაგეგმილია MRI და ულტრაბგერითი აპარატურის შეძენა. აღნიშნული ინიციატივები, გარდა იმისა, რომ მაღალმომგებიანია, მნიშვნელოვნად

გააუმჯობესებს ჯანდაცვის მომსახურების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას ნაკლებად უზრუნველყოფილ რეგიონებში, შეამცირებს პაციენტთა მგზავრობის დროსა და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც ხელს შეუწყობს დაავადებების უფრო ადრეულ დიაგნოსტიკასა და ეფექტიან მკურნალობას. მომსახურების დეცენტრალიზაციისა და რეგიონული ინფრასტრუქტურის გაძლიერების გზით, ინიციატივა ხელს უწყობს ჯანდაცვის თანასწორობას, პრევენციული მომსახურების განვითარებას და ამცირებს დატვირთვას ქალაქებში არსებულ სტაციონარულ დაწესებულებებზე.

- **გაციფრულების სტრატეგია**

„ჯგუფი“ აჩქარებს ჯანდაცვის ოპერაციების გაციფრულებას ეფექტიანობის ზრდის, პაციენტის გამოცდილების გაუმჯობესებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით. ძირითადი ინიციატივები მოიცავს კლინიკური პროცესების ავტომატიზაციას, შესრულების ძირითადი ინდიკატორის (KPIs) გაციფრულებას და მოწინავე სტატისტიკური მეთოდების ინტეგრაციას დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაგეგმვის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ტელემედიცინაში, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ დიაგნოსტიკაში და მომხმარებელზე მორგებულ ციფრულ პლატფორმაში ინვესტიციები ხელს შეუწყობს პაციენტთა ჩართულობასა და მომსახურების პროცესის გამარტივებას.

გარდა ამისა, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტების განვითარება „ჯგუფს“ საშუალებას მისცემს გაზარდოს ოპერაციული ეფექტიანობა და გააუმჯობესოს პაციენტების ჯანმრთელობის შედეგები. გაციფრულების ტრანსფორმაცია ასევე ხელს შეუწყობს დისტანციური ჯანდაცვის მომსახურების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს პაციენტებისთვის უფრო ფართო ხელმისაწვდომობასა და კომფორტს.

- **ოპერაციული ეფექტიანობა და ხარჯების ოპტიმიზაცია**

„ჯგუფი“ მიზნად ისახავს ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებას მარჟების გაზრდის მიზნით. ადმინისტრაციული ფუნქციების ცენტრალიზაციის ფონზე, „GHG“ ყურადღებას ამახვილებს დამატებით ეფექტიანობაზე რესურსების უკეთესი გამოყენების, შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPIs) გაფართოებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან შედარების გზით. მომსახურებების დამატებითი კონსოლიდაცია, მათ შორის, სისხლის ბანკები, თეთრეულის მომსახურება, ნარჩენების მართვა, არქივები, საკონტაქტო ცენტრები და კლინიკური ინჟინერია, მოსალოდნელია, რომ ქსელის მასშტაბით გამოიწვევს ხარჯების შემცირებას და ოპერაციული ეფექტიანობის ზრდას.

- **ახალი მომსახურებების დანერგვა**

„ჯგუფი“ აქტიურად აფართოებს მომსახურების სპექტრს დამატებითი შემოსავლის წყაროების მოსაზიდად. არჩევითი სამედიცინო მომსახურების, სპეციალიზებული ამბულატორიული მკურნალობებისა და კლინიკური კვლევების დანერგვა გააძლიერებს „ჯგუფის“ კონკურენტუნარიან პოზიციას. დაგეგმილია ტრანსპლანტოლოგიის მომსახურების დაწყება, ონკოლოგიური მკურნალობის გაფართოება და მოწინავე კლინიკური კვლევის პროგრამების განვითარება.

- **სოციალური პასუხისმგებლობისა და ზემოქმედების სტრატეგია**

„GHG“ სოციალური პასუხისმგებლობისადმი ერთგულების ფარგლებში არის ერთადერთი პროვაიდერი პედიატრიულ ონკოლოგიაში საქართველოში და უზრუნველყოფს უფასო მკურნალობას სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში. 2024 წელს „ჯგუფმა“ ონკოლოგიური დაავადებების მქონე 576 ბავშვს უმკურნალა და ონომატოლოგიური მკურნალობა გაუწია 85 პაციენტს.

„ჯგუფი“ ასევე განაგრძობს ინვესტირებას ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის. 2024 წელს „ჯგუფმა“ ჩაატარა 24 უფასო სკრინინგ პროგრამა, რომლებმაც 27,000-ზე მეტი პაციენტი მოიცვა. გარდა ამისა, „ჯგუფის“ მიერ 1.8 მილიონი ლარი იქნა გამოყოფილი სოციალურ-ეკონომიკურად დაუცველი ჯგუფებისთვის სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად. „კომპანია“ მხარს უჭერს საქართველოს სოლიდარობის ფონდს და თანამშრომლობს საქველმოქმედო ორგანიზაციებთან, რათა შეთავაზოს შეღავათიანი მომსახურება ლეიკემიითა და სიმსივნეებით დაავადებულ ბავშვებს.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგიის ფარგლებში, აღნიშნული სოციალური ობლიგაციის გამოშვება შეესაბამება „GHG“-ის მიზანს - გააუმჯობესოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და მოახდინოს დადებითი სოციალური გავლენა. ობლიგაციებიდან მიღებული თანხა მიმართული იქნება მიზნობრივ სოციალურ

ინიციატივებზე, რაც უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას და პარალელურად უზრუნველყოფს აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას ნაკლებად უზრუნველყოფილი თემებისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი - *„ინვესტიციები“.*

კონკურენტული უპირატესობები

- **მომსახურების სპექტრი და პოზიციონირება ბაზარზე**

„ჯგუფის“ კომპლექსური პორტფელი და დიაგნოსტიკის ფართო შესაძლებლობები უზრუნველყოფს ჯანდაცვის მომსახურების სრულ სპექტრს. მსგავსი ფართო დაფარვა „ჯგუფს“ საშუალებას აძლევს უპასუხოს პაციენტების მრავალფეროვან საჭიროებებს როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ დონეზე, სხვადასხვა სპეციალიზაციაში.

- **მასშტაბის ეკონომია**

„GHG“ სარგებლობს მასშტაბის ეკონომიით, რაც „ჯგუფს“ საშუალებას აძლევს მიაღწიოს უკეთეს პირობებს მიმწოდებლებთან და მიიღოს ხარჯთეფექტიანობა ოპერაციულ დონეზე. საავადმყოფოების, კლინიკების, აფთიაქებისა და დიაგნოსტიკური მომსახურების ფართო ქსელი „GHG“-ს ანიჭებს მოლაპარაკების დიდ ძალას, რაც იწვევს სამედიცინო მასალების, აღჭურვილობისა და ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვის ხარჯების შემცირებას. გარდა ამისა, ორგანიზაციის დიდი მასშტაბი მას საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანად მართოს და მოერგოს რეგულაციურ ცვლილებებსა და ჯანდაცვის რეფორმებს - „ჯგუფს“ აქვს უნარი, სწრაფად დანერგოს სისტემური ცვლილებები და შთანთქას შესაძლო ხარჯების ზრდა.

- **ვერტიკალური ინტეგრაცია ოპერაციული სინერგიისთვის**

„GHG“-ის ერთ-ერთი ძირითადი კონკურენტული უპირატესობა მისი ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურაა. საავადმყოფოების, კლინიკებისა და დიაგნოსტიკური მომსახურების ინტეგრაცია ქმნის მნიშვნელოვან ოპერაციულ სინერგიას. პროცესების გამარტივება, შესყიდვებიდან პაციენტის მოვლამდე, იწვევს ოპერაციული ხარჯების შემცირებას და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, მომსახურების მიწოდების პლატფორმების მასშტაბით მონაცემების ინტეგრაცია ხელს უწყობს პაციენტის ინფორმაციის გაზიარებას, რაც უზრუნველყოფს მომსახურების უწყვეტობას, უკეთეს კლინიკურ შედეგებს და შეცდომების შემცირებას.

- **ფინანსური მაჩვენებლები და ზრდის პერსპექტივები**

„ჯგუფის“ ფინანსური ზრდა გამუდმებით გამოირჩევა სტრატეგიული ინვესტიციებისა და დივერსიფიცირებული შემოსავლის წყაროების მხარდაჭერით.

გარდა ამისა, „ჯგუფის“ პარტნიორობა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან უზრუნველყოფს ძლიერ ფინანსურ მხარდაჭერას, რაც „ჯგუფს“ აძლევს შესაძლებლობას გააგრძელოს ინვესტირება ინფრასტრუქტურასა და ინოვაციებში. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ *„საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.*

- **ინოვაცია და ტექნოლოგიური პროგრესი**

დინამიკურად განვითარებად ჯანდაცვის სფეროში, „ჯგუფი“ გამოირჩევა ტექნოლოგიების ინტეგრაციისადმი პროაქტიული მიდგომით. აღნიშნული პლატფორმა აძლიერებს პაციენტთა ჩართულობას და აუმჯობესებს ჯანდაცვის მიწოდების ეფექტიანობას ციფრული ხელსაწყოების ინტეგრაციის გზით, როგორიცაა ვიზიტის დაჯავშნა, დიაგნოსტიკა და პაციენტთა შემდგომი მართვა.

გარდა ამისა, „მეგა ლაბორატორიის“ გახსნა ხაზს უსვამს „ჯგუფის“ მზადყოფნას ინოვაციური ინფრასტრუქტურისადმი, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს როგორც მომსახურების ხარისხს, ისე მის ხელმისაწვდომობას.

- მენეჯმენტის სტრუქტურა და მომავლის ხედვა

„ჯგუფს“ მართავს გამოცდილი მენეჯმენტის გუნდი, რომელსაც ღრმა ექსპერტიზა გააჩნია ჯანდაცვის სექტორში. „კომპანიის“ ერთადერთი აქციონერი - „საქართველოს კაპიტალი“ (Georgia Capital), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ კერძო საინვესტიციო ფონდს, განაგრძობს ჯგუფის მძლავრ მხარდაჭერას.

აღნიშნული მხარდაჭერა „ჯგუფს“ საშუალებას აძლევს განახორციელოს მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, გააფართოოს მომსახურებები და შეინარჩუნოს სტრატეგიული ფოკუსი ზრდასა და ინოვაციაზე ჯანდაცვის სექტორში.

- დაფინანსების მოდელი და შემოსავლის წყაროები

„ჯგუფი“ სარგებლობს დივერსიფიცირებული შემოსავლის წყაროებით, რაც მოიცავს კერძო დაზღვევას, სახელმწიფო პროგრამებსა და მოსახლეობის ჯიბიდან გადახდებს. ეკონომიკური ვარდნის პერიოდში, გადამხდელების ამ დაბალანსებულ სტრუქტურას მნიშვნელოვანი როლი აქვს „ჯგუფის“ ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებაში და ეკონომიკური ზრდის პირობებში - მომგებიანობის ოპტიმიზაციაში.

ეს სტრუქტურა „ჯგუფს“ საშუალებას აძლევს მოემსახუროს ფართო სპექტრის პაციენტებს, როგორც დაზღვეულ, ასევე დაუზღვეველ პირებს. გადახდის წყაროების მრავალფეროვნება ხელს უწყობს „ჯგუფის“ სტაბილურობას და უზრუნველყოფს ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობას მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტისთვის.

გაყიდვები და მარკეტინგი

„ემიტენტის“ წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი ბრენდის რეპუტაციაზე, რადგან სანდოობა, მომხმარებლის ნდობა და კეთილსინდისიერება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ ინდუსტრიისთვის. მარკეტინგის სტრატეგია მიმართულია ცნობადობის შექმნისა და იმიჯის გაძლიერებისკენ, როგორც სანდო, ინოვაციური და სტაბილური პროვაიდერი. ეს მიიღწევა რეკლამის, მაღალი ხარისხის მომხმარებელთა მომსახურების, ეფექტიანი მორიგებების, ინოვაციური შეთავაზებებისა და კონკურენტული ფასების მეშვეობით.

სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბაზრის განვითარებას, რადგან „ჯგუფი“ აფართოებს სამედიცინო დაწესებულებებს საქართველოს მასშტაბით. გამოიყენება სეგმენტაციის მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია როგორც მასობრივ მომხმარებელზე, ასევე საშუალო და მაღალშემოსავლიან სეგმენტებზე. მიუხედავად იმისა, რომ დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები და რეგიონული კლინიკები მინიმალურ მარკეტინგზე არიან დამოკიდებული, „ევექსა“ და „მეგალაბს“ გააჩნიათ მორგებული მარკეტინგული სტრატეგიები მათი შესაბამისი სეგმენტებისთვის.

- Evex-ის რებრენდინგის ინიციატივა

„ევექსმა“ განახორციელა რებრენდინგი, რომლის შედეგადაც ფოკუსი სიმპტომების მართვიდან გადავიდა პრევენციულ მედიცინასა და კეთილდღეობის მოდელზე. აღნიშნული სტრატეგიული განვითარება მიზნად ისახავს ინოვაციური ჯანდაცვის სერვისების მიწოდებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

- ოჯახის ექიმის (Health Coach) პროგრამა

UKIHCA-სთან პარტნიორობით, „ევექსი“ სთავაზობს შვიდთვიან სასწავლო პროგრამას ოჯახის ექიმებისთვის, რათა გახდნენ სერტიფიცირებული ოჯახის ექიმები და შეითვისონ პრევენციული და პაციენტზე ორიენტირებული მიდგომები.

- Wellness Club

Evex-ის ლოიალურობის პროგრამა გარდაიქმნება წევრობაზე დაფუძნებულ Wellness Club-ად, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას სამედიცინო მომსახურებაზე, კეთილდღეობის მხარდაჭერაზე და განათლებაზე, რაც ჯანსაღ ცხოვრებას უკავშირდება.

- კორპორატიული კეთილდღეობის პროგრამები

Evex კომპანიებს სთავაზობს მორგებულ ჯანდაცვის პაკეტებსა და ფასდაკლებებს, ასევე ინიციატივას, „ერთი უფასო ჯანმრთელობის დღე“ თანამშრომლებისთვის, რათა ფოკუსი გადაიტანონ საკუთარ კეთილდღეობაზე.

- „1001 მიზეზი, რომ უფრო დიდხანს იცოცხლო“ კამპანია

Holy Motors-თან თანამშრომლობით, აღნიშნული ცნობიერების ამაღლების კამპანია იყენებს ვიდეო კონტენტსა და ინტერაქტიულ ვებგვერდს პირველადი ჯანდაცვის პოპულარიზაციისა და „ევექსის“, როგორც საქართველოში წამყვანი ჯანდაცვის პროვაიდერის, პოზიციის გასაძლიერებლად.

- **„მეგალაბის“ მარკეტინგული კამპანია**

2024 წელს „მეგალაბმა“ JWT Metro-სთან პარტნიორობით დაიწყო კამპანია - „ყველაფერს თავისი პასუხი აქვს!“, რომელიც ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას. კამპანიაში ხაზგასმული იყო „მეგალაბის“ სიზუსტე, სანდოობა და ტექნოლოგიური შესაძლებლობები, ასევე ლაბორატორიის სპეციალისტების როლი სწორი დიაგნოზის უზრუნველყოფაში. გზავნილი - „ყველა კითხვას პასუხი აქვს!“ „მეგალაბში“ - ასახავდა ლაბორატორიის ერთგულებას სიზუსტისა და პროფესიონალიზმის მიმართ.

ბიზნესში გამოყენებული რესურსების აღწერა

- **სამედიცინო აღჭურვილობა**

„ჯგუფის“ ბიზნესოპერაციები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თანამედროვე და ხარისხიან ინფრასტრუქტურაზე, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე სამედიცინო მომსახურებასა და პაციენტის მოვლის მაღალ დონეს. ქვემოთ წარმოდგენილია ზოგიერთი მათგანი:

აღჭურვილობა	მომწოდებელი	აღწერა
სხივური ამაჩქარებლები (Varian TrueBeam, Varian Clinac iX)…	Varian	ონკოლოგიური თერაპიის მომსახურება
მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (MRI) სკანერები ……..	Siemens, General Electric	ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული MRI სკანერები, რომლებიც ზრდიან დიაგნოსტიკის სიზუსტეს და აუმჯობესებენ გამოსახულების ხარისხს.

კომპიუტერული ტომოგრაფიის (CT) სკანერები……..	Canon, General Electric, Siemens	მაღალი რეზოლუციის გამოსახულების მოწყობილობები, მათ შორის 640-შრიანი Canon Aquilion CT სკანერი.
ულტრაბგერითი სისტემები……	Philips Affiniti CVx, GE Voluson, BK Medical, Toshiba, Mindray	უახლესი ულტრაბგერითი სისტემები, რომლებიც გამოიყენება დიაგნოსტიკურ და ინტერვენციულ პროცედურებში როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ განყოფილებებში.
ლაბორატორიული ანალიზატორები…….	Abbott, Roche, Sysmex, Siemens, Ortho Clinical, Human, Mindray	მაღალსიზუსტიანი ანალიზატორები,

- **ჰოსპიტლების IT სისტემები**

„ჯგუფის“ ოპერაციები ეფუძნება თანამედროვე კლინიკურ IT სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტიანობის, სიზუსტისა და მონაცემთა უსაფრთხოების გაუმჯობესებას, როგორც სამედიცინო, ისე ადმინისტრაციულ პროცესებში. აღნიშნული სისტემები მოიცავს პაციენტების რეგისტრაციას, სამედიცინო ჩანაწერებს, მკურნალობის ისტორიას, ლაბორატორიული და რადიოლოგიური გამოკვლევების მოთხოვნებს, ინვოისირებასა და ცვლად ანაზღაურებაზე დაფუძნებულ ხელფასების გაანგარიშებას.

ბექ-ოფისის (Back-office) სისტემები

„ჯგუფი“ ბუღალტრული ოპერაციების აღრიცხვისთვის იყენებს Exact Globe-ის საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტესა და შესაბამისობას რეგულაციებთან. „ჯგუფი“ ძირითადი IT ინფრასტრუქტურა დაფუძნებულია HP-ის, Cisco-სა და IBM-ის კორპორატიულ სისტემებზე და მოიცავს მრავალფენიან რეზერვირებასა და საგანგებო აღდგენის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ ოპერაციებს.

გარე მონაცემთა ცენტრი, სადაც განთავსებულია „კომპანიის“ სერვერები, აღჭურვილია უმკაცრესი უსაფრთხოების კონტროლით და აგებულია ITIL-ის (Information Technology Infrastructure Library) სტანდარტებთან შესაბამისი ავარიული აღდგენისა და ბიზნესის უწყვეტობის გეგმების შესაბამისად.

ძირითადი დაცვის ზომები მოიცავს:

- მყარი დისკები, ვენტილატორები, ქსელური ბარათები და კვების ბლოკები სისტემის საიმედოობის უზრუნველსაყოფად,
- სარეზერვო მონაცემების ალტერნატიულ ლოკაციებზე შენახვა სისტემური ხარვეზების ან ობიექტის გამორთვის შემთხვევაში სწრაფი აღდგენის უზრუნველსაყოფად,
- სარეზერვო სისტემების გარე ლოკაციაზე განთავსება ავარიული შემთხვევების შედეგად მონაცემთა დაკარგვის თავიდან ასაცილებლად,
- McAfee (Trellix) Data Loss Protection პროგრამული უზრუნველყოფა და „კომპანიის“ ინფორმაციული უსაფრთხოების უწყვეტი მონიტორინგი მონაცემთა ნაკადების დასაცავად.

ვაბაკო

ვაბაკო წარმოადგენს წამყვან ბიზნეს პროგრამული უზრუნველყოფის მიმწოდებელს საქართველოში და სპეციალიზირდება ციფრული ტრანსფორმაციის გადაწყვეტილებებში. „კომპანია“ დაარსდა 2014 წელს და ქმნის, ასევე აწვდის სამედიცინო ინფორმაციულ სისტემას, მარაგების მართვის სისტემას და სრულყოფილ HR და ხელფასების მართვის გადაწყვეტას.

„ჯგუფი“ მთლიანად იყენებს ვაბაკოს პროგრამულ უზრუნველყოფას ბილინგის, HR მოდულებისა და სხვა ოპერაციული პროცესებისთვის. დამატებით, Vabaco-ს პროგრამული უზრუნველყოფა და მომსახურება მიეწოდება მესამე პირებს, რაც „ჯგუფისთვის“ დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

EKIMO/ექიმო

„ექიმო“ არის ციფრული ჯანდაცვის პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ექიმებს, ლაბორატორიებს, კლინიკებსა და აფთიაქებს ერთიან სისტემაში, რაც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებაზე შეუფერხებელ წვდომას. „ექიმოს“ მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ:

- დაჯავშნონ დისტანციური კონსულტაციები ექიმებთან
- შეუკვეთონ ლაბორატორიული ანალიზები სახლის პირობებში
- შეიძინონ მედიკამენტები ონლაინ აფთიაქის საშუალებით

„ექიმოს“ პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს როგორც „ჯგუფის“ სამედიცინო დაწესებულებებს, ისე მესამე მხარის პროვაიდერებს, რაც აფართოებს მის დაფარვასა და ხელმისაწვდომობას ციფრული ჯანდაცვის ბაზარზე.

ბიზნეს პროცესებისა და ხარისხის კონტროლის აღწერა

„ემიტენტის“ ქსელში შემავალ ჯანდაცვის პროვაიდერებს მოეთხოვებათ სამედიცინო დაწესებულებების სტანდარტების დაცვა, რაც შეესაბამება „ჯანმოსა“ (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია) და შერჩეულ ევროკავშირის რეგულაციებს. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს მედიკოსებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის მინიმალური კვალიფიკაციების საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებულ მოთხოვნებს, ასევე მონაცემების შეგროვების, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების დანერგვას. „ემიტენტი“ პერიოდულად ზომავს ჯანდაცვის ხარისხის ძირითად ინდიკატორებს, მათ შორის: პრევენციული ხარისხის ინდიკატორებს (PQI), სტაციონარული ხარისხის ინდიკატორებს (IQI), პაციენტის უსაფრთხოების ინდიკატორებს (PSI) და პედიატრიული ხარისხის ინდიკატორებს (PQ).

„კომპანიამ“ შეიმუშავა კლინიკური სტანდარტების ძირითადი სისტემა, რომელიც ვრცელდება ყველა სამედიცინო დაწესებულებაზე. ხარისხის თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, „ემიტენტმა“ შექმნა შიდა ხარისხის მონიტორინგის ჩარჩო, Evex-ის ხარისხის სტანდარტები (EQS), რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო დონეს და ეფუძნება JCI, AACI და ევროკავშირის მითითებებს. EQS წარმოადგენს სტრუქტურირებულ მიდგომას კლინიკური შედეგების ანალიზისა და გაუმჯობესებისათვის, ხელს უწყობს ფუნქციური ეფექტიანობის გაძლიერებას და უწყვეტი ხარისხისა და კლინიკური გაუმჯობესების ხელშეწყობას, ამავდროულად ამცირებს მომსახურების ხარისხში არსებულ ცვალებადობას. EQS ჩარჩო დაფუძნებულია ოთხ ძირითად საყრდენზე - PQI, IQI, PSI და PQ, რომლებიც რეგულარულად ფასდება.

EQS აკრედიტაცია მიუთითებს საერთაშორისო ჯანდაცვის სტანდარტებთან შესაბამისობაზე და ითვალისწინებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრაციას. ყოველწლიური აკრედიტაციის პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჯანდაცვის ხარისხსა და პაციენტის უსაფრთხოებას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფექციების კონტროლს, მედიკამენტების უსაფრთხოებას, ობიექტების უსაფრთხოებასა და მომსახურების საერთო ხარისხს. ამ პროცესის ფარგლებში, „ჯგუფის“ საავადმყოფოებში კლინიკური პრაქტიკები სტანდარტიზებულია

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და ექვემდებარება რეგულარულ აუდიტს, რათა უზრუნველყოფილი იყოს დასახულ მიზნებთან შესაბამისობა.

რესურსების განაწილებისა და ოპერაციული ეფექტიანობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, „ემიტენტი“ ემსახურება სხვადასხვა პროცესისთვის შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPIs) განვითარების საქმეს, რომლებიც რეგულარულად მონიტორინგდება. EQS სტანდარტების შესაბამისად, ჩამოყალიბებულია შიდა აუდიტის სისტემა, რომელიც ყოველ კვარტალში აფასებს და აკვირდება პაციენტის უსაფრთხოებისა და ხარისხის ინდიკატორებს.

ყველა საავადმყოფოში უფრო მაღალი ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხარისხის კომიტეტი მონიტორინგს უწევს შემდეგ შესრულების ძირითად ინდიკატორებს (KPIs):

- ქირურგიული უსაფრთხოების შემოწმების სია
- ხელების ჰიგიენის ხუთ ნაბიჯიან დაცვასთან შესაბამისობა
- საავადმყოფოში შეძენილი ინფექციების (HAI) მონიტორინგი (მაჩვენებელი < 9 ყოველ 1000 პაციენტის დღეზე)
- ქირურგიული ჭრილობის ინფექციების (SSI) მონიტორინგის სისტემა
- ცენტრალურ ვენურ კათეტერთან ასოცირებული ინფექციების მაჩვენებელი (CLABSI) ყოველ 1000 კათეტერის დღეზე (მონიტორინგის სისტემა)
- კათეტერთან ასოცირებული შარდსასქესო გზების ინფექცია (CAUTI) ყოველ 1000 კათეტერის დღეზე (მონიტორინგის სისტემა)
- პერიოპერაციული ანტიბიოტიკოთერაპიის პროფილაქტიკა (მოზარდებისა და ბავშვებისთვის)
- ვენტილატორთან ასოცირებული პნევმონიის მაჩვენებელი (VAP) ყოველ 1000 ვენტილატორის დღეზე (მონიტორინგის სისტემა)
- პაციენტის დაცემის რისკის პრევენციის შესაბამისობის მაჩვენებელი
- KPI-ის გაციფრულების პროექტი Power BI პლატფორმაზე
- სამედიცინო ჩანაწერების მართვის საინფორმაციო დაფა
- ელექტრონული ISBAR სისტემის დანერგვა ექიმებისთვის
- ელექტრონული ISBAR სისტემის დანერგვა მედდებისთვის
- უწყვეტი სამედიცინო განათლების მონიტორინგის სისტემა

სპეციალურად შექმნილი ჰოსპიტალური კომიტეტები უზრუნველყოფენ პოლიტიკის განახლებას, პროცედურებთან შესაბამისობასა და უწყვეტი გაუმჯობესების ინიციატივების ზედამხედველობას. გარდა ამისა, ყველა საავადმყოფოში დანერგილია ინფექციების კონტროლის ზომები, რომლებიც შემუშავებულია წამყვან გარე კონსულტანტებთან თანამშრომლობით, მათ შორის: JCI Consultancy, AACI Consultancy, CDC Atlanta, CDC Georgia, ემორის უნივერსიტეტი და ჯანმოს ევროპის რეგიონული ოფისი.

ლიცენზიები და პატენტები

ზემოხსენებული ხარისხის კონტროლის პროცესების უზრუნველსაყოფად, „კომპანია“ თანამშრომლობს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ორგანიზაციებთან, რათა მიიღოს აკრედიტაცია. რეაკრედიტაცია ხორციელდება ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ (მიმწოდებლის მიხედვით). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემდგომი აკრედიტაციის პროცესი გაცილებით მარტივია, ვიდრე საწყისი აკრედიტაციის მიღება. ეს განპირობებულია იმით, რომ ყველა აუცილებელი კაპიტალის ინვესტიცია უკვე განხორციელებულია, დეპარტამენტები სათანადოდ ორგანიზებულია, პერსონალი გადამზადებულია და გუნდი კარგად იცნობს საჭირო სტანდარტებს, რაც პროცესს მნიშვნელოვნად ამარტივებს.

შესაბამისი აკრედიტაციები ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებით წარმოდგენილია ქვემოთ:

დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები
.....

- კავკასიის მედიცინის ცენტრი (CMC) არის პირველი მრავალპროფილური რეფერალური ჰოსპიტალი საქართველოში, რომელიც JCI-ის აკრედიტაციას ფლობს.
- Caraps Medline გახდა მრავალპროფილური კლინიკა, რომელსაც მინიჭებული აქვს ამერიკული აკრედიტაციის კომისიის (AACI) აკრედიტაცია.
- დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი არის პირველი და ერთადერთი მრავალპროფილური ჰოსპიტალი დასავლეთ საქართველოში, რომელიც AACI-ის მიერ აღიარებულია.
- მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედებისა და ბავშვთა ცენტრალურ ჰოსპიტალს მინიჭებული აქვს დასავლეთ საქართველოს პირველი საერთაშორისო აკრედიტაციის სტატუსი, როგორც პედიატრიულ სამედიცინო ცენტრს - AACI-ის მიერ მინიჭებული უმაღლესი ხარისხის და პაციენტის უსაფრთხოების შეფასებით.
- ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი ფლობს AACI-ის აკრედიტაციას პაციენტის უსაფრთხოებისა და სამედიცინო ხარისხის მიმართულებით, მინიჭებული აქვს უმაღლესი შეფასება.

რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები
.....

- „საქართველოს კლინიკების“ ქსელში შემავალ ყველა 27 სამედიცინო დაწესებულებას მინიჭებული აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია. KTQ-ს სერტიფიკატი ადასტურებს, რომ აღნიშნული დაწესებულებები უზრუნველყოფენ პაციენტზე ორიენტირებულ გარემოს და აკმაყოფილებენ სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს.

კლინიკები……..

- Evex-ის კლინიკების ქსელი შეესაბამება ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებს.
- მას მინიჭებული აქვს TÜV AUSTRIA-ს სერტიფიკატი.

დიაგნოსტიკა……..

- 2022 წლის 24 ივლისს, მეგალაბი გახდა პირველი სამედიცინო ლაბორატორია სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც მიიღო JCI-ის აკრედიტაცია.
- 2024 წლის 11 ივლისს, სახელმწიფო აკრედიტაციის სააგენტომ, აკრედიტაციის ცენტრმა, მეგალაბს მიანიჭა აკრედიტაციის სერტიფიკატი. აღნიშნული სერტიფიკატი ადასტურებს, რომ Megalab აკრედიტებულია SS ISO 15189:2012/2015-ის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრული მოთხოვნების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან ჯანდაცვის სისტემაში ახალი რეგულაციების ძალაში შესვლის შემდეგ, სამედიცინო დაწესებულებებს, ოპერირებისათვის საერთაშორისო აკრედიტაციის აღების ვალდებულება დაეკისრებათ. „ჯგუფის“ ყველა დაწესებულება უკვე შეესაბამება ამ მოთხოვნებს. დამატებითი ინფორმაციისთვის *„მარეგულირებელი გარემო“.*

ემიტენტის მატერიალური ხელშეკრულებები

- *იჯარის ხელშეკრულებები*

„კომპანიას“ იჯარით აქვს აღებული 11 პოლიკლინიკისთვის განკუთვნილი შენობები, ასევე სათაო ოფისის შენობა, თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია განსხვავებული წინასწარი შეტყობინების ვადები. ზოგიერთ შემთხვევებში, მომსახურების მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებები ვადის ამოწურვის შემდეგ ავტომატურად განახლდება.

იჯარის ვადების დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

#	პოლიკლინიკები	საიჯარო ვადის ამოწურვის დღე
1	დიდუბის პოლიკლინიკა	5-აპრ-2029
2	დიდი დიღმის პოლიკლინიკა	2-დეკ-2026

3	ბათუმის პოლიკლინიკა	13-მაი-2026
4	ვარკეთილის პოლიკლინიკა	25-ივნ-2035
5	ვაზისუბნის პოლიკლინიკა	26-ოქტ-2031
6	გურამიშვილის პოლიკლინიკა	27-სექ-2028
7	ისნის პოლიკლინიკა	24-თებ-2032
8	მთაწმინდის პოლიკლინიკა	19-აპრ-2033
9	ცენტრი „კარავი“	7-ივნ-2033
10	ცინცაძის პოლიკლინიკა	30-სექ-2031
11	საბურთალოს პოლიკლინიკა	1-აგვ-2034
12	სათაო ოფისი	30-სექ-2031

- *სადაზღვევო პოლისი*

„კომპანია“ ფლობს ძვირადღირებულ, უმაღლესი ხარისხის შენობებსა და სამედიცინო ინფრასტრუქტურას, რის გამოც უზრუნველყოფილია 249.4 მილიონი ლარის მოცულობის სადაზღვევო დაფარვით (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული ოდენობა არ მოიცავს იმ ობიექტებს, რომელთა დაზღვევის განახლების პროცესი ამჟამად მიმდინარეობს). დაფარვის მოცულობა შემდეგნაირად არის გადანაწილებული სხვადასხვა ბიზნესმიმართულებაზე:

- **დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები:** 222.6 მილიონი ლარი
- **რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები:** 3.9 მილიონი ლარი
- **დიაგნოსტიკური მიმართულება:** 19.2 მილიონი ლარი
- **პოლიკლინიკები:** 3.7 მილიონი ლარი

სადაზღვევო მომსახურებას უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“. პოლისების ვადა, როგორც წესი, ერთ წელს შეადგენს და მათი განახლება ყოველწლიურად ხდება.

„ემიტენტს“ გაფორმებული არ აქვს რაიმე არსებითი ხელშეკრულება, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობაზე ან მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ინვესტიციები

„ჯგუფი“ საკუთარ კაპიტალურ დანახარჯებს ორ ძირითად კატეგორიად ყოფს:

- **განვითარების კაპიტალური დანახარჯები** - მოიცავს იმ კაპიტალურ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურებისა და სამედიცინო აპარატურის განახლებასა და გაუმჯობესებასთან. აღნიშნული ძირითადად მოიცავს ახალი სამედიცინო ტექნიკის შეძენას, IT ინფრასტრუქტურის განვითარებას და ინვესტიციებს ახალი სერვისების დანერგვისთვის.
- **გეგმიური კაპიტალური დანახარჯები** - მოიცავს იმ კაპიტალურ ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია არსებული საოპერაციო საქმიანობის დონის შენარჩუნებისთვის. აღნიშნული მოიცავს არსებული აპარატურის შეკეთებას, შეცვლას ან განახლებას.

დიაგრამა 1: „ჯგუფის“ კაპიტალური დანახარჯების გადანაწილება განვითარებისს და შენარჩუნების კაპიტალურ დანახარჯებად (‘000 ლარი):



2023 წელს გამკაცრდა ჰოსპიტალურ პალატებთან დაკავშირებული რეგულაციები სამედიცინო დაწესებულებებისთვის. კერძოდ, გაიზარდა მინიმალური დაშორების მოთხოვნები საწოლებს შორის, აგრეთვე საწოლებსა და კედლებს შორის. შედეგად, სექტორის წარმომადგენლებს დაეკისრათ ვალდებულება, დროებით დაეხურათ შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებები და განეხორციელებინათ მათი რემონტი ან რეაბილიტაცია.

2023 წლის მეორე ნახევარში და 2024 წლის პირველ ნახევარში „ჯგუფმა“ განახორციელა კაპიტალური დანახარჯები, რომლებიც აუცილებელი იყო ახალი რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ ხარჯების ნაწილი შენარჩუნების, ხოლო ნაწილი განვითარების კაპიტალურ დანახარჯებში აისახა.

„კომპანიის“ განვითარების კაპიტალური დანახარჯები ძირითადად მოიცავს სამედიცინო აღჭურვილობის შეძენას და ახალი სერვისების დანერგვას, ასევე შენობების გაუმჯობესებას, რეგულაციებთან შესაბამისობის კაპექსს, ინვესტიციებს ელექტრონულ ტექნიკაში, არამატერიალურ აქტივებსა და IT ინფრასტრუქტურაში.

განვითარების კაპიტალური დანახარჯების პერიოდების მიხედვით გადანაწილება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ჯგუფის განვითარების კაპიტალური დანახარჯების გადანაწილება, '000 ლარი	*2024*	*2023*
შენობების გაუმჯობესება, არსებული ობიექტების რეაბილიტაცია/განახლება და რეგულაციებთან შესაბამისობის კაპიტალურური დანახარჯები	12,535	19,906
არამატერიალური აქტივების განვითარება	7,713	12,578
სამედიცინო აპარატურა და ახალი სერვისები	15,721	8,376
ელექტრონული ტექნიკა და IT ინფრასტრუქტურა	5,593	1,895
სათავო ოფისი (HO)	2,378	1,483
სატრანსპორტო საშუალებები	-	364
სულ განვითარების კაპიტალური დანახარჯები	**43,940**	**44,603**

სამედიცინო აპარატურის შეძენა ძირითადად შეესაბამებოდა „ჯგუფის“ სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს ამბულატორიული სერვისების წილის ზრდას საერთო შემოსავალში. ამ მიზნის მისაღწევად, „ჯგუფმა“ შეიძინა ონკოლოგიის მიმართულებით დამატებითი აღჭურვილობა, მათ შორის MRI, CT, ულტრაბგერითი აპარატები და სხვა

არამატერიალურ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები ძირითადად დაკავშირებული იყო „ექიმოს“ აპლიკაციის განვითარებასა და „ვაბაკოს“ პლატფორმაში ინვესტირებასთან.

„HO“ აღნიშნავს ხარჯებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სათავო ოფისის მშენებლობასა და რეაბილიტაციასთან.
სატრანსპორტო საშუალებებში განხორციელებული ინვესტიციები დაკავშირებულია იმ ავტომობილების შეძენასა და ტექნიკურ მომსახურებასთან, რომლებიც ძირითადად საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული საქმიანობისთვის გამოიყენება.

ჯგუფი სამომავლოდ გეგმავს, რომ გაზარდოს ამბულატორიული სერვისების წილი თავის შემოსავლებში, რისთვისაც აპირებს შესაბამისი დანადგარების შეძენას. ამის გარდა, ჯგუფი გეგმავს თბილისის ონკოლოგიური ცენტრის გახსნას და შესაბამისი სამედიცინო აპარატურის შეძენას. დაგეგმილია, რომ ამ და სხვა (მათ შორის გეგმიურ) კაპიტალურ დანახარჯებში წლიურად საშუალოდ 50 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება, , რაც სრულად შიდა ფულადი სახსრებით დაიფარება. ჯგუფი ელის, რომ სამომავლო კაპიტალური დანახარჯების დაახლოებით 70% განვითარებას მოხმარდება, ხოლო დარჩენილი 30% გეგმიურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორის მიმოხილვა

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ჯანდაცვის ინდუსტრიაში განხორციელდა არაერთი რეფორმა და ცვლილება. სახელმწიფომ ჯანდაცვის სექტორი პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა, შედეგად მნიშვნელოვნად გააქტიურდა კერძო ინვესტიციების მოზიდვა. რეფორმის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენდა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სექტორის ლიბერალიზაცია, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, რაც რეფორმების მთავარ შედეგად ითვლება.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემა, 2024 წელს

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი ეფუძნება მოდელს, სადაც მომსახურებას უზრუნველყოფენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პროვაიდერები. ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების მიმართულებით წამყვან პოზიციას იკავებს კერძო სექტორი - ჰოსპიტალებისა და კლინიკების უმეტესობას კერძო პროვაიდერები მართავენ. ამასთან, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში, რაც ხორციელდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის და სხვადასხვა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. სექტორი ზომიერად კონცენტრირებულია - ბაზრის მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 50%-ს ათი უმსხვილესი ჰოსპიტალი აგენერირებს, ხოლო დარჩენილი წილი ნაწილდება მცირე პროვაიდერებზე.

ჯანდაცვის ინდუსტრიის ფინანსური და ეკონომიკური მიმოხილვა

ჯანდაცვის ინდუსტრია ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და სწრაფად განვითარებად სექტორს წარმოადგენს. მოთხოვნისა და მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორების გავლენით, სექტორის საერთო გამოშვება ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. 2018–2024 წლებში ჯანდაცვის სექტორის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა (CAGR) 9.4% შეადგინა. ამავე პერიოდში ჯანდაცვის სექტორის წილი ეკონომიკის მთლიანი გამოშვებაში შემცირდა - 2018 წლის 3.8%-დან 2024 წლის 3.2%-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში ჯანდაცვის სექტორი უფრო დაბალი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორები.

- **2018 წლიდან 2021 წლამდე** საქართველოს ჯანდაცვის სექტორი სტაბილურად, ხოლო შემდგომ დაჩქარებული ტემპით გაიზარდა - გამოშვების მაჩვენებელი გაიზარდა 2.7 მლრდ ლარიდან 2018 წელს, 4.6 მლრდ ლარამდე 2021 წელს. 2020 და 2021 წლების განმავლობაში ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებული იყო COVID-19-ის პანდემიასთან, რამაც გამოიწვია სამედიცინო მომსახურებაზე, ჰოსპიტალიზაციასა და სახელმწიფო ჯანდაცვის ხარჯებზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდა. ჰოსპიტალიზაციის, ტესტირების და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაზრდილმა მოცულობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გამოშვების ზრდაში.
- **2022 წელს** სექტორის გამოშვება შემცირდა და 4.3 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 6%-იან კლებას წარმოადგენს. **2023 წელს** დაფიქსირდა დამატებითი 5%-იანი შემცირება, რის შედეგადაც გამოშვება 4.1 მლრდ ლარამდე შემცირდა. შემცირება ძირითადად განპირობებული იყო პანდემიასთან დაკავშირებული ჯანდაცვის ხარჯების კლებით, ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის შემცირებითა და ჯანდაცვის მომსახურების გამოყენების ეტაპობრივი ნორმალიზებით. COVID-თან დაკავშირებული მასშტაბური სამკურნალო პროგრამების დასრულებამ და საგანგებო დაფინანსების შემცირებამ, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ კლებაში.

მიუხედავად 2022 და 2023 წლებში დაფიქსირებული საერთო კლებისა, **2024 წლის წინასწარი მონაცემებით**, ჯანდაცვის სექტორის გამოშვებამ 4.7 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 12%-ით მაღალია. აღნიშნული ზრდა მიუთითებს, რომ სექტორი პანდემიის შემდგომი დასტაბილურების ეტაპზე იმყოფება.

დიაგრამა 2. ჯანდაცვის სექტორის მთლიანი გამოშვება (მლრდ ლარი, მარცხნივ), მისი წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში (მარჯვნივ) და წლიური ზრდის მაჩვენებელი



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

**გამოშვების მაჩვენებელი ასევე მოიცავს სოციალური მომსახურების საქმიანობებს*

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი ხასიათდება ზომიერი კონცენტრაციით და მაღალი კონკურენციით ბაზრის მონაწილეებს შორის. ბაზრის მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 50%-ს ათი უმსხვილესი ჰოსპიტალი აგენერირებს, ხოლო დარჩენილი წილი ნაწილდება მცირე პროვაიდერებზე. აღნიშნული სტრუქტურა მიუთითებს როგორც დომინანტური კომპანიების არსებობაზე, ისე ბაზრის მცირე მონაწილეთა ფრაგმენტირებულ სეგმენტზე. მაღალი კონკურენციისა და ფრაგმენტაციის პირობებში, ასევე არსებული და მოსალოდნელი რეგულაციების ფონზე, ბაზრის კონსოლიდაციისათვის კეთილმოწყობილი გარემო იქმნება.

დიაგრამა 3. ჯანდაცვის ბაზრის წილის განაწილება შემოსავლის მიხედვით, 2023 წლის მდგომარეობით



წყარო: SARAS, თიბისი კაპიტალი
** მონაცემები დათვლილია 92 ჰოსპიტალისა და კლინიკის მონაცემის საფუძველზე.*

ფინანსური თვალსაზრისით, ჯანდაცვის სექტორმა პოზიტიური შედეგები აჩვენა - მთლიანმა შემოსავალმა 2018 წელს 0.8 მლრდ ლარიდან 2022 წელს 1.5 მლრდ ლარამდე გაიზარდა. 2020 წელს COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კლინიკების შემოსავლებსა და ხარჯებზე და მოგების მარჟა 4%-მდე შემცირდა. თუმცა, 2021 წელს პანდემიის მართვის დაფინანსების ზრდასთან და ლარის გამყარების შედეგად მიღებული არასაოპერაციო ფინანსური შემოსავლების ფონზე ჯანდაცვის სექტორში EBITDA მარჟა 25%-მდე, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 17%-მდე გაიზარდა. 2022 წელს ჯანდაცვის სექტორის შემოსავლები დისტაბილურდა, წმინდა მოგების მარჟა ნორმალიზდა და 8%-ს შეადგენდა, ხოლო EBITDA მარჟა ნორმალიზდა და 15%-ის ნიშნულს მიაღწია. 2023 წელს სექტორის მომგებიანობა შემცირდა: წმინდა მოგების მარჟა 0.2%-მდეშემცირდა, რაც 2022 წლის 8%-თან შედარებით მნიშვნელოვანი კლებაა. ეს შემცირება თავის მხრივ უკავშირდება როგორც პოსტ-პანდემიურ კორექტირებას, ასევე საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების ზრდას, რაც განპირობებულია აკრედიტაციასთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობისა და ხარისხის სტანდარტებში ინვესტიციებით. 2023 წელს EBITDA მარჟამ 12% შეადგინა, რაც 2022 წლის 15%-თან და 2021 წლის 25%-თან შედარებით ნაკლებია. ეს თავის მხრივ საოპერციო ეფექტიანობაზე გაზრდილ წნეხზე მეტყველებს.

დიაგრამა 4. ჰოსპიტალებისა და კლინიკების საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლები (მლრდ ლარში), წმინდა მოგების მარჟა (%) და EBITDA მარჟა (%), 2018–2023 წლებში



წყარო: SARAS, თიბისი კაპიტალი
**მონაცემები დათვლილია 92 ჰოსპიტალისა და კლინიკის მონაცემების საფუძველზე, რომელთა ფინანსური ანგარიშები ხელმისაწვდომია რეპორტალზე. ეს შემოსავლები არ მოიცავს იმ კომპანიების შემოსავლებს, რომელთაც არ აქვთ ფინანსური ანგარიშგების საჯაროობის ვალდებულება, მცირე ზომის კლინიკების, სტომატოლოგიურ კლინიკებს და ა.შ. შესაბამისად, ეს მაჩვენებელი არ ასახავს ბაზრის ზუსტ ზომას და მნიშვნელოვნად განსხვავდება სექტორის გამოშვების მაჩვენებლისგან.*

ჯანდაცვის სექტორის განვითარების მამოძრავებელი ფაქტორები – მოთხოვნის მხარე

- *სახელმწიფო ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვის მზარდი ხარჯები*

2018-2023 წლებში საქართველოში ჯანდაცვაზე დანახარჯები საკმაოდ მერყეობდა, თუმცა, მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, ძირითადად COVID-19 პანდემიითა და სახელმწიფო და კერძო დანახარჯების ცვლადი სტრუქტურით იყო განპირობებული. პანდემიის პერიოდში, 2020 და 2021 წლებში, ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა გადაუდებელი ზომების, ჰოსპიტალიზაციისა და ტესტირების გამო. 2022 წელს, პანდემიის შენელებასთან ერთად, COVID-19-თან დაკავშირებული ხარჯები შემცირდა, რის შედეგადაც ჯანდაცვის საერთო

დანახარჯი წინა წელთან შედარებით 3%-ით შემცირდა. 2023 წელს ჯანდაცვაზე დანახარჯები კიდევ 12%-ით შემცირდა და 3.4 მილიარდი ლარი შეადგინა. ეს იყო პანდემიის დროს მოქმედი სახელმწიფო დაფინანსების ეტაპობრივი შემცირებისა და ჯანდაცვის მოხმარების ნორმალიზების შედეგი. მიუხედავად შემცირებისა, 2023 წლის ჯანდაცვაზე დანახარჯები 15%-ით აღემატებოდა 2019 წლის (პანდემიამდე) მაჩვენებელს.

ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები სამი ტიპის დანახარჯებს მოიცავს: მოსახლეობის ჯიბიდან გაღებული დანახარჯები (40%), სახელმწიფო დანახარჯები (50%) და კერძო დაზღვევის დანახარჯები (9%), 2023 წლის მონაცემებით.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის დაფარვის გაფართოებასთან ერთად, ჯანდაცვის საერთო ხარჯებში მოსახლეობის ჯიბიდან გადახდების წილი შემცირდა — 2018 წლის 53%-დან 2023 წელს 40%-მდე. აღნიშნულ პერიოდში, ჯანდაცვის კერძო დაზღვევის წილმა მთლიან დანახარჯებში გაიზარდა 6%-დან (2018) 9%-მდე (2023), სახელმწიფო ხარჯების ზრდისა და კერძო დაზღვევის ხარჯების მოცულობის სტაბილურობის ფონზე. ამავე დროს, სახელმწიფოს დანახარჯების წილი 40%-დან 50%-მდე გაიზარდა.

დიაგრამა 5. ჯანდაცვაზე დანახარჯები წყაროების მიხედვით, მლრდ. ₾



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქსტატი, თიბისი კაპიტალი

**გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 2023 წლისთვის მოსახლეობის პირდაპირი გადახდების აბსოლუტური მაჩვენებელი ხელმისაწვდომი არ არის და იგი შეფასებულია მისი წილის მიხედვით.*
***გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჯანდაცვაზე დანახარჯები წყაროების მიხედვით ასახავს შემდეგი წყაროების დანახარჯებს: სახელმწიფო, მოსახლეობის ჯიბიდან გადახდები და კერძო დაზღვევის დანახარჯები. ეს დანახარჯები არ მოიცავს დონორი ორგანიზაციების დახმარებებს და შესაძლოა, მოიცავდეს როგორც ჯანდაცვის სერვისებზე გაწეულ დანახარჯებს, ასევე, მედიკამენტებსა და სხვადასხვა აღჭურვილობაზე გაწეულ ხარჯებს. ამიტომ, ეს მაჩვენებელი არ არის შესადარი მესამე დიაგრამაზე წარმოდგენილ მონაცემებთან*

2023 წელს ჯანდაცვაზე მოსახლეობის ჯიბიდან გაღებული დანახარჯების წილმა ჯანდაცვის საერთო ხარჯების 40% შეადგინა, რაც ევროპისა და ცენტრალური აზიის 49 ქვეყნიდან სიდიდით მეათე მაჩვენებელია. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (21%) და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების

საშუალო მაჩვენებელს (14%), რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში მოსახლეობაზე შედარებით უფრო დიდი ფინანსური ტვირთი მოდის ჯანდაცვის ხარჯების დაფარვისას.

*დიაგრამა 6. მოსახლეობის ჯიბიდან გადახდების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის**



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური პორტალი
**გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გამოყენებულია უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები (2022–2023 წწ.)*

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების უდიდესი წილი (საშუალოდ 55%) საყოველთაო ჯანდაცვაზე მოდის. აღნიშნული პროგრამის დაფარვის ზრდასთან ერთად, გაიზარდა მისი დაფინანსებაც: თუ საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება 2018 წელს 760 მილიონი იყო, 2023 და 2024 წლებში ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბა. თუმცა, 2020–2021 წლებში პროგრამის წილი სახელმწიფო ხარჯებში შემცირდა და შესაბამისად 53.4%-სა და 31.7%-ს მიაღწია, რაც განპირობებული იყო ფინანსური რესურსების COVID-19-ზე რეაგირების ღონისძიებებზე გადამისამართებით. 2022 წლის 1-ელი ნოემბრიდან, საქართველოში დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების მოდელი ამოქმედდა, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალიზაციისა და მკურნალობის ხარჯებს ასტანდარტიზებს და ადგენს სამედიცინო მომსახურების ხარჯებს დიაგნოზისა და ჩატარებული პროცედურების მიხედვით. 2023 წლიდან კი უკვე დაიწყო დაფინანსების სისტემის DRG მოდელზე გადასვლა.

2023 წელს, მიუხედავად ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების შემცირებისა, საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსებამ რეკორდულ მაჩვენებელს — 1.06 მილიარდ ლარს მიაღწია, რის შედეგადაც მისი წილი მთლიანი სახელმწიფო ჯანდაცვის ხარჯების სტრუქტურაში 62.1%-მდე გაიზარდა. 2024 წელს დაფინანსება კვლავ მაღალი დარჩა და 1.04 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 51%-ს წარმოადგენს. 2025 წელს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გამოყოფილი დანახარჯების 18%-იანი ზრდა არის დაგეგმილი.

დიაგრამა 7. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაზე სახელმწიფოს დანახარჯები, მლრდ ლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქსტატი, თიბისი კაპიტალი

2023 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობამ 752.9 ათასს მიაღწია, რაც 2022 წელთან შედარებით 6%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. აღნიშნული რაოდენობა ქვეყნის საერთო მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს შეადგენს. თუმცა, 2018-2019 წლების მაჩვენებლებთან შედარებით ეს რიცხვი შემცირებულია, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია როგორც COVID-19-ის პანდემიის ეფექტებთან, ასევე ჯანდაცვის სერვისების გამოყენების პრაქტიკაში განხორციელებულ ცვლილებებთან, რომლებიც გამოვლინდა პანდემიის პერიოდში და მის შემდგომ.

2023 წელს ასევე გაიზარდა იმ შემთხვევათა რაოდენობა, როდესაც მოსახლეობამ ისარგებლა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, მათ შორის - ჰოსპიტლებსა და კლინიკებში ჩატარებული სამედიცინო პროცედურებით, კონსულტაციებითა და მკურნალობით. ამავე წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გამოყენების შემთხვევათა რაოდენობამ 1.4 მილიონს მიაღწია, რაც 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 9%-ით გაზრდილია. აღნიშნული ზრდა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ჯანდაცვის მომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასთან, რაც გამოიხატა აღნიშნული სერვისების მოთხოვნის ზრდაში, ასევე COVID-19-ის პანდემიის გავლენით. საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხების რაოდენობაში ასევე მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა. 2023 წელს ანაზღაურებული თანხის ოდენობამ 1.1 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 18%-იან ზრდას წარმოადგენს.

დიაგრამა 8. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით მოსარგებლე[14] პირთა რაოდენობა ('000) და მათი წილი მთლიან მოსახლეობაში

დიაგრამა 9. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით სარგებლობის შემთხვევათა რაოდენობა ('000) და ანაზღაურებული თანხა

[14] გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს რიცხვი მიუთითებს, რამდენმა პირმა ისარგებლა აღნიშნული პროგრამით. დღევანდელი მდგომარეობით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით (UHC) დაფარულია მოსახლეობის უმრავლესობა.



წყარო: ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო, თიბისი კაპიტალი



წყარო: ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო, თიბისი კაპიტალი

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან ერთად, სახელმწიფო ახორციელებს მიზნობრივ ინიციატივებს ჯანდაცვის მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით. 2023 წელს სხვა პროგრამებზე გამოყოფილი ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი ფინანსები გადანაწილდა პირველად და სასწრაფო დახმარების მომსახურებებზე, რეფერალური სერვისებზე და ორგანოთა გადანერგვაზე, და დაფინანსების ზრდის კვალდაკვალ მოსალოდნელია, რომ ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა გაიზრდება

- *დემოგრაფიული დინამიკა*

ჯანდაცვის მომსახურებებზე მოთხოვნა, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია ქვეყნის დემოგრაფიული დინამიკით. 2023 წელს საქართველოს მოსახლეობამ 3,736.4 ათასს მიაღწია, რაც ბოლო ათწლეულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მოსახლეობის ზრდის ძირითად მიზეზებს შორის იყო მიგრაცია ქვეყანაში (რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად საქართველოში მიგრანტების ნაკადი გაიზარდა), სოციალური ფაქტორების ცვლილება, ეკონომიკური პირობები და ინდივიდუალური არჩევანი.

დიაგრამა 10. საქართველოს მოსახელობა პირველ იანვარს ('000)



წყარო: საქსტატი

** გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მოსახლეობის ოფიციალური მონაცემები ყოველი წლის 1 იანვრისათვის ასახავს წინა წლის მოსახლეობის რაოდენობას და არ წარმოადგენს ზუსტ რეალურ რაოდენობას. ეს ნიშნავს, რომ დემოგრაფიული ტენდენციები, მათ შორის მიგრაცია და ბუნებრივი ზრდის მაჩვენებლები წინა წლებში, უკვე გათვალისწინებულია ამ რიცხვებში.*

წლების განმავლობაში საქართველო განიცდიდა მნიშვნელოვანი მოსახლეობის გადინებას, რაც ძირითადად სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. 2013-2022 წლებში მიგრაციული სალდო უარყოფითი იყო, გარდა 2020 წლისა, რაც პანდემიის დროს გადაადგილების შეფერხებას უკავშირდება, და 2022 წელს, როდესაც რუსეთ-უკრაინის ომის გამო საქართველოში მიგრაციული ნაკადები გაიზარდა. ქვეყნიდან ახალგაზრდა მოსახლეობის ემიგრაციამ გავლენა მოახდინა ქვეყნის მოსახლეობის დინამიკაზე, მათ შორის მთლიანი მოსახლეობის შემცირებასა და ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაზე. შობადობისა და მოსახლეობის რაოდენობის შემცირება უარყოფით გავლენას ახდენს ჯანდაცვის სერვისების მოთხოვნაზე.

- *დაავადებები და რისკ-ფაქტორები*

ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად განპირობებულია დაავადებებითა და ძირითადი რისკ-ფაქტორებით. 2023 წელს მოსახლეობის ავადობის მაჩვენებელი 24%-ით გაიზარდა 2022 წელთან შედარებით. ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა ენდოკრინული სისტემის დარღვევების, მეტაბოლურ და კვლევებთან დაკავშირებული დაავადებების (54%), ორსულობასთან დაკავშირებული მდგომარეობების (51%) და კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებების (50%) მიმართულებით.

დიაგრამა 11. მოსახლეობის ავადობა პირველად დადგენილი დიაგნოზის მიხედვით ('000)



წყარო: საქსტატი

- *ამბულატორიული და სტაციონარული ვიზიტების რაოდენობის ზრდა*

ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული მომსახურების მოცულობა. 2023 წელს ექიმთან მიმართვების რიცხვი მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ 4.1-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 3.3 იყო. ვიზიტების ზრდა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება კომპლექსური ჯანდაცვის პროგრამების განვითარებასა და ჯანდაცვის მომსახურებაზე გაზრდილ მოთხოვნას.

დიაგრამა 12. ექიმთან მიმართვების რიცხვი მოსახლეობის ერთ სულზე



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

- *მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა*

შემოსავალი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნას. როგორც წესი, მაღალი შემოსავლის მქონე პირებს უფრო მეტი ფინანსური რესურსი აქვთ ჯანდაცვის ხარჯების დასაფარად, მათ შორის სადაზღვევო პრემიების, ჯიბიდან გაღებული დანახარჯებისა და მკურნალობისთვის. ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობის შემოსავლები ზრდის ტენდენციას აჩვენებს. 2024 წელს საშუალო შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე 562 ლარს შეადგენდა, რაც 2023 წელთან შედარებით 16%-ით, ხოლო 2018 წელთან შედარებით კი თითქმის ორჯერ მეტია. ამავე დროს, 2024 წელს საშუალო თვიური შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე 2023 წელთან შედარებით 13%-ით, ხოლო 2018 წელთან შედარებით 80%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 13. საშუალო თვიური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე და საშუალო თვიური შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე, ლარი



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

ბოლო წლებში ხელფასის მიმღები პირების რაოდენობა სტაბილურად იზრდება, რაც შრომის ბაზრის გაძლიერებასა და ეკონომიკურ აქტივობაში მონაწილეობის ზრდას ასახავს. 2020 წლიდან 2024 წლამდე ხელფასის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 827 ათასიდან 963 ათასამდე, რაც 16%-იან ზრდას წარმოადგენს.

გარდა იმისა, რომ შემოსავლის მიმღებთა რაოდენობა გაიზარდა, ასევე შეინიშნება მნიშვნელოვანი გადაადგილება უფრო მაღალი სახელფასო სეგმენტებისკენ, რაც მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის ზრდაზე მიუთითებს.

დიაგრამა 14. ხელფასის მიმღები პირების რაოდენობა საშუალო თვიური ხელფასის დიაპაზონების მიხედვით (მოიცავს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, ლარი)



წყარო: შემოსავლების სამსახური, თიბისი კაპიტალი

ბოლო წლებში ჯანდაცვის მომსახურების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ინფლაციის გავლენასა და ჯანდაცვის დანახარჯების ზრდას ასახავს - სავარაუდოდ, პანდემიით გამოწვეული პროცესების შედეგად. ამ ზრდის შემდეგ, 2023 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2022 წელთან შედარებით 6.5%-ით შემცირდა, ხოლო 2024 წელს 2023 წელთან შედარებით მცირედით – 1%-ით გაიზარდა, რაც შედარებით სტაბილიზაციაზე ან კორექციაზე მიუთითებს წინა წლების ფასების მკვეთრი ზრდის შემდეგ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018-2024 წლებში მოსახლეობის შემოსავლის ზრდამ ჯანდაცვის მომსახურების ფასების ზრდას გადაასწრო, რაც ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მიანიშნებს.

დიაგრამა 15. სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ჯანმრთელობის დაცვის ფასების ზრდის ინდექსი და შემოსავლების ზრდის ინდექსი, 2018 = 100



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

2018 წლიდან 2024 წლამდე პერიოდში საქართველოში ჯანდაცვის მომსახურების ფასებმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა. ყველაზე მკვეთრად გაძვირდა სტომატოლოგიურ სერვისებზე – კბილის ამოღების ფასი გაიზარდა 72.6%-ით, ხოლო დაბჟენის ფასი – 56.3%-ით. ფასებმა მნიშვნელოვნად მოიმატა ზოგად სამედიცინო მომსახურებაზეც, მათ შორის თერაპევტთან კონსულტაციაზე (50.4%) და ულტრაბგერით გამოკვლევებზე (40.5%). შედარებით ზომიერი იყო ფასების ზრდა ჰოსპიტალურ მომსახურებაზე (17.6%) და სამშობიარო მომსახურებაზე (20.5%), თუმცა საერთო ტენდენცია მიუთითებს ჯანდაცვის ხარჯების ფართომასშტაბურ ზრდაზე, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია ინფლაციით, გაზრდილი მოთხოვნითა და საოპერაციო ხარჯების მატებით.

დიაგრამა 16. ჯანდაცვის სერვისების ფასების ცვლილება 2024 წელს 2018 წელთან შედარებით



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

სექტორის განვითარების ფაქტორები – მიწოდების მხარე

- *ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერები*

მიწოდების მხარის თვალსაზრისით, 2018-2023 წლებში ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებელთა რაოდენობა შემცირდა. მოსალოდნელია, რომ ბაზრის მაღალი ფრაგმენტაცია და ბოლო პერიოდში მიღებული რეგულაციები ხელს შეუწყობს სექტორის კონსოლიდაციას.

დიაგრამა 17. საავადმყოფოების და სამედიცინო ცენტრების რაოდენობა და მოსახლეობისთვის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების რაოდენობა



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

- *რესურსები და მათი გამოყენება*

2020–2021 წლებში საქართველოში ჰოსპიტალების საწოლფონდის რაოდენობა გაიზარდა COVID-19-ის პანდემიის შედეგად, რაც ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობების გაფართოებას მოითხოვდა. თუმცა, ზრდის ამ ეტაპს 2022 და 2023 წლებში შემცირება მოჰყვა, რაც პანდემიის შენელებითა და დამატებით საწოლებზე შემცირებული მოთხოვნით იყო

განპირობებული. 2023 წლისთვის საწოლების რაოდენობა დაბალი იყო იმ დონესთან შედარებით, რაც პანდემიის დაწყებამდე 2018 და 2019 წლებში იყო, რაც სავარაუდოდ, განპირობებული იყო მათი დაბალი დატვირთვითა და საწოლებს შორის სავალდებულო დაშორების შესახებ ახალი რეგულაციების ამოქმედებით.

დიაგრამა 18. საწოლების რაოდენობა საავადმყოფოებში



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

2020 და 2021 წლებში საწოლფონდის გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა და პაციენტთა დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობამ შესაბამისად შეადგინა 5.6 და 6.2 დღე. აღნიშნული ზრდა გამოწვეული იყო COVID-19-ის პანდემიით, რომელმაც გამოიწვია ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის ზრდა და სტაციონარში ხანგრძლივი დარჩენა შემთხვევათა სიმძიმისა და გრძელვადიანი სამედიცინო დახმარების საჭიროების გამო. პანდემიის შენელებასთან ერთად შემცირდა COVD-19-ით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, შესაბამისად, პაციენტთა დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი 2022 წელს 5.1 დღემდე შემცირდა. 2023 წელს ეს მაჩვენებელი მცირედით გაიზარდა და 5.3 დღე შეადგინა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს საავადმყოფოების მიმართვიანობის იმ სტაბილურ დონეზე დაბრუნებას, რაც პანდემიამდე არსებობდა და რომელზეც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება, ქრონიკული დაავადებების გავრცელება ან სამედიცინო მომსახურების მიწოდების სტრუქტურულ ცვლილებები.

დიაგრამა 19. საწოლების დატვირთულობა (%) და ერთი პაციენტის საავადმყოფოში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა, დღე



წყარო: საქსტატი

2023 წლის მონაცემებით, საქართველოში საწოლთა დატვირთულობის მაჩვენებელი 56.1%-ია, რაც ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში ხელმისაწვდომი საავადმყოფოს საწოლფონდის მხოლოდ ნახევარზე ცოტა მეტი გამოიყენება. საქართველოს საწოლების დატვირთვის მაჩვენებელი საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით დაბალია და მხოლოდ აზერბაიჯანის მაჩვენებელს აღემატება, რაც შესაძლოა მიუთითებდეს რესურსების გამოყენების არაეფექტიანობასა და რეგიონულ უთანასწორობაზე პაციენტების გადანაწილების კუთხით. ამ მიმართულებით არსებობს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების პოტენციალი, რაც დადებით გავლენას მოახდენდა ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობაზე.

*დიაგრამა 20. საწოლების დატვირთვა (%) და ერთი პაციენტის საავადმყოფოში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა (დღე) ქვეყნების მიხედვით, 2022–2023 წწ.**



წყარო: ჯანმო (WHO), თიბისი კაპიტალი
** გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გამოყენებულია უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები (2022–2023)*

საქართველოს ჯანდაცვის სექტორში სამედიცინო პერსონალის მიწოდებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 2023 წელს 100,000 მოსახლეზე მოდიოდა 654 ექიმი, რაც 2022 წელთან შედარებით 1%-ით გაზრდილი მაჩვენებელია,

მაშინ, როცა ექთნების რაოდენობა 4%-ით შემცირდა და 100,000 მოსახლეზე 584-ს შეადგენდა. მიუხედავად ბოლო წლის შემცირებისა, ექთნების რაოდენობა 2018 წლის შემდეგ ზოგადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2018 წელს 483-დან 2023 წელს 584-მდე, 21%-ით გაიზარდა. 2023 წელს საქართველოში ექთნებისა და ექიმების რაოდენობა თანაფარდობა კვლავ დაბალია (0.89). აღნიშნული დისბალანსი საექთნო რესურსების პოტენციურ დატვირთვაზე მიუთითებს და უარყოფითად მოქმედებს როგორც პაციენტის მკურნალობასა და მონიტორინგზე, ასევე ჯანდაცვის სექტორის მომგებიანობაზე, რადგან მაღალანაზღაურებადი ექიმებს ხშირად უწევთ ექთნების ფუნქციების შეთავსება.

დიაგრამა 21. ექთანი-ექიმის თანაფარდობა



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

საქართველოს აქვს ექთანი-ექიმის უფრო დაბალი ფარდობა, ვიდრე ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების უმრავლესობას. საქართველოს ჯანდაცვის სტრატეგიის მიხედვით, 2030 წლისთვის ამ ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი პირველად ჯანდაცვაში 2-მდე, ხოლო ჰოსპიტალურ სექტორში 2.5-მდე უნდა გაიზარდოს.

*დიაგრამა 22. ექთანი-ექიმის ფარდობა ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის**



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური პორტალი, თიბისი კაპიტალი
**გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გამოყენებულია უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები (2022–2023)*

- *ტექნოლოგიასა და აღჭურვილობაში კერძო ინვესტიციების ზრდა*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჯანდაცვის სექტორში, ზოგადად, დაბალია და მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების დაახლოებით 1-1.2%-ს შეადგენს. გაერთიანებული სამეფო ერთ-ერთი წამყვანი ინვესტორია საქართველოს ჯანდაცვის სექტორში - 2016-2023 წლებში მასზე მოდიოდა სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალოდ 30%. 2024 წელს ჯანდაცვის სექტორში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 13 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 21%-ით მეტია.

დიაგრამა 23. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებში ჯანდაცვის სექტორში (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი
**ჯანდაცვის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი ასევე მოიცავს სოციალური მომსახურების საქმიანობებს*

2018 წლიდან 2024 წლამდე კომერციული ბანკების მიერ ჯანდაცვის სექტორში მოქმედი იურიდიული პირებისთვის გაცემული კერძო სესხები მნიშვნელოვანი ზრდით გამოირჩეოდა - მათი მოცულობა 321 მილიონი ლარიდან 886 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც თითქმის 2.8-ჯერ ზრდას ასახავს. წლიური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2023 წელს, როდესაც სესხების მოცულობა 53%-ით გაიზარდა და 726 მილიონ ლარს მიაღწია. ეს ზრდა 2024 წელსაც გაგრძელდა. მიუხედავად სესხების მოცულობის ზრდისა, ჯანდაცვის სექტორის წილი მთლიან კერძო სესხებში შედარებით სტაბილურად შენარჩუნდა და 2018-2024 წლებში 2%-3% ფარგლებში მერყეობდა. სესხების ზრდის ტენდენცია შესაძლოა მიუთითებდეს ჯანდაცვის დაფინანსების მზარდ მოთხოვნაზე, რასაც განაპირობებს სექტორში განხორციელებული ინვესტიციები, საოპერაციო ხარჯების ზრდა და ინფრასტრუქტურის განვითარება.

დიაგრამა 24. კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით გაცემული სესხების მოცულობა (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი კაპიტალი

დიაგნოსტიკური სერვისების ბაზრის მიმოხილვა

ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური სერვისების ბაზარი ძლიერ ფრაგმენტირებულია - მასში ოპერირებენ ისეთი მსხვილი მოთამაშეები, როგორებიც არიან „სინევო“, „ციტო“, „ლიმბახის დიაგნოსტიკის ევროპული ჯგუფი“, ასევე მრავალი მცირე პროვაიდერი.

გარდა ამისა, პრაქტიკულად ყველა პოლიკლინიკასა (ამბულატორიულ კლინიკას) და რეფერალურ ჰოსპიტალს გააჩნია საკუთარი ლაბორატორია. მიუხედავად ლაბორატორიული დაწესებულებების დიდი რაოდენობისა, „მეგალაბის“ გახსნამდე საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფდა გარკვეულ ლაბორატორიულ მომსახურებას ან განიცდიდა ამ სერვისების მწვავე დეფიციტს: ქვეყანაში არ არსებობდა სპეციალიზებული, მაღალი ხარისხის პათომორფოლოგიური ლაბორატორია, ხოლო რთული კვლევებისთვის განკუთვნილი ნიმუშები, როგორიცაა ონკოლოგიური და მოლეკულურ-გენეტიკური ანალიზები იგზავნებოდა და რიგ შემთხვევებში კვლავ იგზავნება საზღვარგარეთ. ამასთან, მორფოლოგიური ან ბაქტერიოლოგიური კვლევების მომწოდებლები ლაბორატორიების რაოდენობა ქვეყანაში კვლავ მცირეა.

„მეგალაბი“ - უდიდესი დიაგნოსტიკური ლაბორატორია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიის რეგიონში - არის პირველი ლაბორატორია, რომელიც მომხმარებლებს კლინიკური და პათომორფოლოგიურ კვლევების სრულ სპექტრს სთავაზობს, მათ შორის ისეთებს, რომლებიც რეგიონში პირველად ხორციელდება.

ბაზარზე პოზიციონირება

ბაზრის წილი*	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**
საწოლების რაოდენობით	14.0%	14.0%
რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობით (კლინიკები)	13.0%	13.0%

** ბაზრის წილის გაანგარიშება ეფუძნება „კომპანიის“ შიდა მონაცემებს.*

აღნიშნულ სექციაში ასევე ნაჩვენებია „ემიტენტის“ ძირითადი ფინანსური ინფორმაციის შედარება ბაზრის სხვა მოთამაშეებთან მიმართებაში. კერძოდ, ქვემოთ მოყვანილია სამი კონკურენტი კომპანია, რომელთა ძირითადი საქმიანობაც „ემიტენტის“ საქმიანობის მსგავსია.

- **შპს ავერსის კლინიკა** (ს/ნ: 212002580) - 2007 წლიდან შპს „ავერსის კლინიკა“ ახორციელებს საქართველოს მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. კლინიკა უზრუნველყოფს პაციენტთა მიღებას და მომსახურეობას თანამედროვე აპარატურით და მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრებით. 2023 წლის ბოლო მდგომარეობით ის 12 ფილიალს აერთიანებდა.
- **შპს ჯეო ჰოსპიტალს** (ს/ნ: 404907730) - დაარსდა 2011 წელს და წარმოადგენს მრავალპროფილური საავადმყოფოების ქსელს, რომელიც მოსახლეობას აწვდის, როგორც სტაციონალურ, ასევე, ამბულატორულ სამედიცინო მომსახურებას. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა 25 სამედიცინო ცენტრს, რომელიც განლაგებულია საქართველოს 5 რეგიონში (კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი). ქსელში გაერთიანებულია განსხვავებული რესურსის მქონე 15 სტაციონარული და 10 ამბულატორია/ამბულატორიული ცენტრი
- **შპს თოდუას კლინიკა** (ს/ნ: 201990694) - შპს “თოდუას კლინიკა“ დაარსდა 1991 წელს. ის საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულებაა. კლინიკის მიზანია სამედიცინო მომსახურეობის ხარისხის ამაღლება საქართველოში და ადამიანთა ჯანმრთელობის ისეთი ხარისხის მიღწევა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ყველა ადამიანს იცხოვროს სრულფასოვანი ცხოვრებით. კლინიკა ლიდერია რადიოლოგიის, ონკოლოგიის, ქირურგიის, ლაბორატორიული მედიცინის, ენდოსკოპიისა და ენდოქირურგიის მთელ რიგ მიმართულებებში და აღჭურვილია თანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით. კლინიკა თავის საქმიანობას ახორციელებს 2 ფილიალში.

ქვემოთ წარმოდგენილია შესაბამისი ფინანსური მაჩვენებლების შედარება ბაზრის სხვა მნიშვნელოვან მოთამაშეებთან:

მომგებიანობის მაჩვენებლები, 2023 **(‘000 ლარი)**



ფინანსური მდგომარეობა, 2023 **(‘000 ლარი)**



**გრაფიკში წარმოდგენილი მაჩვენებლები აღებულია კომპანიების 2023 წლის კონსოლიდირებული აუდიტირებული ანგარიშგებებიდან, გარდა ავერსის კლინიკისა, რომლისთვისაც გამოყენებულია ინდივიდუალური აუდიტირებული ანგარიშგება.*

„GHG“ თავისი ჰოლდინგური სტრუქტურის მეშვეობით ოპერირების ყველაზე ფართო მასშტაბით გამოირჩევა სექტორის სხვა მონაწილეებს შორის. „ჯგუფის” EBITDA-ს მარჟა შეესაბამება დარგში არსებულ საშუალო მაჩვენებელს, რაც ასახავს ფინანსური საქმიანობის სტაბილურობას სექტორის ფარგლებში.

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

„ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2024 წლის აუდიტირებული წლიური ცალკე გამოყოფილი (Carve-out) ფინანსური ანგარიშგებისთვის და 2023 წლის შესადარისი აუდიტირებული წლიური ცალკე გამოყოფილი (Carve-out) ფინანსური ანგარიშგებისთვის აუდიტის დასკვნა იყო ***არამოდიფიცირებული.***

2024 წლის დეკემბერში, დედა კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილების შედეგად, საავადმყოფოებისა და კლინიკების სეგმენტი გამოეყო ძველ „GHG ჯგუფს“ და ამჟამად დამოუკიდებლად ფუნქციონირებს „GCAP“-ის ქოლგის ქვეშ. ამ ეტაპზე „GHG“ მოიცავს ოთხ საოპერაციო სეგმენტს: 1) დიდი და სპეციალიზებული საავაფმყოფოები; 2) რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოები; 3) პოლიკლინიკები; 4) დიაგნოსტიკა.

აღნიშნული კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი (Carve-out) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ და მისი შვილობილი კომპანიების (GHG ჯგუფის) კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველზე, იმგვარად, თითქოს ძველი „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ რეორგანიზაცია ძალაში შევიდა 2023 წლის 1-ლი იანვრიდან და რომ ამჟამინდელი სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“-ის „IFRS“-ზე გადასვლის თარიღად ითვლება ძველი საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის „IFRS“-ზე გადასვლის საწყისი თარიღი.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, „ფინანსური მიმოხილვის“ ქვეთავში წარმოდგენილი რიცხვები და მითითებები ეყრდნობა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ (Carve-out) ანგარიშგებებს. ანგარიშგებებს

ფინანსური მდგომარეობა

ქვემოთ წარმოდგენილია „კომპანიის“ **აქტივების, ვალდებულებებისა** და **კაპიტალის** განაწილება:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის აუდიტირებული ანგარიშგება, '000 ლარი	*31-დეკ-24*	*31-დეკ-23*	*1-იან-23*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	539,524	515,236	518,868
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	92,764	83,084	79,482
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	9,741	8,933	6,225
გადახდილი ავანსები	5,106	3,464	7,257
სხვა აქტივები	14,778	16,171	16,464
სულ გრძელვადიანი აქტივები	**661,913**	**626,888**	**628,296**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	30,852	29,251	24,688
გადახდილი ავანსები	6,471	5,946	2,596
სხვა აქტივები	11,426	15,585	5,426
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	80,150	85,174	87,827
სხვა მოთხოვნები	-	30,560	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	38,784	34,271	35,333
სულ მოკლევადიანი აქტივები	**167,683**	**200,787**	**155,870**
სულ აქტივები	**829,596**	**827,675**	**784,166**

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	105,280	-	-
დამატებით შეტანილი კაპიტალი	7,971	3,526	-
შერწყმის რეზერვი	-	135,000	135,000
გაუნაწილებელი მოგება	233,735	221,637	257,710
საკუთარი კაპიტალი, მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისთვის	**346,986**	**360,163**	**392,710**
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები	33,170	33,603	33,346
სულ საკუთარი კაპიტალი	**380,156**	**393,766**	**426,056**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	26,077	20,975	13,869
ნასესხები სახსრები	141,707	62,442	166,678
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	40,434
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**167,784**	**83,417**	**220,981**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	39,575	41,909	38,423
სავაჭრო ვალდებულებები	25,750	29,086	26,205
საიჯარო ვალდებულებები	6,086	5,106	3,753
ნასესხები სახსრები	200,540	220,091	54,734
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	47,504	7,144
სხვა ვალდებულებები	9,705	6,796	6,870
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**281,656**	**350,492**	**137,129**
სულ ვალდებულებები	**449,440**	**433,909**	**358,110**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	829,596	827,675	784,166

ძირითადი საშუალებები

„ჯგუფის“ ძირითადი საშუალებები ძირითადად მოიცავს საავადმყოფოებს, კლინიკებს, სამედიცინო აღჭურვილობას, ავეჯსა და მოწყობილობებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენდა 508,213 ათას ლარს, რაც „ჯგუფის“ მთლიანი აქტივების 61%-ს უტოლდება და წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 3.7%-იანი ზრდას აჩვენებს. 2023 წელს აღნიშნული მუხლი 2.1%-ით შემცირდა და მთლიანი აქტივების 59%-ს შეადგინა. აღნიშნული კლება ორ ძირითად ფაქტორს უკავშირდებოდა:

1) 2023 წელს „ჯგუფმა“ გაყიდა ბათუმში მდებარე ერთ-ერთი საავადმყოფო, რის შედეგადაც ჩამოიწერა საავადმყოფო და შესაბამისი ძირითადი საშუალებები. 2) დამატებით, 2023 წელს გაიყიდა ერთ-ერთი ამბულატორიული დაწესებულების შენობა, რაც ასევე გახდა აქტივების ძირითადი საშუალებებიდან ამოღების საფუძველი.

ძირითადი საშუალებების ცვლილების დინამიკა და კლასების მიხედვით ჩაშლა 2023 და 2024 წლებისთვის მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	*საავადმყოფოები და კლინიკები*	*ავეჯი და მოწყობილობები*	*კომპიუტერები*	*სამედიცინო აღჭურვილობა*	*საიჯარო ქონების გაუმჯობესება*	*სატრანსპორტო საშუალებები*	*სულ*
ღირებულება							
2023 წლის 1 იანვარი	**371,955**	**33,002**	**21,110**	**196,293**	**19,342**	**7,234**	**648,936**
დამატებები	15,821	2,885	2,199	36,533	10,137	145	67,720
ბიზნეს ერთეულის გაყიდვა	(21,652)	(687)	(433)	(11,243)	(92)	–	(34,107)
ჩამოწერები	(16,486)	(880)	(46)	(902)	(63)	(395)	(18,772)
2023 წლის 31 დეკემბერი	**349,638**	**34,320**	**22,830**	**220,681**	**29,324**	**6,984**	**663,777**
დამატებები	12,201	6,953	1,634	24,202	6,987	606	52,583
ჩამოწერები	–	–	–	(259)	–	–	(259)
2024 წლის 31 დეკემბერი	**361,839**	**41,273**	**24,464**	**244,624**	**36,311**	**7,590**	**716,101**
დარიცხული ცვეთა							
2023 წლის 1 იანვარი	**20,079**	**16,130**	**13,335**	**88,128**	**6,076**	**4,432**	**148,180**
ცვეთის დარიცხვა	4,565	3,227	1,954	23,020	1,271	703	34,740
ბიზნეს ერთეულის გაყიდვა	(1,034)	(486)	(392)	(6,272)	–	–	(8,184)
ჩამოწერები	(786)	(273)	–	–	(63)	–	(1,122)
2023 წლის 31 დეკემბერი	**22,824**	**18,598**	**14,897**	**104,876**	**7,284**	**5,135**	**173,614**
ცვეთის დარიცხვა	4,979	2,416	1,552	23,730	1,032	640	34,349
ჩამოწერები	–	–	–	(75)	–	–	(75)
2024 წლის 31 დეკემბერი	**27,803**	**21,014**	**16,449**	**128,531**	**8,316**	**5,775**	**207,888**
წმინდა საბალანსო ღირებულება:							
1-იან-23	**351,876**	**16,872**	**7,775**	**108,165**	**13,266**	**2,802**	**500,756**
2023 წლის 31 დეკემბერი	**326,814**	**15,722**	**7,933**	**115,805**	**22,040**	**1,849**	**490,163**
2024 წლის 31 დეკემბერი	**334,036**	**20,259**	**8,015**	**116,093**	**27,995**	**1,815**	**508,213**

ჯგუფი ძირითად საშუალებებს ნასესხები სახსრების უზრუნველყოფისთვის იყენებს. დაგირავებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 408,596 ათასი ლარი, რაც ბალანსის ამ პუნქტის ჯამური ღირებულების 80.4%-ია.

აქტივის გამოყენების უფლება

„ჯგუფს“ იჯარით აღებული აქვს რამდენიმე კლინიკა. საიჯარო ხელშეკრულებები ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარში (USD).

ცხრილში წარმოდგენილია აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება საოპერაციო სეგმენტების მიხედვით:

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იან-23
პოლიკლინიკების ბიზნესი	26,301	19,636	12,593
დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოების ბიზნესი	3,775	4,053	5,519
რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოების ბიზნესი	1,235	1,384	-
სულ აქტივის გამოყენების უფლება	**31,311**	**25,073**	**18,112**

2024 წლის მდგომარეობით, „ROU“ აქტივებმა შეადგინა 31,311 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 24.9%-იანი ზრდაა. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო „ჯგუფის“ მიერ ახალი ამბულატორიული პოლიკლინიკების იჯარით აღებით.

2023 წელს აქტივის გამოყენების უფლება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 38.4%-ით გაიზარდა და 25,073 ათას ლარი შეადგინა. ზრდის ძირითადი ფაქტორი პოლიკლინიკების სეგმენტში იჯარით დაკავებული ფართის გაფართოება იყო, კერძოდ, „ჯგუფმა“ იჯარით აიღო ნეიროგანვითარების ცენტრი და კიდევ ერთი პოლიკლინიკა.

გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

„ჯგუფის“ გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს, აგრეთვე გუდვილს, რომელიც წარმოიშვა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების შეძენის შედეგად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გუდვილისა და სხვა არამატერიალური აქტივების ღირებულება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11.7%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად ვაბაკოსთან და ექიმოსთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების შესყიდვითა და JCI აკრედიტაციისთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციით იყო განპირობებული.

გუდვილისა და სხვა არამატერიალური აქტივების ჩაშლა ტიპების მიხედვით, მათ შორის დამატებებისა და ჩამოწერების მონაცემებით პერიოდების მიხედვით, წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	გუდვილი	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები
თვითღირებულება			
2023 წლის 1-ლი იანვარი	**20,711**	**70,159**	**90,870**
შემოსვლები	442	6,887	7,329
2023 წლის 31 დეკემბერი	**21,153**	**77,046**	**98,199**
შემოსვლები	–	15,520	15,520
2024 წლის 31 დეკემბერი	**21,153**	**92,566**	**113,719**
დაგროვილი ამორტიზაცია			
2023 წლის 1-ლი იანვარი	–	11,388	11,388
ამორტიზაციის ხარჯი	–	3,727	3,727
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**15,115**	**15,115**
ამორტიზაციის ხარჯი	–	5,840	5,840
2024 წლის 31 დეკემბერი	**-**	**20,955**	**20,955**
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2023 წლის 1-ლი იანვარი	**20,711**	**58,771**	**79,482**
2023 წლის 31 დეკემბერი	**21,153**	**61,931**	**83,084**
2024 წლის 31 დეკემბერი	**21,153**	**71,611**	**92,764**

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები დებიტორული დავალიანების განაწილება შემოსავლის წყაროების მიხედვით:

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იან-23

მოთხოვნები სახელმწიფოს მიმართ	90,091	93,877	77,634
მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ და სხვა მოთხოვნები	49,417	39,894	37,162
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	4,407	7,989	14,446
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	**143,915**	**141,760**	**129,242**
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	-54,024	-47,653	-35,190
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	**89,891**	**94,107**	**94,052**
გრძელვადიანი	9,741	8,933	6,225
მოკლევადიანი	80,150	85,174	87,827

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება სახელმწიფოსგან მისაღები დებიტორული დავალიანებებისგან. „ჯგუფი“ პაციენტებს მომსახურებას სთავაზობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, რომლის ანაზღაურება მოგვიანებით ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან. ანალოგიური სქემა მოქმედებს კერძო დაზღვევით დაფინანსებული მომსახურების შემთხვევაშიც - „ჯგუფი“ უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას, ხოლო ანაზღაურებას შემდგომ იღებს შესაბამისი სადაზღვევო კომპანიისგან.

ფიზიკური პირებისგან და სხვა მისაღები დებიტორული დავალიანებები მოიცავს ყველა იმ სახის სახის დებიტორულ დავალიანებას, რომელიც არ მიეკუთვნება სახელმწიფოსგან ან სადაზღვევო კომპანიებისგან მისაღებ მოთხოვნებს. აღნიშნულ კატეგორიაში შედის B2B ტიპის სავაჭრო მოთხოვნები, ფარმაცევტული კომპანიების მიმართ კლინიკურ კვლევებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ასევე ფიზიკური პირებისგან მისაღები თანხები, რომლებიც პირდაპირ ჩამოიწერება და აისახება გაუფასურების რეზერვში.

2023 წელს სახელმწიფოს მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების ოდენობა გაიზარდა 20.9%-ით წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული ზრდის ძირითადი მიზეზი იყო „DRG“ სისტემის დანერგვა, რომელმაც სახელმწიფო გადარიცხვების ადმინისტრირების დროებითი დეცენტრალიზაცია გამოიწვია (წინა წლებში რეგიონული დაწესებულებების მიერ გაცემული ინვოისები მუშავდებოდა შესაბამის რეგიონულ ადმინისტრაციებში). აღნიშნულ სისტემაზე გადასვლამ გამოიწვია შეფერხებები, რის შედეგადაც რიგი ინვოისების დროული დამუშავება და გადახდა ვერ მოხერხდა.

2024 წელს სახელმწიფომ დაფარა აღნიშნული გადადებული დავალიანების ნაწილი, რის შედეგადაც შესაბამისი მუხლი 4%-ით შემცირდა წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

2024 წელს სადაზღვევო კომპანიების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნები წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 44.8%-ით შემცირდა და 4,407 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წლის ბოლოს აღნიშნული მუხლი 44.7%-ით იყო შემცირებული. კოვიდის პერიოდის შემდეგ სადაზღვევო ბიზნესების დიდ ნაწილს ლიკვიდობის პრობლემები შეექმნა, რის შედეგადაც იზრდებოდა მათგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნები. 2023 წლიდან მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, შესაბამისად, კომპანიებმა ჩაფარეს ემიტენტის მიმართ არსებული სავაჭრო ვალდებულებები, რამაც ბალანსის ამ პუნქტის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია ბოლო 2 წლის განმავლობაში.

რაც შეეხება ფიზიკური პირების მიმართ არსებულ და სხვა სავაჭრო მოთხოვნებსს, ბალანსის ეს პუნქტი 2024 წელს 23.9%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ფიზიკური პირების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების ზრდით, ხოლო მეორე მხრივ, იმით, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდება მოთხოვნა კლინიკურ კვლევებზე, რის შედეგადაც იმატებს ამ სეგმენტთან დაკავშირებული შემოსავლები და სავაჭრო მოთხოვნები. 2023 წელს მოცემული პუნქტი 7.4%-ით იყო გაზრდილი, რაც ანალოგიურმა მიზეზებმა განაპირობა.

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ძირითადად უკავშირდება სახელმწიფოსგან, ფიზიკური პირების მიმართ არსებულ და სხვა მისაღებ დებიტორულ დავალიანებებს. მას შემდეგ, რაც „ჯგუფი“ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში პაციენტებს მომსახურებას გაუწევს, იგი სახელმწიფოს წარუდგენს ანაზღაურების მოთხოვნას. შემდგომში სახელმწიფო აკორექტირებს/ამცირებს

მოთხოვნილ თანხას, რის შედეგადაც „ჯგუფის“ სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების ნაწილი ითვლება გაუფასურებულად.

2023 წელს „ჯგუფმა“ სახელმწიფოსგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი აღიარა გაუფასურებულად, რამაც გამოიწვია რეზერვის საგრძნობი, 35.4%-იანი ზრდა. აღნიშნული მოთხოვნები უკავშირდებოდა მიმდინარე დავებს ადრე წარდგენილ მოთხოვნებზე, რომლებთან დაკავშირებითაც „ჯგუფი“ ანაზღაურების მიღებას ცდილობდა. თუმცა, თანხების ამოღების დაბალი ალბათობის გამო, „ჯგუფმა“ მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნების ჩამოწერის შესახებ, რაც გახდა გაუფასურების რეზერვის ზრდის ძირითადი მიზეზი.

2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 13.4%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ფიზიკური პირების მიმართ არსებული და სხვა სავაჭრო მოთხოვნებით.

დიაგრამა 25: „კომპანიის“ შემოსავლები და დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები პერიოდების მიხედვით (’000 ლარი)



2024 წელს „ჯგუფის“ წმინდა სავაჭრო მოთხოვნები 4.5%-ით შემცირდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო სახელმწიფოს მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების შემცირებითა და გაუფასურების რეზერვის ზრდით. ამასთან ერთად, წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 8.4%-იანი შემოსავლების ზრდის ფონზე, დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (DSO) 11.9%-ით შემცირდა.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები ძირითადად მოიცავს ძირითადი საშუალებებისთვისა და მარაგებისთვის გადახდილ ავანსებს. 2024 წელს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ბალანსის ეს პუნქტი 23.0%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ძირითად საშუალებებში გადახდილი ავანსებისა და სხვა გადახდილი ავანსების ზრდით, რაც ნაწილობრივ დააკომპენსირა მარაგებში გადახდილი თანხების კლებამ. 2023 წელს ავანსები 4.5%-ით შემცირდა, რაც ძირითად საშუალებებში გადახდილი ავანსების კლებით იყო გამოწვეული.

გადახდილი ავანსების ჩაშლა პერიოდების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

‘000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იან-23

ძირითად საშუალებებში გადახდილი ავანსები	5,106	3,464	7,257
მარაგებში გადახდილი თანხები	4,170	4,716	1,782
სხვა გადახდილი ავანსები	2,301	1,230	814
სულ გადახდილი ავანსები	**11,577**	**9,410**	**9,853**
გრძელვადიანი	5,106	3,464	7,257
მოკლევადიანი	6,471	5,946	2,596

სხვა აქტივები

„ჯგუფის სხვა აქტივების ჩაშლა პერიოდების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**	**1-იან-23**
კაპიტალის ინვესტიციები, ფლობილი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	7,945	7,857	7,274
მარაგების და აღჭურვილობის გაყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	5,099	8,418	2,838
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები	2,961	301	340
საოპერაციო ოჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	2,997	3,521	2,519
სარეზიდენტო პროგრამასთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,238	1,271	642
საინვესტიციო ქონება	1,152	1,152	1,112
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	973	873	874
გაცემული სესხი	736	1,242	1,470
სხვა აქტივები	6,529	10,601	7,464
სულ	**29,630**	**35,236**	**24,533**
გამოკლებული გაუფასურების რეზერვი	(3,426)	(3,480)	(2,643)
სხვა აქტივები, წმინდა	**26,204**	**31,756**	**21,890**
საიდანაც:			
გრძელვადიანი	14,778	16,171	16,464
მოკლევადიანი	11,426	15,585	5,426
ფინანსური აქტივები	21,118	29,430	19,564
არაფინანსური აქტივები	5,086	2,326	2,326

სამართლიანი ღირებულებით ფლობილი კაპიტალის ინვესტიციები მოიცავს ჯგუფის მიერ შეძენილი მშობელი საწარმოს აქციებს იმ მიზნით, რომ მოხდეს აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ვალდებულების დაკმაყოფილება. აქციები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, ლონდონის საფონდო ბირჟის იმ კვოტირებების მიხედვით, რომლებიც ყველაზე ახლოსაა საანგარიშგებო თარიღთან.

„ჯგუფის“ სესხები სრულად გაცემულია მესამე პირებზე. ამ სესხების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია სარეზიდენტო პროგრამის მონაწილე სტუდენტებთან, რომლებიც ვალდებულნი არიან დაუბრუნონ თანხა „ჯგუფს“ პროგრამაში მონაწილეობის სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეთანხმებები არ ექვემდებარება ფიქსირებულ გადახდის გრაფიკს და მათზე პროცენტი არ ირიცხება, დაუფარავი თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში მაინც სესხების სახით აისახება. გაცემული სესხები ასევე მოიცავს სხვა სამედიცინო ინსტიტუტების მიმართ გაცემულ სესხებს.

სხვა აქტივები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის სერვისთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რეზიდენტურის მოთხოვნებს, საქვეანგარიშო მოთხოვნებს, მოთხოვნებს სხვადასხვა იურიდიული პირების მიმართ და სხვა. იგი 2023 წელს 42.0%-ით გაიზარდა და 10,601 ათასი ლარი შეადგინა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო პროგრამული უზრუნველყოფის სერვისთან დაკავშირებული მოთხოვნების ზრდით, რაც დაიფარა 2024-ში. 2024 წლის კლება ნაწილობრივ ამ მოთხოვნების დაფარვით, ნაწილობრივ კი სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფის“ მიმართ არსებული მოთხოვნების დაფარვით არის დაკავშირებული.

მარაგები

„ჯგუფის“ მარაგების ძირითად ნაწილს მედიკამენტები და არამედიკამენტური მოხმარების ნივთები წარმოადგენს.

2024 წელს „ჯგუფის“ მარაგები მთლიანი აქტივების 3.7%-ს შეადგენდა და წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 5.5%-ით გაიზარდა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგები მთლიანი აქტივების 3.5%-ს შეადგენდა და წლიურად 18.5%-ით იყო გაზრდილი. აღნიშნული ზრდა ძირითადად მედიკამენტების შესყიდვით იყო განპირობებული, რადგან 2023 წლის დასაწყისის მარაგების დონე არ იყო საკმარისად გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ჯგუფის მარაგების ჩაშლა პერიოდების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იან-23
მედიკამენტები	25,943	24,518	20,817
არასამედიცინო მასალები	4,909	4,733	3,871
სულ მარაგები	**30,852**	**29,251**	**24,688**

სხვა მოთხოვნები

2023 წლის დეკემბერში ჯგუფმა 30,560 ათას ლარად გაყიდა ბათუმში მდებარე თავისი ერთ-ერთი საავადმყოფო („ბათუმის ჰოსპიტალი“). გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული აქტივების მთავარი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	31-დეკ-23
ძირითადი საშუალებები	25,923
მარაგები	131
გასხვისებული წმინდა აქტივები	**26,054**

გასაყიდ ფასსა და გასხვისებული აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა, 4,506 ათასი ლარი, შესაბამისად აღირიცხა, როგორც შემოსულობა სამეურნეო ერთეულის გაყიდვიდან.

იქიდან გამომდინარე, რომ 2023 წლის ბოლოსთვის მყიდველს არ ჰქონდა გადახდილი გაყიდული ობიექტის თანხა, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის აღიარდა 30,560 ათასი ლარის მოთხოვნა. მოცემული მოთხოვნა სრულად დაიფარა 2024 წელს. ბანკებში მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს ერიცხება საპროცენტო შემოსავალი.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იან-23
ნაღდი ფული	285	276	209
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	38,499	33,995	35,124
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	**38,784**	**34,271**	**35,333**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 38,784 ათას ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 13.2%-იანი ზრდაა (31.23.23: 34,271 ათასი ლარი).

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებების ჩაშლა საავადმყოფოების და პოლიკლინიკების ბიზნესების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იან-23
პოლიკლინიკების ბიზნესი	27,206	20,489	12,195
დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოების ბიზნესი	3,736	4,198	5,427
რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოების ბიზნესი	1,221	1,394	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	**32,163**	**26,081**	**17,622**
გრძელვადიანი	26,077	20,975	13,869
მოკლევადიანი	6,086	5,106	3,753

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური იჯარის ვალდებულებები შეადგენდა 32,163 ათას ლარს, რაც 23.3%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო პოლიკლინიკების ბიზნეს სეგმენტში დამატებითი კლინიკების იჯარით აღებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ვალდებულება 26,081 ათას ლარს შეადგენდა, რაც 2023 წლის დასაწყისის მაჩვენებელთან შედარებით 48%-იან ზრდას ასახავდა. აღნიშნული ზრდაც უმეტესწილად პოლიკლინიკების სეგმენტში იჯარით დაკავებული ფართების ზრდამ განაპირობა.

ჯგუფის აქტივის გამოყენების უფლებებისა და საიჯარო ვალდებულებების ცვლილების დინამიკა წლების განმავლობაში მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	აქტივის გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულებები
1 იანვარი, 2023 წ.	**18,112**	**17,622**
შემოსვლები	10,894	10,894
ცვეთის ხარჯი	(3,933)	-
საპროცენტო ხარჯი	-	1,598
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	-	94
გადახდები	-	(4,127)
31 დეკემბერი, 2023 წ.	**25,073**	**26,081**
შემოსვლები	10,223	10,223
ცვეთის ხარჯი	(3,985)	-
საპროცენტო ხარჯი	-	913
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	-	1,307
გადახდები	-	(6,361)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**31,311**	**32,163**

ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“ მთლიანი ნასესხები სახსრები შეადგენდა 342,247 ათას ლარს, რაც 3.7%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო ადგილობრივი ბანკებიდან მიღებული თანხების 38.1%-იანი ზრდით, რაც ნაწილობრივ დაბალანსდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებით მოზიდული თანხების შემცირებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული ნასესხები სახსრების და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 330,027 ათასი ლარი, რაც 22.7%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. ზრდის ძირითადი განმაპირობებელი იყო ის ფაქტი, რომ სექტორში შემოღებული ახალი რეგულაციებისა და პოსტ-კოვიდური გარემოს შედეგად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადები არ იყო საკმარისი კაპიტალური დანახარჯებისა და სესხების მომსახურების დასაფინანსებლად. შედეგად ჯგუფმა აიღო დამატებითი სასესხო ვალდებულებები ადგილობრივი კომერციული ბანკებიდან.

ნასესხები სახსრების და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების დეტალური განაწილება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იან-23
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	163,890	164,983	22,707
უცხოური ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	23,191	39,213	20,259
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები	13,459	15,895	11,768
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	47,504	7,144
მთლიანი მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	**200,540**	**267,595**	**61,878**
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	136,134	52,267	110,056
უცხოური ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	-	-	35,041
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები	5,573	10,175	21,581
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	40,434
მთლიანი გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	**141,707**	**62,442**	**207,112**
ნასესხები სახსრები, სულ	**342,247**	**330,037**	**268,990**

ცვლილებები ნასესხებ სახსრებსა და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებში პერიოდების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ნასესხები სახსრები	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სულ
1 იანვარი, 2023 წ.	221,412	47,578	268,990
აღებული სესხები	229,940	-	229,940
ნასესხები სახსრების დაფარვა	(170,984)	-	(170,984)
საპროცენტო ხარჯი	29,998	7,210	37,208
გადახდილი პროცენტი	(26,940)	(7,284)	(34,224)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი	(893)	-	(893)
31 დეკემბერი, 2023 წ.	**282,533**	**47,504**	**330,037**
აღებული სესხები	339,448	-	339,448
ნასესხები სახსრების დაფარვა	(278,212)	(47,000)	(325,212)
საპროცენტო ხარჯი	32,995	3,172	36,167
გადახდილი პროცენტი	(34,609)	(3,676)	(38,285)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	92	-	92
31 დეკემბერი, 2024 წ.	**342,247**	**-**	**342,247**

ნასესხები სახსრებთან და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილეთ სექცია - „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები

თანამშრომელთა კომპენსაციის დანარიცხები ძირითადად მოიცავს:

- ანაზღაურებას, რომელიც „ჯგუფის“ თანამშრომლებმა (ძირითადად ექიმებმა) უკვე გამოიმუშავეს, თუმცა წლის ბოლოსთვის ჯერ კიდევ არ იყო გადახდილი, რადგან „ჯგუფი“ ცვლად ანაზღაურებას (მაგალითად,

შესრულებულ პროცედურებზე დაფუძნებულ კომპენსაციას) ჩვეულებრივ რამდენიმე თვის დაგვიანებით ახდენს;
- წლიურ ბონუსებს, რომლებიც წლის ბოლოსთვის არ არის გადახდილი და აღიარებულია როგორც ვალდებულება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანამშრომელთა კომპენსაციის დანარიცხებმა შეადგინა 39,575 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 5.6%-ით არის შემცირებული. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი აღნიშნული მუხლი 41,909 ათას ლარს შეადგენდა, რაც 2023 წლის საწყისი ბალანსის მაჩვენებელთან შედარებით 9.1%-იანი ზრდაა. ზრდა ერთი მხრივ განპირობებული იყო რეორგანიზაციასთან დაკავშირებული კომპენსაციების დანარიცხებით, ხოლო მეორე მხრივ ხელფასების ხარჯის ზოგადი მატებით.

სავაჭრო ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება ძირითადად მოიცავს ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია სამედიცინო მარაგების, საოფისე ინვენტარისა და სხვა მასალების შესყიდვასთან. კრედიტორული დავალიანების ჩაშლა ანგარიშგების პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იან-23
ჯანდაცვის მასალებთან და მარაგებთან დაკავშირებული ვალდებულებები	9,184	14,673	12,020
საოფისე ინვენტართან დაკავშირებული ვალდებულებები	7,600	6,446	6,150
გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებული სავაჭრო ვალდებულებები	6,826	6,540	2,031
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები	1,960	1,331	4,540
სხვა ვალდებულებები	180	96	1464
სავაჭრო ვალდებულებები, სულ	**25,750**	**29,086**	**26,205**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“ კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 25,750 ათას ლარს, რაც 11.5%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული შემცირება ძირითადად განპირობებული იყო სამედიცინო მასალებთან, საოფისე მარაგებთან და გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანების შემცირებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი აღნიშნული მუხლი 29,086 ათას ლარს შეადგენდა, რაც 2023 წლის საწყისი ბალანსის მაჩვენებელთან შედარებით 11.0%-იან ზრდას ასახავდა. ზრდა უმეტესწილად გამოწვეული იყო გრძელვადიანი აქტივების და ჯანდაცვის მასალების შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების მატებით.

დიაგრამა 26: კომპანიის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება და კრედიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (DPO) პერიოდების მიხედვით ('000 ლარი)



2024 წელს კრედიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (DPO) წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 15.9%-ით შემცირდა და 38 დღეს შეადგენდა. აღნიშნული შემცირება ძირითადად განპირობებული იყო სამედიცინო მასალებთან, საოფისე მარაგებსა და გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანების კლების შედეგად, ასევე რეალიზებული საქონლის თვითღირებულების (COGS) ზრდით, რაც შემოსავლების ზრდას მიყვა.

სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები ძირითადად მოიცავს გადასახადებთან, ჯარიმებთან და დერივატივებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსის ამ პუნქტმა 9,705 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 42.8%-იანი ზრდაა (31/12/2023: 6,796 ათასი ლარი). ზრდა ძირითადად განპირობებული იყო იმით, რომ 2024 წელს ჯგუფმა გამოაცხადა ერთ-ერთი ჰოსპიტალის მინორიტარის დივიდენდები, რომლის გადახდაც 2025 წლის მაისში მოხდა.

კაპიტალი

კაპიტალის დეტალური განაწილება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

'000 ლარი	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**	**1-იან-23**
სააქციო კაპიტალი	105,280	-	-
დამატებით შეტანილი კაპიტალი	7,971	3,526	-
შერწყმის რეზერვი	-	135,000	135,000
გაუნაწილებელი მოგება	233,735	221,637	257,710
საკუთარი კაპიტალი, მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისთვის	**346,986**	**360,163**	**392,710**
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები	33,170	33,603	33,346
სულ საკუთარი კაპიტალი	**380,156**	**393,766**	**426,056**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მიმოქცევაში არსებული აქციების (A და B ტიპის აქციების გაერთიანებული კლასი) რაოდენობა იყო 105,943,729 და თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარს შეადგენდა.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დღევანდელი სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ არ იყო დაფუძნებული და, შესაბამისად, ეს თანხა წარმოდგენილია, როგორც შერწყმის რეზერვი და არა სააქციო კაპიტალი. ახალი „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ ოფიციალურად 2024 წლის 17 დეკემბერს დარეგისტრირდა და ძველ ჯგუფს დაერქვა „საქართველოს ფარმაციის ჯგუფი“, რომელიც მოიცავს მხოლოდ ფარმაციის ბიზნესს. შესაბამისად, 2024 წელს შერწყმის რეზერვი რეკლასიფიცირდა სააქციო კაპიტალად. 29,720 ათასი ლარი, წარმოადგენს ახალი GHG-ის დაფუძნებისას შერწყმის რეზერვის ოდენობასა და მისი გამოშვებული და შეტანილი სააქციო კაპიტალის 105,280 ლარის ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას, რომელიც აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაში. სწორედ ეს არის გაუნაწილებელი მოგების ზრდის მიზეზი მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი მიმდინარე წლის განმავლობაში ზარალზე გავიდა.

გარდა დაგროვილი ზარალისა, 2024 წელს გაუნაწილებელი მოგება შემცირდა დამატებით 1,990 ლარით, რაც მოიცავს აქტივებისა და ვალდებულებების (ძირითადად ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების) ბიზნესის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ გადატანებისა და განაწილების ეფექტებს, კერძოდ, ჯგუფის კონსოლიდირებული, ცალკე გამოყოფილი (carved-out) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოხდა ძველი „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლის, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების შემდეგი კორექტირებები და განაწილებები:

- ფულადი სახსრებისა და ნასესხები სახსრების ნაშთები, რომლებიც მიკუთვნებადია ძველი „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფზე“ (მათ გარდა, რომლებიც მიკუთვნებადია ცალკეულ შვილობილ საწარმოებზე), განაწილდა ახალ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფზე“ და აღიარებული იქნა ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ (carved out) ფინანსურ ანგარიშგებაში ბიზნესის გაყოფის შესახებ ხელშეკრულების პირობების თანახმად (სადაც ასეთი განაწილება ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული).
- ადმინისტრაციული, სახელფასო და სხვა საოპერაციო ხარჯები (მათ შორის აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ხარჯები), რომლებიც მიკუთვნებადი იყო ძველ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფზე“ 2024 და 2023 წლებში, მეტწილად აღიარებულია ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ (carved out) ფინანსურ ანგარიშგებაში;

ამ განაწილებების შედეგად წარმოქმნილი სხვაობის დასაბალანსებლად მოხდა ჯგუფის კაპიტალის 1,990 ათასი ლარით ეჯასტირება.

დამატებით შეტანილ კაპიტალზე ისახება „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების გავლენა, მათ შორის აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების შესაბამისი გატარებები. 2023 წელს კაპიტალის ამ პუნქტმა 3,526 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2024 წელს მუხლი 126%-ით გაიზარდა და 7,971 ათასი ლარი შეადგინა, ორივე წელს ზრდის ძირითადი მიზეზი იყო აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება.

არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მუხლი დაკავშირებულია კომპანიის იმ შვილობილებთან, რომლებშიც ემიტენტი არ ფლობს 100%-ს და რომლებსაც ჰყავთ არამაკონტროლებელი წილის მფლობელი სხვა აქციონერები - შესაბამისი მოცულობები ასახავს სწორედ ამ შეარჰოლდერების წილს ჯგუფის კაპიტალში.

საოპერაციო შედეგები

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება, '000 ლარი	*2024*	*2023*
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	400,233	369,109
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(247,541)	(235,273)
საერთო მოგება	**152,692**	**133,836**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10,608	13,570
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(59,697)	(51,629)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(18,910)	(22,320)

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(5,999)	(6,131)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,993)	(5,460)
EBITDA	**73,701**	**61,866**
ცვეთა და ამორტიზაცია	(44,174)	(42,400)
საპროცენტო შემოსავალი	925	1,342
საპროცენტო ხარჯი	(37,080)	(38,806)
ზარალი უცხოური ვალუტიდან	(1,388)	(1,407)
ზარალი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან	(2,259)	(2,621)
ზარალი მარაგების ჩამოწერიდან და ვადაგასული ან შეწყვეტილი ერთჯერადი პროექტებიდან	(1,060)	-
გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(270)	-
ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სხვა მოთხოვნების გაუფასურება, ინდივიდუალურად შეფასებული ხარჯები და სასამართლო დავების გამო დაკისრებული ხარჯები	-	(18,016)
შემოსულობა სამეურნეო ერთეულების გაყიდვიდან	-	4,506
წმინდა არარეგულარული შემოსავალი/(ხარჯი)	(702)	(342)
ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე	**(12,307)**	**(35,878)**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი	**(12,307)**	**(35,878)**
წლის (ზარალი)/მოგება და მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი, რომელიც მიკუთვნებადია:		
კომპანიის აქციონერებისთვის	(15,632)	(36,073)
არამაკონტროლებელი წილების მფლობელებისთვის	3,325	195

ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან

„ჯგუფის“ შემოსავლის ძირითად ნაწილს აგენერირებს ჯანდაცვის მომსახურების გაწევის შედეგად. „ჯგუფი“ მომსახურებას უწევს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ პაციენტებს საქართველოში სხვადასხვა რეგიონში მდებარე ჰოსპიტლებისა და პოლიკლინიკების ქსელის მეშვეობით. „ჯგუფი“ ქვეყნის მასშტაბით ფლობს 7 დიდ და სპეციალიზებულ ჰოსპიტალს, 27 რეგიონულ და საზოგადოებრივ ჰოსპიტალს, 16 „ევექსის“ პოლიკლინიკას და 1 დიაგნოსტიკურ ცენტრს.

„კომპანია“ შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს შემდეგი წყაროებიდან:

1. შემოსავლები სახელმწიფოსგან, რაც მოიცავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული მომსახურებებიდან მიღებულ შემოსავალს;
2. შემოსავლები სადაზღვევო კომპანიებისგან, რაც მოიცავს კერძო სადაზღვევო პოლისების ფარგლებში დაფინანსებული მომსახურებებიდან მიღებულ შემოსავალს;
3. შემოსავლები თანაგადახდიდან (უშუალო (პირადი) გადახდებიდან მიღებული შემოსავალი), რაც მოიცავს იმ მომსახურებებიდან მიღებულ შემოსავალს, რომლებიც არ ფინანსდება ან ნაწილობრივ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის (UHC) და კერძო სადაზღვევო პოლისების მიერ.

„კომპანიის“ შემოსავლის ჩაშლა წყაროების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

'000 ლარი	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**
სახელმწიფოსგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	218,449	208,475
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	153,348	134,082
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	34,012	32,145

გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	-5,576	-5,593
სულ ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	**400,233**	**369,109**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფოსგან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 218,449 ათასი ლარი, რაც 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4.8%-იანი ზრდაა (2023: 208,475 ათასი ლარი).

2024 წელს სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 34,012 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.8%-ით გაიზარდა (2023: 32,145 ათასი ლარი).

სახელმწიფოსგან და სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული შემოსავლის ზრდა, ძირითადად, განპირობებული იყო „ჯგუფის“ ჯანდაცვის დაწესებულებების საოპერაციო საქმიანობის სრული აღდგენით 2024 წლის მეორე ნახევარში.

2023 წლის მეორე ნახევარში ზოგიერთ საავადმყოფოსა და კლინიკას არ ჰქონდა სრული დატვირთვით ოპერირების შესაძლებლობა, რაც განპირობებული იყო მიღებული სამთავრობო რეგულაციების დაცვის აუცილებლობით. აღნიშნული რეგულაციები ითვალისწინებდა ჰოსპიტალური საწოლების რაოდენობის შეზღუდვებს და საწოლებსა და კედლებს შორის მინიმალური დაშორების სტანდარტებს. საკანონმდებლო ცვლილებებმა გავლენა მოახდინა ჯანდაცვის სფეროში მოქმედ ყველა პროვაიდერზე, მათ შორის „ჯგუფზეც“, და განაპირობა სარემონტო სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა.

უშუალო თანაგადახდებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2024 წელს 153,348 ათასი ლარი შეადგინა, რაც 14.4%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით:

- რეგულაციების შემდეგ საოპერაციო საქმიანობის ნორმალურ რეჟიმში დაბრუნებით;

- ასევე პოლიკლინიკებისა და დიაგნოსტიკური ცენტრების სეგმენტის შემოსავლების ზრდით. აღნიშნული სეგმენტი პაციენტებს სთავაზობს ამბულატორიულ მომსახურებას, რომელიც ძირითადად თანაგადახდის გზით გადაიხდება და არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, მაშინ როდესაც სტაციონარული მომსახურების უდიდეს ნაწილს ფარავს საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა (UHC).

ამბულატორიული სეგმენტის ზრდის მაღალი მაჩვენებელი რამდენიმე ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა:

- მაღალშემოსავლიან სერვისებზე მზარდი მოთხოვნა და რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობის ზრდა, რაც ბიზნესის პროაქტიული სტრატეგიით იყო განპირობებული, რომელიც მიმართული იყო მომხმარებელთა მოზიდვასა და სერვისების გაუმჯობესებაზე;
- 2023 წელს გახსნილი ორი ახალი ამბულატორიული ცენტრის საოპერაციო საქმიანობის ეტაპობრივი გაფართოება;
- დაახლოებით 27,000 ახალი მომხმარებლის პორტფელის შეძენა 2024 წლის ივნისში, რამაც დამატებითი წვლილი შეიტანა 2024 წლის მეოთხე კვარტლის და, შესაბამისად, 2024 წლის ჯამური შემოსავლების ზრდაში.

სამედიცინო დაწესებულებების საოპერაციო საქმიანობის აღდგენის შედეგად, „ჯგუფის“ მთლიანი შემოსავალი 2024 წელს წინა წლის ანალოგიური პერიოდთან შედარებით 8.4%-ით გაიზარდა და შეადგინა 400,233 ათასი ლარი, მიუხედავად იმ გავლენისა, რომელიც ბათუმის ჰოსპიტლის გაყიდვამ მოახდინა.

დიაგრამა 27: კომპანიის შემოსავლების ჩაშლა სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებების მიხედვით, '000 ლარი*:



** დიაგრამაზე მოცემული ჩაშლა დაფუძნებულია არააუდიტირებულ რიცხვებზე.*

2024 წელს ჯგუფის ამბულატორიული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 172,544 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 19.8%-ით გაიზარდა. აღნიშნული ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი იყო „ჯგუფის" სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ამბულატორიულ მომსახურებაზე და მიზნად ისახავს მისი წილის ზრდას მთლიან შემოსავალში. 2024 წლის მდგომარეობით, ამბულატორიული მომსახურების წილმა „ჯგუფის" მთლიანი შემოსავლის 43.1% შეადგინა, მაშინ როდესაც 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 39.0% იყო.

2024 წელს სტაციონარული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 227,689 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.2%-იანი ზრდაა. ამასთან, სტაციონარული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის წილი „ჯგუფის" მთლიანი შემოსავალში შემცირდა — 61.0%-დან 56.9%-მდე.

„ჯგუფი" მართავს რეგიონულ და საზოგადოებრივ ჰოსპიტლებს საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი და სხვა. „ჯგუფის" შემოსავლების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია თბილისში.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებთან დაკავშირებული შესწორებები და ფასჩამოკლებები, ძირითადად, სახელმწიფოს და სადაზღვეოების მიმართ არსებული, დაფინანსებას დაქვემდებარებული მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. „ჯგუფი" საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაფარული მომსახურების მიწოდების შემდეგ სახელმწიფოს წარუდგენს ანაზღაურების მოთხოვნას. სახელმწიფომ შესაძლოა დააკორექტიროს მოთხოვნილი თანხა, რაც „ჯგუფისთვის" შემოსავლის კორექტირების საფუძველი ხდება.

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების ხარჯი მოიცავს ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა ხელფასები, მასალები და ნედლეული, კომუნალური გადასახადები და სხვა. ხელფასის ხარჯები გულისხმობს სამედიცინო პერსონალისთვის გადახდილ ანაზღაურებას, რაც მოიცავს როგორც ფიქსირებულ, ისე ცვლად კომპონენტებს. ხელფასის არაპირდაპირი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ჯანდაცვის მომსახურების გაწევას, ცალკე გამოყოფილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომუნალური და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, დასუფთავების სამსახურის, წყალმომარაგების, საწვავის, ასევე სამედიცინო აპარატურის ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო ხარჯებს.

პროვაიდერების ხარჯები მოიცავს გარე სამედიცინო სპეციალისტების ან ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებისთვის გადახდილ ხარჯებს.

ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

'000 ლარი	2024	2023
ხელფასებისა და დასაქმებულთა სხვა სარგებლის ხარჯი	(160,008)	(146,851)
ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება	(63,470)	(62,874)
კომუნალური და სხვა ხარჯი	(22,275)	(23,960)
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	(1,788)	(1,588)
ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები, სულ	**(247,541)**	**(235,273)**

2024 წელს ხელფასებთან და დასაქმებულთა სხვა სარგებელთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეადგინა 160,008 ათასი ლარი, რაც 9.0%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. აღნიშნული ხარჯების წილი ჯანდაცვის მომსახურების მთლიან ხარჯებში ასევე გაიზარდა - 2023 წლის 62.4%-იდან 2024 წელს 64.6%-მდე. ხარჯების ზრდა, ძირითადად, განპირობებული იყო სახელმწიფო რეგულაციის ამოქმედებით, რომლის საფუძველზეც 2024 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა ექიმებისა და ექთნებისთვის მინიმალური ანაზღაურების სავალდებულო მოთხოვნები.

2024 წელს მასალებისა და ნედლეულის თვითღირებულებამ 63,470 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 0.9%-იანი ზრდაა. ამ კატეგორიის წილმა ჯანდაცვის მომსახურების მთლიან ხარჯებში იკლო - 26.7%-დან 25.6%-მდე, რაც ძირითადად განპირობებული იყო ტენდერებში მონაწილეობის პროცესების ოპტიმიზაციითა და ჰოსპიტლების ქსელში მარაგების მართვის პროცესის გაუმჯობესებით.

დიაგრამა 28: შემოსავალი, საერთო მოგება და საერთო მოგების მარჟა ('000 ლარი):



2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის" საერთო მოგებამ 152,692 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 14.1%-იანი ზრდაა. ზრდის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ჯანდაცვის მომსახურების ხარჯი უფრო ნელი ტემპით გაიზარდა, ვიდრე შემოსავალი. აღნიშნული დინამიკა, ძირითადად, განპირობებული იყო კომპანიის სტრატეგიული ცვლილებით 2024 წელს, რომლის ფარგლებშიც პრიორიტეტი მიენიჭა ამბულატორიული მომსახურების გაფართოებას - სეგმენტს, რომელიც უფრო მაღალი

მარჟიანობით ხასიათდება. 2024 წელს შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სეგმენტზე მოდიოდა, რამაც საერთო მოგების მარჟის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი.

სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი ძირითადად მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სარეზიდენტო პროგრამებიდან, პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებიდან და ქონების იჯარით გაცემიდან მიღებულ შემოსავალს.

2024 წელს სხვა საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 10,608 ათასი ლარი, რაც 21.8%-იანი შემცირებაა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. კლება ძირითადად გამოწვეული იყო მედიკამენტების და ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული, ისევე როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირებით, რაც ნაწილობრივ დააკომპენსირა უნივერსიტეტის საგანმანათლობლო პროგრამებიდან მიღებული ამონაგების ზრდამ.

ზემოხსენებული თითოეული პუნქტის შემცირების მიზეზებია:

- *საიჯარო შემოსავლების კლება გამოიწვია იმან, რომ „ჯგუფმა“ პირადი მიზნებისთვის გამოიყენა ქუთაისის ერთ-ერთი შენობა, რომელსაც იქამდე იჯარით გასცემდნენ;*
- *მედიკამენტების და ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები ერთჯერადი ეფექტის გამო იყო გაზრდილი 2023 წელს, ხოლო 2024 წელს მოხდა მისი ნორმალიზაცია;*

სხვა საოპერაციო შემოსავლის ჩაშლა პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

'000 ლარი	2024	2023
ამონაგები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან	2,733	314
ამონაგები პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებიდან	2,683	2,876
შემოსავალი სარეზიდენტო პროგრამებიდან	1,976	861
საიჯარო შემოსავალი	1323	2087
ამონაგები მედიკამენტების გაყიდვიდან	607	1,690
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	204	3,867
ამონაგები საკანცელარიო ნივთების გაყიდვიდან	15	38
სხვა	1,067	1,837
სხვა საოპერაციო შემოსავალი	**10,608**	**13,570**

ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი მოიცავს ხელფასებს, პრემიებსა და აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას.

2024 წელს აღნიშნულმა მუხლმა 59,697 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წელთან შედარებით 15.6%-იანი ზრდაა. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მომსახურებების გაფართოებისა და რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლების სათავო ოფისის განვითარებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების ზრდით, რაც უკავშირდება 2023 წლის ბოლოს განხორციელებულ სტრატეგიულ რეორგანიზაციას.

ხელფასებისა და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოების დეტალური ჩაშლა პერიოდების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და სხვა გასამრჯელოები	(49,615)	(44,813)
პრემიები ფულადი სახით	(7,141)	(3,270)

აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	(2,941)	(3,546)
სულ ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(59,697)	(51,629)

სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ძირითადად მოიცავს საოფისე მარაგების, კომუნალური მომსახურების, მარკეტინგისა და რეკლამის, ასევე სხვა ადმინისტრაციულ დანახარჯებს.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღნიშნული ხარჯების ჩაშლა პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23
საოფისე ინვენტარი და კომუნალური ხარჯები	(5,927)	(5,924)
მარკეტინგი და რეკლამა	(2,727)	(4,616)
მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარის ხარჯები	(1,901)	(1,988)
ტრანსპორტირება	(1,391)	(1,254)
ბანკებისთვის გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(996)	(834)
პროფესიული მომსახურება	(310)	(99)
კომუნიკაციები	(984)	(1,006)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(813)	(717)
მგზავრობის ხარჯები	(581)	(821)
საოპერაციო საგადასახადო ხარჯი	(463)	(532)
უსაფრთხოება	(148)	(125)
სხვა	(2,669)	(4,404)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**(18,910)**	**(22,320)**

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ყველაზე მსხვილი კომპონენტია საოფისე ინვენტარისა და კომუნალური გადასახადების ხარჯები, რომლებმაც 2024 წელს შეადგინა 5,927 ათასი ლარი.

2024 წლის მდგომარეობით, მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა - 40.9%-ით და შეადგინა 2,727 ათასი ლარი. 2023 წელს ჰოსპიტალებს ჰქონდათ დიდი მარკეტინგული კამპანია და რებრენდინგი, რამაც გამოიწვია ამ წელს ერთჯერადად გაზრდილი მარკეტინგისა და რეკლამირების ხარჯები, 2024 წელს კი მოხდა ამ პუნქტის დანორმალიზება.

2024 წელს სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 39.4%-ით შემცირდა და შეადგინა 2,669 ათასი ლარი, რაც ძირითადად განპირობებული იყო შიდა პროცესების გაუმჯობესებით და საოპერაციო ხარჯების უკეთესი მართვით.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტების შემოსავალთან თანაფარდობა წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
საოფისე მარაგების და კომუნალური მომსახურების ხარჯები	-1.5%	-1.6%
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	-0.7%	-1.3%
მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების იჯარის ხარჯები	-0.5%	-0.5%
ტრანსპორტის ხარჯები	-0.3%	-0.3%
საბანკო მოსაკრებლები და საკომისიოები	-0.2%	-0.2%
პროფესიული მომსახურების ხარჯები	-0.1%	0.0%
საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯები	-0.2%	-0.3%
წარმომადგენლობითი ხარჯები	-0.2%	-0.2%
მოგზაურობის ხარჯები	-0.1%	-0.2%
საოპერაციო ხარჯები	-0.1%	-0.1%

უსაფრთხოების ხარჯები	0.0%	0.0%
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-0.7%	-1.2%
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**-4.7%**	**-6.0%**

2024 წელს „ჯგუფის“ მთლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 15.3%-ით შემცირდა, ხოლო მათი წილი მთლიან შემოსავალში 1.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 18,910 ათასი ლარი შეადგინა.

ხარჯების შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო მარკეტინგისა და რეკლამის, ასევე სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით.

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა აქტივების გაუფასურება

აღნიშნული ხარჯი ძირითადად ასახავს გაწეულ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურებას, რომელმაც 2024 წელს -5,999 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2.2%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა აქტივების გაუფასურების ცვლილების დინამიკა:

'000 ლარი	მოთხოვნები ჯანდაცვის სერვისებიდან	სხვა მოთხოვნები	ჯამი
1-იან-23	**35,190**	**2,643**	**37,833**
გაუფასურების ხარჯი	6,131	–	6,131
ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების და სამართლებრივი დავების ხარჯები	14,824	3,192	18,016
სასამართლო დავების გამო ჩამოწერა	-8,530	–	-8,530
ჩამოწერა / აღდგენა	38	-2,355	-2,317
31-დეკ-23	**47,653**	**3,480**	**51,133**
გაუფასურების ხარჯი	5,999	–	5,999
ჩამოწერა / აღდგენა	372	-54	318
31-დეკ-24	**54,024**	**3,426**	**57,450**

სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები ძირითადად მოიცავს კომპანიის აქტივების, ძირითადად სამედიცინო ინვენტარის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს. მოგება-ზარალის ამ პუნქტმა 2024 წელს 4,993 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წელთან შედარებით 8.6%-იანი კლებაა.

სხვა საოპერაციო ხარჯების დეტალური ჩაშლა პერიოდების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	2024	2023
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(3,460)	(3,138)
ჯარიმები და საგადასახადო აქტივების გაუფასურება	(401)	(406)
გაწეული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ღირებულება	(733)	(827)
საქველმოქმედო საქმიანობა	(207)	(248)
სხვა	(192)	(841)
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	**(4,993)**	**(5,460)**

EBITDA

დიაგრამა 29: შემოსავალი, EBITDA და EBITDA მარჟა (‘000 ლარი):



2024 წელს კომპანიის EBITDA-მ 73,701 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 19.1%-ით ზრდაა (2023 წელი: 61,866 ათასი ლარი). აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- ამბულატორიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით და საერთო შემოსავალში მათი მზარდი წილით, რადგან აღნიშნული მომსახურებები, სტაციონარულ სერვისებთან შედარებით, ხასიათდება უფრო მაღალი მარჟით და ნაკლები ხარჯიანობით. აღნიშნულმა დინამიკამ პოზიტიური გავლენა მოახდინა როგორც „კომპანიის“ საერთო მოგებაზე, ისე EBITDA-ზე;
- სხვადასხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯის შემცირებით, მათ შორის მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები, სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები და მოკლევადიანი/დაბალი ღირებულების მქონე იჯარის ხარჯების;
- სხვა ადმინისტრაციული ხარჯები გაიზარდა უფრო ნელი ტემპით, ვიდრე შემოსავალი, რაც „კომპანიის“ ხარჯების ოპტიმიზაციის პოლიტიკის შედეგია.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი ძირითადად მოიცავს დეპოზიტებსა და გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს. მისი ჩაშლა პერიოდების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

‘000 ლარი	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან	870	379
გაცემულ სესხებზე საპროცენტო შემოსავალი	55	963
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	**925**	**1,342**

„ჯგუფის“ წმინდა საპროცენტო ხარჯი ძირითადად მოიცავს სესხებსა და გამოშვებულ ობლიგაციებზე დარიცხულ პროცენტს, ასევე საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხულ პროცენტს.

ქვემოთ მოცემულია საპროცენტო ხარჯის ჩაშლა პერიოდების მიხედვით:

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23
ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	-32,995	-29,998
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო ხარჯი	-3,172	-7,210
საპროცენტო ხარჯი იჯარაზე	-913	-1,598
საპროცენტო ხარჯი	**-37,080**	**-38,806**

2019 წლის 6 ნოემბერს, მაშინ სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ შვილობილმა კომპანიამ, სს „ევექსის ჰოსპიტლებმა“, 50 მილიონი ლარის ოდენობის მთლიანი ნომინალური ღირებულების ობლიგაციები გამოუშვა. „ჯგუფის“ რეორგანიზაციის შედეგად, აღნიშნული შვილობილი კომპანია გაიყო ორ დამოუკიდებელ სუბიექტად: სს „საქართველოს კლინიკები“ და სს „ვიანი“. შედეგად, ნასესხები სახსრები გადანაწილდა ორ კომპანიას შორის — მისი ნაწილი გადაეცა სს „საქართველოს კლინიკებს“, ხოლო თავად ობლიგაციები კლასიფიცირდა როგორც სს „ვიანის“ ვალდებულება.

გამოშვებულ ობლიგაციებთან დაკავშირებით დამატებითი დეტალებისთვის, იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

კომპანიის დასახელება	ISIN	თანხა	ვალუტა	გამოშვების თარიღი	დაფარვის ვადა	კუპონის განაკვეთი
სს „ვიანი“	GE2700603881	50,000,000	ლარი	06/11/2019	ივნისი, 2024	NBG Ref. rate + 310 BPS

50 მილიონი ლარის ოდენობის მთლიანი თანხიდან, „კომპანიამ“ 2024 წლის ივლისში დაფარვის მომენტისთვის 47,504 მილიონი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე ობლიგაციები გამოისყიდა, ხოლო დარჩენილი მოცულობა დაფარა ვადის ამოწურვისას.

საპროცენტო ხარჯი იჯარაზე მოიცავს იმ პროცენტს, რომელიც ირიცხება „ჯგუფის“ მიერ იჯარით აღებულ ჰოსპიტლებსა და კლინიკებზე.

ზარალი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციის ხარჯის ჩაშლა პერიოდების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	31-დეკ-24	31-დეკ-23
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან ზარალი	(868)	(2,621)
სხვა თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან ზარალი	(1,391)	-
სულ ზარალი დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულების შეწყვეტიდან	**(2,259)**	**(2,621)**

ზარალი მარაგების ჩამოწერიდან და ვადაგასული ან შეწყვეტილი ერთჯერადი პროექტებიდან

2024 წელს ჯგუფმა აღიარა 1,060 ათასი ლარის აგრეგირებული ზარალი ვადაგასული ან შეწყვეტილი ერთჯერადი პროექტებიდან, რაც მოიცავს კოვიდთან დაკავშირებული 260 ათასი ლარის მარაგების ჩამოწერას, ასევე 800 ათასი ლარს, რომელიც უკავშირდება შეწყვეტილ სუროგაციის პროგრამას და საავადმყოფოებისა და კლინიკებისთვის აკრედიტაციის მოპოვების ხარჯებს, რომლებიც თავიანთი ხასიათით არარეგულარულია, მაგრამ კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება

ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სხვა მოთხოვნების გაუფასურება, ინდივიდუალურად შეფასებული ხარჯები და სასამართლო დავების გამო დაკისრებული ხარჯები

2023 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა ჩაატარა უფრო დაწვრილებით ანალიზი ჯანდაცვის და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება მარაგების და აღჭურვილობის გაყიდვას, და აღიარა 9,486 ლარის დამატებითი რეზერვი, ასევე 8,530 ლარი სასამართლო დავების გამო, რის შედეგადაც ჯამში ერთჯერადი იურიდიული ხარჯების სახით აღრიცხა 18,016 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯები უკავშირდებოდა სახელმწიფოსთან არსებულ სამართლებრივ დავას კონკრეტულ სავაჭრო მოთხოვნებზე, რომლებიც თავის მხრივ ეხებოდა „ჯგუფის“ მიერ წარსულში გაწეული მომსახურების ანაზღაურებას. მიუხედავად იმისა, რომ დავის წარმოება ოფიციალურად დაიწყო, „ჯგუფმა“ საბოლოოდ შეაფასა ამ მოთხოვნებიდან თანხების ამოღების ალბათობა როგორც დაბალი და მიიღო გადაწყვეტილება მათი ჩამოწერის შესახებ იმავე საანგარიშო წლის განმავლობაში.
2023 წელს აღიარებული სასამართლო დავებისგან გამომდინარე რეზერვის ჯამური თანხა შეადგენდა 8,530 ათას ლარს, რომელთაგან 3,966 ათასი ლარი უკავშირდებოდა ორ მიმდინარე სამართლებრივ პროცესს:

1. შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“ დავობს სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან“, რომელმაც კომპანიას დააკისრა ჯარიმა სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების პირობების დარღვევისთვის. რეზერვის თანხა ამ დავისთვის შეადგენს 1,734 ათას ლარს.
2. იგივე კომპანია ასევე დავობს სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთან“, რომელმაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შერჩევითი აუდიტის (რეზოლუცია #36) საფუძველზე შეადგინა აუდიტის ანგარიში #R-2408-72 და დააკისრა ჯარიმა შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრს“. რეზერვის თანხა ამ დავისთვის შეადგენს 2,232 ათას ლარს.

დანარჩენი სასამართლო დავებთან დაკავშირებული რეზერვები არამატერიალურია და თითოეული არ აღემატება 350 ათას ლარს.

შემოსულობა სამეურნეო ერთეულების გაყიდვიდან

2023 წლის დეკემბერში ჯგუფმა 30,560 ათას ლარად გაყიდა ბათუმში მდებარე თავისი ერთ-ერთი საავადმყოფო („ბათუმის ჰოსპიტალი“). გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული აქტივების მთავარი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

'000 ლარი	31-დეკ-23
ძირითადი საშუალებები	25,923
მარაგები	131
გასხვისებული წმინდა აქტივები	**26,054**

გასაყიდ ფასსა და გასხვისებული აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა, 4,506 ათასი ლარი, შესაბამისად აღირიცხა, როგორც შემოსულობა სამეურნეო ერთეულის გაყიდვიდან.

რისკების მართვა

შესავალი

ჯგუფის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის რენტაბელურობისათვის და ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები. რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო მფლობელების წინაშე პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობის მართვით მათთვის მდგრადი ღირებულების შექმნასა და მიწოდებაზე. მის მოვალეობებში შედის ჯგუფის სტრატეგიის დასახვა და მისი განხორციელება რისკის ეფექტური მართვის და შიდა კონტროლების გათვალისწინებით, ეთიკურობის დემონსტრირება და კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა. დირექტორთა საბჭო შედგება 14 ხელმძღვანელი პირისგან, რომელთაგან ცხრა ჯგუფის დონეზე მართვაშია ჩართული, ხოლო დანარჩენი ხუთი მენეჯერი საოპერაციო ერთეულების მართვაში მონაწილეობს.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი

შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისი პრინციპების, საფუძვლების, პოლიტიკის და ლიმიტების დანერგვასა და გატარებაზე, რაც უკავშირდება ზოგადი კონტროლის გარემოს, მანუალური და პროგრამული კონტროლის პროცედურებს, გამიზნული თუ უნებლიე უზუსტობების რისკებს, თაღლითობის ან აქტივების მითვისების რისკს, ინფორმაციის უსაფრთხოებას, საინფორმაციო ტექნოლოგიის რისკებს და ა.შ. შიდა აუდიტის დეპარტამენტი ხელს უწყობს ჯგუფის გარე აუდიტორების საქმიანობას.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ჯგუფის რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგებს, რომელიც წარმოადგენს პროგნოზირების სხვადასხვა მოდელის საფუძველზე ნავარაუდევ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს წარსულში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გასათვალისწინებლად.

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება დირექტორთა საბჭოსთვის და თითოეული ბიზნეს განყოფილების ხელმძღვანელისთვის. ანგარიშები ასახავს აგრეგირებულ დაუფარავ მოთხოვნებსა და კრედიტებს, მათ ლიმიტებს, ამ ლიმიტებიდან გამონაკლისებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და ლიკვიდურობის ლიმიტებს, საბაზრო რისკის კოეფიციენტებს და მათ ლიმიტებს და ცვლილებებს რისკის პროფილში. წამყვანი ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს ლიკვიდურობის დონეების, საკრედიტო პოზიციების, მოთხოვნების პოზიციებისა და გაუფასურების რეზერვის მართებულობას. დირექტორთა საბჭო თვეში ერთხელ იღებს რისკის ამომწურავ ანგარიშს. ამ ანგარიშებში ჯგუფის რისკების შეფასებისა და მათზე დასკვნების გამოტანისთვის საჭირო სრული ინფორმაციაა წარმოდგენილი.

რისკის მიტიგაცია

ჯანდაცვის მომსახურების მიმღები ფიზიკური პირების მიმართ ჯგუფი აქტიურად იყენებს ერთობლივი ფინანსური პასუხისმგებლობის მიდგომას, რომელიც წარმოიშობა ჯანდაცვის მომსახურების გაწევისას ისეთი ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც თავად იხდიან მომსახურების ღირებულებას. ამ მიდგომის მიზანია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს გარეთ გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მიმღები შესაბამისი დებიტორების მართვა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული კონტრაჰენტების, ასევე პროდუქტებისა და ვალუტების კონცენტრაციებისთვის, და რისკების ამ ლიმიტებთან დაცვის მონიტორინგით. გარდა ამისა, ჯგუფი აწესებს და რეგულარულად აკონტროლებს კრედიტის ვადებს მოვალეების ტიპების მიხედვით, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროაქტიული ხერხია.

ჯგუფმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რომ უზრუნველყოს კონტრაჰენტების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. ეს მოიცავს სესხის დაფარვისა და მოთხოვნების ვადების რეგულარულ ანალიზს. კონტრაჰენტის ლიმიტების დადგენა ხდება კრედიტის პირობებთან ერთად. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი ჯგუფის მიერ იმართება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა და საკრედიტო ხარისხი აქტივის კლასის მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

31 დეკემბერი, 2024 წ.	*ზარალის დონე*	*მთლიანი საბალანსო ღირებულება*	*მოსალოდნელი ზარალი*	*წარჩენი საბალანსო ღირებულება*
კოლექტიურად შეფასებული				
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები				
30 დღემდე ვადაგადაცილებული	1.1%	18,573	209	18,364
30-61 ვადაგადაცილებული დღე	1.4%	20,603	278	20,325
61-90 ვადაგადაცილებული დღე	1.1%	15,130	172	14,958
90-180 ვადაგადაცილებული დღე	3.2%	27,711	881	26,830
180-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	84.8%	61,898	52,484	9,414
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა)		**143,915**	**54,024**	**89,891**
სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები				
სხვა მოთხოვნები	36.7%	9,334	3,426	5,908
გაცემული სესხები (1-ელი სტადია)	–	736	–	736
სულ სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები		**10,070**	**3,426**	**6,644**
ფინანსური გარანტიები				
ჯგუფის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით გაცემული ფინანსური გარანტიები (1-ელი სტადია)	0.7%	**36,190**	**270**	**35,920**

31 დეკემბერი, 2023 წ.	*ზარალის დონე*	*მთლიანი საბალანსო ღირებულება*	*მოსალოდნელი ზარალი*	*წარჩენი საბალანსო ღირებულება*
კოლექტიურად შეფასებული				
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები				
30 დღემდე ვადაგადაცილებული	2.0%	18,356	373	17,983
30-61 ვადაგადაცილებული დღე	2.6%	17,862	470	17,392
61-90 ვადაგადაცილებული დღე	2.2%	16,347	368	15,979
90-180 ვადაგადაცილებული დღე	2.9%	37,387	1,085	36,302
180-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	87.5%	51,808	45,357	6,451

სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა)		**141,760**	**47,653**	**94,107**
სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები				
სხვა მოთხოვნები	8.0%	43,770	3,480	40,290
გაცემული სესხები (1-ელი სტადია)	–	1,242	–	1,242
სულ სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები		**45,012**	**3,480**	**41,532**

1 იანვარი, 2023 წ.	*ზარალის დონე*	*მთლიანი საბალანსო ღირებულება*	*მოსალოდნელი ზარალი*	*წარჩენი საბალანსო ღირებულება*
კოლექტიურად შეფასებული				
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები				
30 დღემდე ვადაგადაცილებული	1.3%	25,641	322	25,319
30-61 ვადაგადაცილებული დღე	1.89%	20,842	394	20,448
61-90 ვადაგადაცილებული დღე	2.87%	19,785	568	19,217
90-180 ვადაგადაცილებული დღე	13.17%	30,213	3,980	26,233
180-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	91.35%	32,761	29,926	2,835
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა)		**129,242**	**35,190**	**94,052**
სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები				
სხვა მოთხოვნები	44.1%	5,999	2,643	3,356
გაცემული სესხები (1-ელი სტადია)	–	1,470	–	1,470
სულ სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები		**7,469**	**2,643**	**4,826**

გაცემულ სესხებს და ფინანსურ გარანტიებს არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგი და არ არის უზრუნველყოფილი. გაცემული სესხები არ არის ვადაგადაცილებული 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გაცემული სესხების და ფინანსური გარანტიების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. გაცემული სესხების და ფინანსური გარანტიების დეფოლტის საკუთარი ისტორიული სტატისტიკის არარსებობის გამო, ჯგუფმა მნიშვნელოვანი განსჯა გამოიყენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის საორიენტაციო მაჩვენებლებთან მიმართებით, აღიარებული სარეიტინგო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით. მნიშვნელოვანი განსჯა გახდა ასევე საჭირო კონტრაჰენტების სავარაუდო საკრედიტო რეიტინგის დასადგენად სავარაუდო დეფოლტის ალბათობის გამოყენების მიზნით. ამ განსჯის გამოყენებისას ჯგუფმა მხედველობაში მიიღო მსოფლიოს მასშტაბით ჯანდაცვის სეგმენტის საკრედიტო რეიტინგების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. 2024 წელს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი, მიკუთვნებადი გაცემული ფინანსური გარანტიებისთვის, წარმოდგენილია ცალკე კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო მათთან დაკავშირებული ვალდებულება წარმოდგენილია სხვა ვალდებულებებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავისი კაპიტალის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდურობის საჭიროების ყოველდღიურ მონიტორინგს.

ჯგუფი მართავს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას მათი უკეთესად დაბალანსებისთვის, რაც მას ეხმარება ლიკვიდურობის რისკის კიდევ უფრო შემცირებაში. ჯგუფის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკები არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება მომწოდებლებთან

გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადის მოსვლის გამო.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს დარღვეული ჰქონდა ფინანსური პირობები, რომლებიც უკავშირდება უცხოური და ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხებ სახსრებს და რომელთა მიმართებაშიც მოთხოვნის უფლების დათმობა იქნა მოპოვებული საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. 107,702 ლარის ნასესხები სახსრები კლასიფიცირდა, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები. ჯგუფის ხელმძღვანელობას ფინანსური დაწესებულებებისგან მოთხოვნის უფლების დათმობის მოპოვებისა და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ პირობებზე ხელახლა მოლაპარაკების წარმატებული გამოცდილება აქვს. გარდა ამისა, ჯგუფის ხელმძღვანელობამ დაიწყო ობლიგაციების გამოშვების პროცესი და უკვე დაიქირავა განთავსების აგენტები ამ მიზნით, რათა განათავსოს 5-წლიანი 350 მილიონი ლარის სავალო ფასიანი ქაღალდები 2025 წლის სექტემბერში. შესაბამისად, ქვედა ცხრილში ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანუ იმისდა მიხედვით, მათი ამოღება ან დაფარვა არის თუ არა მოსალოდნელი თორმეტ თვეზე მეტ ვადაში:

31 დეკემბერი, 2024 წ.	*1 წელზე ნაკლები*	*1 წელზე მეტი*	*სულ*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ფინანსური)	38,784	–	**38,784**
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (ფინანსური)	80,150	9,741	**89,891**
მარაგები (არაფინანსური)	30,852	–	**30,852**
გადახდილი ავანსები (ფინანსური)	6,471	5,106	**11,577**
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება (არაფინანსური)	–	539,524	**539,524**
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები (არაფინანსური)	–	92,764	**92,764**
სხვა აქტივები (არაფინანსური)	11,426	14,778	**26,204**
სულ აქტივები	**167,683**	**661,913**	**829,596**
ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	39,575	–	**39,575**
სავაჭრო ვალდებულებები	25,750	–	**25,750**
საიჯარო ვალდებულებები	6,086	26,077	**32,163**
ნასესხები სახსრები	70,579	271,668	**342,247**
სხვა ვალდებულებები	9,705	–	**9,705**
სულ ვალდებულებები	**151,695**	**297,745**	**449,440**

31 დეკემბერი, 2023 წ.	*1 წელზე ნაკლები*	*1 წელზე მეტი*	*სულ*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ფინანსური)	34,271	–	**34,271**
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (ფინანსური)	85,174	8,933	**94,107**
სხვა მოთხოვნები (ფინანსური)	30,560	–	**30,560**
მარაგები (არაფინანსური)	29,251	–	**29,251**
გადახდილი ავანსები (ფინანსური)	5,946	3,464	**9,410**
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება (არაფინანსური)	–	515,236	**515,236**
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები (არაფინანსური)	–	83,084	**83,084**
სხვა აქტივები (არაფინანსური)	15,585	16,171	**31,756**
სულ აქტივები	**200,787**	**626,888**	**827,675**

ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	41,909	–	**41,909**
სავაჭრო ვალდებულებები	29,086	–	**29,086**
საიჯარო ვალდებულებები	5,106	20,975	**26,081**
ნასესხები სახსრები	37,883	244,650	**282,533**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	47,504	–	**47,504**
სხვა ვალდებულებები	6,796	–	**6,796**
სულ ვალდებულებები	**168,284**	**265,625**	**433,909**

1 იანვარი, 2023 წ.	*1 წელზე ნაკლები*	*1 წელზე მეტი*	*სულ*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35,333	–	**35,333**
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	87,827	6,225	**94,052**
მარაგები	24,688	–	**24,688**
გადახდილი ავანსები	2,596	7,257	**9,853**
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	–	518,868	**518,868**
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	79,482	**79,482**
სხვა აქტივები	5,426	16,464	**21,890**
სულ აქტივები	**155,870**	**628,296**	**784,166**
ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	38,423	–	**38,423**
სავაჭრო ვალდებულებები	26,205	–	**26,205**
საიჯარო ვალდებულებები	3,753	13,869	**17,622**
ნასესხები სახსრები	54,734	166,678	**221,412**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	7,144	40,434	**47,578**
სხვა ვალდებულებები	6,870	–	**6,870**
სულ ვალდებულებები	**137,129**	**220,981**	**358,110**
ნეტო პოზიცია	**18,741**	**407,315**	**426,056**

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდურობის არსებული დონე საკმარისია ყველა მისი მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად და დავალიანების დროულად დასაფარად. ჯგუფი ასევე აბალანსებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებს და უარყოფით გეპებზე მაქსიმალურ ლიმიტს აწესებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა.

31 დეკემბერი, 2024 წ.	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
სავაჭრო ვალდებულებები	25,750	–	–	–	**25,750**
ნასესხები სახსრები	147,077	47,891	192,164	23,554	**410,686**
საიჯარო ვალდებულებები	1,660	4,632	21,392	15,311	**42,995**
სხვა ვალდებულებები: გადასახდელი დივიდენდები (1-ელი შენიშვნა)	–	2,932	–	–	2,932
სხვა ვალდებულებები: ფინანსური გარანტიები (მაქსიმალური მოცულობა) (მე-14 შენიშვნა)	36,190	–	–	–	36,190
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**210,677**	**55,455**	**213,556**	**38,865**	**518,553**

31 დეკემბერი, 2023 წ.	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*

სავაჭრო ვალდებულებები	29,086	–	–	–	**29,086**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,651	51,517	–	–	**53,168**
ნასესხები სახსრები	134,452	100,165	83,351	–	**317,968**
საიჯარო ვალდებულებები	1,339	3,949	17,669	11,754	**34,711**
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**166,528**	**155,631**	**101,020**	**11,754**	**434,933**

1 იანვარი, 2023 წ.	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
სავაჭრო ვალდებულებები	26,205	–	–	–	**26,205**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,651	4,970	51,970	–	**58,591**
ნასესხები სახსრები	13,690	34,529	234,681	–	**282,900**
საიჯარო ვალდებულებები	951	2,802	11,914	6,388	**22,055**
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**42,497**	**42,301**	**298,565**	**6,388**	**389,751**

ჯგუფი მოელის, რომ შეძლებს ყველა მომავალი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას ოპერაციებიდან შემოსულობის გამოყენებით, არსებული სესხების რეფინანსირებით და მშობელი საწარმოსგან დამატებითი დაფინანსების მოპოვებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ცვლადების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. ჯგუფს აქვს საბაზრო რისკები. ჯგუფი მისთვის მისაღები საბაზრო რისკის დონეების სტრუქტურირებას ახდენს ჯგუფის საბაზრო რისკის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საბაზრო რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. ჯგუფს აქვს SOFR-სა (უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთი) და სებ-ის მოკლევადიანი სესხის რეფინანსირების განაკვეთებზე მიბმული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები და ამიტომ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი.

	31 დეკემბერი, 2024 წ.			*31 დეკემბერი, 2023 წ.*		
	ლარი	**აშშ დოლარი**	**ევრო**	**ლარი**	**აშშ დოლარი**	**ევრო**
ნასესხები სახსრები	11.5%	9.3%	3.8%	13.7%	4.6%	3.8%

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის მგრძნობელობა არის საპროცენტო განაკვეთის დასაშვები ცვლილების ეფექტი წლის საპროცენტო ხარჯზე. 2024 და 2023 წლებში მგრძნობელობის ანალიზმა არ გამოავლინა რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ჯგუფის კაპიტალზე. მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიმართ, როდესაც სხვა ცვლადები უცვლელია:

	31 დეკემბერი, 2024 წ.		*31 დეკემბერი, 2023 წ.*	
ვალუტა	*სავალუტო კურსის საბაზისო პუნქტებში*	*მოგება-ზარალის მგრძნობელობა*	*სავალუტო კურსის საბაზისო პუნქტებში*	*მოგება-ზარალის მგრძნობელობა*

ლარი	-2.50%	7,460	–2.50%	7,305
აშშ დოლარი	2.23%	(773)	2.23%	(529)
ლარი	2.50%	(7,460)	2.50%	(7,305)
აშშ დოლარი	-2.23%	773	–2.23%	529

სავალუტო რისკი

ჯგუფს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა. ჯგუფის ძირითადი გარიგებები ლარში ხორციელდება და სავალუტო რისკი ძირითადად აშშ დოლართან მიმართებით აქვს.

ჯგუფის ფინანსური აქტივები ძირითადად გამოხატულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი ვალდებულებები, კერძოდ, ჯგუფის კომპანიების სამუშაო ვალუტაში - ლარში. ჯგუფის ოპერაციების უმეტესობაც ლარშია გამოხატული. ეს ამცირებს ოპერაციებთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკს ძირითადად განაპირობებს აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრები, რომლებიც ნაწილობრივ ჰეჯირებულია ბანკებში განთავსებული ფულადი ანაბრებით, რომლებიც ასევე აშშ დოლარშია გამოხატული და სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებებით ჯგუფის კონტრაჰენტებთან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებში გამოხატულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე ჯგუფს 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი მერყეობის გავლენას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მუდმივია მოგებაში ან ზარალში. ცხრილში უარყოფითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგებაში ან ზარალში, ხოლო დადებითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

	31 დეკემბერი, 2024 წ.		*31 დეკემბერი, 2023 წ.*		*1 იანვარი, 2023 წ.*	
	აშშ დოლარი	*ევრო*	*აშშ დოლარი*	*ევრო*	*აშშ დოლარი*	*ევრო*
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26,962	675	36	78	1,789	2,123
სულ ფულადი აქტივები	**26,962**	**675**	**36**	**78**	**1,789**	**2,123**
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	34,919	9,267	23,732	14,118	42,200	14,422
საიჯარო ვალდებულებები	32,163	–	26,081	–	17,622	–
სულ ფულადი ვალდებულებები	**67,082**	**9,267**	**49,813**	**14,118**	**59,822**	**14,422**
ნეტო ფულადი პოზიცია	**(40,120)**	**(8,592)**	**(49,777)**	**(14,040)**	**(58,033)**	**(12,299)**
სავალუტო კურსის გონივრულად მოსალოდნელი პროცენტული ზრდა %	**5.49%**	**5.80%**	**5.93%**	**6.04%**	**16.34%**	**29.3%**
ეფექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	**(2,203)**	**(498)**	**(2,952)**	**(848)**	**(9,483)**	**(3,604)**
სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი პროცენტული შემცირება	**-5.49%**	**-5.80%**	**-5.93%**	**-6.04%**	**-16.34%**	**-29.3%**
ეფექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	**2,203**	**498**	**2,952**	**848**	**9,483**	**3,604**

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც კონტროლის მექანიზმები ეფექტურად არ ხორციელდება, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, ჯგუფი ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომლების განათლებისა და შეფასების პროცესებს და შიდა აუდიტის გამოყენებას.

საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, როგორც წესი, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (იმ რისკის ჩათვლით, რომ ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას ქვეყნის გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განუვითარებელი სასესხო და კაპიტალის ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ეს მოიცავს ახალი კანონმდებლობის მიღებას (ახალი საგადასახადო კოდექსის და საპროცესო კანონების ჩათვლით). დირექტორთა საბჭოს აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნეს რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს მსოფლიო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება.

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისის მიმოხილვა

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი, '000 ლარი	*2024*	*2023*
მიღებული შემოსავალი	409,257	347,213
გადახდები მომწოდებლებს და გადახდილი პირდაპირი ხელფასები	(277,326)	(277,420)
გადახდები სხვა თანამშრომლებისთვის	(61,976)	(49,761)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**69,955**	**20,031**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების, დანადგარებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(67,416)	(64,565)
მიღებული პროცენტი	1,431	1,570
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ფული	34,267	21,517
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(31,718)**	**(41,478)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
დამატებითი წილის შეძენა არსებულ შვილობილ კომპანიებში	(826)	-
გადახდები დედა კომპანიას	(1,990)	-
სესხიდან და გამოშვებული ბონდებისგან მიღებული თანხები	339,448	229,940
სესხებისა და გამოშვებული ბონდების ჩაფარვა	(325,212)	(170,984)

გადასახდელი ლიზინგი, ძირი	(5,448)	(2,529)
გადასახდელი ლიზინგი, პროცენტი	(913)	(1,598)
გადახდილი პროცენტი	(38,285)	(34,224)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(33,226)**	**20,605**
ვალუტის გაცვლითუ კურსის ცვლილებების გავლენა	(498)	(220)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება	**4,513**	**(1,062)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისი	34,271	35,333
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	**38,784**	**34,271**

2024 წელს საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა საპროცენტო ხარჯის გადახდის შემდეგ მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა 69,955 ათასი ლარი შეადგინა, რაც 3.49-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს (2023 წელი: 20,031 ათასი ლარი). ამ ცვლილების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო ფულადი შემოსავლების გაზრდა, რაც ნაწილობრივ შემოსავლის ზრდამ, ხოლო ნაწილობრივ - სახელმწიფოს მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების შემცირებამ განაპირობა. გარდა ამისა, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების გაუმჯობესებას ხელი შეუწყო „კომპანიის“ მომსახურების გადახდილი ხარჯების შედარებით ნელი ტემპით ზრდამ მიღებულ შემოსავლებთან მიმართებით.

დეტალური ინფორმაცია პერიოდების მიხედვით მოცემულია ცხრილში:

'000 ლარი	*2024*	*2023*
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	409,257	347,213
გადახდები მომწოდებლებს და გადახდილი პირდაპირი ხელფასები	(277,326)	(277,420)
გადახდები სხვა თანამშრომლებისთვის	(61,976)	(49,762)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**69,955**	**20,031**

2024 წელს საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები 23.5%-ით არის შემცირებული და - 31,718 ათას ლარს უტოლდება. ზრდა ძირითადად გამოწვეულია ბათუმის ჰოსპიტლის გაყიდვით.

დეტალური ინფორმაცია პერიოდების მიხედვით მოცემულია ცხრილში:

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(67,416)	(64,565)
მიღებული პროცენტი	1,431	1,570
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	34,267	21,517
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(31,718)**	**(41,478)**

„ჯგუფის“ კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ პროსპექტის ქვესექცია - „ინვესტიციები“.

2024 წელს **ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა** 261.3%-ით იკლო და 33,226 ათასი ლარი შეადგინა. კლება ძირითადად, განპირობებული იყო სესხებიდან და სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ამონაგების შემცირებით.

დეტალური ინფორმაცია პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	2024	2023
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ საწარმოებში	(826)	-
განაწილება მშობელ საწარმოზე	(1,990)	-
აღებული სესხები და გამოშვებული ობლიგაციები	339,448	229,940
სესხებისა და გამოშვებული ობლიგაციების ჩაფარვა	(325,212)	(170,984)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა	(5,448)	(2,529)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(913)	(1,598)
გადახდილი პროცენტი	(38,285)	(34,224)
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(33,226)**	**20,605**

2024 წელს ემიტენტმა შეიძინა თავისი შვილობილის, სს „ვაბაკოს“ დამატებით 33% წილი 826 ათასი ლარის სანაცვლოდ;

მშობელ საწარმოზე განაწილების მუხლის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ „ფინანსური მიმოხილვის“ ქვეთავის სექცია „კაპიტალი“.

კაპიტალიზაცია და დავალიანება

კაპიტალიზაციისა და დავალიანების სტრუქტურა შესაბამისი პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

‘000 ლარი	(არააუდიტირებული) 30-ივნ-25	(აუდიტირებული) 31-დეკ-24	(აუდიტირებული) 31-დეკ-23
ვალდებულებები:			
ნასესხები სახსრები და სავალო ფასიანი ქაღალდები	366,637	342,247	330,037
საიჯარო ვალდებულებები	32,364	32,163	26,081
სულ ვალდებულებები	**399,001**	**374,410**	**356,118**
კაპიტალი:			
დამატებით გადახდილი კაპიტალი	9,755	7,971	3,526
საწესდებო კაპიტალი *	105,280	105,280	-
დაგროვილი დეფიციტი/გაუნაწილებელი მოგება	240,199	233,735	356,637
არაკონტროლირებადი წილები	34,230	33,170	33,603
სულ კაპიტალი	**389,464**	**380,156**	**393,766**
სულ კაპიტალიზაცია	**788,465**	**754,566**	**749,884**

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, „კომპანიის“ სავალო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი (თანხები მითითებულია ათას ლარებში):

სესხის გამცემი	ვალუტა	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	სესხის ტიპი	დარჩენილი ვადა (წლები)	ძირი თანხა	დარიცხული პროცენტი	საპროცენტო განაკვეთი

სს საქართველოს ბანკი	GEL	25-დეკ-24	27-აგვ-29	ანუიტეტი	130	21,145,620	32,181	NBG+6.0%
EBRD	GEL	28-ოქტ-22	13-ივლ-27	ანუიტეტი	128	18,385,333	952,713	NBG+3.0%
სს საქართველოს ბანკი	GEL	27-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	130	8,429,584	7,968	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	27-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	130	50,988,385	47,806	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	27-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	130	16,859,168	15,935	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	29-აპრ-24	29-აპრ-29	ანუიტეტი	129	9,179,246	-	NBG+3.4%
სს თიბისი ბანკი	GEL	14-სექტ-21	14-სექტ-26	ანუიტეტი	127	7,813,119	39,387	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	GEL	31-მარ-23	31-მარ-28	ანუიტეტი	128	13,948,145	40,048	NBG+3.1%
სს თიბისი ბანკი	GEL	28-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	130	19,449,015	30,639	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	GEL	28-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	130	29,410,522	45,958	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	26-სექ-24	26-სექ-25	საკრედიტო ხაზი	126	9,900,000	-	NBG+5.0%
სს ლიბერთი ბანკი	GEL	28-ივნ-24	20-ივნ-29	ანუიტეტი	130	12,069,968	41,336	NBG+4.5%
სს საქართველოს ბანკი	USD	26-დეკ-24	26-დეკ-34	ანუიტეტი	135	25,193,300	10,137	10.00%
სს საქართველოს ბანკი	GEL	14-მარ-25	14-მარ-26	ანუიტეტი	126	10,000,000	59,452	NBG+7.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	16-ივნ-25	15-მაის-26	საკრედიტო ხაზი	126	8,000,000	47,562	15.50%
სს თიბისი ბანკი	GEL	25-ივნ-25	25-სექტ-25	საკრედიტო ხაზი	126	7,000,000	11,507	NBG+7.0%
სს საქართველოს ბანკი	GEL	29-ივნ-24	29-ივნ-29	ანუიტეტი	130	4,214,792	3,984	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	4-მაის-24	4-დეკ-25	ანუიტეტი	126	743,108	6,087	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	15-თებ-24	15-თებ-26	საკრედიტო ხაზი	126	5,000,000	24,041	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	28-აპრ-23	28-აპრ-28	ანუიტეტი	128	22,107,797	-	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	GEL	31-მარ-21	30-მარ-26	ანუიტეტი	126	2,874,135	866	NBG+3.1%
სს თიბისი ბანკი	GEL	28-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	130	4,862,254	7,660	NBG+3.0%
სს თიბისი ბანკი	EUR	30-იანვ-25	21-თებ-35	ანუიტეტი	135	7,453,792	16,541	9.00%
სს თიბისი ბანკი	GEL	30-იანვ-25	30-იანვ-35	ანუიტეტი	135	18,000,000	38,712	NBG+9.0%
სს ბაზის ბანკი	GEL	27-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	130	2,578,311	23,463	NBG+3.7%
სს საქართველოს ბანკი	GEL	4-დეკ-20	4-დეკ-25	ანუიტეტი	126	495,405	4,058	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	4-დეკ-20	4-დეკ-25	ანუიტეტი	126	201,616	1,723	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	9-იანვ-24	9-იანვ-27	ანუიტეტი	127	1,602,611	9,221	NBG+4.0%
სს საქართველოს ბანკი	GEL	9-იანვ-24	9-იანვ-26	საკრედიტო ხაზი	126	1,000,000	7,479	NBG+4.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	23-აპრ-24	23-აპრ-26	საკრედიტო ხაზი	126	500,000	1,486	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	GEL	30-ივნ-23	30-ივნ-26	საკრედიტო ხაზი	127	300,233	477	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	GEL	29-აპრ-21	28-აპრ-26	საკრედიტო ხაზი	126	8,000,000	-	15.50%
სს საქართველოს ბანკი	GEL	26-სექ-24	26-სექ-25	საკრედიტო ხაზი	126	2,666,081	3,944	NBG+5.5%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (EBRD-ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	USD	25-ოქტ-22	25-ოქტ-27	ანუიტეტი	128	3,026,225	42,036	7.30%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (DEG-ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	EUR	15-ივნ-22	15-ივნ-27	ანუიტეტი	128	7,970,500	12,415	3.80%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (EBRD-ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	USD	25-ოქტ-22	25-ოქტ-27	ანუიტეტი	128	3,631,468	50,444	7.30%
სულ საპროცენტო ვალდებულებები						**364,999,732**	**1,637,267**	

გარდა ზემოხსენებული საბალანსო ვალდებულებებისა, ჯგუფს სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფის“ 36,190 ათასი ლარის სესხზე დაწერილი აქვს გარანტია. ობლიგაციების გამოშვების შემდგომ მოცემული გარანტია განულდება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ სავალო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი (თანხები მითითებულია ათას ლარებში):

სესხის გამცემი	ვალუტა	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	სესხის ტიპი	დარჩენილი ვადა (წლები)	ძირი თანხა	დარიცხული პროცენტი	საპროცენტო განაკვეთი
EBRD	ლარი	28-ოქტ-22	13-Jul-27	ანუიტეტი	2.5	22,062	985	NBG+3.0%
სს ლიბერთი ბანკი	ლარი	28-ივნ-24	20-ივნ-29	ანუიტეტი	4.4	13,202	4	NBG+3.25%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	27-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	4.4	9,123	-24	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	27-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	4.4	57,244	-22	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	27-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	4.4	18,478	-49	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	29-Apr-24	29-იან-29	ანუიტეტი	4	10,185	-43	NBG+3.4%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	26-Sep-24	26-სექ-25	საკრედიტო ხაზი	0.7	9,900	-28	NBG+5.0%
სს საქართველოს ბანკი	აშშ დოლარი	26-დეკ-24	26-დეკ-34	ანუიტეტი	9.9	25,964	-36	10.00%
სს თიბისი ბანკი	ლარი	14-სექ-21	14-სექ-26	ანუიტეტი	1.7	8,553	73	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	ლარი	31-მარ-23	31-მარ-28	ანუიტეტი	3.3	14,528	81	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	ლარი	28-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	4.4	20,000	80	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	ლარი	28-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	4.4	29,707	99	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	29-ივნ-24	29-ივნ-29	ანუიტეტი	4.4	4,619	0	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	4-მაი-24	4-დეკ-25	ანუიტეტი	0.9	1,524	6	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	15-თებ-24	15-თებ-25	ანუიტეტი	0.1	5,000	0	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	28-აპრ-23	28-აპრ-28	საკრედიტო ხაზი	3.3	23,191	-39	NBG+3.1%
BB	ლარი	27-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	4.4	2,816	-5	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	ლარი	31-მარ-21	30-მარ-26	ანუიტეტი	1.2	3,255	0	NBG+3.0%
სს ბაზისბანკი	ლარი	28-ივნ-24	27-ივნ-29	ანუიტეტი	4.4	4,528	0	NBG+3.5%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (EBRD-ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	აშშ დოლარი	31-აპრ-20	25-ოქტ-27	ანუიტეტი	2.8	4,673	39	7.25%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	29-აპრ-21	28-აპრ-25	საკრედიტო ხაზი	0.3	8,000	2	NBG+2.8%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	26-სექ-24	26-სექ-25	საკრედიტო ხაზი	0.7	2,892	5	NBG+5.5%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (EBRD-ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	აშშ დოლარი	31-ივლ-20	25-ოქტ-27	ანუიტეტი	2.8	4,746	308	7.25%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (EBRD-ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	ევრო	15-ივნ-22	15-ივნ-27	ანუიტეტი	2.4	9,158	108	3.80%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	4-დეკ-20	4-დეკ-25	ანუიტეტი	0.9	979	7	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	4-დეკ-20	4-დეკ-25	ანუიტეტი	0.9	388	3	NBG+4.0%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	9-დეკ-24	9-იან-27	ანუიტეტი	2	1,719	10	NBG+4.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	9-იან-24	9-იან-25	საკრედიტო ხაზი	0	300	3	NBG+4.0%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	23-აპრ-24	23-აპრ-25	საკრედიტო ხაზი	0.3	1,000	3	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	ლარი	30-ივნ-23	30-ივნ-25	საკრედიტო ხაზი	0.4	250	0	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	25-დეკ-24	27-აგვ-29	ანუიტეტი	4.6	22,774	-80	NBG+3.5%
სულ საპროცენტო ვალდებულებები							**340,757**	**1,490**

2024 წლის ივლისში, „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ შვილობილმა კომპანიამ, სს „ვიანმა“, მეორად ბაზარზე გამოისყიდა მის მიერ გამოშვებული ყველა მიმოქცევაში არსებული ობლიგაცია (ISIN – GE2700603881) ჯამში 47,504 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად 2019 წელს იქნა გამოშვებული დივერსიფიცირებული ინვესტორთა ბაზისთვის, მათ შორის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისთვის.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ სავალო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი (თანხები მითითებულია ათას ლარებში):

სესხის გამცემი	ვალუტა	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	სესხის ტიპი	დარჩენილი ვადა (წლები)	ძირი თანხა	დარიცხული პროცენტი	საპროცენტო განაკვეთი
Proparco	აშშ დოლარი	16-სექ-16	31-ივლ-24	ანუიტეტი	0.6	11,179	564	6M US Libor + 3.0%
EBRD	ლარი	20-სექ-18	20-თებ-24	ანუიტეტი	0.1	1,250	110	NBG+3.5%
EBRD	ლარი	28-ოქტ-22	28-ოქტ-27	ანუიტეტი	3.8	24,820	1,404	NBG+3%
სს ჰალიკ ბანკი საქართველო	ლარი	7-აგვ-23	7-აგვ-24	საკრედიტო ხაზი	0.6	3,000	1	NBG+2.5%
სს ლიბერთი ბანკი	ლარი	29-ნოემ-21	29-ოქტ-25	ანუიტეტი	1.8	5,263	4	NBG+3.1%
სს ლიბერთი ბანკი	ლარი	29-ოქტ-21	29-ოქტ-24	საკრედიტო ხაზი	0.8	5,000	17	NBG+2.85%
სს ლიბერთი ბანკი	ლარი	29-სექ-23	29-სექ-24	საკრედიტო ხაზი	0.7	5,000	57	NBG+3.45%
ობლიგაციები	ლარი	6-ნოემ-19	6-ნოემ-24	ობლიგაციები	0.8	46,953	891	NBG+3.1%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	24-მარ-23	24-მარ-24	საკრედიტო ხაზი	0.2	17,665	38	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	28-აპრ-23	28-აპრ-28	ანუიტეტი	4.3	35,695	37	NBG+3.1%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	31-მარ-23	5-აპრ-24	საკრედიტო ხაზი	0.3	8,000	72	NBG+2.8%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	30-აგვ-23	30-აგვ-24	საკრედიტო ხაზი	0.6	20,000	14	NBG+3.0%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	28-ივნ-23	28-ივნ-24	საკრედიტო ხაზი	0.4	5,000	5	NBG+2.8%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	7-დეკ-23	7-დეკ-28	ანუიტეტი	4.9	12,000	104	NBG+3.4%
სს თიბისი ბანკი	ლარი	14-სექ-21	17-სექ-26	ანუიტეტი	2.7	12,696	78	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	ლარი	30-სექ-22	28-სექ-24	საკრედიტო ხაზი	0.7	10,000	14	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	ლარი	31-მარ-23	31-მარ-28	ანუიტეტი	4.3	17,785	57	NBG+3.1%
სს თიბისი ბანკი	ლარი	29-დეკ-23	29-დეკ-24	საკრედიტო ხაზი	0.9	10,000	7	NBG+3.1%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (EBRD-ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	აშშ დოლარი	31-ივლ-20	25-ოქტ-27	ანუიტეტი	3.8	6,597	0	7.25%
ბაზისბანკი	ლარი	16-მარ-23	18-მარ-24	საკრედიტო ხაზი	0.2	3,000	26	NBG+3.4%
ბაზისბანკი	ლარი	7-მარ-23	7-მარ-24	Repo	0.2	2,419	244	NBG+2%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	6-მაის-19	6-მაის-24	ანუიტეტი	0.3	644	6	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	7-დეკ-20	4-დეკ-25	ანუიტეტი	1.9	2,798	27	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	29-აპრ-21	28-აპრ-24	საკრედიტო ხაზი	0.3	8,000	6	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	ლარი	31-მარ-21	31-მარ-26	ანუიტეტი	2.3	5,364	4	NBG+3.0%
სს თიბისი ბანკი	ლარი	13-დეკ-22	7-დეკ-24	საკრედიტო ხაზი	0.9	5,000	91	NBG+3.5%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (EBRD-ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	აშშ დოლარი	31-ივლ-20	25-ოქტ-27	ანუიტეტი	3.8	5,912	83	7.25%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (DEG -ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	ევრო	15-Jun-22	15-Jun-27	ანუიტეტი	3.4	13,307	171	3.80%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	4-დეკ-20	4-დეკ-25	ანუიტეტი	1.9	1,866	28	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	4-დეკ-20	4-დეკ-25	ანუიტეტი	1.9	709	4	NBG+4.0%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	18-იან-23	31-იან-24	საკრედიტო ხაზი	0.1	2,000	11	NBG+3.5%
სს თიბისი ბანკი	ლარი	27-ივლ-23	27-ივლ-24	საკრედიტო ხაზი	0.5	1,000	11	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	4-დეკ-20	8-დეკ-24	საკრედიტო ხაზი	0.9	10,000	98	NBG+3.5%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	24-აგვ-23	24-Aაგვ-24	საკრედიტო ხაზი	0.6	5,800	30	NBG+2.8%
სულ საპროცენტო ვალდებულებები						**325,723**	**4,314**	

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ სავალო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი (თანხები მითითებულია ათას ლარებში):

სესხის გამცემი	ვალუტა	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	სესხის ტიპი	დარჩენილი ვადა (წლები)	ძირი თანხა	დარიცხული პროცენტი	საპროცენტო განაკვეთი
Proparco	აშშ დოლარი	16-სექ-16	31-სექ-24	ანუიტეტი	1.6	22,490	336	6M US Libor + 3.0%
EBRD	ლარი	20-სექ-18	20-თებ-24	ანუიტეტი	1.1	3,750	824	NBG+3.5%
EBRD	ლარი	28-ოქტ-22	28-ოქტ-27	ანუიტეტი	4.8	27,578	-125	NBG+3%
TBC	ლარი	14-სექ-21	17-სექ-26	ანუიტეტი	3.7	16,228	100	NBG+3.5%
TBC	ლარი	30-სექ-22	28-სექ-23	საკრედიტო ხაზი	0.7	5,000	0	NBG+3.5%
Liberty	ლარი	29-ნოემ-21	29-ოქტ-25	ანუიტეტი	2.8	7,628	4	NBG+3.1%
Liberty	ლარი	29-ოქტ-21	31-დეკ-23	საკრედიტო ხაზი	1	2,000	0	NBG+2.85%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	29-ივნ-22	29-ივნ-23	ანუიტეტი	0.4	40,000	16	13.50%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	24-მარ-22	24-მარ-23	საკრედიტო ხაზი	0.2	17,665	0	NBG+3.5%
HB	ლარი	30-დეკ-22	31-დეკ-24	საკრედიტო ხაზი	2	5,000	2	NBG+3.5%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (EBRD-ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	აშშ დოლარი	31-ივლ-20	25-აპრ-27	ანუიტეტი	4.3	8,106	71	6M US Libor + 2.5%
ობლიგაციები	ლარი	6-ნოემ-19	6-ნოემ-24	ობლიგაციები	1.8	46,621	932	NBG+3.1%
BOG	ლარი	6-მაის-19	6-მაის-24	ანუიტეტი	1.3	2,145	22	NBG+3.5%
BOG	ლარი	7-დეკ-20	4-დეკ-25	ანუიტეტი	2.9	3,987	41	NBG+3.5%
TBC	ლარი	31-მარ-21	31-მარ-26	ანუიტეტი	3.3	7,197	0	NBG+3.0%
BOG	ლარი	29-აპრ-21	28-Apr-23	საკრედიტო ხაზი	0.3	8,000	6	NBG+3.5%
TBC	ლარი	13-დეკ-22	7-დეკ-23	საკრედიტო ხაზი	0.9	5,000	38	NBG+3.5%
BB	ლარი	15-დეკ-20	6-ნოემ-24	Repo	1.8	2,400	255	13.50%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (EBRD-ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	აშშ დოლარი	31-ივლ-20	25-ოქტ-27	ანუიტეტი	4.8	10,505	219	7.25%
საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (DEG -ის სესხი გადაცემული ქვესესხის სახით)	ევრო	15-ივნ-22	15-ივნ-27	ანუიტეტი	4.4	14,422	26	3.80%
BOG	ლარი	4-დეკ-20	4-დეკ-25	ანუიტეტი	2.9	2,715	-924	NBG+3.5%
BOG	ლარი	4-დეკ-20	4-დეკ-25	ანუიტეტი	2.9	916	973	NBG+4.0%
BOG	ლარი	4-დეკ-20	8-დეკ-23	საკრედიტო ხაზი	0.9	6,800	22	NBG+3.5%
სულ საპროცენტო ვალდებულებები						**266,153**	**2,837**	

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, „კომპანიის“ საპროცენტო ვალდებულებები მოიცავს 317,724 ათასი ლარის ოდენობის სესხს დენომინირებულს ლარში, 31,851 ათასი ლარის ოდენობის სესხს დენომინირებულს აშშ დოლარში და 15,424 ათასი ლარის ოდენობის ვალდებულებებს დენომინირებულს ევროში.

ბოლო ფინანსური წლის განმავლობაში და ამ თარიღიდან დღემდე (მათ შორის პროსპექტის მომზადების პერიოდშიც), სესხის ხელშეკრულებებით განსაზღვრული არცერთ შემთხვევაში არ დაფიქსირდა საპროცენტო ან/და ძირი თანხის გადახდის შეფერხება.

კომპანიის ლევერიჯსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ობლიგაციების გამოშვების ეფექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია „ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების“ ქვეთავში, სადაც გამჟღავნებულია პრო-ფორმა კოეფიციენტები

კომპანიის აქტივების დაყოფა უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კატეგორიებად 2024 წლის 31 დეკემბრის საბალანსო ღირებულების მონაცემების საფუძველზე:

აქტივის აღწერა	საბალანსო ღირებულება (ლარი '000)	იპოთეკა-გირავნობით დატვირთული ღირებულება	იპოთეკა-გირავნობით დაუტვირთავი ღირებულება
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	38,784	-	38,784
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	89,891	-	89,891
მარაგები	30,852	-	30,852
გადახდილი ავანსები	11,577	-	11,577
ძირითადი საშუალებები	508,213	408,596	99,617
აქტივი გამოყენების უფლებით	31,311	-	31,311
გუდვილი და არამატერიალური აქტივები	92,764	-	92,764
სხვა აქტივები	26,204	-	26,204

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“ უძრავი ქონების 100% აქვს დაგირავებული. გარდა ამისა, ბანკს დაგირავებული აქვს მოძრავი ქონების ნაწილი და ემიტენტის შვილობილის, სს „ვიანის“ წილის 9.8%.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „კომპანიის“ ზოგიერთი აქტივი გირავნობით დატვირთული იყო დემერჯერამდე, ხოლო დემერჯერის შემდეგ გარკვეული სესხები გადაეცა „საქართველოს ფარმაციის ჯგუფს“. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სესხები დღემდე უზრუნველყოფილია „კომპანიის“ აქტივებით. ამჟამად „კომპანია“ აწარმოებს მოლაპარაკებებს ფინანსურ ინსტიტუტებთან აღნიშნული აქტივების გირავნობიდან გათავისუფლების თაობაზე.

ობლიგაციების გამოშვებისა და საბანკო სესხების რეფინანსირების შემდეგ, კომპანია გამოათავისუფლებს უზრუნველყოფილი აქტივების დიდ ნაწილს.

ობლიგაციის უზრუნველყოფაში იქნება უძრავი და მოძრავი ქონება დატვირთული. კუშმანის შეფასებით მოძრავი ქონების შეფასება ჯამში წარმოადგენს 170,046 ათას დოლარს, ხოლო მოძრავი - 11,154 ათას დოლარს. ქონების შეფასების რეპორტი თარიღდება 2025 წლის 30 ივლისის მდგომარეობით. ობლიგაციების ემისიის მომენტისთვის VTL კოეფიციენტი (Value to Loan - ღირებულების მიმართ სესხის კოეფიციენტი) იქნება 1.4, რომელიც აჩვენებს იმ ოდენობის ვალდებულებას, რაც გაცემულია აქტივის (უძრავი და მოძრავი ქონების) ღირებულების მიმართ.

ემიტენტის დამატებითი სესხის საჭიროებების აღწერა:

ობლიგაციების გამოშვებით მოზიდული ფულადი სახსრების მიღმა, პროსპექტის შედგენის თარიღისთვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე, „კომპანია“ არ გეგმავს დამატებითი საკრედიტო რესურსების მოზიდვას.

ფინანსური შეზღუდვების მიმოხილვა

„კომპანიის“ სესხებზე ვრცელდება ფინანსური კოვენანტები, რომლებიც მოქმედებს აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ ყველა სესხსთან მიმართებით. ძირითადი ფინანსური კოვენანტები და შესაბამისი მაჩვენებლების წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ (დამატებით იხილეთ პროსპექტის ქვესექცია „ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები“).

ქვემოთ წარმოდგენილია „კომპანიის“ იმ სესხების ფინანსური კოვენანტების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლებიც აღებულია ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებისგან.

„კომპანიას“ გააჩნია სახელშეკრულებო ვალდებულება, უზრუნველყოს აღნიშნული კოვენანტების დაცვა დადგენილი პერიოდის განმავლობაში.

სს თიბისი ბანკთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულებისთვის განსაზღვრული ვადების შესაბამისი კოვენანტები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მრიცხველი	მნიშვნელი	ლიმიტი	ფაქტ 2024	ფაქტ 2023	შესაბამისობა 2024	შესაბამისობა 2023
Ebitda-კაპ.დან.	გრძელვადიანი ვალის გადახდები	1.2	1.7	1.4	დიახ	დიახ
თავისუფალი ფულადი ნაკადი	გრძელვადიანი ვალის გადახდები	1.1	2.3	1.2	დიახ	დიახ
წმინდა დავალიანება	Ebitda	3	4.1	4.7	არა	არა
EBIT	წმინდა საპროცენტო ხარჯები	2.5	0.9	1.0	არა	არა

როგორც ზემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები, „კომპანიამ“ დაარღვია რამდენიმე კოვენანტი, რაზეც ბანკმა უარი განაცხადა პრეტენზიის წამოყენებაზე.

კოვენანტების შემადგენელი ელემენტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური კოვენანტების ძირითადი პირობები	ფინანსური მაჩვენებელი	აღწერა
1	მთლიანი ვალი	პროცენტიანი სესხები + იჯარის ვალდებულებები + გამოშვებული ობლიგაციებ
	სულ კაპიტალი	კაპიტალი - გუდვილი
2	Ebitda-კაპიტალური დანახარჯები	Ebitda-შენარჩუნების კაპიტალური დანახარჯები-მოგების გადასახადის ხარჯი+ჯანდაცვის მომსახურების, სადაზღვევო პრემიებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება+esop
3	თავისუფალი ფულადი ნაკადები	Ebitda-შენარჩუნების კაპიტალური დანახარჯები-მოგების გადასახადის ხარჯი+ჯანდაცვის მომსახურების, სადაზღვევო პრემიებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება+esop-წმინდა ბრუნვადი კაპიტალის ცვლილება
4	წმინდა ვალი	სესხები + საიჯარო ვალდებულებები + გამოშვებული ობლიგაციები – ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები
	Ebitda	Ebitda+esop+ჯანდაცვის მომსახურების, სადაზღვევო პრემიებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება
5	EBIT	Ebitda+esop+ჯანდაცვის მომსახურების, სადაზღვევო პრემიებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება+ცვეთა და ამორტიზაცია

„EBRD“-თან გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები შესაბამის პერიოდების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური კოეფიციენტი	მრიცხველი	მნიშვნელი	ლიმიტი	ფაქტ 2024	ფაქტ 2023	შესაბამისობა 2024	შესაბამისობა 2023
წმინდა ფინანსური დავალიანებისა და EBITDA-ს თანაფარდობა	წმინდა ფინანსური დავალიანება	EBITDA	3.0	4.0	4.5	არა	არა

სესხის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი	სესხის მომსახურებისთვის ხელმისაწვდომი ფული	ძირი თანხების გადახდების ჯამი	1.3	1.4	1.1	დიახ	არა
ვალდებულებებისა და მატერიალური წმინდა კაპიტალის თანაფარდობა	ვალდებულებები	მატერიალური წმინდა კაპიტალი	2.0	2.8	2.4	არა	არა

კოვენანტების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

ფინანსური კოეფიციენტი	აღწერა
წმინდა ფინანსური დავალიანებისა და EBITDA-ს თანაფარდობა	მსესხებელი ვალდებულია მუდმივად შეინარჩუნოს (i) წმიდა ფინანსური დავალიანებისა და (ii) EBITDA-ს თანაფარდობა, გაანგარიშების თარიღამდე არსებული 12 თვის მონაცემების საფუძველზე: არაუმეტეს 3.0-ის 1.0-ის მიმართ - 2019 წლის 30 ივნისამდე და ჩათვლით; ხოლო აღნიშნული თარიღის შემდგომ პერიოდში - არაუმეტეს 2.5-ის 1.0-ის მიმართ.
წმინდა ფინანსური დავალიანებისა და EBITDA-ს თანაფარდობა	მსესხებელი ვალდებულია ყოველთვის, დაწყებული 2018 წლის 31 დეკემბრიდან, შეინარჩუნოს (i) სესხის მომსახურებისთვის ხელმისაწვდომი ფულისა და (ii) ძირი თანხების გადახდების ჯამის (ნებისმიერი იმ თანხის გამოკლებით, რომელიც ექვემდებარებოდა გადახდას ოვერდრაფტის ან ავტომატურად განახლებადი საკრედიტო ხაზის ფარგლებში და რომლის ხელახლა გამოყენების უფლება ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული) და ამავე პერიოდში ყველა ფინანსური დავალიანების ფარგლებში დარიცხული ან გადახდილი პროცენტების თანაფარდობა: არანაკლებ 1.3-ის 1.0-ის მიმართ, გაანგარიშების თარიღამდე არსებული 12 თვის განმავლობაში.
ვალდებულებებისა და მატერიალური წმინდა კაპიტალის თანაფარდობა	მსესხებელი ვალდებულია მუდმივად შეინარჩუნოს ვალდებულებებისა და მატერიალური წმინდა კაპიტალის თანაფარდობა - არაუმეტეს 2.0-ის 1.0-ის მიმართ.

განმარტებები	
„სესხის მომსახურებისთვის ხელმისაწვდომი ფული“	ნიშნავს მსესხებლისთვის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებს გაანგარიშების თარიღამდე არსებულ 12 თვიან პერიოდში, აღნიშნულ პერიოდში მიღებული განსაკუთრებული შემოსავლის გამოკლებით, და იმავე პერიოდში მიღებული გაუთვალისწინებული ზარალის ჩათვლით, დამატებული (i) იმავე პერიოდში გადახდილი პროცენტი (თუკი ისინი კლასიფიცირებულია როგორც საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები), გამოკლებული (ii) იმავე პერიოდში ისეთი ფულადი ნაკადები, რომლებიც გამოყენებულია გრძელვადიანი აქტივების შესაძენად და არ არის დაფინანსებული გრძელვადიანი ვალდებულებით.
„ფულადი ნაკადები“	ნიშნავს მსესხებლისთვის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოდინებებსა და გადინებებს, სადაც „ფულადი სახსრები“ ნიშნავს ნაღდ ფულს და მოთხოვნამდე ანაბრებს, ხოლო „ფულადი სახსრების ეკვივალენტები“ გულისხმობს მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება განსაზღვრული ოდენობის ფულადი სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

„EBITDA“	გაანგარიშება ხდება მსესხებლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე, რომლებიც შედგენილია IFRS-ის შესაბამისად, როგორც: მთლიანი მოგება, დამატებული საოპერაციო შემოსავალი და გამოკლებული საოპერაციო ხარჯები და დებიტორული დავალიანების გაუფასურება, ასევე დამატებული აქტივების გაუფასურების ხარჯები (მიუხედავად იმისა, რომ გაანგარიშების პერიოდში არ იქნება გათვალისწინებული წარსულში აღრიცხული გაუფასურების ხარჯის ნებისმიერი გაუქმება), აგრეთვე სხვა არაფულადი მუხლები (მაგალითად, აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ხარჯები).
„მატერიალური წმინდა კაპიტალი“	ნიშნავს აქციონერთა კუთვნილ საკუთრებას, გამოკლებული არამატერიალური აქტივები.
„განსაკუთრებული შემოსავალი“	ნიშნავს ნებისმიერ განსაკუთრებულ, ერთჯერად, ან არარეგულარულ შემოსულობას.
„გაუთვალისწინებული ზარალი“	ნიშნავს ნებისმიერ განსაკუთრებულ, ერთჯერად, ან არარეგულარულ ზარალს.
„ვალდებულებები“	ნიშნავს მსესხებლის ამჟამინდელ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენებიდან და რომელთა შესრულება სავარაუდოდ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინებას მსესხებლის მხრიდან.
„წმინდა ფინანსური დავალიანება“	ნიშნავს ფინანსურ ვალდებულებებს, გამოკლებული ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები.
„ფინანსური დავალიანება“	ნიშნავს, ნებისმიერ პირთან მიმართებით, ასეთი პირის ნებისმიერ დავალიანებას, რომელიც დაკავშირებულია ან წამოადგენს: a. ნასესხები სახსრები; b. ნებისმიერ თანხას, რომელიც მიღებულია ნებისმიერი საკრედიტო ხაზის ფარგლებში თანხმობით; c. ნებისმიერ თანხას, რომელიც მოზიდულია ობლიგაციების, ნოტების, ობლიგაციებისა, სესხო ფასიანი ქაღალდის ან მსგავს ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად, ან ნოტების შესყიდვის მექანიზმის საშუალებით; d. ნებისმიერი იმ ვალდებულების ოდენობას, რომელიც წარმოიშობა იჯარის ან განვადებით ყიდვის ხელშეკრულებიდან და რომელიც, IFRS-ის შესაბამისად, მიიჩნევა ფინანსურ ან კაპიტალურ იჯარად, გარდა იმ ვალდებულებისა, რომელიც მსესხებელს გააჩნია უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებების ფარგლებში; e. გაყიდულ ან დისკონტირებულ დებიტორულ დავალიანებას (გარდა იმ დებიტორული დავალიანებისა, რომელიც გაყიდულია რეგრესის უფლების გარეშე); f. ნებისმიერ თანხას, რომელიც მოზიდულია ნებისმიერი სხვა ტრანზაქციის (მათ შორის ფორვარდული გაყიდვის ან შესყიდვის ხელშეკრულების) საფუძველზე და რომელსაც აქვს ფინანსური ვალდებულების კომერციული ეფექტი, როგორც ეს განსაზღვრულია IFRS-ის მიხედვით; g. ნებისმიერ წარმოებულ (დერივატულ) ტრანზაქციას, რომელიც განხორციელებულია კურსის ან ფასის მერყეობისგან დაცვის ან ამ მერყეობით სარგებლის მიღების მიზნით (და ნებისმიერი ასეთი დერივატული ტრანზაქციის ღირებულება ღირებულება განისაზღვრებბა მხოლოდ საბაზრო ღირებულება); h. ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების საპასუხო ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია გარანტიასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან, ობლიგაციებთან, სარეზერვო ან დოკუმენტურ აკრედიტივთან ან ნებისმიერ სხვა ინსტრუმენტთან, რომელიც გაცემულია ბანკის ან ფინანსური ინსტიტუტის მიერ; და i. ნებისმიერი ვალდებულების ოდენობას, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერ საგარანტიო ან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან, რომელიც დაკავშირებულია ზემოთ (a)–(h) პუნქტებში ჩამოთვლილ ნებისმიერ მუხლს.

„მსესხებელი“	სს „ევექსის ჰოსპიტლები“, სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (შემდგომში - „მსესხებელი“); სს „მეგა-ლაბი“,სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (შემდგომში - „თანამსესხებელი“) (ერთობლივად - „მსესხებლები“).
„დავალიანება“	ნიშნავს, ნებისმიერ პირთან მიმართებით, ასეთი პირის ყველა ვალდებულებას, განურჩევლად იმისა, წარმოადგენს თუ არა იგი მარწმუნებელს თუ თავდებს, ასევე იქნება ეს ვალდებულება არსებული, სამომავლო, ფაქტობრივი თუ პირობითი, რომელიც დაკავშირებულია ფულადი თანხის გადახდასთან ან დაბრუნებასთან, მათ შორის: a. ასეთი პირის მიერ გადასახდელი ნებისმიერი თანხა იჯარის ან სხვა მსგავსი სახის შეთანხმების ფარგლებში შესაბამისი ვადების დაცვით; b. ასეთ პირზე გაცემული ნებისმიერი კრედიტი საქონლის მომწოდებლის მიერ ან განვადებით ყიდვის ან სხვა მსგავსი სახის შეთანხმების საფუძველზე; c. მესამე პირების ნებისმიერი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ისინი გარანტირებულია ასეთი პირის მიერ ან ასეთმა პირმა სხვაგვარად აიღო პასუხისმგებლობა ან გახდა პასუხისმგებელი აღნიშნული ვალდებულებებისა თუ პასუხისმგებლობების შესრულებაზე, ან იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ისინი უზრუნველყოფილია ასეთი პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე დაწესებული გირავნობის ან სხვა უზრუნველყოფის საფუძველზე - მიუხედავად იმისა, პასუხისმგებელია თუ არა ასეთი პირი აღნიშნული ვალდებულებების დაფარვაზე.

„კომპანიას“აქვს სტანდარტული არაფინანსური კოვენანტები და აღნიშნული არაფინანსური კოვენანტების დარღვევა არ დაფიქსირებულა.

ჯგუფს მოპოვებული აქვს ვეივერები წარსულში მომხდარ ყველა დარღვევაზე.

სს ბაზის ბანკთან 2024 წელს გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები შესაბამის პერიოდების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მრიცხველი	მნიშვნელი	ლიმიტი	ფაქტ 2024	შესაბამისობა 2024
მიმდინარე აქტივები	მიმდინარე ვალდებულებები	1.1	1.2	დიახ
თავისუფალი ფულადი ნაკადი	გრძელვადიანი ვალის გადახდები	1.3	1.7	დიახ
წმინდა დავალიანება	Ebitda	3.0	2.9	დიახ
კაპიტალი	ჯამური აქტივები	0.3	0.6	დიახ

EBITDA - ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ EBITDA-ს დამატებული მიმდინარე და არამიმდინარე აქტივების გაუფასურება და მენეჯმენტის კომპენსაციის ხარჯი, რომელიც გაიცემა აქციების სახით.

ფულადი ნაკადები - შესაბამისი პერიოდის ებიტდას დამატებული: რეზერვების ნებისმიერი ზრდა, არარეალიზებული სავალუტო ზარალი, ნებისმიერი თანხა, მიღებული საგადასახადო შეღავათებიდან ან კრედიტებიდან, მარაგების ნებისმიერი შეთავაზება, სავაჭრო მოთხოვნების ნებისმიერი შემცირება და სავაჭრო გადასახდელების ნებისმიერი ზრდა. გამოკლებული: რეზერვის ნებისმიერი გამოყენება/გამოშვება, ნებისმიერი არარეალიზებული სავალუტო მოგება, გადასახადის ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი თანხა, სარემონდო კაპიტალური ხარჯები. ჯგუფის (ყველა ის კომპანია, რომლის ფინანსური მონაცემების კონსოლიდაცია ხორციელდება აუდირებული რეპორტის მომზადების დროს) ნებისმიერი საიჯარო ვალდებულებების აქტივების ნებისმიერი ამორტიზაცია, მარაგების ნებისმიერი ზრდა, სავაჭრო მოთხოვნების ნებისმიერი ზრდა, სავაჭრო ვალდებულებების ნებისმიერი შემცირება, ნებისმიერი დივიდენდი

ან სხვა კაპიტალის განაწილება ან გადახდა აქციონერთა სესხზე ან წინასწარ დაგეგმილი ან განხორციელებული ასეთ შესაბამის პერიოდთან მიმართებაში.

მთლიანი კაპიტალი - ნიშნავის შემდეგი პუნქტების ერთობლიობას: (ა) ნებისმიერი გაუნაწილებელი მოგების ოდენობა, (ბ) წმინდა მოგება ან ზარალი, (გ) გადახდილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა, (დ) რეზერვების კრედიტში მყოფი თანხა (აქტივების გადაფასების რეზერვების ჩათვლით (ეს არის რეზერვი, რომელიც შექმნილია ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად, როგორც დადგენილია დამოიკიდებელი და სერტიფიცირებული შეფასებით, რომელიც განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და დამოწმებული აუდიტორების მიერ) და მათ შორის ნებისმიერი აქციების პრემიის ანგარიში, კაპიტალის გამოსყიდვის სარეზერვო ფონდები და ნებისმიერი საკრედიტო ნაშთი დაგროვილ მოგება-ზარალის ანგარიშზე); (ე) აქციონერთა სესხები, იმდენად, რამდენადაც ასეთი აქციონერული სესხები არაუზრუნველყოფილია და სუბორდინირებულია კრედიტორისთვის დამაკმაყოფილებელი პირობებით, შემდეგის გამოკლებით: (ვ) ნებისმიერი სადებეტო ნაშთი დაგროვილ მოგება-ზარალის ანგარიშზე ან მისი გამოშვებული სააქციო კაპიტალის გაუფასურება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სადებეტო ნაშთთან ან გაუფასურებასთან დაკავშირებით გამოქვითვა უკვე განხორციელდა), (ზ) დივიდენდისთვის გამოყოფილი თანხები იმ მოცულობით, რომლებიც ჯერ არ არის გამოკლებული კაპიტალიდან, (თ) გადავადებული საგადასახადო აქტივების თანხები, (ი) თანხები, რომლებიც მიეკუთნება კაპიტალიზებულ ნივთებს, როგორიცაა გუდვილი, სავაჭრო ნიშნები, გადავადებული გადასახადები, ლიცენზიები, პატენტები და სხვა არამატერიალური აქტივები.

მთლიანი აქტივები - ნიშნავს შემდეგი კომპონენტების ერთობლიობას: (ა) ძირითადი აქტივები, დამატებული (ბ) არამატერიალური აქტივები, დამატებული (გ) ინვესტიციები, დამატებული (დ) მიმდინარე აქტივები.

მიმდინარე აქტივები - ნიშნავს შემდეგი კომპონენტების ერთობლიობას: ფულადი სახსრბიის, სარეალიზაციო ფასიანი ქაღალდების, კლიენტის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (რომლებიც რეალიზებადია ერთი წლის განმავლობაში), კლიენტის მარაგებისა და წინასწარ გადახდილი ხარჯების (რომლებიც გამოიქვითება ერთი წლის განმავლობაში) ერთობლიობას. ამასთანავე, აკლდება ის თანხები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად საშუალებებზე გაწეულ თანხებთან, რომლებიც დროებით გათვალისწინებულია მიმდინარე აქტივებში.

მიმდინარე ვალდებულებები - ნიშნავს დროის ნებისმიერ მონაკვეთში კლიენტის ყველა იმ ვალდებულებების ერთობლიობას, რომელთა გადახდის ვალდებულება უხდება ერთი (1) წლის განმავლობაში ჯგუფის (ყველა ის კომპანია, რომლის ფინანსური მონაცემების კონსოლიდაცია ხორციელდება აუდირებული რეპორტის მომზადების დროს) ნებისმიერი წევრის მიერ გადასახდელი დივიდენდების და კლიენტის ნებისმიერი ხანგრძლივი პერიოდის ვადიანი ფინანსური დავალიანების (რომელიც სრულდება ერთი (1) წლის განმავლობაში) ჩათვლით, ამასთანავე აკლდება ძირითად საშუალებებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული ვალდებულებები იმდენად, რამდენადაც ასეთი აქტივები გამოირიცხება მიმდინარე აქტივების გაანგარიშებიდან.

კოვენანტების რეპორტინგი

კომერციულ ბანკებთან კოვენანტების რეპორტინგი ხდება ყოველთვიურად, ხოლო EBRD-სთან ყოველკვარტლურად.

კომერციული ბანკების მიერ კოვენანტების კალკულაცია ხდება კონსოლიდირებული მენეჯერული ანგარიშგებების საფუძველზე, ხოლო EBRD-სთან ყოველკვარტლურად მენეჯერული კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველზე, ხოლო წელიწადში ერთხელ აუდიტირებული სრული რიცხვებით.

ჯგუფს კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე კოვენანტების დაცვა ევალება ნებისმიერ თარიღზე, ხოლო EBRD-სთან კოვენანტების დაცვა ევალება ყოველკვარტლურად.

ობლიგაციასთან დაკავშირებული კოვენანტი

აღნიშნული ობლიგაციების ემისიის პროსპექტი შეიცავს გარკვეულ ფინანსურ კოვენანტებს. „კომპანიას“ ეკრძალება დამატებითი ვალდებულებების აღება ან „შეზღუდული გადახდების“ განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ემიტენტის“ მიერ IFRS-ის შესაბამისად შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე განსაზღვრული კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი, რომელიც მოიცავს უშუალოდ წინამორბედ 4 (ოთხ) სრულ ფინანსურ კვარტალს და რომლის შესახებ ანგარიშგება ხელმისაწვდომია უშუალოდ იმ თარიღამდე, ნაკლებია ან ტოლია 3.0-ის.

ობლიგაციებთან დაკავშირებულ კოვენანტებზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობები“.

ჯანდაცვის სექტორი

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მარეგულირებელი ჩარჩო ეფუძნება ქვეყნის კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ასევე შესაბამის კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრავს სამართლებრივ ურთიერთობებს ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფო ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, რაც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების პრინციპებსა და სტანდარტებს.

ჯანდაცვის სექტორი რეგულირდება რამდენიმე საკანონმდებლო აქტითა და მარეგულირებელი ორგანოებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფაზე.

ჯანდაცვის სისტემის ძირითადი მონაწილეები[15]

მონაწილე	როლი სისტემაში
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირითა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ის არის საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანო და ევალება ჯანდაცვის პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავება, ზედამხედველობა და განხორციელება. სამინისტრო ასევე პასუხისმგებელია ჯანდაცვის სექტორში ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემაზე.
დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი (**NCDC**)	NCDC პასუხისმგებელია იმუნიზაციაზე, ზედამხედველობაზე, დაავადებათა პრევენციაზე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებაზე და ჯანდაცვისა და ვეტერინარული სერვისების ლაბორატორიულ სისტემებზე. ის მონიტორინგს უწევს და აკონტროლებს გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებს, ატარებს ეპიდემიოლოგიურ გამოკვლევებს და იძლევა ადრეულ გაფრთხილებებს ეპიდემიის გავრცელების შესახებ. NCDC მართავს ვაქცინაციის პროგრამებს, ავითარებს ჯანდაცვის სტრატეგიებს, აწარმოებს კვლევებს და მთავრობას აძლევს გარკვეულ რეკომენდაციებს. ის ასევე ოპერირებას უწევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიებს დაავადების დიაგნოსტიკისთვის, ეპიდემიის გამოკვლევებისთვის და აკონტროლებს გარემოს და სურსათის უსაფრთხოებას. საგანგებო სიტუაციებში NCDC ხელმძღვანელობს პანდემიისა და ეპიდემიის მიმართ რეაგირებას, მათ შორის COVID-19-ს, და თანამშრომლობს გლობალურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა WHO და CDC, რათა საქართველოს ჯანდაცვის პოლიტიკა საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვდეს.

[15] მარეგულირებელი მიმოხილვის მიზნებისთვის, სადაზღვევო კომპანიები და კლინიკები არ არიან ჩათვლილი სისტემის მონაწილეებად.

ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო (**NHA**)	NHA პასუხისმგებელია ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაზე, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვაზე. 2020 წელს დაარსებული სააგენტო პასუხისმგებელია ჯანდაცვის სექტორში სამთავრობო პოლიტიკის განხორციელებაზე, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების ეფექტურად განხორციელებას საკანონმდებლო ჩარჩოში. ჯანდაცვის სერვისების მუდმივი მონიტორინგით და გაუმჯობესებით, NHA ცდილობს გააუმჯობესოს ხელმისაწვდომობა, ხარისხი და ეფექტურობა ჯანდაცვის სისტემაში. NHA-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანია ჯანდაცვის სერვისების შემუშავება და დახვეწა ბენეფიციარების საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად. სააგენტო უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების ეფექტურ და გამჭვირვალე განაწილებას, რაც ხელს უწყობს ჯანდაცვის არსებული მიღწევების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. გარდა ამისა, NHA ყურადღებას ამახვილებს მომსახურების მიწოდების მონიტორინგზე და სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის უზრუნველყოფაზე.

სამედიცინო და ფარმაკოლოგიური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (**რეგულირების სააგენტო**)	რეგულირების სააგენტო ანიჭებს სუბიექტებს საქმიანობის ლიცენზიებს და პასუხისმგებელია ჯანდაცვის სპეციალისტების სერტიფიცირებაზე. ის ასევე იკვლევს პაციენტების საჩივრებს ჯანდაცვის პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით. რეგულირების სააგენტო ასევე პასუხისმგებელია ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების ზედამხედველობაზე, პროგრამით დადგენილი პირობების დაცვის უზრუნველყოფაზე. ის მონიტორინგს და აუდიტს უწევს ჯანდაცვის პროვაიდერებს, რათა შეამოწმოს მათი ვალდებულებების შემოწმება სამედიცინო მომსახურების მიწოდებისას.
სოციალური მომსახურების სააგენტო	სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს სოციალურ პროგრამებს და სახელმწიფო გასაცემლებს. სოციალური მომსახურების სააგენტოს ძირითადი მიზანი მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, სერვისების დახვეწა, უფრო მოქნილ, მარტივ და სწრაფ, მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომ მექანიზმებზე გადაყვანაა.

მარეგულირებელი გარემოს განვითარება

- *1990-იანი წლების დასაწყისი და შუა პერიოდი: გარდამავალი პოსტსაბჭოთა პერიოდი და თავდაპირველი გამოწვევები*

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო ჯანდაცვის სისტემა, რომელსაც ახასიათებდა სიჭარბე და არაეფექტურობა. სისტემა გამოირჩეოდა საავადმყოფოს საწოლების გადაჭარბებული რაოდენობითა და ექიმების არაპროპორციულად დიდი რაოდენობით, ამავდროულად, ის ხასიათდებოდა რესურსების ჭარბი მოხმარებით, რაც მას არამდგრადს ხდიდა ეკონომიკის ცვლილებების მიმართ.

სისტემური ცვლილებების აუცილებლობის გაცნობიერების შედეგად, 1995 წელს საქართველომ დაიწყო ჯანდაცვის რეფორმის პაკეტის განხორციელება. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავდა ჯანდაცვის მომსახურებების დეცენტრალიზაციას, პროგრამებზე დაფუძნებული ფინანსირების დანერგვას და სოციალური ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც დაფინანსდებოდა სავალდებულო სახელფასო გადასახადებით. ამ გზით ქვეყანა თანდათან დაშორდებოდა საბჭოთა „სემაშკოს“ მოდელს, რომელიც სრულად სახელმწიფო დაფინანსებაზე იყო აგებული, და გადავიდოდა ახალ სისტემაზე, რომლის მთავარი პრიორიტეტი იქნებოდა ზრუნვის ხარისხი, გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, ეფექტურობა და პირველადი ჯანდაცვის გაძლიერება.

- *1990-იანი წლების ბოლო და 2000-იანი წლების დასაწყისი: **დეცენტრალიზაცია***

1999 წელს შემუშავდა ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო ჯანდაცვის სერვისების შემდგომი დეცენტრალიზაცია და კერძო სექტორის ჩართულობის ხელშეწყობა. 1999 წელს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და სოციალური დაცვის სამინისტრო გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელმაც გააერთიანა ძალისხმევა ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის გამარტივებისთვის. მიუხედავად ამ ინიციატივებისა, ჯანდაცვის სისტემა მაინც გამოწვევების წინაშე იდგა, მათ შორის არასაკმარისი დაფინანსება და ხარისხიან სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

რადიკალური რეფორმები დაიწყო 2003 წლის შემდეგ, როდესაც მთავრობამ გადადგა ქმედითი ნაბიჯები კერძო ჯანდაცვის სექტორის განვითარების მხარდასაჭერად. მნიშვნელოვნად შემცირდა ბიზნესზე ადმინისტრაციული

ტვირთი (მაგალითად, ლიცენზირების მოთხოვნები), რამაც გამოიწვია ჯანდაცვის სფეროში კერძო ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა.

- *2007 წლიდან: გაზრდილი პრივატიზაცია და **ინფრასტრუქტურული რეფორმა***

2007 წელს დაინერგა „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმა“ (100 საავადმყოფოს გეგმა). ის ითვალისწინებდა საავადმყოფო ინფრასტრუქტურის სრულ განახლებას სამ წელიწადში ჯანდაცვის ობიექტების უმეტესობის პრივატიზებით. კერძო ინვესტორებმა აიღეს ვალდებულება, რომ განეხორციელებინათ დაახლოებით 1 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში და აღეჭურვათ 100 ახალი საავადმყოფო 7,800 საწოლით. ამ პერიოდში მოხდა ჯანდაცვის დაწესებულებების მნიშვნელოვანი პრივატიზაცია, თითქმის ყველა საავადმყოფო და კლინიკა გასხვისდა კერძო სუბიექტებზე, გარდა რამდენიმე სპეციალიზებული დაწესებულებისა. მოხდა დაფინანსების დერეგულირება და კერძო სადაზღვევო კომპანიებმა დაიწყეს დაფარვის შეთავაზება, რამაც ჯანდაცვის ხარჯების ტვირთი სულ უფრო მეტად ფიზიკურ პირებზე გადაიტანა.

პრივატიზაციის გეგმა გადაკეთდა 2010 წელს. ქვეყანა დაიყო 26 სამედიცინო რაიონად და კერძო სადაზღვევო კომპანიები მიიწვიეს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, რათა მათ წარედგინათ გეგმები სამი წლის განმავლობაში თითოეულ რაიონში. სახელშეკრულებო პირობების თანახმად, სახელმწიფომ შეიძინა კერძო დაზღვევა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის, პენსიონერებისთვის, ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის (სულ 2.1 მილიონი ადამიანი 2012 წელს), ხოლო კერძო სადაზღვევო კომპანიებმა თავიანთ რეგიონებში ჯანდაცვის დაწესებულებები ააშენეს ან განაახლეს. 2013 წლის ბოლოსთვის 150-ზე მეტი ახალი საავადმყოფო აშენდა კერძო ინვესტორებისა და საერთაშორისო დონორების მნიშვნელოვანი მონაწილეობით, ხოლო რეგიონული სამედიცინო ცენტრების 60% კერძო საკუთრებაში იყო (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით). მთავრობამ ძირითადად შეინარჩუნა სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებები, როგორიცაა ტუბერკულოზის კლინიკები და სამედიცინო დაწესებულებები ფსიქიატრიულ და პენიტენციალურ დაწესებულებებში.

- *2007 წლიდან: **სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის** დანერგვა*

2007 წელს საქართველოს მთავრობამ განერგა პირველი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა სამედიცინო დაზღვევის დაფარვას თანაგადახდის გარეშე საქართველოს დაახლოებით 800,000 „ეკონომიკურად დაუცველ“ მოქალაქისა და მასწავლებლისთვის. მოგვიანებით, 2012 წელს, დაინერგა მეორე სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, რომელმაც დაფარვა გააფართოვა სხვადასხვა ჯგუფებზე (ამჯერად თანაგადახდის ელემენტებით), პენსიონერებზე, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და სტუდენტებზე, რომელიც მოიცავდა დაახლოებით 2.1 მილიონ ადამიანს 2012 წლის სექტემბრისთვის. მთავრობა ბენეფიციართა სახელით იხდიდა სადაზღვევო პრემიებს იმ კერძო სადაზღვევო კომპანიებში, რომლებიც სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამაში მონაწილეობდნენ, თვითონ ზედამხედველობდა პროგრამის განხორციელებას, მაშინ როდესაც სადაზღვევო რისკს თავად კერძო კომპანიები იღებდნენ და ჯანმრთელობის მომსახურებებს პროვაიდერი კლინიკებისგან ყიდულობდნენ. ორივე სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა შემდგომში გაერთიანდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში.

- *2013 წლიდან: **საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის და სხვა პროგრამების** დანერგვა*

2013 წლის მარტში, მაღალი კერძო ჯანდაცვის ხარჯების შესამცირებლად, საქართველოში დაინერგა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ ასევე შეავსო და საბოლოოდ ჩაანაცვლა არსებული ორი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, რითაც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობის დაფარვა ხელმისაწვდომი გახდა კიდევ უფრო ფართო მასისთვის. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არის მთავრობის მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი ჯანდაცვის დაფარვას მთელი მოსახლეობისთვის, მათ შორის 2 მილიონზე მეტი ადამიანისთვის, რომლებსაც არასდროს ჰქონიათ სამედიცინო დაზღვევა და სამედიცინო მომსახურებას მხოლოდ საკუთარი ხარჯით იღებდნენ. წინა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებისგან განსხვავებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ არის სადაზღვევო პროდუქტი, არამედ მთავრობის ვალდებულება, აუნაზღაუროს ჯანდაცვის პროვაიდერებს უშუალოდ პაციენტების მკურნალობის ხარჯები. პროგრამას გააჩნია გარკვეული შეზღუდვები და მომსახურებისა და დაფარვის გამონაკლისები. აღნიშნული ზღვრების გადაჭარბების შემთხვევაში, პაციენტებს მკურნალობის ხარჯების დაფარვა საკუთარი სახსრებით ან კერძო სამედიცინო

დაზღვევის საშუალებით უხდებათ. დანერგვის დღიდან, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განახლება და გადახედვა თითქმის ყოველ წელს ხდება.

ამ პროგრამას აქვს რამდენიმე ძირითადი კომპონენტი:

- **გეგმიური ამბულატორიული მომსახურება (ჯანდაცვის პირველადი სერვისები)**: ბენეფიციარებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ნებისმიერ სამედიცინო პროვაიდერთან, რომლის შეცვლა შესაძლებელია ორ თვეში ერთხელ;
- **გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული დახმარება:** ამ შემთხვევებში არ არსებობს შეზღუდვები სამედიცინო პროვაიდერის არჩევისას;
- **გეგმიური ქირურგიული ოპერაციები:** კონკრეტულად ონკოლოგიური და გულის ოპერაციები და სხვა ქირურგიული პროცედურები.
- **ონკოლოგიური მომსახურება:** ონკოლოგიური დაავადებების არაქირურგიული მკურნალობა;
- **მშობიარობის მომსახურება:** ფიზიოლოგიური მშობიაროება (500 ლარი), საკეისრო კვეთა (ლიმიტი 800 ლარი);
- **მაღალი რისკის მქონე ორსულობის, მშობიაროებისა და მშობიაროების შემდგომი შემთხვევების სტაციონარული მკურნალობა:** სტაციონარში მოვლა, მშობიაროება/საკეისრო კვეთა, სეფსისის მკურნალობა;
- **ინფექციური დაავადებების მართვა** და ა.შ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გარდა, სახელმწიფო ასევე აფინანსებს სხვა პროგრამებს, მათ შორის:

- **იმუნიზაციის პროგრამა:** საქართველოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იმუნიზაციის პროგრამა იცავს ვაქცინით პრევენცირებადი დაავადებებისგან, მათ შორის B ჰეპატიტისგან, ტეტანუსისგან, პნევმოკოკური ინფექციისგან, HPV-გან, წითელა-წითურასგან და გრიპისგან. ვაქცინები უფასოდ მიეწოდებათ მოქალაქეებს, რეზიდენტებს და რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებს, ცივი ჯაჭვის პროცედურების დაცვით ხარისხის უზრუნველსაყოფად.
- **ეპიდზედამხედველობის პროგრამა:** ეს პროგრამა უზრუნველყოფს გადამდები და არაგადამდები დაავადებების ადრეულ გამოვლენას და კონტროლს ქვეყნის მასშტაბით ზედამხედველობის სისტემის მეშვეობით. ის მოიცავს დაავადების მონიტორინგს, მონაცემთა შეგროვებას, იმუნიზაციის თვალყურის დევნებას და ეპიდაფეთქებებზე რეაგირებას. განსაკუთრებული ძალისხმევა ფოკუსირებულია ტრანსმისიური დაავადებების კონტროლზე (მალარია, ლეიშმანიოზი), საავადმყოფო ინფექციის მონიტორინგზე და გარემოს ზეგავლენით გამოწვეული ჯანმრთელობის რისკების შემცირებაზე.
- **უსაფრთხო სისხლის პროგრამა:** ეს ინიციატივა მიზნად ისახავს უსაფრთხო სისხლის გადასხმის უზრუნველყოფას და სისხლის ნებაყოფლობითი დონაციის ხელშეწყობას საქართველოში. სისხლის ბანკები ამოწმებენ აივ-ინფექცია/შიდსს , B/C ჰეპატიტს და სიფილისს და გადიან ხარისხის გარე კონტროლს. ეროვნული კამპანიები ხელს უწყობს სისხლის რეგულარულ, უანგარო შემოწირულობას.
- **შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვის პროგრამა:** პროგრამა ახორციელებს სამუშაოსთან დაკავშირებული დაავადებების პრევენციას და ხელს უწყობს უსაფრთხო სამუშაო ადგილების არსებობას. ის აფასებს პროფესიულ რისკებს, აკონტროლებს მუშაკთა ჯანმრთელობას და უზრუნველყოფს დამსაქმებელ-თანამშრომლის ტრენინგს დაავადებების პრევენციის შესახებ. გარემოსდაცვითი კომპონენტი მხარს უჭერს სახიფათო ნარჩენების მართვას, ქიმიური და რადიაციული რისკების მონიტორინგს და ტყვიის ზემოქმედების პრევენციას.
- **ტუბერკულოზის მართვის პროგრამა:** სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ეს პროგრამა ამცირებს ტუბერკულოზის სიხშირეს და გადაცემას უფასო დიაგნოსტიკური, მკურნალობისა და მონიტორინგის სერვისების მიწოდებით. იგი მხარს უჭერს უშუალოდ მეთვალყურეობით მკურნალობას (DOT), მედიკამენტებისადმიმართ რეზისტენტულ ტუბერკულოზის მკურნალობას და კონტაქტების გამოკვლევას. არსებობს სპეციალური დებულებები ციხის პატიმრებისა და მიგრაციის ცენტრებში მყოფი პირებისთვის.

- *2022: DRG სისტემის დანერგვა*

2022 წლის 1 ნოემბრიდან საქართველომ დანერგა დიაგნოზთან დაკავშირებული ჯგუფების (“DRG”) დაფინანსების მოდელი. ეს მოდელი განსაზღვრავს ჰოსპიტალიზაციის და მკურნალობის ხარჯებს საყოველთაო ჯანდაცვის

პროგრამის ფარგლებში და ადგენს სამედიცინო მომსახურების ხარჯებს დიაგნოზებზე და ჩატარებულ პროცედურებზე დაყრდნობით. DRG-ზე გადასვლა დაიწყო 2023 წელს გარკვეული სამედიცინო სერვისებისთვის. DRG-ის მიზანია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად ჩაანაცვლოს მომსახურების საფასურის ანაზღაურება.

DRG სისტემა იძლევა მსგავსი მახასიათებლების მქონე ჰოსპიტალური შემთხვევების კლასიფიკაციის საშუალებას, როგორც კლინიკურად, ასევე ეკონომიკურად. ხარჯები ანაზღაურდება კონკრეტული პროცედურების ან დიაგნოზის მიხედვით და არა პაციენტის საავადმყოფოში გატარებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

DRG სისტემა საშუალებას იძლევა შეფასდეს საავადმყოფოებში პაციენტების მკურნალობისთვის გამოყენებული რესურსები დიაგნოზებისა და პროცედურების დაჯგუფებით. ის ასევე ხელს უწყობს არსებითი მონაცემების სისტემატურ შეგროვებას, რაც უზრუნველყოფს ფინანსური და კლინიკური გადაწყვეტილებების მიღების სიზუსტეს. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, DRG სისტემა ავტომატურად ითვლის სამართლიან ფასს, რომელსაც სახელმწიფო გადაიხდის მოქალაქეების მაღალი ხარისხის მკურნალობისთვის.

DRG გადახდები შექმნილია იმისთვის, რომ საავადმყოფო მომსახურების ხარჯები უფრო პროგნოზირებადი გახდეს მკურნალობის ფიქსირებული ფასის ჯგუფებად კლასიფიკაციით.

მოსალოდნელია, რომ სისტემა თანდათან გაფართოვდება და დაფარავს სამედიცინო მომსახურების უფრო ფართო სპექტრს, რაც მოითხოვს მუდმივ კორექტირებას რეალური ხარჯების მონაცემების საფუძველზე.

კერძოდ, ერთსა და იმავე სამედიცინო მომსახურებას ყველა კლინიკაში ერთი ტარიფი ექნება. პაციენტები გადაიხდიან მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მითითებულ თანაგადახდის თანხას, რომელიც მერყეობს 0%-დან 30%-მდე პაკეტის მიხედვით. პროგრამაში მონაწილე კლინიკებს არ ექნებათ უფლება დააკისრონ პაციენტებს დამატებითი გადასახადი ამ თანაგადახდის გარდა.
DRG მოდელი აკლასიფიცირებს 467 ძირითად საავადმყოფო მკურნალობის ჯგუფს, დამატებითი განსაზღვრულია კატეგორია ისეთი შემთხვევებისთვის, რომლებიც არცერთ ჯგუფში არ შედის.. DRG სამ ძირითად ელემენტზეა დაფუძნებული, ესენია:

- დიაგნოსტიკა
- პროცედურები/ინტერვენციები
- სხვა ფაქტორები (როგორიცაა ასაკი, სქესი, გაწერის სტატუსი და დამატებითი შეწონილი ცვლადები)

DRG მოდელი ფართოდაა გავრცელებული ბევრ ქვეყანაში. საქართველოს DRG სისტემა ეფუძნება ლიტვურ მოდელს, რომელიც იყენებს Nord DRG კლასიფიკაციის სისტემას შემთხვევების დაჯგუფებისა და ანაზღაურებისთვის.

- *2023: ახალი სივრცითი რეგულაციები*

2023 წელს საქართველომ შემოიღო ახალი რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს სივრცით მოთხოვნებს საავადმყოფოებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ რეანიმაციულ მომსახურებას, პაციენტთა მოვლისა და უსაფრთხოების გაზრდის მიზნით. დადგენილება მიხედვით თითოეულ საწოლს უნდა ჰქონდეს გამოყოფილი მინიმალური ფართობი რეანიმაციის ოთახში, რაც უზრუნველყოფს ადეკვატურ ადგილს სამედიცინო პროცედურებისთვის. ასევე გათვალისწინებულია საწოლებს შორის და საწოლსა და კედელს შორის მინიმალური დაშორებები, რაც საჭირო აღჭურვილობაზე წვდომასა და გადაუდებელ რეაგირებას აადვილებს. გარდა ამისა, საავადმყოფოს განლაგებამ უნდა უზრუნველყოს 360 გრადუსიანი წვდომა თითოეული საწოლის გარშემო, რათა სამედიცინო პერსონალმა შეძლოს სწრაფი, ეფექტიანი და შეუფერხებელი მომსახურების გაწევა.

- *2024: ცვლილება DRG სისტემაში*

2024 წლის მე-4 კვარტალში მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა DRG სისტემაში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში თანაგადახდის კომპონენტის დამატებით. ადრე პაციენტებს არ შეეძლოთ სხვა ექიმის არჩევა ან სერვისებზე წვდომა DRG სისტემის მიერ დაწესებული დაფინანსების ლიმიტების მიღმა. თუმცა, 2025 წლიდან პაციენტებს ექნებათ შესაძლებლობა გადაიხადონ საკუთარი სახსრებით დამატებითი სერვისებისთვის, რომლებიც სცილდება დადგენილ ფასების ჩარჩოებს. ეს მოიცავს VIP პალატებს, პრემიუმ ხარისხის პროთეზებს და კონკრეტული ექიმების მომსახურებას, ეს ყველაფერი ხელმისაწვდომია დამატებით ფასად.

მოსალოდნელია, რომ ეს ცვლილებები რამდენიმე სარგებელს მოიტანს. კლინიკები მიიღებენ უფრო მეტ თავისუფლებას გარკვეული სერვისების ფას დადგენაში, შეიმსუბუქებენ ფინანსურ შეზღუდვებს და გაიუმჯობესებენ მთლიან მომგებიანობას. ექიმების არჩევის შესაძლებლობა და განახლებული სერვისები აძლიერებს პაციენტის გამოცდილებას, რაც იწვევს მაღალი დონის კმაყოფილებას.

- *2025: **აკრედიტაციის ახალი მოთხოვნები** სამედიცინო დაწესებულებებისთვის*

2025 წლის 1 იანვრიდან საქართველო სავალდებულოდ მოსთხოვს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებს საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებას მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

- სტაციონარული საავადმყოფოები უნდა მიიღონ აკრედიტაცია 2025 წლის 1 მაისამდე.
- ამბულატორიულმა კლინიკებმა, დღის სტაციონარებმა და ლაბორატორიებმა - 2025 წლის 31 დეკემბრამდე.
- სამედიცინო ლაბორატორიებმა უნდა მიიღონ ISO 15189 სერთიფიკატი, თუ ისინი უკვე არ არის საერთაშორისოდ აკრედიტებული.

დაწესებულებებმა უნდა აცნობონ სამინისტროს აკრედიტაციის დაწყებიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ შეუსრულებლობა გამოიწვევს სახელმწიფო დაფინანსებისგან გამორიცხვას.

ეს რეფორმა მიზნად ისახავს უზრუნველყოს ჯანდაცვის უმაღლესი სტანდარტები და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისთვის.

შესაბამისი რეგულაციები

ჯანდაცვის სექტორის რეგულაციები, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონს, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონს და სხვა შესაბამის კანონმდებლობას. ძირითადი რეგულაციები, თემების შესაბამისად, წარმოდგენილია ქვემოთ:

- <u>ჯანდაცვის დაწესებულებების ლიცენზირება</u>

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა რეგულაციები ადგენს პროცედურებს ჯანდაცვის დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვებისა და შენარჩუნების შესახებ. ლიცენზია საჭიროა გარკვეული სამედიცინო საქმიანობისთვის, როგორიცაა სასწრაფო სამედიცინო მომსახურება, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა, პათოლოგიური საქმიანობა, განსაკუთრებით სამიშ პათოგენებთან დაკავშირებული საქმიანობა და სამრეწველო ტრანსფუზიოლოგია. ლიცენზიები გაიცემა და მოქმედებს მხოლოდ დასახელებულ ლიცენზიის მფლობელებზე და არ შეიძლება გადაეცეს სხვა იურიდიულ პირს ან ფიზიკურ პირს.

საავადმყოფოს ოპერირებისთვის გაიცემა ნებართვა. ამბულატორიული კლინიკის ფუნქციონირებისთვის ნებართვა არ არის საჭირო, თუმცა "მაღალი რისკის" სამედიცინო საქმიანობა/მომსახურება, როგორიცაა ამბულატორიული პირობები (როგორიცაა სტომატოლოგიური მომსახურება, ქირურგია, გინეკოლოგია, გადაუდებელი დახმარება, ვენეროლოგია, სამედიცინო რადიოლოგია, დიალიზი, ინფექციური დაავადებები და ენდოსკოპია), რეგულირდება სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტით და ექვემდებარება სავალდებულო შეტყობინებას. ამ შემთხვევაში ოპერატორმა უნდა აცნობოს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს. ნებართვა გაიცემა კონკრეტულ ობიექტზე და ძალაში რჩება ამ ობიექტის მესაკუთრის ან ოპერატორის ცვლილების მიუხედავად.

ჯანდაცვის დაწესებულებებს როგორც პერიოდულად, ისე დაუგეგმავად ამოწმებს სამედიცინო საქმიანობის და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, რათა დაადგინოს, შეესაბამებიან თუ არა ისინი ლიცენზიისა და/ან ნებართვის პირობებს.

- <u>ჯანდაცვის სპეციალისტების სერტიფიცირება</u>

დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება ენიჭებათ ისეთ პირებს, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და მოიპოვეს სამედიცინო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი. ექთნებს მოეთხოვებათ საექთნო ან სამედიცინო დიპლომი. ექიმები შეიძლება იყვნენ სერტიფიცირებული ერთ ძირითად და/ან ერთ ან მეტ ქვესპეციალობაში.

თუ სერტიფიცირებულმა ექიმმა დაარღვია დადგენილი სამედიცინო პრაქტიკის ნორმები, მას შეიძლება შეუჩერდეს ან გაუუქმდეს სერტიფიკატი, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა. სერტიფიკატების გაცემისა და გაუქმების უფლებამოსილება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ პროფესიული განვითარების საბჭოს გააჩნია.

- <u>კონფიდენციალურობა</u>

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, პერსონალურ მონაცემებად მიიჩნევა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საკმარისია პიროვნების იდენტიფიცირებისთვის, როგორიცაა სახელი, მისამართი ან ტელეფონის ნომერი. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები კლასიფიცირებულია, როგორც განსაკუთრებით მგრძნობიარე და ექვემდებარება უფრო მკაცრ რეგულაციებსა და კონფიდენციალურობის მოთხოვნებს.

თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პერსონალური მონაცემები უნდა დარჩეს კონფიდენციალური და არ შეიძლება დამუშავდეს დაინტერესებული პირის თანხმობის გარეშე.

გარდა ამისა, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის თანახმად, სამედიცინო კონფიდენციალურობა გულისხმობს ექიმის ან სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ნებისმიერი სახის ინფორმაციას პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის, სოციალური ან სამუშაო მდგომარეობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ კონფიდენციალურია ისიც, მიმართა თუ არა პაციენტმა სამედიცინო დახმარებას, და ისიც, რა პირობებში მოხდა მისი გარდაცვალება. სამედიცინო კონფიდენციალურობა დაცული უნდა იყოს პაციენტის გარდაცვალების შემდეგაც და შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

- <u>გარემოსდაცვითი ასპექტები</u>

ჯანდაცვის სექტორი ექვემდებარება კანონებს, რეგულაციებს და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან, განსაკუთრებით საშიში ნივთიერებებისა და სამედიცინო ნარჩენების მართვასა და განადგურებასთან დაკავშირებით.

საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მიზნები. სამინისტრომ დაამტკიცა ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, რომელშიც ასახულია საქართველოში ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების ძირითადი პრიორიტეტები. სტრატეგია ფოკუსირებულია ჯანდაცვის მართვის, ფინანსური მდგრადობის, მომსახურების ხარისხისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის მზადყოფნის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია უზრუნველყოს, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომ ჯანდაცვაზე და ფინანსურად დაცული იყოს ჯანმრთელობის რისკებისგან.

- *ჯანდაცვის მმართველობის გაძლიერება*

სტრატეგია ხაზს უსვამს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას, გაუმჯობესებულ სტრატეგიულ დაგეგმვას და გაძლიერებულ ზედამხედველობის მექანიზმებს. იგი ასევე ცდილობს გაზარდოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სექტორში, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას საჯარო და კერძო ინსტიტუტებს შორის ჯანდაცვის მომსახურების ეფექტიანი მიწოდების უზრუნველსაყოფად.

- *ჯანდაცვის დაფინანსების გაძლიერება*

სტრატეგიის მიზანია პირველადი და სპეციალიზებული მომსახურებების დაფინანსების მოდელის დახვეწა ისე, რომ არსებული რესურსები უფრო ეფექტიანად იქნეს გადანაწილებული. ამავდროულად, სტრატეგია მიმართულია იმაზე, რომ მოქალაქეებმა საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობა მიიღონ მინიმალური ფინანსური დატვირთვით.

- *ჯანდაცვის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარება*

სტრატეგია ხაზს უსვამს ადამიანური რესურსების განვითარების მნიშვნელობას. ყურადღება გამახვილებულია სამუშაო ძალის სწორად დაგეგმვაზე, უწყვეტ პროფესიულ განათლებასა და ექთნების როლის გაძლიერებაზე. ადამიანურ რესურსებში ინვესტიციებით, სტრატეგია ცდილობს გააუმჯობესოს ჯანდაცვის სერვისის ხარისხი და ხელმისაწვდომობა.

- *მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა*

სტრატეგია ფოკუსირებულია ფარმაცევტული უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესებაზე, წამლების ფასების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე და მედიკამენტების გონივრული გამოყენების რეგულირებაზე. ეს ზომები მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ ყველა პაციენტმა სამართლიან ფასად მიიღოს ეფექტური და უსაფრთხო მკურნალობა.

- *ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების განვითარება*

სტრატეგიაში პრიორიტეტულია ელექტრონული ჯანდაცვის (e-Health) სერვისების გაფართოება, ტელემედიცინის ინტეგრაცია და ციფრული ჯანდაცვის მართვის სისტემების გაუმჯობესება. მონაცემთა გაცვლის მექანიზმების გაძლიერება ხელს შეუწყობს სერვისების კოორდინაციას და პაციენტზე ზრუნვას.

- *ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება*

სტრატეგია მოიცავს ზომებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაძლიერების, დედათა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადების ტვირთის შესამცირებლად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირველადი ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებას და კლიმატთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების მოგვარებას.

- *საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და კრიზისებზე რეაგირების გაძლიერება*

სტრატეგია მიზნად ისახავს გააძლიეროს ეპიდზედამხედველობის სისტემები, გააუმჯობესოს ლაბორატორიული შესაძლებლობები და ჯანმრთელობის რისკების შესახებ საზოგადოების ინფორმირების გაძლიერებას. კრიზისზე რეაგირების მექანიზმებში ინვესტიციებით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა უკეთესად იქნება აღჭურვილი ჯანმრთელობის სამომავლო საფრთხეების დასაძლევად.

ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული მოთხოვნები

ობლიგაციების გამოშვების შემდეგ კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და ვალდებული იქნება შეასრულოს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის დაწესებული რეგულაციები, მათ შორის ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები.

<u>ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა</u>

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონისა („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) და სხვა რელევანტური ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა ობლიგაციები ან/და რომლის ობლიგაციებიც დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ, არის საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი და შესაბამისად, წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულ საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოებისა და მისთვის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარ-წლიური ანგარიში:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ

კანონის“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროოს:

1. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
2. ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად, ამ კოდექსითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მომზადებულ საწარმოს წლიური ანგარიშის მმართველობით ანგარიშში. მითითებული მმართველობით ანგარიშთან ერთად, „კომპანია“ ასევე შეავსებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშს მითითებული კოდექსის დანართი N1-3-ის შესაბამისად.

<u>ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები</u>

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები და შეზღუდვები ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული

ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა საილუსტრაციო ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (ყოფილი კონკურენციის ეროვნული სააგენტო), რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის (**„კონკურენციის შესახებ კანონი**“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღუდველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლიურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, კომპანია ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2012 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ და

შრომის კოდექსით დადგენილი პროცედურის დაცვით. ამასთან, ნებისმიერი ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი).

მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვისა და დეკრეტული შვებულების ანაზღაურების უზრუნველყოფა მიჩნეულია საუკეთესო პრაქტიკად და გავრცელებულია წამყვან დამსაქმებლებს შორის, შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, ღამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსის ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით, თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი მუხლის მე-6-ე პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. კომპანია, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებულნი არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

ლიკვიდაციის წესები

„მეწარმეთა შესახებ“ განახლებულ კანონში მოცემულია სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის პროცესი, რომელიც სამი სტადიისგან შედგება:

საზოგადოების დაშლა

საზოგადოების დაშლის საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორთა გადაწყვეტილება; პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა; იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

სიახლეს წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოების დაშლა სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს. მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევა თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ პარტნიორი მოვალეობას ვეღარ ასრულებს და შეუძლებელი ხდება სამეწარმეო საზოგადოების მიზნის მიღწევა.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია სხვა პარტნიორების ინტერესიც საზოგადოების არსებობის გაგრძელების თაობაზე. პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამას გადაწყვეტს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით და სამეწარმეო საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება არ დაწყებულა.

საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც, კომპანიის დირექტორების მიერ განახორციელება, ისინი ითვლებიან ლიკვიდატორებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წესდობით ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სხვა პირები დაინიშნებიან ლიკვიდატორებად. ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოებას უნარჩუნდება იურიდიული პირის სტატუსი, მაგრამ თავის საფირმო სახელწოდებას აუცილებლად უნდა დაურთოს დამატება „ლიკვიდაციის პროცესში“.

კანონის მოთხოვნაა, რომ ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე ან თავიანთ ვებგვერდზე გამოაქვეყნონ განცხადება და დაუყოვნებლივ შეატყობინონ კრედიტორებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ და მოიწვიონ ისინი თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საზოგადოება თავის ქონებას აქციონერებზე ანაწილებს წილების პროპორციულად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად დაფარავს ვალდებულებებს და განცხადების გამოქვეყნებიდან არანაკლებ ხუთი თვე გავა. ამისთვის დაწესებულია კონკრეტული ვადა იმისდა მიხედვით თუ რა საფუძვლით ხდება საზოგადოების დაშლა.

რეგისტრაციის გაუქმება

საზოგადოების ქონების სრულად განაწილების შემდეგ ლიკვიდაციის პროცესი სრულდება. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართონ ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით, რის საფუძველზეც მარეგისტრირებელი ორგანო გააუქმებს სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციას.

ახალი კანონით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ საზოგადოებას დარჩა გარკვეული ქონება ან საჭიროა დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ასეთ დროს სასამართლო ნიშნავს იგივე ან ახალ ლიკვიდატორს, რომ ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდეს.

ახლად მოწესრიგდა გადახდისუუნარობის პროცესიც.

დერეგულირებულ იურიდიულ პირებზე, მათ შორის კომპანიაზე, ვრცელდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები (გამონაკლისია კომერციულ ბანკები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სუბიექტები, რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალური რეგულირების რეჟიმს და რომელთა გადახდისუუნარობის პროცედურა რეგულირებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ).

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია ითვლება გადახდისუუნაროდ, თუ მას არ შეუძლია უზრუნველყოს საკუთარი ვალდებულებების შესრულება მათი ვადისმოსვლისთანავე. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის მიზნებისთვის, საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მოვალე გადახდისუუნაროა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: (i) მოვალის მთლიანი ვალდებულებების, მათ შორის, სამომავლო და პირობითი ვალდებულებების, ჯამი მთლიანი აქტივების ჯამს აღემატება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოვალე შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას, რის შედეგადაც აღმოიფხვრება ვალდებულებების მეტობა აქტივებთან შედარებით (ii) მოვალე ვადამოსულ ვალდებულებებს შემდგომი 30 დღის განმავლობაში ვერ დაფარავს, რადგან მისი ვადამოსული ვალდებულებების ჯამი მთლიანი ლიკვიდური აქტივების ჯამს არანაკლებ 20 პროცენტით აღემატება. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შეიძლება განხორციელდეს რეაბილიტაციის რეჟიმით ან გაკოტრების რეჟიმით. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია მოვალის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება იწყება რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის მოთხოვნით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანით. განცხადების წარდგენა შეუძლია: თვითონ მოვალეს (საკმარისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მეშვეობით), კრედიტორს, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს (ანუ სასამართლოს მიერ დამტკიცებული გადახდის გეგმის ფარგლებში მოქმედი ადმინისტრატორი), რეაბილიტაციის მმართველს (რეაბილიტაციიდან გაკოტრებაში გადასვლის მიზნით) ან გაკოტრების მმართველს (გაკოტრებიდან რეაბილიტაციაზე გადასვლის მოთხოვნით).

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარიმართოს გადახდისუუნარობის პროცესი: ა) გაკოტრება, რასაც მოჰყვება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია); ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგივებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურიზაციასთან); ან გ) საქმის წარმოების შეწყვეტა.

გაკოტრების შემთხვევაში კომპანიის აქტივები გაიყიდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე და კრედიტორები (რაც ასევე მოიცავს ობლიგაციების მფლობელებს) დაკმაყოფილდებიან კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით:

1. პირველი რანგი - გაკოტრების რეჟიმის ხარჯები. აღნიშნული მოიცავს: ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; ბ) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; გ) საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში. წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯი, ქონების მართვის ხარჯი, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს;
2. მეორე რანგი - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3. მესამე რანგი - კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:

   3.1. პრეფერენციული მოთხოვნები;
   3.2. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები;
   3.3. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;
   3.4. მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები;
   3.5. არაპრივილეგირებული მოთხოვნები;
   3.6. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს.

ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. იმ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მოთხოვნაც ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის შესაბამისად რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილება მოხდება არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფის რიგითობის შესაბამისად.

კომპანიის კორპორატიული მმართველობის სტანდარტის მოკლე აღწერა

2021 წლის 2 აგვისტოს მიღებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის („მეწარმეთა შესახებ კანონი”) და ემიტენტის წესდების მიხედვით, ემიტენტის კონტროლი და მენეჯმენტი განაწილებულია აქციონერთა, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს კრებებს შორის. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მართვასა და მის წარმომადგენლობაზე.

კომპანიამ ჩამოაყალიბა სამსაფეხურიანი კორპორატიული მართვის სისტემა. კერძოდ, უმაღლესი მმართველი ორგანოა კომპანიის აქციონერთა საერთო კრება, კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს.

- **აქციონერთა საერთო კრება** - იღებს გადაწყვეტილებებს მხოლოდ ძირითად საკითხებზე, როგორიცაა ცვლილებები კომპანიის წესდებაში, გადაწყვეტილებები კომპანიის რეორგანიზაციის შესახებ, წლიური ანგარიშების დამტკიცება და ა.შ.;
- **სამეთვალყურეო საბჭო** - უფრო დეტალურად უწევს ზედამხედველობას მენეჯმენტის საქმიანობას; კონკრეტული ტრანზაქციები/მოქმედებები/გარიგებები მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას, მაგალითად, სხვა საწარმოში წილების შეძენა და გასხვისება, თუ იგი აღემატება წესდებით დადგენილ ზღვარს, სესხის აღებასთან დაკავშირებული ოპერაციების დამტკიცება და კომპანიის მიერ წესდებით დადგენილი ლიმიტების გადაჭარბება და ა.შ.
- **დირექტორთა საბჭო** - წარმოადგენს ემიტენტის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს. ის პასუხისმგებელია ემიტენტის ყოველდღიურ საქმიანობაზე;

აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო და კომპანიაში არსებული სხვა საბჭოები/კომიტეტები განსაზღვრავენ, აკონტროლებენ და ინარჩუნებენ იმ პარამეტრებსა და სტანდარტებს, რომლითაც კომპანია უნდა ოპერირებდეს.

საერთო კრება

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრებას მოიწვევს სამეთვალყურეო საბჭო წელიწადში ერთხელ მაინც, ყოველწლიური გარე აუდიტის ანგარიშის წარდგენიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში ან წინა ფინანსური წლის დასრულებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, რომელიც უფრო ადრე დადგება.

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია და ქვორუმი შემდგარია, თუ კრებას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა უმრავლესობა. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება იგივე დღის წესრიგით. აღნიშნული კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერების რაოდენობის მიუხედავად.

მეწარმეთა შესახებ კანონის და კომპანიის წესდების თანახმად, აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებები აქციონერთა საერთო კრებაზე შემდეგ საკითხებზე:

- წესდების დამტკიცება ან ცვლილება (მათ შორის, ცვლილებები კაპიტალში და კომპანიის სავაჭრო სახელწოდებაში);
- გადაწყვეტილებები შერწყმასთან, დაშლასთან ან ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით;
- კაპიტალის გაზრდისას აქციონერთა უპირატესი უფლებების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმება;
- მოგების განაწილებასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოს ან გენერალური დირექტორის წინადადებების დამტკიცება ან უარყოფა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა ან გათავისუფლება;
- გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;

- აუდიტორის დანიშვნა;
- აქტივების შეძენის, განკარგვის, გაცვლის ან დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება წესდებით დადგენილ ლიმიტებში;
- წლიური ანგარიშის დამტკიცება;
- მეწარმეთა შესახებ კანონით და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 (სამი) და მაქსიმუმ 9 (ცხრა) წევრისაგან, თითოეულს ირჩევენ აქციონერები საერთო კრებაზე 3 (სამი) წლის ვადით, თუ სხვა რამ არ არის გადაწყვეტილი.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა იმართება კვარტალში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს იწვევს და დღის წესრიგს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (ან მისი არყოფნის შემთხვევაში,მოადგილე).

სამეთვალყურეო საბჭოს ქვორუმი შედგება იმ შემთხვევაში თუ მას ესწრება მისი წევრთა ნახევარი. სამეთვალყურეო საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არსებულ საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით - სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციები და მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

- გენერალური დირექტორის საქმიანობის ზედამხედველობა;
- გენერალური დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება, შრომითი ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა, ეთიკის კოდექსის შემუშავება;
- კომპანიის პოლიტიკისა და ნებისმიერი მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცება და ცვლილება;
- ბუღალტრული აღრიცხვის ზედამხედველობა და კომპანიის აქტივების შემოწმება;
- აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებების მოწვევა;
- გენერალური დირექტორის წლიური ანგარიშის და მოგების განაწილების წინადადების განხილვა;
- ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- წესდებით დადგენილ ზღვრებში სხვა კომპანიებში წილების შეძენა და გადაცემა;
- უძრავი ქონებისა და ქონებრივი უფლებების შეძენა, გადაცემა ან დატვირთვა წესდებით დადგენილ ლიმიტებში;
- სესხებისა და კრედიტების აღება, აგრეთვე მათი უზრუნველყოფა წესდებით დადგენილ ლიმიტებში;
- წესდებითა და კანონით გათვალისწინებული სხვა საკითხები;

ემიტენტი ასევე ასრულებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 214-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, რომ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

სახელი	პოზიცია	დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ვადის გასვლა
გიორგი ალფაიძე	წევრი/თავმჯდომარე	17 დეკემბერი 2024	3 წელი. თუ ვადის გასვლისთანავე არ დაინიშნება ახალი ვადა ან არ შეიცვლება წევრი, ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით.
ლევანი დადიანი	წევრი	17 დეკემბერი 2024	3 წელი. თუ ვადის გასვლისთანავე არ დაინიშნება ახალი ვადა ან არ შეიცვლება

			წევრი, ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით.
გიორგი კეთილაძე	წევრი	12 თებერვალი 2025	3 წელი. თუ ვადის გასვლისთანავე არ დაინიშნება ახალი ვადა ან არ შეიცვლება წევრი, ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით.
გიორგი ჭილაძე	დამოუკიდებელი წევრი/ თავმჯდომარის მოადგილე	7 აგვისტო 2025	3 წელი. თუ ვადის გასვლისთანავე არ დაინიშნება ახალი ვადა ან არ შეიცვლება წევრი, ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით.
ეფრემ ურუმაშვილი	დამოუკიდებელი წევრი	7 აგვისტო 2025	3 წელი. თუ ვადის გასვლისთანავე არ დაინიშნება ახალი ვადა ან არ შეიცვლება წევრი, ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით.

გიორგი ალფაიძე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. ის ასევე არის საქართველოს კაპიტალის ფინანსური დირექტორი და ადრე იყო BGEO Group-ის ფინანსური დირექტორი. ის შეუერთდა BGEO-ს 2016 წელს, როგორც ჯგუფის ფინანსების, დაფინანსებისა და ინვესტორებთან ურთიერთობის ხელმძღვანელი. მას აქვს დიდი საერთაშორისო გამოცდილება საბანკო, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსების სფეროში. BGEO-ში გაწევრიანებამდე ის იყო უფროსი მენეჯერი დაზღვევის მიმართულებით Ernst & Young LLP-ის ნიუ იორკის ოფისში. მას აქვს BBA ხარისხი European School of Management in Georgia და არის აშშ-ის სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტერი.

კომპანიები,[16] რომლებშიც გიორგი ალფაიძე იყო/არის წარმოდგენილი: სს საქართველოს კაპიტალი (ს/ნ 404549690), სს გეფა (ს/ნ 201991229), სს საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (ს/ნ 405098399), სს საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია (ს/ნ 404500857), სს საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი (ს/ნ 404647325), სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი (ს/ნ 404476189), სს გრინვეი საქართველო (ს/ნ 404867006), სს საქართველოს უძრავი ქონება (ს/ნ 204517399), სს ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგი (ს/ნ 404589913), შპს ჯი-სი-ემ-ეფ (ს/ნ 404577784), შპს ენჯი ფროფერთი (ს/ნ 405475935).

ლევან დადიანი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (თავმჯდომარის მოადგილე). ის ასევე მუშაობს გენერალურ მრჩევლად საქართველოს კაპიტალში და ადრე მუშაობდა BGEO Group-ში ჯგუფის უფროს იურისტად, რომელსაც იგი შეუერთდა 2012 წელს. ლევანს აქვს დიდი გამოცდილება კომერციულ სამართალში, კაპიტალურ ინვესტიციებში, კორპორაციულ და პროექტების დაფინანსებაში და ენერგეტიკულ პროექტებში. BGEO-ში გაწევრიანებამდე ის იყო წამყვანი ქართული იურიდიული ფირმის პარტნიორი. მას აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ბიზნეს სამართალში University of Texas at Austin, USA-ში.

კომპანიები,[16] რომლებშიც ლევან დადიანი იყო/არის წარმოდგენილი: სს საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი (ს/ნ 404647325), სს საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები (ს/ნ 404642892), სს გეფა (ს/ნ 201991229), სს ვაბაკო (ს/ნ 406102275), სს ზოტი ჰიდრო (ს/ნ 404499654), სს კავკასიის ქარის კომპანია (ს/ნ 404519865), სს საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (ს/ნ 405098399), სს გრინვეი საქართველო (ს/ნ 404867006), სს საქართველოს უძრავი ქონება (ს/ნ 204517399), შპს კავკასიის ენერგეტიკული კომპანია (ს/ნ 404428650), შპს გუდიაშვილი ისთეით (ს/ნ 204451039).

[16] ყველა კომპანიის დასახელება (გარდა ემიტენტის შვილობილი კომპანიებისა), რომელშიც აღნიშნული პირი იყო ან არის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ბოლო 5 წლის განმავლობაში.

გიორგი კეთილაძე არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მმართველი დირექტორი, საქართველოს კაპიტალის ინვესტიციების ჯგუფის ხელმძღვანელი. ის შეუერთდა BGEO ჯგუფს 2017 წელს, როგორც საინვესტიციო ოფიცერი და მას შემდეგ დაწინაურდა თავის ამჟამინდელ თანამდებობაზე. მანამდე იგი მუშაობდა Deutsche Bank-ში კორპორაციული ფინანსების განყოფილებაში და საკონსულტაცია კომპანია KPMG-ში,გერმანიაში. მას აქვს მაგისტრის ხარისხი მენეჯმენტის მიმართულებით London Business School-ში.

კომპანიები,[16] რომლებშიც გიორგი კეთილაძე იყო/არის წარმოდგენილი: შპს საქართველოს განათლების ჯგუფი (ს/ნ 400271059), სს გეფა (ს/ნ 201991229), სს საქართველოს ფარმაციის ჯგუფი (ს/ნ 405098399), შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა (ს/ნ 405351943), შპს ბრიტანულ ქართული აკადემია (ს/ნ 204497829).

გიორგი ჭილაძე არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარის მოადგილე. პროფესიით ეკონომისტ გიორგი ჭილაძეს აქვს საბანკო სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება. გიორგი ჭილაძე, ამჟამად, ასევე იკავებს უზბეკეთის ერთ-ერთი მსხვილი და უძველესი ბანკის „უზპრომსტროიბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრის პოზიციას. სხვადასხვა პერიოდში გიორგი ჭილაძე „საქართველოს ბანკში“, საპარტნიორო ფონდში, აქტივების მართვის კომპანია "ალფა პლიუსში" მუშაობდა და საფინანსო კომპანიებში ანალიტიკოსის და ხელმძღვანელის პოზიციებს იკავებდა. გიორგი ჭილაძეს 1993 წელს მოპოვებული აქვს ბაკალავრის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ფიზიკის განხრით, ხოლო 1996 და 2000 წლებში მაგისტრის და დოქტორის ხარისხები ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტიდან (აშშ) ფიზიკის განხრით.

კომპანიები,[16] რომლებშიც გიორგი ჭილაძე იყო/არის წარმოდგენილი: შპს ალფა პლიუს აქტივების მართვა (ს/ნ 405611690), შპს ალტერ მარკეტინგი (ს/ნ 205036316), შპს ჯიქეი ვაინს ენდ სპირიტს (ს/ნ 405444728), შპს ალფა პლიუს აქტივების მართვა (ს/ნ 405611690), შპს აგროკლუბ ჰოლდინგი (ს/ნ 417905360), შპს მარანას მეურნეობა (ს/ნ 405565339).

ეფრემ ურუმაშვილი არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. იგი 2010 წლიდან (დაფუძნების დღიდან) დღემდე არის შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“-ს მმართველი პარტნიორი. 2016 წლიდან დღემდე არის სს „რუსთავის აზოტის“ თანადამფუძნებელი და გენერალური დირექტორი. 2014-2015 წლებში ეფრემ ურუმაშვილი იყო საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ამავდროულად, 2014 წლიდან დღემდე არის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული არბიტრაჟის სამეთველყურეო საბჭოს წევრი არის. ასევე, 2014 წლიდან დღემდე არის Bitfury-ს ოფიციალური წარმომადგენელი. ეფრემ ურუმაშვილი1996 წლიდან 2000 წლამდე სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე აღრიცვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით. 2000-2002 წლებში მან მიიღო იმავე ფაკულტეტის მაგისტრის დიპლომი.

კომპანიები,[16] რომლებშიც ეფრემ ურუმაშვილი იყო/არის წარმოდგენილი: შპს სისტემიქ სოლუშენს (ს/ნ 405181912), სს ე უ ინვესთმენთს (ს/ნ 405161792), შპს ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები (ს/ნ 204484628), შპს ჯორჯიან ინვესტმენტ (ს/ნ 405161505), შპს ეუ ფროფერთი (ს/ნ 405227981), შპს ეუ იმობილიარე (ს/ნ 405251016), შპს ერ ფი ფროფერთი (ს/ნ 405593898).

აუდიტის კომიტეტი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის 9[1]-ე მუხლის შესაბამისად, ემიტენტს, როგორც ანგარიშვალდებულ საწარმოს, მოეთხოვება სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შექმნას აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი წევრისაგან (რომლის მოთხოვნები დამატებით განისაზღვრება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 57-ე მუხლით).

კომიტეტს გააჩნია შეუზღუდავი წვდომა ყველა საჭირო რესურსზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციების განსახორციელებლად, მათ შორის წვდომა მენეჯმენტზე, თანამშრომლებზე და ინფორმაციაზე. მას შეუძლია მოითხოვოს დოკუმენტები, დაიქირავოს დამოუკიდებელი კონსულტანტები, აკონტროლოს აუდიტორების

საქმიანობა, მოაგვაროს უთანხმოებები და წინასწარ დაამტკიცოს აუდიტის გეგმები. კომიტეტი უფლებამოსილია დანიშნოს და გაათავისუფლოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი.

კომიტეტის წევრობის ვადაა 3 წელი და გადასინჯვა ყოველწლიურად ხდება. კომიტეტის შეხვედრები იმართება წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ, საჭიროების შემთხვევაში – უფრო ხშირადაც.

კომიტეტის მიზანია უზრუნველყოს ორგანიზაციის მმართველობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემატური ზედამხედველობა. კომიტეტი ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტს შემდეგ საკითხების განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის გზით:

- ღირებულებები და ეთიკა
- მმართველობის სტრუქტურა
- რისკების მართვა
- შიდა კონტროლის სისტემა
- შიდა აუდიტის, გარე აუდიტორების და სხვათა საქმინობის კოორდინაცია და ზედამხედველობა
- ფინანსური ანგარიშგება და საჯარო ანგარიშვალდებულება

„კომპანიას“ გააჩნია შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება აუდიტის კომიტეტს.

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, ემიტენტი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. კერძოდ, ემიტენტმა შექმნა აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამი წევრისაგან:

სახელი	პოზიცია	დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ვადის გასვლა
გიორგი ჭილაძე	დამოუკიდებელი წევრი/ თავმჯდომარე	8 აგვისტო 2025	3 წელი. თუ ვადის გასვლისთანავე არ დაინიშნება ახალი ვადა ან არ შეიცვლება წევრი, ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით.
ეფრემ ურუმაშვილი	დამოუკიდებელი წევრი	8 აგვისტო 2025	3 წელი. თუ ვადის გასვლისთანავე არ დაინიშნება ახალი ვადა ან არ შეიცვლება წევრი, ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით.
გიორგი ალფაიძე	წევრი	8 აგვისტო 2025	3 წელი. თუ ვადის გასვლისთანავე არ დაინიშნება ახალი ვადა ან არ შეიცვლება წევრი, ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით.

აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

- ამტკიცებს შიდა აუდიტის დებულებას;
- აფასებს რესურსების საჭიროებას;
- მონაწილეობს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის შერჩევასა და შეფასებაში;
- ამტკიცებს რისკზე დაფუძნებულ აუდიტის გეგმას;
- მონიტორინგს უწევს შესრულებას, შედეგებს და რეაგირებას;
- უზრუნველყოფს პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობას;

- ახორციელებს ხარისხის კონტროლის პერიოდულ შეფასებებს;
- აფასებს გარე აუდიტის გეგმას;
- აფასებს დამოუკიდებლობასა და შესრულებას;
- მართავს აუდიტორებთან ურთიერთობას;
- მონიტორინგს უწევს მენეჯმენტის ქმედებებს აუდიტის რეკომენდაციებზე;
- ასრულებს სხვა დავალებებს;
- ახორციელებს სპეციალურ გამოძიებებს;
- აფასებს საკუთარ და კომიტეტის წევრების საქმიანობას.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო წარმოადგენს კომპანიის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს კომპანიის მიმდინარე საქმიანობის ზედამხედველობას და წარმოადგენს კომპანიას მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორთა საბჭო შედგება გენერალური დირექტორისა და გენერალური დირექტორის არანაკლებ ერთი მოადგილისგან. გენერალური დირექტორი კომპანიის სახელით მოქმედებს მინდობილობის გარეშე, დამოუკიდებლად. დირექტორთა საბჭოს წევრები აირჩევიან სამეთვალყურეო საბჭოს ხმების უბრალო უმრავლესობით.

გენერალური დირექტორი და დირექტორთა საბჭო ვალდებულნი არიან:
- უხელმძღვანელონ ან განახორციელონ კომპანიის მიმდინარე საქმიანობა;
- წინასწარ განიხილონ აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგში გათვალისწინებული ყველა საკითხი;
- მოამზადონ და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინონ მომავალი წლის ბიზნეს გეგმა ფინანსური წლის დასრულებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე, წლიური ბიუჯეტის, მოგებისა და ზარალის ანგარიშგების და საინვესტიციო გეგმის ჩათვლით;
- ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფილიალებისა და განყოფილებების მუშაობას, უზრუნველყონ მათი ხელმძღვანელობით დაკისრებული მოვალეობების შესრულები;
- შეასრულონ წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

გენერალური დირექტორი უფლებამოსილია:
- განახორციელოს კომპანიის მიმდინარე მენეჯმენტის კოორდინაცია;
- იმოქმედოს კომპანიის სახელით მინდობილობის გარეშე;
- სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს რეკომენდაციები თანამშრომელთა წახალისების პროგრამების შესახებ;
- მოამზადოს და წარუდგინოს ყველა საჭირო მასალა აქციონერთა კრებას და სამეთვალყურეო საბჭოს;
- დაავალოს კომპანიის შესაბამისი განყოფილებების ხელმძღვანელებს მათი კომპეტენციის ფარგლებში არსებული კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა;
- განახორციელოს წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

ირაკლი გოგია კომპანიის გენერალური დირექტორია, იგი აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა 2022 წლის 12 აგვისტოს. მანამდე ის 2017 წლიდან იყო მთავარი ფინანსური დირექტორი, ხოლო 2014 წლიდან მთავარი საოპერაციო დირექტორი. ასევე იყო ევექსის სამედიცინო კორპორაციის და სადაზღვევო კომპანია იმედი L-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ფინანსურ ინდუსტრიაში ათწლეული გამოცდილებით, იგი იყო სადაზღვევო კომპანია ალდაგის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე (2009–2014) და Liberty Consumer-ის ფინანსური დირექტორი. მან დაიწყო თავისი კარიერა Ernst & Young-სა და Deloitte-ის უფროს აუდიტორად.

ბატონი გოგია ფლობს European School of Management-ისBBA ხარისხს. მას მიღებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის ღირსების ორდენი და დიდი ბრიტანეთის განათლების მინისტრის აკადემიური ბრწყინვალების ჯილდო.

კომპანიები,[16] რომლებშიც ირაკლი გოგია იყო/არის წარმოდგენილი: სს ვაბაკო (ს/ნ 406102275), შპს ტრანსნეტი (ს/ნ 205079813), სს ვიანი (ს/ნ 402295716), შპს ვი თი ჯგუფი (ს/ნ 205143824), შპს ტიტანი (ს/ნ 205178154), შპს ქემიქალს (ს/ნ

405039426), შპს ჯი სი ჯი (ს/ნ 405039015), შპს ჯორჯიან აგრო ფილდს (ს/ნ 405533061), შპს ჯეოაგრო ისთეით (ს/ნ 405572189), შპს ჯორჯიან ფრეშ ფრუთს (ს/ნ 405533007), შპს ფრეშ ფრუთს გარდენ (ს/ნ 405572143), შპს აგროეიქაზ (ს/ნ 405572278).

მმართველი მენეჯმენტი

ნიკა წიკლაური - აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ფინანსები

ნიკა წიკლაური გენერალური დირექტორის მოადგილედ დაინიშნა 2024 წლის აპრილში, რომელიც ჯგუფს შეუერთდა 2015 წლის მაისში ფინანსური დირექტორის მოადგილედ. 2023 წლის აპრილიდან არის სამედიცინო კორპორაციის ევექსის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, 2023 წლის დეკემბრიდან კი სადაზღვევო კომპანია იმედი L-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

მანამდე ის მუშაობდა Ernst & Young-ში (2009–2015) როგორც პროექტის უფროსი წამყვანი აუდიტორი, აკონტროლებდა საქართველოს ბანკის ოპერაციებს, რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებულ სუბიექტს წარმოადგენს.

ბატონი წიკლაური ფლობს ბაკალავრის ხარისხს მენეჯმენტში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან (European School of Management). ის არის CFA charterholder პროექტების მენეჯმენტის სერტიფიცირებული პროფესიონალი (PMP), ფინანსური რისკების მენეჯერი (FRM), ალტერნატიული ინვესტიციის სერტიფიცირებული ანალიტიკოსი (CAIA) და ACCA-ს წევრი.

გიორგი გორდაძე - საოპერაციო დირექტორი, პოლიკლინიკები

გიორგი გორდაძე ჯგუფის პოლიკლინიკების ბიზნესს ხელმძღვანელობს 2019 წლის იანვრიდან, მას შემდეგ, რაც იგი შეუერთდა გუნდს 2017 წლის მაისში პოლიკლინიკების მიმართულების უფროსად. მას აქვს 20 წელზე მეტი გამოცდილება ფარმაცევტულ სექტორში და მანამდე ეკავა მენეჯერული როლები სს GPC-ში, მათ შორის კომერციული დირექტორის თანამდებობა GPC-ის მიერ ემიტენტის შეძენამდე.
ბატონ გორდაძეს აქვს ეკონომიკის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და MBA ხარისხი CERMA ბიზნეს სკოლიდან.

ზურაბ ქიტოშვილი - საოპერაციო დირექტორი, რეგიონული საავადმყოფოები

ზურაბ ქიტოშვილი ხელმძღვანელობს რეგიონული საავადმყოფოებისა და კლინიკების ბიზნესს 2023 წლის ნოემბრიდან. მას აქვს 20 წელზე მეტი გამოცდილება მენეჯმენტსა და ფინანსებში, სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა Geo Hospitals-ის გენერალურ დირექტორად, საქართველოს სიდიდით მეორე საავადმყოფოების ქსელში. მანამდე ის ხელმძღვანელობდა საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ჰოლდინგსა (GIG) და მტკვარი ენერჯის ფინანსური დირექტორის როლით.

ბატონ ქიტოშვილს აქვს ბაკალავრის ხარისხი მენეჯმენტში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან (European School of Management) და Executive MBA შეფილდის უნივერსიტეტიდან.

ქეთევან კალანდარიშვილი, საოპერაციო დირექტორი, დიაგნოსტიკა

ქეთევან კალანდარიშვილი 2023 წლის მარტიდან ხელმძღვანელობს ჯგუფის დიაგნოსტიკის მიმართულებას, მეგალაბს. ის 2017 წლიდან მუშაობდა GHG-ის ინვესტორებთან ურთიერთობისა და დაფინანსების განყოფილების ხელმძღვანელად და თავდაპირველად ჯგუფს შეუერთდა 2015 წელს, როგორც ინვესტორებთან ურთიერთობისა და დაფინანსების სპეციალისტი. მანამდე ის მუშაობდა Ernst & Young-ში უფროს აუდიტორად.
ქალბატონი კალანდარიშვილი ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს კავკასიის ბიზნესის სკოლიდან.

დასაქმებულები

„ჯგუფის“ დასაქმებულთა რაოდენობა 2024 წელს იყო 10,983, 2023 წელს 10,095, ხოლო 2022 წელს 10,158. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის „ჯგუფში“ დასაქმებულია 11,025 ადამიანი.

ინტერესთა კონფლიქტი

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ან/და 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერთა პირად ინტერესებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრთა სხვა მოვალეობებს შორის. ასევე, არ არსებობს ნათესაური კავშირები ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის.

ასევე, არ არსებობს შეთანხმება, რომლის შემდეგაც მითითებული ნებისმიერი პირი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წვერად.

არ არსებობს შეზღუდვები მმართველ ორგანოსა და იმ აქციონერებთან მიმართებაში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ 5%-ზე მეტ წილს ემიტენტის ფასიანი ქაღალდის განკარგვასთან დაკავშირებით.

საჩივრების შესახებ განცხადება

ამ პროსპექტის თარიღისათვის, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს არც ერთი წევრი, 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერი და აღმასრულებელი მენეჯმენტის არც ერთი წევრი- არანაკლებ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლევი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით;
- არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა) ან არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ;
- არასდროს მომხდარა მისი მოხსნა ან/და სანქცირება რომელიმე სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (მათ შორის ნებისმიერი პროფესიონალური ორგანო) ან დისკვალიფიკაცია ნებისმიერი კომპანიის მართვის ან სამეთვალყურეო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებისგან.

ბოლო 5 წლის განმავლობაში თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების შემთხვევების შესახებ ინფორმაცია არ გამოვლენილა.

კორპორატიული მმართველობა

ემიტენტი სრულად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კორპორატიულ მმართველობის მარეგულირებელ წესებში. დამატებით, 2021 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით გამოქვეყნდა კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის იანვრიდან, თუმცა აღნიშნული კოდექსით ანგარიშგების პირველად წარდგენა ემიტენტებს დაევალათ 2023 წლის წლიური ანგარიშგების თარიღისთვის. აღნიშნული კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას. კომპანია შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებთან.

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, „ემიტენტის“ თვითშეფასებით, „კომპანია“ შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებას N172/04 - „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“.

დივიდენდების პოლიტიკა

გენერალური დირექტორი ამზადებს მოგების განაწილების შეთავაზებას ყოველწლიური აუდიტიდან ერთი თვის განმავლობაში და აქციონერთა ყოველწლიურ კრებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად.

წლიური აუდიტორული შემოწმების დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში (მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, წლიური აქციონერთა კრების ჩატარებამდე სულ მცირე ერთი თვით - ადრე), გენერალურმა დირექტორმა უნდა მოამზადოს წინადადება მოგების განაწილების თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად. მოგების

განაწილების თაობაზე წინადადებაზე შეთანხმების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭომ და გენერალურმა დირექტორმა უნდა წარუდგინონ საერთო კრებას ერთობლივი წინადადება; ხოლო აღნიშნულ - საკითხზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, გენერალურმა დირექტორმა და სამეთვალყურეო საბჭომ უნდა წარადგინონ დამოუკიდებელი წინადადებები. მოგების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს/დამტკიცდეს აქციონერთა საერთო კრების მიერ.

დივიდენდის გადახდის სიხშირეს ადგენს აქციონერების კრება.

წმინდა მოგება პროპორციულად უნდა გადანაწილდეს აქციების ყველა კლასის აქციონერებზე დადგენილი პროცედურების მიხედვით. აქციონერებს არ აქვთ დივიდენდების გარდა სხვა სახის კომპენსაციის უფლება.

ბენეფიციარი მესაკუთრეები

ემიტენტი მთლიანად ეკუთვნის სს „საქართველოს კაპიტალს“. GCAP წარმოადგენს კომპანიების ჯგუფს (შემდგომში „ჯგუფი“). მისი ძირითადი საქმიანობაა ბიზნესების შეძენა, მათი მართვის განვითარებაში და მათი საქმიანობების ინსტიტუციონალიზაციაში დახმარება, რომ შემდგომში შეძლონ მეტწილად თავად განვითარება, მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ ან დამოუკიდებლად. ჯგუფი ძირითადად ორიენტირებულია საქართველოში მსხვილ საინვესტიციო შესაძლებლობებზე, რომლებსაც ექნებათ თავდაპირველი ინვესტირების შემდეგ 3-დან 5 წლამდე პერიოდში სულ მცირე 300 მილიონ ლარამდე კაპიტალის ღირებულების მიღწევის პოტენციალი და ჯგუფი შეძლებს ინვესტიციების მომწიფების შემდეგ მათ მონეტიზაციას. „საქართველოს კაპიტალი“ ინდივიდუალურად მართავს პორტფელურ კომპანიებს და არ არის ორიენტირებული შიდაჯგუფური სინერგიების მიღწევაზე. „საქართველოს კაპიტალს“ არ აქვს კაპიტალური ვალდებულება გამოიყენოს თანხები, ან გაასხვისოს აქტივები კონკრეტული ვადის განმავლობაში. ის ორიენტირებულია აქციონერების მომგებიანობაზე და იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ მისი ინვესტიციიდან უკუგების მიღების და ზრდის კრიტერიუმებს.

სს „საქართველოს კაპიტალის“ პორტფელი პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის:



**GCAP-ის წილი Lion Finance Group-ში პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის*

პორტფელი და სეგმენტები

ჯგუფის მფლობელობაში არსებული პორტფელური ბიზნესები:

(i) საქართველოში წამყვანი უნივერსალური ბანკი, ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში შემავალი Lion Finance Group PLC-ის (ყოფილი „საქართველოს ბანკის ჯგუფი“) 19.1%-იან წილი;

(ii) საცალო ვაჭრობის (აფთიაქები) ბიზნესი;

(iii) სადაზღვევო ბიზნესი (ქონების და უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა და სამედიცინო დაზღვევა);

(iv) **საავადმყოფოების ბიზნესი** (რომელიც შედგება ა. დიდი და სპეციალიზირებული და ბ. რეგიონალური და საზოგადოებრივი საავადმყოფოებისგან);

(v) **კლინიკებისა და დიაგნოსტიკის ბიზნესი**;

(vi) განახლებადი ენერგიის ბიზნესი (წყლის და ქარის ენერგია);

(vii) საგანმანათლებლო ბიზნესი;

(viii) „საქართველოს კაპიტალი“ ასევე ფლობს სხვა მცირე კერძო ბიზნესებს საქართველოს სხვადასხვა ინდუსტრიაში;

ემიტენტის მფლობელი მთლიანად ეკუთვნის Georgia Capital PLC-ს, რომელიც განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე (Ticker: CGEO).

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, კომპანიის პირდაპირი და არაპირდაპირი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი:



**ცხრილში წარმოდგენილია მხოლოდ კომერციული იურიდიული პირები*

შემდეგი ცხრილი ასახავს Georgia Capital PLC-ის აქციონერებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ზე მეტს:

	პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის (%)
Gemsstock Ltd	**7.56%**
Lazard Asset Management LLC	**7.37%**
Allan Gray Proprietary Ltd	**6.45%**
სხვა*	**78.62%**
სულ	**100.00%**

**სხვა ინვესტორები 5%-ზე ნაკლებ წილს ფლობენ Georgia Capital PLC-ში*

Georgia Capital PLC-ის არც ერთ აქციონერს არ აქვს ხმის უფლება, რომელიც განსხვავდება ამ აქციების სხვა მფლობელების ხმის უფლებისგან. თითო აქციონერს ერთ აქციაზე აქვს თითო ხმის უფლება.

არ არსებობს ფიზიკური პირი, რომელიც „ემიტენტის“ წილის 5%-ზე მეტის ბენეფიციარი მესაკუთრეა (UBO).

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის *„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“* მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.	
	მშობელი საწარმო	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული და სხვა საწარმოები*	*მშობელი საწარმო*	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული და სხვა საწარმოები*
აქტივები				
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	12,983	-	9,143
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (ჯანდაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები)	-	(425)	-	(307)
სხვა აქტივები: საოპერაციო იჯარები	-	902	-	2,469
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (საოპერაციო იჯარები)	-	(30)	-	(83)
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები: სხვა	-	2,351	-	4,542
	-	**15,781**	**-**	**15,764**
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	-	6,279	-	6,134
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	14,031	-
ნასესხები სახსრები	-	19,032	-	26,070
გაცემული ფინანსური გარანტიები (მაქსიმალური მოცულობა)	-	36,190	-	-
	-	**61,501**	**14,031**	**32,204**

	2024		2023	
	მშობელი საწარმო	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული და სხვა საწარმოები*	*მშობელი საწარმო*	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული და სხვა საწარმოები*
შემოსავალი და ხარჯები				
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	-	14,163	-	10,590
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	-	(2,795)	-	(2,806)
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების და სხვა აქტივების გაუფასურება	-	(65)	-	(28)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(99)	-	(77)
საპროცენტო ხარჯი	(1,017)	(1,403)	(982)	(2,118)
გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	(270)	-	-
	(1,017)	**9,531**	**(982)**	**5,561**

მენეჯმენტის ანაზღაურება მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	2,291	1,960
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	1,651	1,376
სულ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება, აღიარებული ხელფასებსა და დასაქმებულთა გასამრჯელოებში*	**3,942**	**3,336**
გათავისუფლებული უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასები და ფულადი პრემიები	684	1,032
გათავისუფლებული უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	184	1,589
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	**4,810**	**5,957**

**უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წარმოდგენილია დირექტორთა საბჭოს წევრებით.*

სასამართლო დავები

ჯგუფის მიმდინარე მნიშვნელოვანი (500,000 ლარზე მეტი ღირებულების მქონე) სასამართლო პროცესების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მოსარჩელე	მოპასუხე	საქმის აღწერა	დაკისრებული საჯარიმო სანქციების დეტალური აღწერა	საქმის სტატუსი	მოთხოვნის ღირებულება	დავასთან დაკავშირებული რეზერვი	ვალუტა
შპს წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	დავა ადმინისტრაციული ვადის გაუქმებასთან დაკავშირებით (ადმინისტრაციული სარჩელი სოციალური მომსახურების სააგენტოს #04-06/4235 გადაწყვეტილების შესახებ)		მიმდინარე	635,365	193,197	ლარი
სს ვიანი	ირაკლი გოგოხია	ირაკლი გოგოხიამ შრომითი ხელშეკრულების პირობები დაარღვია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით. დარღვევის შედეგად, შრომოთი ხელშეკრულების მიხედვით, მას წარმოეშვა შრომითი ურთიერთობის დაწყებისთვის გადახდილის ,,საწყისი ბონუსის'' უკან დაბრუნების და პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება. ირაკლი გოგოხიამ დამსაქმებელს არ დაუბრუნა საწყისი ბონუსი და არც დარიცხული პირგასამტეხლო. დამსაქმებელმა სარჩელი აღძრა ირაკლი გოგოხიას წინააღმდეგ ამ უკანასკნელისგან დასახელებული თანხმების და ამ თანხის დროულად დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.		მიმდინარე	2,801,704	ემიტენტი წარმოადგენს მოსარჩელეს	ლარი
ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	დავა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შესახებ (2017 წლის 16 ივნისის #29 და 2017 წლის 23 მაისის #04/33003 აქტები)		მიმდინარე	745,198	43,184	ლარი
თელავის რეფერალური ჰოსპიტალი	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	სოციალურმა სააგენტომ #36 დადგენილებით ჩაატარა შერჩევითი აუდიტი 2014 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 1 აგვისტომდე პერიოდზე, რის შედეგადაც მოსარჩელე დაჯარიმდა 976 311,04 ლარით. საავადმყოფო დასკვნას არ დაეთანხმა და აქტი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გაასაჩივრა		მიმდინარე	976,311	976,311	ლარი
კავკასიის მედიცინის ცენტრი	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	ჯანდაცვის სახელმწიფო №36 პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტომ კავკასიის მედიცინის ცენტრს		მიმდინარე	1,122,069	299,316	ლარი

		პროგრამის პირობების სავარაუდო დარღვევისთვის 1,122,069 ლარის გადახდის ვალდებულება დააკისრა.					
ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	ჯანდაცვის №36 პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტომ ევექსი (ზუგდიდის საავადმყოფო) 1,277,136.23 ლარით დააჯარიმა, მათ შორის ძირითადი 423,942.30 ლარი და დამატებით 853,193.93 ლარი ორმაგი ჯარიმის სახით. სასამართლო სხდომა მიმდინარე ეტაპზეა.		მიმდინარე	1,265,529	359,951	ლარი
შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის პროგრამებით სამედიცინო მომსახურების გაწევის პირობების დარღვევა		მიმდინარე	1,733,946	1,733,946	ლარი
სს იაშვილი - იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	გეგმური შემოწმების შემდეგ გამოცემული 2019 წლის 31 ოქტომბრის N2019/31/10/04 აქტის ბათილად ცნობა.		მიმდინარე	1,905,652	1,905,652	ლარი
სს იაშვილი - იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	2016 წლის 1 ივნისის ინსპექტირების #03 აქტის საფუძველზე, საავადმყოფოს დაუსაბუთებელი მოთხოვნის სახით დაეკისრა 258,341 ლარის გადახდა და დაჯარიმდა 1,934,988 ლარით. უმაღლესი უწყების გადაწყვეტილებებით (2016 წლის 6 ოქტომბრის #04/75969 და #04/76026) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (მხოლოდ 20,000 ლარი). საავადმყოფო არ დაეთანხმა გადაწყვეტილებას.		მიმდინარე	2,049,912	2,049,912	ლარი
სს იაშვილი - იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	N2019/31/10/06 აქტის (2019 წლის 31 ოქტომბერი), #36 დადგენილების შესაბამისად, პროგრამული პირობების დარღვევისთვის საავადმყოფო 2,103,587.78 ლარით დაჯარიმდა. აქტი გასაჩივრდა.		მიმდინარე	2,103,588	0	ლარი
სს "ევექსის" მთაწმინდის პოლიკლინია	შპს "PP"	სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის დაფარვის მოთხოვნა.	სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაფარვის მოთხოვნა. 1,499,621.38 აშშ დოლარის ოდენობით (საიდანაც სესხის ძირია - 679,927.89 აშშ დოლარი, ხოლო პროცენტი 819,693.49 აშშ დოლარის ოდენობით). შპს "PP"-ის ასევე დაეკისრა პირგასამტეხლო 10 000 აშშ დოლარის ოდენობით.	დასრულებული	1,509,621	ემიტენტი წარმოადგენს მოსარჩელეს	აშშ დოლარი

გიორგი ფეტვიაშვილი, ლევან წულაძე, ლაშა ნიკოლოზადე, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, შპს საიმედო	სს ევექსის საავადმყოფოები, სს სადაზღვევო კომპანია იმედი L, სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი	იმედი L International-ის ყოფილმა აქციონერებმა სარჩელი შეიტანეს უსამართლო ნასყიდობის ფასის საფუძვლით, რადგან ხელშეკრულება იძულებით გაფორმდა.		მიმდინარე	12.7 მლნ აშშ დოლარი წლიური 5%.	0	აშშ დოლარი
სს ვიანი, სს საქართველოს კლინიკები	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2022 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით, სამინისტრომ 2022 წლის 15 მარტიდან გამორიცხა ევექსის ჰოსპიტლები (სს საქართველოს კლინიკები და სს ვიანი) სამობილიზაციო სქემიდან, შეწყვიტა COVID-19 პაციენტთა რეფერირება და ნაადრევად შეწყვიტა შვიდი ხელშეკრულება ცალმხრივად. ამან 1,432,080 ლარის ზარალი მიაყენა სს ევექსის საავადმყოფოების შვიდივე საავადმყოფოს.		მიმდინარე	1,432,080	1,413,305	ლარი
სს ევექსის საავადმყოფოები	სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო	#R/K-1909-12 ინსპექტირების აქტების ბათილად ცნობა		მიმდინარე	1,533,656	0	ლარი
ქუთაისის რეფერალური საავადმყოფო	სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო	COVID-19-ის სახელმწიფო პროგრამის (მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის #828 დადგენილება) საქმეების განხილვა 2021 წლის 1 აგვისტოდან 30 სექტემბრის ჩათვლით. აუდიტის ანგარიში R/K-4163-26 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა REG 0 23 003416 გადაწყვეტილებით, რომელიც გასაჩივრდა სასამართლოში		მიმდინარე	1,504,576	0	ლარი
შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი	სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო	შერჩევითი აუდიტი ჩატარდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში (რეზოლუცია #36), რის შედეგადაც შედგა აუდიტის ანგარიში #R-2408-72		მიმდინარე	8,532,507	2,232,507	ლარი
ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი	სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო	COVID-19-ის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, #R/K-1190-3 შემოწმების აქტების ბათილად ცნობა		მიმდინარე	946,185	0	ლარი
სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	ბათუმის რეფერალური საავადმყოფო	ადმინისტრაციული აქტით დაკისრებული თანხის გადახდა		მიმდინარე	745,198	43,184	ლარი
სს ვიანი, სს საქართველოს კლინიკები	სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	2017 წლის 1 ივნისისა და 5 ივნისის ადმინისტრაციული აქტების (#04/35028 და #04/36026) ბათილად ცნობა, რომლებითაც მოსარჩელეებს უარი ეთქვათ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე		მიმდინარე	1,413,305	1,413,305	ლარი
ხონის საავადმყოფო, ქუთაისის საავადმყოფო, შპს	სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული	მოსარჩელეებს უარი ეთქვათ სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე #04/35028		მიმდინარე	1,205,115	1,205,115	ლარი

დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი	საქმიანობის რეგულირების სააგენტო, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	და #04/36026 ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე (2017 წლის 1 ივნისი და 5 ივნისის აქტები)					
ლევან თალაკვაძე	სს ვიანი - იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო	პაციენტის მართა თალაკვაძის მშობლებმა, ლევან თალაკვაძემ და მარიამ მითაიშვილმა სარჩელი შეიტანეს შვილისთვის არასათანადო მოპყრობის გამო მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით		მიმდინარე	613,300	0	ლარი
შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო	სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ, შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრში" განახორციელა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით გათვალისწინებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლეებზე თანხმობის ფორმის შევსების მდგომარეობის და სააგენტოს 2017 წლის 28 ივნისის #04/42322 წერილით მოთხოვნილი დოკუმენტაციის შემოწმება, რომელსაც დაექვემდებარა, პროგრამის ფარგლებში, გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად, 2013 წლის 28 თებერვლიდან 2019 წლის 01 იანვრამდე პერიოდში რეგისტრირებულ მოსარგებლეებზე თანხმობის ფორმების შევსების მდგომარეობა. ჯანდაცვის სახელმწიფო №36 პროგრამის ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტომ კავკასიის მედიცინის ცენტრს დააკისრა ჯარიმა 1,162,727.67 ლარის ჯარიმა (უკან დასაბრუნებელი თანხა) დააკისრა. აქტი გასაჩივრდა მარეგულირებელ სააგენტოში, რომელმაც საჩივარი არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სხდომა ჩანიშნულია 2025 წლის 9 ივნისს.	სულ ჯარიმა 1,162,727.67 ლარი. გასაჩივრებულია 1,162,727.67 ლარიდან 951,908.85 ლარი.	მიმდინარე	951,909	299,316	ლარი
სს "ევექსი" - დიდუბის პოლიკლინიკა	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული	სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს	სულ ჯარიმა 570,171.89 ლარი: 101,007.27 ლარი	მიმდინარე	534,878	0	ლარი

	სააგენტო, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო	სააგენტოს" მიერ განახორციელა სს „ევექსის" ერთ-ერთი ბიზნეს ერთეულის - დიდუბის პოლიკლინიკის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით გათვალისწინებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის „გეგმიური ამბულატორიული მომსახურების“ კომპონენტის ფარგლებში გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლეებზე 2019 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 1 მაისამდე პერიოდში თანხმობის ფორმების შევსების მდგომარეობის და მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების რევიზია/კონტროლი. დიდუბის პოლიკლინიკას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისრა ჯამში 570,171.89 ლარი, საიდანაც 101,007.27 ლარი წარმოადგენს უკვე ანაზღაურებული შემთხვევების უკან დაბრუნების თანხას, ხოლო 469,164.62 ლარი კი წარმოადგენს დამატებითი ფინანსური ჯარიმის სახით გადასახდელ თანხას შემოწმების აქტი გასაჩივრდა ადმინისტრაციული წესით, მაგრამ სააგენტომ უარი განაცხადა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სააგენტოს გადაწყვეტილება შემდგომში გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სხდომის თარიღი ჯერ არ არის ჩანიშნული. სასამართლოში შევიდა შუამდგომლობა აქტის აღსრულების შეჩერების შესახებ და ის სარჩელით მოთხოვნილი თანხის ფარგლებში დაკმაყოფილდა.	უკან დასაბრუნებელი თანხა, 469,164.62 ლარი - დამატებითი ფინანსური ჯარიმა. სარჩელით მოთხოვნილ იქნა 534,878 ლარის (უკან დასაბრუნებელი თანხის 101,007.27 ლარიდან 89,601.82 ლარის ნაწილში და ჯარიმის სახით დაკისრებული 469,164.62 ლარიდან, 445,276.42 ლარის ნაწილში) ფარგლებში აქტის ბათილად ცნობა				

დეტალური ინფორმაცია მნიშვნელოვნად მატერიალურ დავებზე:

- **Imedi L international-ის ყოფილ აქციონერებთან დაკავშირებული დავა (12.7 მლნ აშშ დოლარი, წლიური 5%.) -** 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის რამდენიმე კომპანია, ასევე საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები (სს „ვიანი“, სს „საქართველოს კლინიკები“, სს „ევექსის კლინიკები“ და სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“, შემდგომში ერთობლივად – „მოპასუხეები“) მონაწილეობდნენ სასამართლო დავაში „იმედი L“-ის ზოგიერთ ყოფილ მფლობელთან („მოსარჩელეები“) ბიზნესის შესყიდვის ფასის თაობაზე. ყოფილი მფლობელები აცხადებენ, რომ მათი აქციები „იმედი L“-ში 2012 წელს იძულების წესით გაიყიდა

ჯგუფზე საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად. 2018 წელს მოპასუხეებმა მოიგეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში. მოსარჩელეებმა გაასაჩივრეს სასამართლოს გადაწყვეტილება და 2020 წლის იანვარში თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე წარმოებაში დაუბრუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ეს გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომაც ძალაში დატოვა 2022 წლის თებერვალში. 2022 წლის ივლისში თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეები, ახალი არსებითი მტკიცებულების გარეშე და მოპასუხეებს დააკისრა მთლიანი სადავო თანხის – 21 მილიონი აშშ დოლარის გადახდა (58.9 მილიონი ლარი). კომპანიამ გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა 2022 წლის სექტემბერში. დავის სტატუსში მას შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სარჩელში აღწერილი ფაქტები არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებით. არანაირი სამართალდარღვევა ან უკანონო ქმედების ჩადენა არ მტკიცდება. სარჩელი წარმოდგენილია მხოლოდ განცხადებების სახით და არ არსებობს ასეთი ქმედებების მტკიცებულება, ვინაიდან აღნიშნული ქმედებები არ განხორციელებულა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და რომ „იმედი L“-ში აქციები მოპასუხეებმა შეიძინეს სამართლიან ფასად კეთილსინდისიერი შეთანხმებების საფუძველზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელთან დაკავშირებით ზარალის ალბათობა 50%-ზე დაბალია და ამიტომ არ უღიარებია შესაბამისი ანარიცხები კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში;

- **სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის დაფარვის მოთხოვნა (7,656,794 ლარი)** - შპს "PP"-სა და სს "ევექსს" შორის, 2016 წლის 4 თებერვალს და 30 აგვისტოს გაფორმდა იჯარისა და სესხის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე, ევექსმა იჯარით აიღო შპს "PP"-ს კუთვნილი უძრავი ქონება, ხოლო სესხის სახით გადასცა შპს "PP"-ს თანხა 700 000 აშშ დოლარის ოდენობით. 2017 წლის 3 ივლისდან უძრავი ქონების მესაკუთრე გახდა სს "ბანკი ქართუ". სესხის ხელშეკრულების თანახმად ევექსმა შპს "PP"-ს მოსთხოვა სესხის სახით გაცემული თანხის დაბრუნება, რაც მოპასუხეს დღემდე არ განუხორციელებია. ევექსმა მოიგო დავა პირველ, მეორე და მესამე ინსტანციაში. უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. შესაბამისად დავა დასრულებულია ევექსის სასარგებლოდ. შპს "PP"--ის ევექსის სასარგებლოდ დაეკისრა თანხა 1,499,621.აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც სესხის ძირია - 679,927.89 აშშ დოლარი, ხოლო პროცენტი 819,693.49 აშშ დოლარის ოდენობით. შპს "PP"-ის ასევე დაეკისრა პირგასამტეხლო 10 000 აშშ დოლარის ოდენობით. საქმე მიქცეულია აღსასრულებლად, მაგრამ თანხის ამოღება ამ დრომდე ვერ მოხერხდა;
- **შერჩევითი აუდიტი (8,532,507 ლარი)** - შპს ,,დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი'' ჩართულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში (შემდეგში: პროგარამა), რომლის პირობებიც გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36-ე დადგენილებით (შემდეგში დადაგენილება) . თავად დადგენილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის პირობებიც ითვალისწინებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში ჩართული სამედიცნო დაწესებულების მიერ მიწოდებული სერვისების შერჩევიდად შემოწმების/რევიზიის შესაძლებლობას. დადგენილების მიხედვით რევიზიის უფლება გათვალისწინებულია გაწეული სამედიცინო სერვისის კონტროლისთვის და მისი პროგრამით გათვალისწინებულთან შესაბამისობის დასადგნეად. 2022 წლის 01 მარტს სსიპ წამლის და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ შპს ,,დასაველთ საქართველოს სამედიცინო ცენტრში'' დაიწყო პროგრამის ფარგლებში შესრულებული გაწეული მომსახურებების (შემთხვევების) რევიზია. პროცესი გაგრძელდა, 18 თვის განმავლობაში და დასრულდა 2023 წლის 22 სექტემბრის აქტით.რომლითაც შპს ,,დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრს სახელმიწოფს მიმართ დაეკისრა 8 532 507.41 ლარის გადახდა, საიადანაც 4 269840 ლარი წარმოადგენს ბიუჯეტში უკან დასაბრუნებელ თანხას , ხოლო 4 262667.31 ლარი ჯარიმას.

ჯგუფის მიმდინარე არამატერიალური სასამართლო პროცესების ჯამური ღირებულება შეადგენს 12,420,870 ლარს. ინდივიდუალურად არც ერთი არამატერიალური სარჩელის ღირებულება არ აღემატება 500 000 ლარს.

სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი

პროსპექტში მითითებულ წყაროებთან ერთად, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებულია შემდეგი დოკუმენტები:

- კომპანიის წესდება (გამოქვეყნებულია საჯარო რეესტრის პორტალზე napr.gov.ge: სისტემაში განაცხადის ძიების ნომერი: B25063357);
- ხელშეკრულება განთავსების აგენტებსა და ემიტენტს შორის;
- ხელშეკრულება კალკულაციის აგენტსა და ემიტენტს შორის;
- ხელშეკრულება ობლიგაციონერების წარმომადგენელსა და ემიტენტს შორის;
- კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები;

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები არის კონფიდენციალური დოკუმენტები, რომელთა გამოქვეყნებას ემიტენტი არ გეგმავს, თუმცა ზემოაღნიშნული დოკუმენტები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს არსებული და პოტენციური ინვესტორებისთვის და შესაბამისი მხარეებისთვის (განთავსების აგენტის წარმომადგენელი, კალკულაციისა აგენტი, ობლიგაციების მფლობელები) ფიზიკური ფორმით ემიტენტის პროსპექტში მითითებულ მისამართებზე, ასევე ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოთხოვნის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების უახლესი ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება უნდა განხორციელდეს ელექტრონული ფორმით მოთხოვნის გაკეთებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

საბრუნავი კაპიტალი

ჯგუფის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) და მიმდინარე კოეფიციენტი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული პერიოდების მიხედვით:

'000 ლარი	*2024*	*2023*	*2022*
საბრუნავი კაპიტალი	(113,973)	(149,705)	18,741
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	0.60	0.57	1.14

უარყოფითი საბრუნავი კაპიტალის ძირითადი მიზეზი არის სესხების მიმდინარე ნაწილის არსებობა. აღნიშნული მაჩვენებელი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული პერიოდების მიხედვით:

'000 ლარი	*2024*	*2023*
ნასესხები სახსრები, მიმდინარე ნაწილი	200,540	220,091

ობლიგაციების გამოშვებით მოზიდული თანხების ნაწილი მოხმარდება არსებული სესხის რეფინანსირებას, ხოლო ობლიგაციების გამოშვებისას დარჩენილი სასესხო ვალდებულებები ჩაიფარება კლიენტის თავისუფალი ფულადი სახსრებით, რის შედეგადაც სესხის მიმდინარე ნაწილი ნულამდე შემცირდება, ვინაიდან ემიტენტი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გათავისუფლებულია რეფინანსირებული თანხის ძირის გადახდის ვალდებულებისგან. შესაბამისად, გაუმჯობესდება როგორც საბრუნავი კაპიტალის მაჩვენებელი, ისე ლიკვიდობის კოეფიციენტები.

ქვემოთ წარმოდგენილია პრო-ფორმა (ობლიგაციების გამოშვების შემდეგი) საბრუნავი კაპიტალი და მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი.

'000 ლარი	*პრო-ფორმა*
საბრუნავი კაპიტალი	90,516
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	2.07

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
სს გალტ ენდ თაგარტი	განთავსების, კალკულაციის აგენტი	აქვს ინტერესი, ფასიანი ქაღალდების განთავსებაში და მიიღოს სანაცვლოდ კომპანიასთან შეთანხმებული საკომისიო	- ემიტენტი და განთავსების აგენტი 1 (სს გალტ ენდ თაგარტი) არაპირდაპირ დაკავშირებული არიან; პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, ემიტენტის საბოლოო მფლობელი, სს საქართველოს კაპიტალი, ფლობს 19.8%-იან ხმის მიცემის უფლების გარეშე წილს Lion Finance Group PLC-ში, რომელიც წარმოადგენს სს გალტ ენდ თაგარტის საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეს. ემიტენტი მიიჩნევს, რომ ეს არის არამატერიალური გარემოება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ Lion Finance PLC-ში ემიტენტის ხმის მიცემის უფლების გარეშე წილს და იმ ფაქტს, რომ ამ კომპანიების მმართველი ორგანოების წევრები სრულად და მთლიანად განცალკევებულნი არიან და ამ პროსპექტით გამოშვებულ ობლიგაციებთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. - არსებობს შესაძლებლობა, რომ გამოშვებული და წინამდებარე პროსპექტში განთავსებული ობლიგაციების ნაწილი შეიძინოს სს საქართველოს ბანკმა, რომელიც არის საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკი და დაკავშირებულია განთავსების აგენტ 1-თან; კონკრეტულად, ორივეს, განთავსების აგენტ 1-ისა და სს საქართველოს ბანკის საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე არის Lion Finance Group PLC, კომპანია, რომელიც განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ამავდროულად, სს საქართველოს ბანკის კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების ხელმძღვანელი (რომელიც მოიცავს ორივეს, კორპორატიული სესხების გაცემას და ობლიგაციებში ინვესტირებას) ჯგუფურ დონეზე ზედამხედველობას უწევს განთავსების აგენტ 1-ს. მითითებულმა გარემოებებმა შეიძლება შექმნას ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტ 1-ს, ემიტენტს და სს საქართველოს ბანკს შორის.
შპს თიბისი კაპიტალი	განთავსების აგენტი	აქვს ინტერესი, ფასიანი	- არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი

ქაღალდების განთავსებაში და მიიღოს სანაცვლოდ კომპანიასთან შეთანხმებული საკომისიო	კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია „განთავსების აგენტ 2-თან“ („განთავსების აგენტი 2“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, „განთავსების აგენტ 2-სა“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტ 2-სა“ და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტ 2-სა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტ 2-სა“ და ინვესტორებს შორის.

ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევის შესახებ

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის უზრუნველყოფილ ვალდებულებებს. შესაბამისად, ობლიგაციებით კომპანიის მიმართ ნებისმიერი მოთხოვნა იქნება უზრუნველყოფილი მოთხოვნა. საქართველოს კანონის ”რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების” თანახმად, უზრუნველყოფილ კრედიტორებს უპირატესობა ენიჭება არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან მიმართებაში.

ასეთი მოთხოვნები რეგულირდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის 105-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს უზრუნველყოფილი ქონების იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს აღნიშნული ქონების რეალიზაციას პირველი რიგის იპოთეკარის/მოგირავნის მოთხოვნის შესაბამისად. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. თუ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში.

ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში გადახდისუუნარობის ქონება ნაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავში გათვალისწინებული პროცედურის ხარჯებს; (ii) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას, და (iii) საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში შრომითი ურთიერთობიდან წარმოქმნილი ხარჯები,

ქონების მართვის ხარჯები, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები);

2. სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ ემიტენტის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3. კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:
    a. პრეფერენციული მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით);
    b. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები;
    c. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს.
    d. მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები
    e. არაპრივილეგირებული მოთხოვნები; და
    f. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

<u>ფასიანი ქაღალდების სხვა მახასიათებლები</u>

ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის.

შეთავაზება განხორციელდება ამ პროსპექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შეთავაზება დაიწყება პროსპექტის დამტკიცების შემდეგ და დასრულება ქვემოთ ჩამოთვლილი სამი შემთხვევიდან პირველივეს დადგომის შემთხვევაში:

ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლისას;
ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსებისას;
გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტისას.

„ობლიგაციების“ განთავსება მოხდება ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი.

განთავრების აგენტი 1, კალკულაციისა აგენტი: სს გალტ ენდ თაგარტი (ს/ნ 211359206); მისამართი: საქართველო, თბილისი 0105, პუშკინის ქ. 3; ელ.ფოსტა: st@gt.ge; sales@gt.ge;; ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/en; ტელ.: (+995 32) 2 40 11 11

განთავსების აგენტი 2: შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961); ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 33; ვებ-გვერდი: tbccapital.ge; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა განთავსების აგენტებთან, კალკულაციის აგენტთან - სს გალტ ენდ თაგარტთან და შპს თიბისი კაპიტალთან. ხელშეკრულება ავალდებულებს სს გალტ ენდ თაგარტს და შპს თიბისი კაპიტალს უზრუნველყონ ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. თითოეული განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები. სს გალტ ენდ თაგარტის, როგორც კალკულაციის აგენტის, ვალდებულებაა კუპონის და ძირითადი თანხის გამოთვლა.

განთავსებასა და შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოები არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 1.5%-ს. განთავსების საკომისიოს სრულად ფარავს „ემიტენტი“ და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი განთავსების ხარჯი.

ობლიგაციების გამოშვების პირობები

ობლიგაციებზე გავრცელდება ქვემოთ წარმოდგენილი რედაქციით ჩამოყალიბებული პირობები:

„ობლიგაციები“ (როგორც განმარტებულია წინამდებარე „პროსპექტში“), რომელთა საერთო ძირი თანხა „პროსპექტისა“ და „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად შეადგენს 350,000,000 მილიონ ლარს, გამოშვებულია „ემიტენტის“ „სამეთვალყურეო საბჭოს“ და აქციონერის მიერ 2025 წლის 21 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე და „პროსპექტისა“ და „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად.

„ობლიგაციების“ გამოშვების პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის და არა მხოლოდ წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ (შემდგომში - „**ობლიგაციების გამოშვების პირობები**“ ან „**პირობები**“), ასევე „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ „ემიტენტსა“ და „ობლიგაციონერთა წარმომადგენელს“ შორის გაფორმებული „ობლიგაციების გამოშვების პირობების შესახებ ხელშეკრულებით“ (შემდგომში - „**ხელშეკრულება**“), „თავდებობის ხელშეკრულებით“, „გირავნობის ხელშეკრულებით“ და „იპოთეკის ხელშეკრულებით“. „ხელშეკრულება“ შედგენილია ინგლისურ ენაზე, თუმცა „ემიტენტი“ უზრუნველყოფს მის ქართულენოვან ვერსიაზე წვდომას „ობლიგაციების“ გამოშვებამდე. წინამდებარე „პროსპექტში“, „ხელშეკრულებასა“ ან/და „იპოთეკის ხელშეკრულებას“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულებას“ ან/და „თავდებობის ხელშეკრულებაში“ მოცემულ ინფორმაციას შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება „პროსპექტს“. ასევე აღსანიშნავია, რომ „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ მიზნებისთვის კომუნიკაციის ძირითადი ენა არის ინგლისური.

„ხელშეკრულების“ ასლები ხელმისაწვდომია გაცნობის მიზნით სამუშაო საათებში „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის“ და „ემიტენტის“ ოფისებში, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე „პროსპექტში“. „ემიტენტი“ და „ობლიგაციონერთა წარმომადგენელი“ უზრუნველყოფენ მათ ოფისებში ხელმისაწვდომი და ინვესტორებისთვის გაზიარებული „ხელშეკრულებები“ იდენტურობას. „პროსპექტის“, მათ შორის წინამდებარე „პირობების“ გარდა, „ობლიგაციონერები“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ) და ზოგიერთ შემთხვევაში (როგორც ეს განსაზღვრულია „პროსპექტით“, მათ შორის წინამდებარე „პირობებით“), „ობლიგაციების“ „ანგარიშის მწარმოებლები“ ექვემდებარებიან და მათზე ვრცელდება „ხელშეკრულებით“ დადგენილი დებულებების შესაბამისი პირობები, ასევე სარგებლობენ ამ პირობებით მინიჭებული უფლებებით.

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და დარიცხული პროცენტის გადახდა განხორციელდება „კალკულაციის აგენტის შესახებ ხელშეკრულების“ („კალკულაციის აგენტსა“ და „ემიტენტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება) პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიასა“ და სს „გალტ ენდ თაგარტს“ - როგორც კალკულაციის აგენტს - შორის (შემდგომში – „**კალკულაციის აგენტი**“).

თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „კალკულაციის აგენტის შესახებ ხელშეკრულების“ ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „კალკულაციის აგენტის“ მითითებულ მისამართზე (ასევე ელექტრონულად, „ემიტენტისგან“ და „კალკულაციის აგენტისგან“ ითითებული ელექტრონული ფოსტებიდან გამოთხოვის შემთხვევაში, როგორც დაზუსტებულია „პროსპექტის“ სექციაში „სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი“), და შესაბამისად, ითვლება, რომ თითოეული „ობლიგაციონერი“ სათანადოდ იქნა ინფორმირებული/გაეცნო „კალკულაციის აგენტის შესახებ ხელშეკრულებას“. შესაბამისად, „კალკულაციის აგენტის შესახებ ხელშეკრულების“ ყველა იმ შესაბამის პირობას, რაც ვრცელდება „ობლიგაციონერებზე“, აქვს „ობიგაციონერებისთვის“ სავალდებულო ძალა. „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება იმ დროისთვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შეთავაზების პერიოდი: „შეთავაზების პირობების დოკუმენტის" შესაბამისად განსაზღვრული პერიოდი (შემდგომში - „**შეთავაზების პერიოდი**").

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა / გადაცემა: წინამდებარე „პროსპექტით" წარმოდგენილი/შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა / გადაცემა არ არის შეზღუდული.

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება, საკუთრების უფლება და უზრუნველყოფა

ობლიგაციები გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით და იარსებებს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა: 1,000 ლარი.

„ობლიგაციონერებისათვის" გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „დეპოზიტარში" ან „ანგარიშის მწარმოებელთან" არსებულ შესაბამის ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებულ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე „ობლიგაციონერის" საკუთრების უფლებას. დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებლის" მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით.

„ობლიგაციონერებისათვის" / „ინვესტორისთვის" გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „ობლიგაციონერების" / „ინვესტორის" წილობრივი თანასაკუთრების უფლებას ამ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დაკრედიტებული ობლიგაციების რაოდენობის პროპორციულად, „დეპოზიტარში" ან „ანგარიშის მწარმოებელთან" არსებულ იმ ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებული იდენტური ობლიგაციების ერთობლიობაზე, რომელზედაც დაკრედიტებულია შესაბამისი „ობლიგაციონერების" / „ინვესტორების" ობლიგაციები.

„ობლიგაციები" უზრუნველყოფილია „ემიტენტის" პირდაპირი ან არაპირდაპირი შვილობილების/„უძრავი ქონების მესაკუთრეების" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, როგორც ეს განსაზღვრულია ამ „პირობებით" და „იპოთეკის ხელშეკრულებით", „ემიტენტის" პირდაპირი ან არაპირდაპირი შვილობილების/„მოძრავი ქონების მესაკუთრეების" საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით, როგორც ეს განსაზღვრულია ამ „პირობებით" და „გირავნობის ხელშეკრულებით", და „გარანტორების" მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით, რომლის საფუძველზე „გარანტორებს" ეკისრებათ ვალდებულება, ერთობლივად ან ცალკეულად დააკმაყოფილონ „ემიტენტის" ყველა ვადაგასული და შეუსრულებელი ვალდებულება, წინამდებარე „პროსპექტისა" და შესაბამისი „თავდებობის ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად.

„იპოთეკის ხელშეკრულების" პირობების თანახმად, შესაბამისი „უძრავი ქონების მესაკუთრეები" პირველი რიგის იპოთეკის უფლებით ტვირთავენ ქვემოთ აღწერილ აქტივებს „ობლიგაციონერების" სასარგებლოდ: (i) უძრავ ქონებას - მიწის ნაკვეთებს, რომლებიც დეტალურად აღწერილია „იპოთეკის ხელშეკრულებაში" („უძრავი ქონება"); და (ii) მასზე არსებულ ყველა გაუმჯობესებას, ნებისმიერ და ყველა შენობას, კონსტრუქციასა და ქონების სხვა შემადგენელ ნაწილს (კონსტრუქციები) ახლა თუ მომავალში; და (iii) ნებისმიერ მოძრავ ნივთს, რომელიც განკუთვნილია „უძრავი ქონების" სამსახურისთვის და მასთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია საკუთრებასთან, როგორც მთავარ ნივთთან. პირველი რიგის იპოთეკა თავისთავში გულისხმობს „ობლიგაციონერების" უფლებას, სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილონ მოთხოვნა ამ „პროსპექტით" გათვალისწინებული "დეფოლტის შემთხვევის" დადგომისას. აღსრულების შემთხვევაში, „უძრავი ქონების" რეალიზაციით მიღებული

თანხა განაწილდება „ობლიგაციონერებს“ შორის „ემიტენტის“ მიმართ თითოეული მათგანის მოთხოვნის პროპორციულად.

„გირავნობის ხელშეკრულების“ პირობების თანახმად, „ემიტენტის“ შესაბამისი პირდაპირი ან არაპირდაპირი შვილობილები/„მოძრავი ქონების მესაკუთრეები“ „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ პირველი რიგის გირავნობის უფლებით ტვირთავენ „გირავნობის ხელშეკრულების“ „ა“ დანართში მითითებულ მოძრავ ქონებას, მათ შორის, ნებისმიერ მოძრავ ნივთს, რომელიც განკუთვნილია აღნიშნული მოძრავი ქონების მომსახურებისთვის და/ან ქონების იმ ნაწილს, რომელიც წარმოიშობა ასეთი აქტივის/მოძრავი ქონების გაყოფის შედეგად. („მოძრავი ქონება“). გირავნობის საგნის დეტალური ჩამონათვალი/აღწერილობა მოცემულია „გირავნობის ხელშეკრულებაში“. პირველი რიგის გირავნობა თავისთავში გულისხმობს „ობლიგაციონერების“ უფლებას, სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილონ მოთხოვნა ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული “დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას. აღსრულების შემთხვევაში, „მოძრავი ქონების“ რეალიზაციით მიღებულ თანხა განაწილდება „ობლიგაციონერებს“ შორის „ემიტენტის“ მიმართ თითოეული მათგანის მოთხოვნის პროპორციულად.

რაც შეეხება სოლიდარულ თავდებობას, „გარანტორები“ პასუხისმგებლები არიან „ობლიგაციონერთა“ წინაშე „ემიტენტის“ ვალდებულებების შესრულებაზე, სრულად, მათ საკუთრებაში არსებული ქონების ფარგლებში (და არა მხოლოდ „უზრუნველყოფის საგნად“ გამოყენებული აქტივების ფარგლებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი „თავდებობის ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ასევე, მე-10 პირობის *(„დეფოლტის შემთხვევა“)* შესაბამისად, „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას, „თავდებობის ხელშეკრულება“ „ობლიგაციონერებს“ ანიჭებს უფლებას, თითოეულ ან ყველა „გარანტორს“ წაუყენონ მოთხოვნა „ემიტანტის“ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, ამ პროსპექტის მე-12 პირობაში (*„აღსრულება“*) დადგენილი წესით. „გარანტორები“ სრულად აგებენ პასუხს „ემიტენტის“ მიერ „უზრუნველყოფილი ვალდებულებების“ შესრულებაზე მაქსიმალური ოდენობით, რაც შეადგენს „ობლიგაციების“ ძირი თანხისა, დარიცხული მაგრამ გადაუხდელი კუპონის და ერთი წლის კუპონის ჯამს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუმეტეს 420,000,000 (ოთხას ოცი მილიონი) ლარის ოდენობით.

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, თავდებობის ხელშეკრულების გაფორმება, იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება, გირავნობის ხელშეკრულების გაფორმება, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება

(a) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების („მანდატის წერილი“) საფუძველზე ახორციელებს „განთავსების აგენტ(ებ)ი“ (როგორც ეს განსაზღვრულია „პროსპექტით“). საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტ(ებ)ს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული „ემისიის პროსპექტი“ გაუგზავნონ პოტენციურ ინვესტორებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პოტენციური ინვესტორების კატეგორია, რომლებისთვისაც შესაძლებელია „ობლიგაციების“ შეთავაზება, შეზღუდული არ არის. „ემიტენტი“, „განთავსების აგენტ(ებ)ი“ ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი/შუამავლები პოტენციურ ინვესტორებს მათი სურვილის შესაბამისად მიაწვდიან „პროსპექტის“ ელექტრონულ ბმულს, მის დასკანერებულ ვარიანტს ან „პროსპექტის“ დაბეჭდილ ასლს. „საბოლოო პროსპექტი“ პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდებათ საჯაროდ შეთავაზებული „ობლიგაციების“ გაყიდვის დაწყებამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში. აგრეთვე, „საბოლოო პროსპექტი“ უნდა მოიცავდეს საბოლოო საპროცენტო განაკვეთს (კუპონს), რომელიც

დადგინდება საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების („Book-building“-ის) პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტ(ებ)ისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიწოდებით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ან „განთავსების აგენტ(ებ)ისათვის“ მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმით. „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხად(ებ)ის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად განსაზღვრავენ „განთავსების აგენტები“. თუ განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღს დაემთხვა დასვენების დღე, ამგვარი დღის წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციის“ შეთავაზება ხორციელდება ლარში დენომინირებულ სასესხო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით დაინტერესებულ ინვესტორთა წრისთვის.

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). ასეთი საბოლოო საპროცენტო განაკვეთი (კუპონი) შედის დამტკიცებული „წინასწარი პროსპექტით“ გათვალისწინებულ საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონში და ასახულია „საბოლოო პროსპექტში“. ამასთან, წინასწარი „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ „საბოლოო პროსპექტში“ ასახვას.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე, ვიდრე წინამდებარე „პროსპექტით“ არის შეთავაზებული, განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განცხადებებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, „ემიტენტის“ დისკრეციული გადაწყვეტილებისამებრ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობაზე ან გააგრძელოს მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე „განთავსების აგენტ(ებ)ს“ უნდა ეცნობოს არაუგვიანეს იმ დღის მომდევნო „სამუშაო დღის“ 14:00 საათამდე (თბილისის დროით), როდესაც ინვესტორს აცნობეს მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, „განთავსების აგენტ(ებ)ი“ უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის თავდაპირველი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ ოდენობაზე) ან უარი განაცხადოს მასზე.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტები“ აცხადებენ შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდიან შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნეს „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და „ობლიგაციების“ ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციურ ინვესტორის განაცხადი. ამგვარი შეტყობინების მიღებამდე და ინვესტორის მიერ მისთვის დაკმაყოფილებული განაცხადის დადასტურებამდე, ინვესტორს არ აქვს შესაძლებლობა დაიწყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა და რომლებიც დადასტურებულია ინვესტორების მიერ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად (შემდგომში „**ხელმომწერი ინვესტორები**“),

აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“. „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტები“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით). დეტალები იხ. “პირობების” 2(ე) ქვეპუნქტში.

„ობლიგაციების“ განთავსების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ „პირობების“ ქვეთავი სახელწოდებით „განთავსება“.

„ემიტენტისთვის“ ჯერჯერობით არ არის ცნობილი მიიღებს თუ არა შეთავაზებაში მონაწილეობას „ემიტენტის“ მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). ასევე, „ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია ამ ქვეპუნქტის პირველი წინადადებით განსაზღვრული რომელიმე პირის შესახებ, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 (ხუთი) პროცენტზე მეტი. ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ემიტენტის“ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებზე ან/და „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული „ემიტენტის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის შემთხვევაში გადახდილი ნამეტი ინახება განმცხადებლის საბროკერო ანგარიშზე. ამ თანხის დაბრუნება ხდება „განთავსების აგენტების“ სტანდარტული პროცედურით.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) საფუძველზე დადგენილი შეთავაზების საბოლოო პირობები გასაჯაროვდება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ მეშვეობით, რომელიც დამტკიცდება ეროვნული ბანკის მიერ და წარმოადგენს „საბოლოო პროსპექტის“ განუყოფელ ნაწილს.

„ხელმომწერი ინვესტორები“, გარდა იმ ხელმომწერი ინვესტორებისა, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს (როგორც ეს განსაზღვრულია „საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სიით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 თებერვლის N198 დადგენილებით), ვალდებულნი არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვებისა და განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე. ის ხელმომწერი ინვესტორები, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, უფლებამოსილნი არიან შესაბამისი რაოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხა განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღზე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღზე“. „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნეს განთავსების აგენტთან, როგორც „ანგარიშის მწარმოებელთან“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ, „ტერმინთა განმარტებებში“). ობლიგაციების მიწოდება „ხელმომწერი ინვესტორისათვის“ ხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე. ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ჩანაწერის სახით.

გამონაკლის შემთხვევებში, „განთავსების აგენტ(ებ)ს“ შეუძლია, საკუთარი დისკრეციის ფრაგლებში, დაუშვას, რომ „ხელმომწერმა ინვესტორმა“ „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხები განათავსოს „ემიტენტის“ ანგარიშზე, რომელიც გახსნილია შესაბამის „განთავსების აგენტთან“ (და არა „ხელმომწერი

ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშზე იმავე „განთავსების აგენტთან“). „ობლიგაციები“ მიეწოდება „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე, რომელიც გახსნილია „დეპოზიტარში“ ან შესაბამის უფლებამოსილ „ანგარიშის მწარმოებელთან“.

(b) შესყიდვა სტრატეგიული ინვესტორის მიერ

წინამდებარე „პროსპექტის” მომზადებისას „ემიტენტი“ მოლაპარაკებას აწარმოებს ზოგერთ განვითარების ფინანსურ ინსტიტუტთან და მრავალმხრივი განვითარების ბანკთან (ერთობლივად - „საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები“, „სფი“) ჩარჩო (საინვესტიციო) ხელშეკრულების დასადებად, რომლის თანახმადაც თითოეულმა „სფი“-მ შესაძლოა შეიძინოს „ობლიგაციები“ შიდა ნებართვებისა და თითოეულ ჩარჩო ხელშეკრულებაში მოცემული გარკვეული პირობების გათვალისწინებით. სხვა საკითხებს შორის, ჩარჩო ხელშეკრულება შეიცავს „ემიტენტის“ ვალდებულებას, დაიცვას „სფი“-ს პოლიტიკის მოთხოვნები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხებთან, სანქციებთან, ფულის გათეთრების, კორუფციისა და თაღლითობის აღკვეთასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჩარჩო (საინვესტიციო) ხელშეკრულებები შესაძლოა გაფორმდეს, არცერთი ზემოხსენებული „სფი“ არ კისრულობს ვალდებულებას, შეიძინოს რომელიმე „ობლიგაცია“. „შესაბამისად, ობლიგაციების“ შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ან „ობლიგაციების“ შეძენისას, პოტენციურმა ინვესტორები არ უნდა დაეყრდნონ და მხედველობაში არ უნდა მიიღონ ზემოხსენებული „სფი“-ს მიერ „ობლიგაციებში“ინვესტიციის შესახებ ინტერესის გამოხატვა ან შესაძლო ინვესტიცია

წინამდებარე „პროსპექტის“ მომზადებისას, აღნიშნული სტრატეგიული ინვესტორი „სფი“-ებს წარმოადგენენ:

- International Finance Corporation (IFC)
- Asian Infrastructure Investment Bank (AIIB)

(c) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში („შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ დამტკიცებიდან „პროსპექტის“ მოქმედების ვადის დასრულებამდე) „ემიტენტი“ გადაწყვეტს, შეცვალოს „ობლიგაციების“ შესახებ ინფორმაცია, მან უნდა მიიღოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოქმედი რეგულაციებით დადგენილი აუცილებელი ზომები.

(d) იპოთეკის, გირავნობის და თავდებობის ხელშეკრულებების გაფორმება, იპოთეკის და გირავნობის რეგისტრაცია

„თავდებობის ხელშეკრულება“, „იპოთეკის ხელშეკრულება“ და „გირავნობის ხელშეკრულება“ უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული, რა დროსაც ნოტარიუსის მიერ უნდა დადასტურდეს როგორც ხელმომწერ პირთა იდენტობა, ასევე მათი უფლებამოსილებები, და რის შედეგადაც „ობლიგაციონერებს“ მიენიჭებათ შესაძლებლობა იმოქმედონ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტიანი რეალიზაციის პროცედურის განხორციელებას „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე და/ან „უზრუნველყოფის საგანზე“, თუ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“. „იპოთეკის ხელშეკრულების“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ („**საჯარო რეესტრი**“).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია, პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, გამოცხადდეს ნოტარიუსთან „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ თარიღზე და მოაწეროს ხელი „თავდებობის ხელშეკრულებას“, „გირავნობის ხელშეკრულებას“ და „იპოთეკის ხელშეკრულებას“ .

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს სათანადო წესით გაცემული და დამოწმებული უფლების დამდგენი დოკუმენტის (ამონაწერი, წესდება და ა.შ.) მეშვეობით ან/და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით („მინდობილობა“), რომლის სანოტარო აქტიც ადასტურებს არა მხოლოდ „მინდობილობის“ გამცემის ვინაობას, არამედ (თუ ეს შესაძლებელია იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომლის შესაბამისადაც გაიცემა მინდობილობა) „ობლიგაციონერების“ სანაცვლოდ ხელის მოწერის უფლებამოსილებას. თუკი „მინდობილობა“ გაცემულია საზღვარგარეთ, ის ან უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული (თუ აღნიშნული ქვეყანა წარმოადგენს „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის კონვენციის წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოს) ან ლეგალიზებული იქ მდებარე საქართველოს საკონსულოს მიერ. დოკუმენტების ორიგინალი ვერსიები მიეწოდება „ემიტენტსა“ და „განთავსების აგენტ(ებ)ს“ და აღნიშნული დოკუმენტების სათანადო წესით წარდგენა წარმოადგენს შესაბამისი „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ შესაბამისი ობლიგაციონერის მიერ ხელმოწერის წინაპირობას.

„იპოთეკის ხელშეკრულება“, „გირავნობის ხელშეკრულება“ და „თავდებობის ხელშეკრულება“ გაფორმებული იქნება „ემიტენტის“ მიერ წინასწარ განსაზღვრულ თარიღში, რაზეც „თავდაპირველ ობლიგაციონერს“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) ეცნობება „პირობების“ მე-14 მუხლით (*„შეტყობინებები“*) გათვალისწინებული წესის დაცვით. ამასთან, „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ „იპოთეკის ხელშეკრულება“, „გირავნობის ხელშეკრულება“ და „თავდებობის ხელშეკრულება“ გაფორმებული იქნას გონივრულ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს გამოშვებული „ობლიგაციების“ „თავდაპირველ ობლიგაციონერებზე“ სრულად განთავსებიდან 60 „სამუშაო დღის“ ვადაში. „თავდებობის ხელშეკრულება“, „იპოთეკის ხელშეკრულება“ და „გირავნობის ხელშეკრულება“ უნდა გაფორმდეს ერთდროულად (ერთსა და იმავე დღეს). „ემიტენტის“ იმ არსებული საბანკო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, რომლის რეფინანსირებაც დაგეგმილია ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა სახსრებით, „უზრუნველყოფის საგანზე“ მესამე პირების სასარგებლოდ რეგისტრირებულია პირველი რიგის გირავნობის და იპოთეკის უფლებები. „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ გაფორმების წინაპირობას წარმოადგენს „უზრუნველყოფის საგანზე“ აღნიშნული პირველი რიგის გირავნობის და იპოთეკის უფლებების გაუქმება. „ემიტენტი“ გონივრულ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს გამოშვებული „ობლიგაციების“ „თავდაპირველ ობლიგაციონერებზე“ სრულად განთავსებიდან [50] „სამუშაო დღის“ ვადაში, უზრუნველყოფს „უზრუნველყოფის საგანზე“ მესამე პირების სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის და გირავნობის უფლებების სრულად გაუქმებას.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ (1) რომელიმე „თავდაპირველი ობლიგაციონერი“/მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდება ან/და სხვა მიზეზის გამო ვერ განხორციელდება მისი მხრიდან „იპოთეკის ხელშეკრულებაზე“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულებაზე“ ან/და „თავდებობის ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერა (მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, შეუზღუდავად, „ობლიგაციონერის“/მისი წარმომადგენლის მიერ შესაბამისი ნოტარიუსისათვის საჭირო დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის, შესაბამისი მინდობილი პირის მინდობილობის გამოხმების, გაუქმების, ვადის გასვლის ან/და სხვა ნებისმიერი მიზეზით) „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულების“ ან/და „თავდებობის ხელშეკრულების“ გასაფორმებლად „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ თარიღსა და მისამართზე, ან/და (2) საჭირო გახდა „ობლიგაციონერების“ გამოცხადება „საჯარო რეესტრში“, „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულების“ რეგისტრაციასთან/გაფორმებასთან დაკავშირებით და „თავდაპირველი ობლიგაციონერი“/მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდება ან/და სხვა მიზეზის გამო ვერ განხორციელდება მისი მხრიდან „საჯარო რეესტრში“ „იპოთეკის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე იპოთეკისა ან/და „გირავნობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე გირავნობის რეგისტრაცია, ასეთ შემთხვევებში შესაბამისი „თავდაპირველი ობლიგაციონერი“ კარგავს მოთხოვნას/უფლებას „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან/და

„გირავნობის ხელშეკრულების ან/და „თავდებობის ხელშეკრულების“ გაფორმებასთან/მიერთებასთან/მასზე გავრცელებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუკი წინამდებარე პარაგრაფში მითითებული შემთხვევების არსებობის გამო, რომელიმე „თავდაპირველი ობლიგაციონერი“ არ აწერს ხელს „იპოთეკის ხელშეკრულებას“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულებას“ ან/და „თავდებობის ხელშეკრულებას“, აღნიშნული გავლენას არ ახდენს აღნიშნული იმ „თავდაპირველ ობლიგაციონერებზე“, რომლებიც უზრუნველყოფენ/განახორციელებენ ხელმოწერას და „იპოთეკის ხელშეკრულება“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულება“ ან/და „თავდებობის ხელშეკრულება“ გავრცელდება/ძალაში შესულად მიიჩნევა მათთვის.

რაც შეეხება ინვესტორებს, რომლებიც „ობლიგაციებს“ შეიძენენ მეორად ბაზარზე (შემდგომში - „**ყოველი შემდგომი ობლიგაციონერი**“), ასეთი „ობლიგაციონერები“ „თავდებობის ხელშეკრულებას“ „ობლიგაციების“ შეძენით ავტომატურად მიუერთდებიან („ობლიგაციების“ შეძენით მათზე ავტომატურად გავრცელდება „თავდებობის ხელშეკრულებით“ დადგენილი პირობები/უფლება-მოვალეობები), „თავდებობის ხელშეკრულების“ ან/და დაკავშირებული დოკუმენტის ხელმოწერის გარეშე. იმისთვის, რომ „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერი“ გახდეს „იპოთეკის ხელშეკრულებისა“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულების“ მხარე და მასზე გავრცელდეს „იპოთეკის ხელშეკრულებიდან“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე უფლება-მოვალეობები, საჭიროა მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) ობლიგაციების მეორად ბაზარზე შეძენიდან 60 (სამოცი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმება „ყოველ შემდგომ ობლიგაციონერსა“ და იმ „ობლიგაციონერს“ შორის, რომლისგანაც „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერი“ იძენს „ობლიგაციებს“. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუკი „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერის“ სურვილს წარმოადგენს, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი მოთხოვნები იქნას უზრუნველყოფილი „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) გაფორმება აუცილებელია, თუმცა მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) გაფორმება არ წარმოადგენს პრერეკვიზიტს, „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერის“ მიერ „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების მოპოვებისთვის. ამასთან, „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულების“ მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) გაფორმება/არ გაფორმება და გაფორმებასთან დაკავშირებული პროცესების წარმართვა, ასეთის რელევანტურობის შემთხვევაში, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერისა“ და იმ „ობლიგაციონერის“ პასუხისმგებლობას, რომლისგანაც იძენს „ობლიგაციებს“ „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერი“, და არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს „ემიტენტის“ ან/და „განთავსების აგენტების“ პასუხისმგებლობას.

მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) ფორმა - როგორც „იპოთეკის ხელშეკრულებისთვის“, ისე „გირავნობის ხელშეკრულებისთვის“ - თან ერთვის წინამდებარე პროსპექტს.

ერთი მხრივ, წინამდებარე ემისიის პროსპექტსა და, მეორე მხრივ, „თავდებობის ხელშეკრულებას“ ან „იპოთეკის ხელშეკრულებას“ ან „გირავნობის ხელშეკრულებას“ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პროსპექტის დებულებებს.

ზემოაღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში, „ობლიგაციონერებს“ პირდაპირ შეუძლიათ დაუკავშირდნენ „განთავსების აგენტებს“ და „ემიტენტს“.

(e) ობლიგაციების გასხვისება

ობლიგაციების გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“) დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. ობლიგაციების გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად ხდება ობლიგაცი(ებ)ის დაკრედიტება „ობლიგაციონერისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე. ობლიგაციების განთავსების შემდგომ შეძლებისდაგვარად

მოკლე ვადებში, მაგრამ ობლიგაციების განთავსების დასრულებიდან ემიტენტი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ობლიგაციებით გარიგებების დადება საქართველოს საფონდო ბირჟაზე საფონდო ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჭიროებს არც „ობლიგაციონერების“ და არც „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის“ წინასწარ თანხმობას ან დამტკიცებას.

ცალკეული „ობლიგაციონერების“ მფლობელობაში არსებული „ობლიგაციების“ სრული ან ნაწილობრივი გასხვისება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გასხვისების შედეგად „ობლიგაციები“ დაკრედიტდება იმ „ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე“, რომელიც გახსნილია შესაბამისი „ობლიგაციონერისთვის“. ობლიგაციების სრულად ან ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში, „ობლიგაციების“ გამსხვისებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ „ობლიგაციების“ შემძენს ჰქონდეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ „პროსპექტი“ და „კალკულაციის აგენტის შესახებ ხელშეკრულება“ „ობლიგაციების“ განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება „ობლიგაციების“ გამსხვისებელს, „ემიტენტზე“ ან „ობლიგაციონერისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშის მწარმოებლის ნებისმიერი პასუხისმგებლობის გარეშე.

„ობლიგაციონერები“ და „ობლიგაციების“ შეძენით დაინტერესებული ინვესტორები აცნობიერებენ, რომ „ობლიგაციების“ ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში იპოთეკის და გირავნობის უფლების შემძენზე რეგისტრაციისთვის შესაძლოა „საჯარო რეესტრმა“ მოითხოვოს ცვლილების შეტანა შესაბამის ხელშეკრულებებშიც. ასეთ შემთხვევაში, სხვა „ობლიგაციონერებიც“ ვალდებულები იქნებიან გამოცხადდნენ „საჯარო რეესტრში“ ან ნოტარიუსთან, ხელი მოაწერონ „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულების“ ცვლილებას და სრულად შეასრულონ ყველა საჭირო მოთხოვნა/ფორმალობა, რომლის ხარჯების ანაზღაურებაც ეკისრება „ობლიგაციების“ გამსხვისებელს ან/და შემძენს, მათი შეთანხმების შესაბამისად. აღნიშნული უფლებამოსილების შესრულების უზრუნველსაყოფად, თითოეული „ობლიგაციონერი“, რომელიც არ არის ინსტიტუციონალური ინვესტორი (საცალო ობლიგაციონერი) მინდობილობას გასცემს „იპოთეკის ხელშეკრულების“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ ხელმოწერასთან ერთად „ობლიგაციონერების წარმომადგენელზე“ და უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული მინდობილობა (რომელიც „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ უფლებამოსილებას მიანიჭებს ხელი მოაწეროს „იპოთეკის ხელშეკრულების“/“გირავნობის ხელშეკრულების“ ისეთ ცვლილებას, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების მხარეების ცვლილებას) ძალაში იქნება ობლიგაციების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე.

ინსტიტუციონალური ინვესტორები იმავე სახის მინდობილობას გასცემენ მათ სამართლებრივ მრჩეველზე და უზრუნველყოფენ, რომ ასეთი მინდობილი პირი მუდმივად იქნება ხელმისაწვდომი საქართველოში.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ გასხვისების შემთხვევაში, საჭირო გახდა გასხვისების მომენტისათვის არსებული სხვა „ობლიგაციონერების“ გამოცხადება და იპოთეკის და/ან გირავნობის ხელშეკრულების ცვლილებაზე ხელმოწერა და რომელიმე „ობლიგაციონერი“ ვერ უზრუნველყოფს მისი წარმომადგენლის გამოცხადებას შესაბამისი მინდობილობის გამოხმობის, ვადის გასვლის ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, ასეთ „ობლიგაციონერს“ დაერიცხება ჯარიმა მის საკუთრებაში არსებული „ობლიგაციაზე“ დარიცხული კუპონის0.05%ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და „ემიტენტი“ უფლებამოსილი იქნება აღნიშნული საჯარიმო თანხა დააკავოს წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გადასახდელი თანხებიდან.

„ობლიგაციები“ შესაძლოა გასხვისდეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის“ შესაბამისად). „ობლიგაციების“ საკუთრების უფლების გადაცემა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი გასხვისების შედეგად ხდება ობლიგაცი(ებ)ის დაკრედიტება „ობლიგაციონერისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „იპოთეკის ხელშეკრულების“ ან/და „გირავნობის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) გაფორმება არ წარმოადგენს „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების რეგისტრაციის წინაპირობას, არამედ ეს უკანასკნელი არის „გირავნობის ხელშეკრულების“ და „იპოთეკის ხელშეკრულებით“ განსაზღვრული უფლებების წარმოშობის წინაპირობა.

(f) ფასის და დასარიცხი პროცენტის (კუპონის) დადგენა

პოტენციური ინვესტორებისათვის შეთავაზების საბოლოო მოცულობა დგინდება „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) „ობლიგაციების“ „პირობების“ 2(ა) ქვექვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

(g) განთავსება

„ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტები“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით” „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის დასრულების დღის ჩათვლით). „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება მოხდება „გადავადებული განთავსების ფასით“. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით გამოსაშვები „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით „განთავსების აგენტთან“. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტების“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

„ხელმომწერი ინვესტორები“ და ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდიან „ობლიგაციებს“ „გადავადებული განთავსების თარიღზე“ (შემდგომში ერთობლივად „**ინვესტორები**“),გარდა იმ ხელმომწერი ინვესტორებისა, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს (როგორც ეს განსაზღვრულია „საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სიით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 თებერვლის №198 დადგენილებით“), ვალდებულნი არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე. ის ხელმომწერი ინვესტორები, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, უფლებამოსილნი არიან შესაბამისი რაოდენობის

„ობლიგაციების“ შესასყიდი თანხა განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღზე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღზე“. „ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნეს „განთავსების აგენტებთან“. ობლიგაციების მიწოდება „ინვესტორისათვის“ მოხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმომწერ ინვესტორთა“ ან/და პოტენციურ „ინვესტორის“ ანგარიშზე. გამონაკლის შემთხვევებში, „განთავსების აგენტ(ებ)ს“ შეუძლია, საკუთარი დისკრეციის ფრაგლებში, დაუშვას, რომ „ხელმომწერმა ინვესტორმა“ „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხები განათავსოს „ემიტენტის“ ანგარიშზე, რომელიც გახსნილია შესაბამის „განთავსების აგენტთან“ (და არა „ხელმომწერი ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშზე იმავე „განთავსების აგენტთან“). „ობლიგაციები“ მიეწოდება „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე, რომელიც გახსნილია „დეპოზიტარში“ ან შესაბამის უფლებამოსილ „ანგარიშის მწარმოებელთან“.

ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ჩანაწერის სახით.

„ემიტენტი“ არ მოახდენს წინამდებარე „პროსპექტში“ აღწერილი შეთავაზებით გათვალისწინებული „ობლიგაციების“ გამოშვებას ან/და გააუქმებს ყველა გამოშვებულ „ობლიგაციას“ (თუ კი ასეთი იარსებებს) „ობლიგაციონერებისათვის“ „ობლიგაციების“ შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებით, თუ “გამოშვების თარიღზე” არ მოხდება განთავსების მინიმალური ოდენობის განთავსება, როგორც ეს განსაზღვრულია შეთავაზების პირობების დოკუმენტში.

თუ „საბოლოო პროსპექტით” გათვალისწინებული „ობლიგაციების“ სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული შეთავაზების დასრულების თარიღზე, განუთავსებელი „ობლიგაციები“ ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება) და „ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს, საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე და აგრეთვე გამოაცხადებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

(h) ფასიანი ქაღალდების დაშვება საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ, „ემიტენტი“ მიმართავს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე.

3. სტატუსი

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „ემიტენტის“ სოლიდარული თავდებობით და „უძრავი ქონების მესაკუთრეების“ საკუთრებაში არსებული „უძრავი ქონების“ იპოთეკით და „მოძრავი ქონების მესაკუთრეების“ საკუთრებაში არსებული „მოძრავი ქონების“ გირავნობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „ემიტენტის“ ყველა სხვა უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას, იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ უზრუნველყოფილი იქნება პირველი რიგის იპოთეკით „იპოთეკის ხელშეკრულების“ შესაბამისად და პირველი რიგის გირავნობით „გირავნობის ხელშეკრულების“ შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ დროს, „ობლიგაციების“ ფარგლებში „ობლიგაციონერების“ მიერ „ემიტენტის“ მიმართ წარდგენილი მოთხოვნები გადახდის პრიორიტეტის რიგითობით სარგებლობს უპირატესობით შესაბამისი იპოთეკისა და გირავნობის რიგითობიდან გამომდინარე, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც გამომდინარეობს კანონმდებლობის იმპერატიიული ნორმებიდან.

4. „ობლიგაციონერთა“ მიერ მიერ წარმომადგენლის დანიშვნა:

(I) „ობლიგაციების“ შეძენით (იქნება ეს თავდაპირველი „ობლიგაციონერის“ მიერ, თუ ამ უკანასკნელისგან „ობლიგაციების“ შემძენი/მიმღები), თითოეული „ობლიგაციონერი“ ან/და შესაბამისი

„ანგარიშის მწარმოებლის“ ავტომატურად ნიშნავს „ობლიგაციონერთა წარმომადგენელს“ მის წარმომადგენლად „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებზეც ვრცელდება მე-5 პირობა და შესაბამისი შეთანხმება (გარდა „ობლიგაციების“ ვადამოსულად და გადასახდელად გამოცხადებისა, მე-10 პირობის *(„დეფოლტის შემთხვევა“)* შესაბამისად და აღსრულების პროცესის დაწყებისა). ამასთან, ისინი უფლებასილებას ანიჭებენ წარმომადგენელს, იმოქმედოს მათი სახელით ნებისმიერ სამართალწარმოებაში, რომელიც დაკავშირებულია ასეთი „ობლიგაციონერი“ ან/და შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებლის“ მფლობელობაში/მართვაში მყოფ „ობლიგაციებთან“, წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი თანხმობა კონკრეტულად არის მოთხოვნილი ამ „პირობებით“, შესაბამისი „ხელშეკრულებით“ ან გამოსაყენებელი კანონმდებლობით.

(II) თითოეული „ობლიგაციონერი“ ან/და შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებელი“ ვალდებულია მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ მიაწოდოს „ობლიგაციონერთა წარმომადგენელს“ ნებისმიერი ისეთი დოკუმენტი, მათ შორის წერილობითი „მინდობილობა“ („ობლიგაციონერთა წარმომადგენლისთვის“ მისაღები ფორმითა და შინაარსით), რომელიც „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის“ შეხედულებით საჭიროა მისი უფლებების განხორციელებისთვის, ვალდებულებების შესრულებისთვის ან/და „პირობების“, „ხელშეკრულების“, „თავდებობის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და „იპოთეკის ხელშეკრულების“ შესაბამისად „ობლიგაციონერთა“ ინტერესების დასაცავად (გარდა „დეფოლტის“ დადგენისა (მე-10 პირობის შესაბამისდ) და აღსრულების პროცესის დაწყებისა). „ობლიგაციონერთა წარმომადგენელს“ არ ეკისრება ვალდებულება წარმოადგინოს ისეთი „ობლიგაციონერის“ ინტერესები, რომელიც თავად ან რომლის „ანგარიშის მწარმოებელიც“ არ უზრუნველყოფემ შესაბამიის დოკუმენტების წარდგენას.

(III) „ობლიგაციონერებს“ (ან მათი სახელით მოქმედ „ანგარიშის მწარმოებლებს“) უფლება აქვთ, , უშუალოდ იმოქმედონ „ემიტენტის“. „გარანტორების“, „მოძრავი ქონების მესაკუთრეების“ და „უძრავი ქონების მესაკუთრეების“ წინააღმდეგ, მხოლოდ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ეს არ ახდენს გავლენას და არ აუქმებს „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის“ შესაძლებლობას, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად და გასცეს თანხმობა/უარი წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ „დეფოლტის“ დადგომის შემთხვევაში „ობლიგაციონერთა წარმომადგენელი“ იმოქმედებს მხოლოდ „რიგგარეშე რეზოლუციის“ საფუძველზე და მისთვის მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში (ასეთი არსებობის შემთხვევაში).

5. ვალდებულებები:

(ა) უზრუნველყოფის ღონისძიების“ წარმოშობის შეზღუდვა:

„ობლიგაციების“ „დაფარვამდე“ „ემიტენტმა“ არ უნდა მოახდინოს მის რომელიმე აქტივზე და არ უნდა დაუშვას, რომ მისმა რომელიმე „შვილობილმა“ მოახდინონ (i) მათ რომელიმე არსებულ ან სამომავლო აქტივზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე „უზრუნველყოფის ღონისძიების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა ან არსებობა (გარდა „ნებადართული უზრუნველყოფისა“) რაიმე „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად, გარდა იმ შემთხვევასა, თუ „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ვალდებულებებს ამასთანავე გააჩნიათ ამგვარი სხვა „ვალდებულების“ სულ მცირე თანაბარი უზრუნველყოფები, ან ასეთი უზრუნველყოფა ხელსაყრელია ან სხვაგვარად არიან უზრუნველყოფილნი სხვა უზრუნველყოფის საშუალებებით და პირობებით, რაც დამაკმაყოფილებელია „ობლიგაციონერთა წარმომადგენლებისთვის“ ან დამტკიცებულია „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“, და (ii) პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე „უზრუნველყოფის ღონისძიების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა ან არსებობა

„უზრუნველყოფის საგანზე“ ნებისმიერი პირის სასარგებლოდ, გარდა „ობლიგაციონერებისა“ (ეს შეზღუდვა არ ვრცელდება „გამოშვების თარიღზე“ „უზრუნველყოფის საგანზე“ არსებულ იმ „უზუნველყოფის ღონისძიებებზე“, რომლებიც გაუქმდება და რომელთა შეწყვეტის დარეგისტრირდებაც განხორციელდება „გამოშვების თარიღიდან“ არაუგვიანეს 50 სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს „გირავნობის ხელშეკრულების“ და „იპოთეკის ხელშეკრულების“ გაფორმების თარიღისა).

(ზ) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა

(I) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ყველა „მნიშვნელოვანი შვილობილი“ მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი და მათი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირების, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტით („შერწყმა“) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა და აგრეთვე ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა და უფლებამოსილება, რაც აუცილებელია მისი (მათი) საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

(II) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა, ლიცენზია და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურების განხორციელება, რაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა „ობლიგაციებით“, „ხელშეკრულებით“, „იპოთეკის ხელშეკრულებით“, „გირავნობის ხელშეკრულებით“ და „თავდებობის ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების კანონიერად შესრულებისათვის და საქართველოში „ობლიგაციების“, „ხელშეკრულების“, „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულებისა“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ ნამდვილობის, აღსრულებადობისა და მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) შერწყმა:

(I) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 67%-ს (სამოცდაშვიდი პროცენტს), არ განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის, რაც არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა,

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

(i) ზემოხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

a. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი“ ან ქონების ან აქტივების მიმღები (შემდგომში „**სამართალმემკვიდრე**“) არის კვლავ „ემიტენტი“, ან, თუ „სამართალმემკვიდრე“ არ არის „ემიტენტი“, მაშინ ეს „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად იკისრებს „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებიდან“, „იპოთეკის ხელშეკრულებიდან“, „გირავნობის ხელშეკრულებიდან“ და „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე

ყველა არსებით უფლებასა და ვალდებულებას იმ ფორმითა და შინაარსით, რომელიც მისაღებია „ობლიგაციონერთა წარმომადგენლისთვის“, სათანადოდ გაფორმებული და გადაცემული „ობლიგაციონერთა წარმომადგენლისთვის“; და

b. „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „ემიტენტი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს „ემიტენტის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს.

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

(II) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 67%-ს (სამოცდაშვიდი პროცენტს), „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ზემოთხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

a. „მნიშვნელოვანი შვილობილი“ არის „სამართალმემკვიდრე“; ან

b. „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის “მნიშვნელოვანი შვილობილი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

(III) მიუხედავად ზემოთქმულისა, „ემიტენტი“, ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ ან 100%-იანი „შვილობილი“ უფლებამოსილია, მხოლოდ შიდა სტრუქტურული რეორგანიზაციის მიზნით, „ემიტენთან“, „მნიშვნელოვან შვილობილთან“ ან „შვილობილთან“ (რომელიც ამ პუნქტში აღწერილი ტრანზაქციის შედეგად ჩაითვლება „მნიშვნელოვან შვილობილად“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისთვის) მოახდინოს კონსოლიდირება ან შერწყმა (რეორგანიზაციის ნებისმიერი ფორმით) ან მოახდინოს შიდა სტრუქტურული რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სამართალმემკვიდრე (შემძენი ან ახლად დაფუძნებული საზოგადოება) სუბიექტი, რომელიც არ წარმოადგენს „ემიტენტს“, „მნიშვნელოვან შვილობილს“, არსებულ „გარანტორს“, იპოთეკარს, ან დამგირავებელს „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ ან „თავდებობის

ხელშეკრულების“ შესაბამისად, ამგვარი სამართალმემკვიდრე ვალდებული იქნება იკისროს ყველა ის ვალდებულება, რომელიც რეოგანიზაცია განცდილ სუბიექტს ეკისრებოდა „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და/ან „თავდებობის ხელშეკრულების“ შესაბამისად, კონტექსტის შესაბამისად.

(IV) ზემოთქმულისა, წინამდებარე 5(გ)(I) და 5(გ)(II) ქვეპუნქტები არ შეეხება (i) ტრანზაქციებს „ემიტენტსა“ და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის, (ii) მისი ქონების ლიზინგით გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარად განკარგვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ან (iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა არცერთ კალენდალურ წელს ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 5-ს (ხუთ პროცენტს).

(დ) გასხვისება:

(I) მიუხედავად წინამდებარე „პირობებში“ რაიმე საპირისპიროს არსებობისა „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც შესაძლებელია მიღებული იქნეს „ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით“, „ემიტენტი“ არ დაუშვებს და უზურნველყოფს, რომ:

(i) არ დაუშვებს “უძრავი ქონების მესაკუთრეების” მიერ, იპოთეკას დაქვემდებარებული აქტივების მთლიანად ან ნაწილობრივ გაყიდვას, გადაცემას ან სხვაგვარად გასხვისებას;

(ii) არ დაუშვებს “მოძრავი ქონების მესაკუთრეების” მიერ, გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების მთლიანად ან ნაწილობრივ გაყიდვას, გადაცემას, გასხვისებას, ან სხვაგვარად განკარგვას ნებისმიერ პირზე , გარდა (ა) “ემიტენტისა” ან “მოძრავი ქონების მესაკუთრისა” და (ბ) იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება აქტივის ჩანაცვლება, იმ პირობით, რომ ახალი აქტივი კლასით, ფასითა და ხარისხით აღემატება ან არ ჩამოუვარდება ჩანაცვლებულ აქტივს და ამგვარი ახალი აქტივის მესაკუთრეს წარმოადგენს “ემიტენტი” ან “მოძრავი ქონების მესაკუთრე” და ეს აქტივები დაგირავდება “ობლიგაციონერების” სასარგებლოდ “გირავნობის ხელშეკრულებისა” და მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად.

(iii) ყოველგვარი გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად და წინამდებარე „პირობებში“ რაიმე საპირისპიროს არსებობისა, ნებისმიერი “უძრავი ქონების მესაკუთრე” და/ან ნებისმიერი “უძრავი ქონების მესაკუთრე” უფლებამოსილია, თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და გაშლილი მკლავის პრინციპით, გააფორმოს იჯარის ხელშეკრულებები და გადასცეს „უზრუნველყოფის საგანი“ იჯარით, იმ პირობით, რომ ასეთი იჯარის ხელშეკრულება უნდა წარმოადგენდეს საოპერაციო იჯარას IFRS 16-ის (ან მისი შემცვლელი სტანდარტის) შესაბამისად და არ უნდა წარმოადგენდეს და არც უნდა გადაკვალიფიცირდეს ფინანსურ იჯარად IFRS 16-ის (ან მისი შემცვლელი სტანდარტის) შესაბამისად. ყოველგვარი გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, წინამდებარ პირობა უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ იჯარის ხელშეკრულებამ არ უნდა გამოიწვიოს იჯარით გაცემული ქონების მეიჯარის (გამქირავებლის) საბალანსო უწყისიდან ამოვარდნა და ქონების გადაკვალიფიცირება ერთი სახეობიდან (ძირითადიი საშუალებიდან) ლიზინგის მოთხოვნაში.

(II) მიუხედავად წინამდებარე „პირობებში“ რაიმე საპირისპიროს არსებობისა, მაგრამ „პირობების“ 5(დ)(I) ქვეპუნქტით განსაზღვრული შეზღუდვის გათვალისწინებით, „ემიტენტი“, არც თავად და არც რომელიმე მისი „შვილობილის“ საშუალებით, არ არის უფლებამოსილი გაყიდოს, გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს თავისი აქტივები ან შემოსავლები (გარდა 5(დ) პირობით გათვალისწინებული შემთხვევისა), მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული

ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით სხვა რომელიმე „პირზე“, გარდა „ემიტენტისა” ან მისი „შვილობილისა“.

აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც:

(d.1) ყველა ასეთი ტრანზაქცია ხორციელდება „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და საბაზრო პირობებით; და

(d.2) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან ან/და ტრანზაქციათა ერთობლიობასთან მიმართებით, როდესაც ჯამურად ხდება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების ან შემოსავლების 10%-ზე (ათ პროცენტზე) მეტის გასხვისება, „ემიტენტი“ ვალდებულია ობლიგაციონერებს მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ ტრანზაქცია განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“; და

(d.3) იმ ანაზღაურების არანაკლებ 75% (სამოცდახუთი პროცენტი), რომელიც მიღებულია „ემიტენტის“ ან მისი შესაბამისი „შვილობილი კომპანიის“ მიერ, არის ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების სახით; ან

(d.4) იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია მხოლოდ წინამდებარე 5(დ)(II) პირობის (დ.1) და (დ.2) დებულებები, ნებისმიერ ასეთ ტრანზაქციასთან მიმართებით, „ემიტენტი“ მოიპოვებს იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლის“) წინასწარ წერილობით თანხმობას, რომლებიც ინდივიდუალურად ან ერთობლივად ფლობენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 67%-ს (სამოცდაშვიდ პროცენტს).

(III) ამავდროულად, წინამდებარე 5(დ) (II) პირობა არ შეეხება შემდეგს:

(i) ტრანზაქციებს „ემიტენტსა“ და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის;

(ii) „ემიტენტის“ ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში ქონების ლიზინგით გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარ განკარგვას;

(iii), ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებულ დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ფინანსირების საგანს, ყველა იმ აქტივების ან შემოსავლების ღირებულებასთან ერთად, დროის არც ერთ მონაკვეთში და არცერთ კალენდარულ წელს ჯამურად არ აღემატება „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 5%-ს (ხუთ პროცენტს), რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით;

(iv) ზედიზედ 3 (სამი) კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული ნებისმიერი გასხვისების გარიგებ(ებ) მიღებული წმინდა შემოსავალი ჯამურად არ აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს).

(IV) 5(დ)(II) და 5(დ)(III) პუნქტების მიუხედავად, ნებისმიერი გასხვისების გარიგებ(ებ)იდან მიღებული წმინდა შემოსავლის 100%, ასეთი გასხვისების გარიგებ(ებ)ის განხორციელებიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში, მოხმარდება მხოლოდ ერთ ან მეტ ქვემოთ განსაზღვრულ მიზანს:

(i) „კომპანიის“ ძირითად ოპერაციებში რეინვესტირება; ან

(ii) ნაღდ ფულში და ნაღდ ფულთან გათანაბრებულ აქტივებში ინვესტირება; ან

(iii) „ობლიგაციონერებისთვის” მათ სახელზე არსებული ფასიანი ქაღალდების პროპორციულად „ობლიგაციები”-ს არასავალდებულო გამოსყიდვის სატენდერო შეთავაზება შეთავაზების თარიღზე საბაზრო ფასად, რომელსაც დაემატება დარიცხური და გადაუხდელი პროცენტი.

(ე) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები

(I) არც „ემიტენტი“ და არც მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განახორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შეძენა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში „**აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია**“), მათ შორის, სესხების გაცემას/მიღებას, ინვესტიციებს და მსგავს აქტივობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) აკმაყოფილებს „გაშლილი ხელის“ პრინციპს და არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისთვის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არიან „ემიტენტთან“ ან მის „მნიშვნელოვან შვილობილთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“.

(II) იმ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება ნებისმიერ 12 თვიან პერიოდში აღემატება 8 მილიონ აშშ დოლარს, ან უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „კონსოლიდირებული მთლიანი აქტივების“ 2%-ს (ორ პროცენტს), რომელიც უფრო ნაკლებია, „ემიტენტმა“ ასეთი „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ განხორციელებამდე „ობლიგაციონერებს“ უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობით დასკვნა იმის თაობაზე, რომ „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია” (ან ტრანზაქციების სერია) განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და არის სამართლიანი „ემიტენტის“ ან მისი "მნიშვნელოვანი შვილობილის“ ფინანსური გადმოსახედიდან, გარემოებების გათვალისწინებით.

(III) შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად“ და ამდენად, არ ექვემდებარება (I) და (II) ქვეპუნქტებში განსაზღვრულ დათქმებს:

(i) any „ჯგუფის“ წევრის მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შეესაბამება „ჯგუფის“ წევრის წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას;

(ii) „ემიტენტსა“ და მის ”გარანტორებს” შორის განხორციელებული ტრანზაქციები;

(iii) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც „ემიტენტთან“ სხვაგვარად „აფილირებული პირები“ არ არიან;

(iv) ნებისმიერი „დამფუძნებელთა სუბორდინირებული დაფინანსება”;

(v) დროდადრო დადებული „ჰეჯირების ვალდებულებები“ კეთილსინდისიერი ჰეჯირების მიზნებისთვის და არა „ემიტენტის“ და “მნიშვნელოვანი შვილობილების“ სპეკულაციური მიზნებისთვის და ნებისმიერი „ჰეჯირების ვალდებულებების“ შეწყვეტის მიზნით;

(vi) ტრანზაქციები მომხმარებლებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, ერთობლივი საწარმოს პარტნიორებთან ან მყიდველებთან ან გამყიდველებთან ან საქონლის ან მომსახურების სხვა მიმწოდებლებთან, ან ქონების გამქირავებელთან ან მოიჯარესთან, თითოეულ შემთხვევაში ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში და სხვაგვარად „პირობების“ შესაბამისად, რომლებიც სამართლიანია „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილებისთვის“ ან დადებულია ისეთივე ხელსაყრელი პირობებით „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილებისთვის“, როგორიც შეიძლება გონივრულად ყოფილიყო მიღწეული ამ დროს არააფილირებულ მხარესთან (თითოეულ შემთხვევაში, როგორც ეს კეთილსინდისიერად არის განსაზღვრული „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ბუღალტრის ან ფინანსური ოფიცრის მიერ);

(ვ) გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები:

(b) „ემიტენტმა“ და მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ დროულად უნდა გადაიხადონ „გადასახადები“, რომელიც ეკისრებათ მათ ან დაკისრებულია მათ შემოსავალზე, მოგებაზე ან ქონებაზე, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ან მის „მნიშვნელოვან შვილობილს“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისათვის არ მოეთხოვებათ „გადასახადების“ ან მსგავსი მოთხოვნების გადახდა, თუ (ა) დაკისრებული თანხის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული შესაბამისი წესით და ამ თანხაზე შექმნილია ადეკვატური რეზერვი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ ან სხვა რელევანტური მოთხოვნების შესაბამისად, ან (ბ) ამგვარი თანხა, სხვა ასეთ დარიცხულ „გადასახადებთან“ ან სხვა მსგავს მოთხოვნებთან ერთად, არ აღემატება 3 (სამი) მილიონ აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში/ვალუტებში).

(ზ) აკრძალული გადახდები:

(I) „ემიტენტმა“ არ უნდა (და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისი თითოეული „შვილობილი“ არ): (ზ.1) გამოაცხადოს დივიდენდების გაცემა ან გასცეს დივიდენდი ნაღდი ფულით ან სხვა ფორმით, ან განახორციელოს სხვა სახის განაწილება (მათ შორის აქციების გამოსყიდვის ან შეძენის გზით), მათ შორის „დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსების“ ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დივიდენდები ან განაწილება ხორციელდება „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილის“ სასარგებლოდ (და, თუ „შვილობილი“ არ არის „ემიტენტის“ 100%-იანი შვილობილი, ასევე სხვა აქციონერთა სასარგებლოდ მათი წილის პროპორციულად); ან (ზ.2) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით შეიძინოს, გამოისყიდოს ან სხვა გზით გადაიხადოს ღირებულება „ემიტენტის“ აქციების ან სააქციო კაპიტალის სანაცვლოდ (ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, პუნქტებში (ზ.1) ან (ზ.2) აღწერილი ნებისმიერი ქმედება განიხილება როგორც „**აკრძალული გადახდა**“), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, და ამგვარი „აკრძალული გადახდების“ განხორციელება არ იწვევს იმ შედეგს, რომ „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ („ემიტენტის“ IFRS-ის შესაბამისად მომზადებული ბოლო 4 (ოთხი) სრული ფისკალური კვარტლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, გადახდის თარიღამდე უშუალოდ არსებული პერიოდისთვის, პრო-ფორმა საფუძველზე - ამ გადახდის გათვალისწინებით) გადააჭარბოს 3.0-ის 1.0-ზე თანაფარდობას:

და

ამგვარი „აკრძალული გადახდის“ და ყველა სხვა „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს შემდეგი ორი კომპონენტის ჯამს:

(a) „ემიტენტის“ „კონსოლიდირებული წმინდა მოგების“ 50% (ორმოცდაათ პროცენტს) იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2025 წლის 1-ლ იანვარს და და სრულდება უკანასკნელი განვლილი ფინანსური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს; და

(b) „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციის გამოშვების თრაიღის“ შემდეგ აქციების გამოშვებიდან ან რეალიზაციიდან და ამავე პერიოდში „ემიტენტის“ ნებისმიერი „ვალდებულების“ კაპიტალში კონვერტაციიდან ან აქციებში გაცვლიდან მიღებული წმინდა შემოსავლების 100 პროცენტს.

(II) 5 (ზ) I პირობა არ გავრცელდება:

(a) „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მიღებული შემოსავლის გამოყენებაზე ან განკარგვაზე, ან ამ თანხებით გადახდების განხორციელებას, ამ „პროსპექტის“ სექცია - „განთავსების მიზნები და შემოსავლის გამოყენება“ - მითითებული წესის შესაბამისად;

(b) ნებისმიერ გადახდაზე, რომელიც დაკავშირებულია ობლიგაციების გამოსყიდვასთან ან დაფარვასთან, „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიების“ მიერ, მათი სახელით ან მათ სასარგებლოდ;

(თ) ვალდებულება:

(I) „ემიტენტი“ არ დაუშვებს, მან (ემიტენტმა) ან რომელიმე მისმა „შვილობილმა კომპანიამ“, პირდაპირ ან ირიბად, დაიკისროს, გასცსეს, პასუხისმგებლობა აიღოს ან სხვა სახით პირდაპირ ან ირიბად, გახდეს ვალდებული (ერთობლოვად - „**დაიკისროს**“) ნებისმიერი სახის „სასესხო ვალდებულებაზე“ (მათ შორის „შეძენილი ვალი”), გარდა აღნიშნული პროსპექტით გათვალისწინებული „ობლიგაციების“ გამოშვებისა და განთავსების შედეგად წარმოშობილი „სასესხო ვალდებულებისა“, ან არ გამოუშვას არავითარი „უფლების შემზღუდველი აქციები“, ასევე არ უნდა დაუშვას, რომ მისმა რომელიმე „შვილობილმა კომპანიამ“ გამოუშვას „პრივილეგირებული აქციები“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ ბოლო 4 (ოთხი) დასრულებული ფისკალური კვარტლისთვის, რომლისთვისაც ხელმისაწვდომია IFRS-ის შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს აღნიშნული დამატებითი ვალის აღების თარიღს (პრო-ფორმა მეთოდით, ასეთი „ვალდებულების” ძალაში შესვლის შემდეგ), ნაკლებია 3.0-ის 1.0 თანაფარდობაზე ნებისმიერი მსგავსი „ვალდებულების“ დაკისრებისთვის:

(II) იმ შემთხვევაში, თუ არ დამდგარა და არ გრძელდება არცერთი „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ ან „დეფოლტის შემთხვევა“, ზემოაღნიშნული პირობა 5(თ)(I) არ ზღუდავს შემდეგი სახის „სასესხო ვალდებულების“ აღებას (ერთობლივად - „**დასაშვები ვალი**“):

(A)„ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიერ „სასესხო ვალდებულების“ აღება იმ ძირითადი თანხის საერთო მოცულობით, რომელიც ნებისმიერ დროს არ უნდა აღემატებოდეს 40 მილიონ ლარს (ან შესაბამის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში/ვალუტებში); ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ასეთი „დასაშვები ვალი“ არ ზღუდავს „აქციონერთა სუბორდინირებული სესხს“.

(B) იჯარის ვალდებულების (IFRS 16-ის შესაბამისად) ჯამურად იმ ძირი ოდენობით დაკისრება, რომელიც არცერთ ეტაპზე არ აღემატება „ემიტენტის“ ჯამური „კონსოლიდირებული მთლიანი აქტივების” ღირებულების 8%-ს.

(III) „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა ნებისმიერმა „შვილობილმა კომპანიამ“ და თავად „ემიტენტმა“ არ დადონ რაიმე სახის დერივატული გარიგება, გარდა ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში აღებული „ჰეჯირების ვალდებულებებისა” და არა სპეკულაციური მიზნით დადებული გარიგებებისა.

(თ.1) დასაშვები შეძენა

(I) „ემიტენტს“ არ აქვს უფლება შეისყიდოს ან სხვა გზით შეიძინოს ბიზნესი ან ქონება (გარდა მარაგების, მასალებისა და აღჭურვილობის შეძენისა მისი ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეძენა წარმოადგენს „დასაშვებ შეძენას“. „დასაშვები შეძენა“ ნიშნავს: „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილი კომპანიის“ მიერ ისეთი ბიზნესის ან ქონების

შეძენას, რომლის საქმიანობის ტიპი შეესაბამება „ემიტენტის“ საქმიანობის ტიპს, იმ პირობით, რომ ამგვარი „დასაშვები შეძენის“ განხორციელების შემდეგ, „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ „ემიტენტისა“ და შეძენილი ბიზნესის გათვალისწინებით, ბოლო 4 (ოთხი) დასრულებული ფისკალური კვარტლისთვის (რისთვისაც ხელმისაწვდომია IFRS-ის შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ შეძენის თარიღს), ნაკლებია 3.00ის 1.0 თანაფარდობაზე ნებისმიერი ასეთი შეძენისათვის.

(II) იმ შემთხვევაში, თუ არ დამდგარა და არ გრძელდება არცერთი „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ ან „დეფოლტის შემთხვევა“, პირობა 5(ჰ.1)(I) არ ზღუდავს ისეთი ბიზნესის ან ქონების შესყიდვას ან სხვაგვარად შეძენას, რომლის საქმიანობის ტიპი შეესაბამება „ემიტენტის“ საქმიანობას, იმ პირობით, რომ ანაზღაურების (გადახდის) ოდენობა სრულად დაფინანსებულია სუბორდინირებული დაფნანსებით. ნებისმიერი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ასეთი სუბორდინირებული დაფინანსება სრულად უნდა ექვემდებარებოდეს ობლიგაციებს გადახდისა და ლიკვიდაციის პრიორიტეტით, და ამ სუბორდინირებულ დაფინანსებაზე არ უნდა განხორციელდეს არანაირი გადახდა, სანამ ობლიგაციები არ იქნება შეუქცევადად და სრულად დაბრუნებული და დაფარული.

(III) მიუხედავად 5(თ)(I) და 5(თ)(II) პირობების დებულებებისა, სუბორდინირებული დაფინანსებით ბიზნესის შეძენა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ „ემიტენტის“ შეხედულებით ამგვარი ბიზნესი წარმოადგენს „ღირებულების შემმატებელს“. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის „ღირებულების შემმატებელი“ ნიშნავს, რომ:

i. შესაძენ ბიზნესს გააჩნია მოგება საპროცენტო ხარჯებამდე და დაბეგვრამდე (EBIT positive);

ii. „ემიტენტის“ მიერ იდენტიფიცირებულია ხარჯების ოპტიმიზაციის შესაძლებლობა, მათ შორის, დუბლირებული ხარჯების (მაგ. ადმინისტრაციული ხარჯების) აღმოფხვრა ან შესყიდვების ხარჯების შემცირება (მათ შორის, მარაგების შეძენის უფრო ხელსაყრელი პირობების მიღების გზით), რომლის შედეგადაც სავარაუდოდ მიიღწევა შესაძენი ბიზნესის მომგებიანობა საპროცენტო ხარჯებამდე და დაბეგვრმდე (EBIT positive). “ობლიგაციონერების წარმომადგენლის” მოთხოვნის შემთხვევაში, “ემიტენტი” უზრუნველყოფს მისთვის წერილობით დასკვნის და გამოთვლების წარდგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო “ემიტენტის” მიერ შესაძენი ბიზნესის “ღირებულების შემმატებლად” მიჩნევას.

(ი) ინფორმაციის გამჟღავნება:

(I) „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას:

(i) ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 მაისისა, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა“ და „ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის“ მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს და გაამჟღავნოს „ემიტენტის“ აუდირებული წლიური ანგარიშგება;

(ii) ყოველი ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 30 აგვისტოსი, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ სტანდარტებისა და „ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის“ მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს და გაამჟღავნოს განვლილი 6 (ექვსი) თვის „ემიტენტის“ არააუდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება;

(iii)

დაიცვას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობით“ და მისი საქმიანობიდან

გამომდინარე, კანონმდებლობით მოთხოვნილი სხვა მიმდინარე თუ პერიოდული საანგარიშგებო ვალდებულებები.

(II) ამ მუხლის მე-5(ი)(i) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ჩაითვლება, რომ „ემიტენტმა „ობლიგაციონერებს“ მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია, თუკი აღნიშნულ ინფორმაცია გასაჯაროვდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

(III) თუ „ობლიგაციონერები“ და „ობლიგაციონერთა წარმომადგენლები”, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) გადაუხდელი „ობლიგაციების“ 15%-ზე მეტს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მათ შეუძლიათ „ემიტენტისგან“ წერილობით მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია „ობლიგაციონერებს“ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“. წერილობით მოთხოვნა შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს „ობლიგაციონერების“ ან/და „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის, ან რამდენიმე ერთნაირი შინაარსის მქონე დოკუმენტის სახით. ამგვარი მოთხოვნა შესაძლოა ასევე მიღებულ იქნას „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების სახით.

(IV) „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, ამ მუხლის მე-5(ი)(i) ქვეპუნქტით მოთხოვნილ ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად, ასევე წარადგინოს პირობებთან (კოვენანტებთან) შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

(V) „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ შეუძლია ნებისმიერ 12 (თორმეტ) თვიან პერიოდში არაუმეტეს ერთხელ მოითხოვოს „უძრავი ქონების“ და „მოძრავი ქონების“ განახლებული შეფასებების წარმოდგენა. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ წარუდგენს უახლეს შეფასებას შედგენილს არაუადრეს 12 (თორმეტი) თვისა „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მოთხოვნის თარიღამდე, ხოლო თუ ამ პერიოდისთვის ამგვარი შეფასება არ არსებობს, უზრუნველყოფს ახალი შეფასების მომზადებას და წარდგენას „ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ მისი მოთხოვნის თარიღიდან არაუგვიანეს 1 (ერთ) თვეში, შესაბამისი უზრუნველყოფის ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

(კ) დაზღვევის შენარჩუნება:

„ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“ თავიანთი ქონება, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას, უნდა დააზღვიონ იმ მზღვეველებთან, რომლებსაც, „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიების“ შეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს დაკარგვის ან დაზიანების რისკისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მსგავსი ტიპის ქონების დაზღვევა ხორციელდება საქართველოში იმ კომპანიების მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი მდგომარეობა და ფლობენ მსგავს ქონებას.

(ლ) მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობა:
ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ იგი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილები“ ნებისმიერ დროს არსებითად შეესაბამებოდნენ მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, ხელისუფლების ორგანოების მითითებებსა და სამართლებრივ აქტებს.

(მ) საქმიანობის ცვლილება:
ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები არ შეიცვალოს ობლიგაციების „გამოშვების და განთავსების თარიღისათვის“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

(ნ) გარანტორის დაფარვის მოთხოვნა

„ემიტენტი” ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „ემიტენტი” და „გარანტორები” („ვალდებული ჯგუფი“) ერთობლივად, ინდივიდუალურ დონეზე და ჯგუფის შიდა გარიგებების გამორიცხვით, ყველა ეტაპზე შეადგენენ შემდეგი მაჩვენებლების სულ მცირე 90%-ს:

(i) ჯამური კონსოლიდირებული აქტივები;

(ii) „ემიტენტის” სულ მცირე ზედიზედ ბოლო 4 (ოთხი) კვარტლის კონსოლიდირებული EBITDA, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება IFRS-ის შესაბამისად მომზადებული უახლესი კონსოლიდირებული წლიური აუდიტირებული ან კვარტლური არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებით;

იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერ ეტაპზე აღმოჩნდება, რომ „ვალდებული ჯგუფი“ აღარ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს (ტესტს), „ემიტენტი” ვალდებულია უზრუნველყოს სხვა დამატებითი „შვილობილის” როგორც ახალი გარანტორის „თავდებობის ხელშეკრულებაზე” მიერთება/დამატება. „თავდებობის ხელშეკრულებაზე” ახალი „შვილობილის” დამატება უნდა განხორციელდეს 30 დღეში (i) იმ თარიღიდან, როდესაც „ემიტენტმა” ზემოაღნიშნული შეუსაბამობის შესახებ შეიტყო ან (ii) იმ თარიღიდან, როდესაც აღნიშნული შეუსაბამობა დაფიქსირდება შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება.

(ო) შენარჩუნების პირობა (კოვენანტი)

(A) „ემიტენტი” ვალდებულია უზრუნველყოს, რომ შეინარჩუნოს ნაღდი ფულისა და ნაღდ ფულთან გათანაბრებული აქტივების კონსოლიდირებული ბალანსის სულ მცირე შემდგომი ოდენობები ქვემოთ მოცემული შესაბამისი პერიოდებისთვის:

i. ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე: 25 მილიონი ლარი, თუ ბოლო ფინანსური ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ უდრის ან ნაკლებია 4.2-ის 1.0 თანაფარდობაზე, ხოლო თუ მეტია - 40 მილიონი ლარი;

ii. 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 30 ივნისამდე შუალედში: 25 მილიონი ლარი, თუ ბოლო ფინანსური ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ უდრის ან ნაკლებია 4.0-ის 1.0 თანაფარდობაზე, ხოლო თუ მეტია - 40 მილიონი ლარი.

iii. 2026 წლის 1 ივლისიდან 2027 წლის 30 ივნისამდე შუალედში: 25 მილიონი ლარი, თუ ბოლო ფინანსური ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ უდრის ან ნაკლებია 3.5-ის 1.0 თანაფარდობაზე, ხოლო თუ მეტია - 40 მილიონი ლარი;

iv. 2027 წლის 1 ივლისიდან 2028 წლის 30 ივნისამდე შუალედში: 30 მილიონი ლარი, თუ ბოლო ფინანსური ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ უდრის ან ნაკლებია 3.0-ის 1.0 თანაფარდობაზე, ხოლო თუ მეტია - 40 მილიონი ლარი;

v. 2028 წლის 1 ივლისიდან 2029 წლის 30 ივნისამდე შუალედში: 40 მილიონი ლარი, თუ ბოლო ფინანსური ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ უდრის ან ნაკლებია 3.0-ის 1.0 თანაფარდობაზე, ხოლო თუ მეტია - 80 მილიონი ლარი;

vi. 2029 წლის 1 ივლისიდან 2030 წლის 30 ივნისამდე შუალედში: 50 მილიონი ლარი, თუ ბოლო ფინანსური ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ უდრის ან ნაკლებია 3.0-ის 1.0 თანაფარდობაზე, ხოლო თუ მეტი - 150 მილიონი ლარი;

წინამდებარე 5(ო) პირობის მიზნებისთვის ნაღდ ფულთან გათანაბრებულ აქტივად მიიჩნევა აგრეთვე ემიტენტის ან „შვილობლის კომპანიის“ მიერ გამოსყიდული და ემიტენტის ან „შვილობილი კომპანიის“ საკუთრებაში არსებული „ობლიგაციები“ მათი ნომინალური ღირებულებით.

(B) „ემიტენტი” ვალდებულია, რომ „ობლიგაციების” ემისიის შემდგომ პირველი საანგარიშო კვარტალიდან ყოველი საანგარიშო კვარტალის ბოლო დღის მდგომარეობით, ნაღდი ფული და ნაღდ ფულთან გათანაბრებული აქტივები შეინარჩუნოს სულ მცირე იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება ან აღემატება მომდევნო 6 თვეში გადასახდელი ჯამური ფინანსური ხარჯების ოდენობას (“სასესხო ვალდებულებები”, მათ შორის “ობლიგაციებზე” გადასახდელი პროცენტი) (ცვლადი საპროცენტო ნაწილის გათვლა უნდა განხორციელდეს იმ საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რომელიც უკანასკნელად იყო ხელმისაწვდომი), ასევე მომდევნო 6 თვის განმავლობაში გადასახდელ ჯამურ ფინანსური ვალდებულებებს (IFRS 16-ის შესაბამისად).

(C) მიუხედავად 5(თ)(II) და წინამდებარე 5(ო) პირობებისა, “ემიტენტი” არ არის უფლებამოსილი აიღოს “დასაშვები ვალი” ნაღდი ფულის ან ნაღდ ფულთან გათანაბრებული აქტივების გაზრდისთვის, რათა დაკმაყოფილებული იქნეს წინამდებარე პირობით გათვალისწინებული ლიკვიდობის მინიმალური მოთხოვნა. სიცხადისთვის, და იმის გათვალისწინებით, რომ კმაყოფილდება წინამდებარე 5(ო) პირობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები, მიიჩნევა რომ „ემიტენტი“ არ არღვევს და აკმაყოფილებს წინამდებარე 5(ო) პირობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თუ შესაბამისი კვარტლის ფულადის სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში მითითებული კაპიტალური დანახარჯებისა და საბრუნავი კაპიტალის ჯამური ოდენობა ტოლია ან აღემატება იმავე კვარტალში აღებული „დასაშვები ვალის“ თანხას.

6. საპროცენტო სარგებელი

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

ყველა გადახდა განხორციელდება შესაბამისი შემთხვევის მიხედვით, „საპროცენტო სარგებლის გადახდის თარიღებზე“ ან „დაფარვის თარიღზე“ (როგორც ეს განსაზღვრულია „შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ და „სამუშაო დღის კონვენციის“ გათვალისწინებით), და შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება „ობლიგაციონერთა“ „საპროცენტო სარგებლის განსაზღვრის დღეს“. საპროცენტო სარგებელი „საპროცენტო სარგებლის“ დათვლა მოხდება „საპროცენტო პერიოდში“ (როგორც ეს ქვემოთ განმარტებულია) არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების რაოდენობის მიხედვით, 365-დღიანი წლის პრინციპით („ფაქტობრივი/365(ფიქსირებული)“).

სარგებელი დარიცხული იქნება წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ ან „გამოშვების თარიღიდან“ (შესაბამისად, ჩათვლით) და გაგრძელდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „დაფარვის თარიღამდე“ (შესაბამისად, ჩაუთვლელად), გარდა იმ შემთხვევისა, თუ არ ხდება ძირი თანხის გადახდის უსაფუძვლოდ შეჩერება ან დაკავება.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე პირობების შესაბამისად, არ იქნება 0.01 ლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ლარის ჯერად რიცხვამდე (0.011 – 0.019 ლარის დამრგვალება მოხდება ქვემოთ).

(ბ) პროცენტის გადახდა:

„ობლიგაციებზე“ შეწყდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გამოსყიდვის ვადის დადგომისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურდება, რომ არასამართლიანად ხდება „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის დაბრუნების ხელის შეშლა ან უარყოფა. ამ შემთხვევაში, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა არ შეწყდება, არამედ გაგრძელდება მანამ, სანამ (i) ფაქტობრივად მოხდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვა ან (ii) შეტყობინება გაიგზავნება „ობლიგაციონერებთან“ იმის შესახებ, რომ გამოსყიდვისთვის საჭირო თანხები გადაეცა „კალკულაციის აგენტს“ ან „დეპოზიტარს“, რომელიც ამ ორი პირობიდან უფრო ადრე მოხდება.

(გ) საპროცენტო განაკვეთი:

„ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისთვის საბაზრო განაკვეთის („საბაზრო განაკვეთი“) მაჩვენებელი იქნება „დღიური არაკუმულაციური რთული TIBR განაკვეთი“ (როგორც ქვემოთ არის განსაზღვრული) ან, თუკი აღნიშნული მეთოდით საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა არ არის შესაძლებელი, მაშინ ის განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება „კალკულაციის აგენტის“ მიერ „ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობების“ (ii) სექციის შესაბამისად (შემდგომში - „ალტერნატიული ბენჩმარკი“), „შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

„საპროცენტო პერიოდის” განმავლობაში ნებისმიერი დღისთვის, საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისათვის (უფრო კონკრეტულად, „საბაზრო განაკვეთის“ დადგენისათვის) გამოყენებული მეთოდის განურჩევლად, „საპროცენტო განაკვეთი” იქნება წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შედგება შემდეგი ორი მონაცემის ჯამისგან:

(i) [პირობებში/საბოლოო განფასების დოკუმენტში] მითითებული სპრედი, და

(ii) კონკრეტული დღისათვის განსაზღვრული საბაზრო განაკვეთი.

თუ „საპროცენტო პერიოდის“ განმავლობაში რომელიმე დღე არ არის სამუშაო დღე, ამ დღის საპროცენტო განაკვეთად ჩაითვლება ამგვარი დღის წინა „სამუშაო დღის“ საპროცენტო განაკვეთი. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით , “ დღიური არაკუმულაციური რთული TIBR განაკვეთის“-ის გამოთვლის ფორმულა რთულ გამოთვლას აკეთებს მხოლოდ ისეთი TIBR-ისთვის, რომელიც საპროცენტო პერიოდის განმავლობაში არსებულ სამუშაო დღეს არის დადგენილი. განაკვეთად, რომელიც უნდა განისაზღვროს არასამუშაო დღეს, გამოყენებული იქნება ამგვარი დღის წინა სამუშაო დღეს არსებული TIBR, რთული გამოთვლის გარეშე.

წინამდებარე მე-6 (გ) პირობის მიზნებისათვის, ქვემოთ მითითებულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათ-კვირის და საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეების გარდა), როდესაც კომერციული ბანკები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები ახორციელებენ ანგარიშსწორებებს და ახორციელებენ ზოგად საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების ჩათვლით) თბილისში, საქართველოში.

„სამუშაო დღის კონვენცია“ ნიშნავს „შეცვლილი მომდევნოს“ პრინციპს, რომლის თანახმადაც „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (შესაბამისად) გადავადდება იმ უახლოეს დღემდე, რომელიც წარმოადგენს „სამუშაო დღეს“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადების შედეგად აღნიშნული თარიღი გადავა მომდევნო კალენდარულ თვეში - ასეთ შემთხვევაში შესაბამისი გადახდის თარიღი გადაიწევს უახლოეს წინამორბედ „სამუშაო დღემდე“.

„საპროცენტო პერიოდი“ ნიშნავს თითოეულ პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, გარდა პირველი პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღით“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს პროცენტის გადახდის თარიღამდე და გარდა ბოლო პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ბოლო „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და მთავრდება „ობლიგაციების“ „დაფარვის თარიღით“ ან თუკი „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი, ეს უკანასკნელი თარიღი (როდესაც „ობლიგაციები გახდება ვადამოსული და გადასახდელი), „სამუშაო დღის კონვენციის“ პირობის გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ნაცვლდება მომდევნო „სამუშაო დღით“, პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ გადავადებულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით). გარდა ამისა, როდესაც „პროცენტის გადახდის თარიღი“ კორექტირდება წინა „სამუშაო დღეზე“ (თავდაპირველად კორექტირებული „პროცენტის გადახდის თარიღის“ მომდევნო კალენდარულ თვეში გადანაცვლების გამო), პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ უფრო ადრეულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით).

„შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანი” ნიშნავს თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსს, რომელიც ყოველდღიურად ჩნდება წინა დღის განაკვეთად სათაურით „თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი – TIBR INDEX“ ეროვნული ბანკის მითითებულ ვებ- გვერდზე: https://nbg.gov.ge/en/monetary-policy. /tibr.

„ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანი“ ნიშნავს (i) ნებისმიერი ჩამნაცვლებელ გვერდს, სხვა გამოქვეყნებულ წყაროს, ინფორმაციის ვენდორს ან პროვაიდერს, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული „შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანის“ ადმინისტრატორის მიერ; ან (ii) თუ ასეთ ადმინისტრატორს ოფიციალურად არ აქვს დადგენილი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი (გარემოებების შესაბამისად), ჩამანაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასეთად დადგენილი შესაბამისი ინფორმაციის ვენდორის ან პროვაიდერის მიერ (თუ განსხვავდება ადმინისტრატორისგან).

(1) „დღიური არაკუმულაციური რთული TIBR განაკვეთი“ ნიშნავს, „ობლიგაციის“ „საპროცენტო პერიოდის“ განმავლობაში ნებისმიერ „სამუშაო დღესთან“ მიმართებით, წლიურ საპროცენტო განაკვეთს (დამრგვალებული მემილიარდამდე), რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

$$(UCCDR_i - UCCDR_{i-1}) \times \frac{dc}{n_i}$$

სადაც:

$UCCDR_i$ ნიშნავს „არაწლიურ კუმულაციურ რთულ დღიურ განაკვეთს“ „სამუშაო დღისთვის“ „i“;

$UCCDR_{i-1}$ ნიშნავს, „i“ „სამუშაო დღესთან“ მიმართებით, „არაწლიურ კუმულაციურ რთულ დღიურ განაკვეთს“ უშუალოდ წინა „სამუშაო დღისთვის“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) „საპროცენტო პერიოდის“ განმავლობაში;

dcc ნიშნავს 365-ს.

n_i ნიშნავს კალენდარული დღეების რაოდენობას „სამუშაო დღე“ „i”-დან (და მისი ჩათვლით) მომდევნო „სამუშაო დღემდე“ (მაგრამ მისი გამოკლებით); და

„**არაწლიური არაკუმულაციური რთული დღიური განაკვეთი**“ ამ „საპროცენტო პერიოდის“ განმავლობაში ნებისმიერი „სამუშაო დღისთვის“ (შემდგომში „**კუმულაციური სამუშაო დღე**“) არის წლიური საპროცენტო განაკვეთი (დამრგვალებული მემილიარდამდე), რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

$$ACCDR \times \frac{tn_i}{\text{dcc}}$$

სადაც:

ACCDR ნიშნავს „**წლიურ კუმულაციურ რთულ დღიურ განაკვეთს**“ ამ „კუმულაციური სამუშაო დღისთვის“;

tn_i ნიშნავს კალენდარული დღეების რაოდენობას „კუმულაციის პერიოდის“ პირველი დღიდან (და მისი ჩათვლით) იმ „სამუშაო დღემდე“ (მაგრამ მისი გამოკლებით), რომელიც უშუალოდ მოსდევს „კუმულაციის პერიოდის“ ბოლო დღეს;

კუმულაციის პერიოდი ნიშნავს პერიოდს „საპროცენტო პერიოდის“ პირველი „სამუშაო დღიდან“ „კუმულაციური სამუშაო დღის“ ჩათვლით;

dcc მოცემულია იგივე მნიშვნელობით, როგორც ზემოთ არის განმარტებული;

წლიური კუმულაციური რთული დღიური განაკვეთი ამ „კუმულაციური სამუშაო დღისთვის“ არის წლიური საპროცენტო განაკვეთი (დამრგვალებული მემილიარდამდე), რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\left[\prod_{i=1}^{d_0}\left(1+\frac{DailyRate_{i-LP}\times n_i}{\text{dcc}}\right)-1\right]\times\frac{\text{dcc}}{tn_i}$$

სადაც:

d_0 ნიშნავს „კუმულაციის პერიოდში“ არსებული „სამუშაო დღეების“ რაოდენობას;

კუმულაციის პერიოდი გამოყენებულია იგივე მნიშვნელობით, როგორც ზემოთ არის განმარტებული;

i ნიშნავს მთელი რიცხვების მიმდევრობას 1-დან d_0-მდე, რომელთაგან თითოეული აღნიშნავს შესაბამის „სამუშაო დღეს“ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით „კუმულაციის პერიოდში“;

DailyRate$_i$_LP ნიშნავს, „კუმულაციის პერიოდის“ განმავლობაში ნებისმიერი „i“ „სამუშაო დღისთვის“, „დღიურ განაკვეთს“ იმ „სამუშაო დღისათვის“, რომელიც წარმოადგენს შესაბამის „გადახედვის პერიოდს“ ამ „სამუშაო დღე“ „i“-მდე;

n_i ნიშნავს, „კუმულაციის პერიოდის“ განმავლობაში ნებისმიერი „i“ „სამუშაო დღისათვის“, კალენდარული დღეების რაოდენობას ამ „სამუშაო დღე“ „i“-დან (და მისი ჩათვლით) მომდევნო „სამუშაო დღემდე“ (ამ დღის გამოკლებით);

dcc მოცემულია იგივე მნიშვნელობით, როგორც ზემოთ არის განმარტებული;

tn_i მოცემულია იგივე მნიშვნელობით, როგორც ზემოთ არის განმარტებული;

„დღიური განაკვეთი“ ნებისმიერი „სამუშაო დღისთვის“ ნიშნავს:

(ა) TIBR-ს ამ „სამუშაო დღისთვის“; ან

(ბ) თუ ამ „სამუშაო დღისთვის“ TIBR არ არის ხელმისაწვდომი, „ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობების“ (i) სექციის შესაბამისად:

დამრგვალებული, ნებისმიერ ამგვარ შემთხვევაში, მეასიათასამდე და თუ განაკვეთი ნულზე ნაკლებია, „დღიური განაკვეთი“ ჩაითვლება ნულის ტოლად.

„გადახედვის პერიოდი“ ნიშნავს [ათ] „სამუშაო დღეს“.

„დღიური არაკუმულაციური რთული TIBR განაკვეთის“ გამოთვლის მიზნებისათვის:

„TIBR“ ნებისმიერ „სამუშაო დღესთან“ მიმართებით, არის განაკვეთი, რომელიც ტოლია ამ „სამუშაო დღისთვის“ თბილისის დღიური ბანკთაშორისი განაკვეთის (TIBR), რომელიც მოცემულია „შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანზე“ და ნაჩვენებია მომდევნო „სამუშაო დღეს“ ან თუ ასეთი გვერდი მიუწვდომელია, როგორც ეს მითითებულია „ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანზე“, ასეთი „სამუშაო დღის“ შემდგომ „სამუშაო დღეს“

“პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ ნიშნავს სამუშაო დღეს, რომელიც წარმოადგენს „გადახედვის პერიოდს“ თითოეული პროცენტის გადახდის თარიღამდე.

(j) თუ შესაბამისი საპროცენტო პერიოდის ნებისმიერ სამუშაო დღესთან დაკავშირებით, „კალკულაციის აგენტი“ განსაზღვრავს, რომ TIBR არ არის ხელმისაწვდომი შესაბამის ვებ-გვერდის ეკრანზე, ან ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანზე (შესაბამისად) ასეთი TIBR იქნება:

(a) (i) შესაბამისი სამუშაო დღის დახურვისას არსებულ ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს („**საბაზისო განაკვეთი**“) (როგორც გამოქვეყნებულია სებ-ის ვებგვერდზე: https://nbg.gov.ge/en - განაკვეთი სახელწოდებით „რეფინანსირების განაკვეთი“); დამატებული (ii) TIBR-ის საბაზისო განაკვეთთან სხვაობის (სპრედი) საშუალო მაჩვენებელი წინა ხუთი დღის განმავლობაში, როდესაც გამოქვეყნდა TIBR, ყველაზე მაღალი სპრედის გამორიცხვით (ან, თუ არის ერთზე მეტი ყველაზე მაღალი სპრედი, გამოთვლიდან გამოირიცხება მხოლოდ ერთი

ყველაზე მაღალი სპრედი) და ყველაზე დაბალი სპრედის გამორიცხვით (ან, თუ არის ერთზე მეტი ყველაზე დაბალი სპრედი, გამოთვლიდან გამოირიცხება მხოლოდ ერთი ყველაზე დაბალი სპრედი) საბაზისო განაკვეთზე; ან

(b) თუ საბაზისო განაკვეთი არ არის გამოქვეყნებული სებ-ის მიერ შესაბამისი სამუშაო დღის დახურვისას, ან TIBR არ არის გამოქვეყნებული შესაბამის ეკრანზე, ან თუ ასეთი გვერდი მიუწვდომელია, როგორც ეს ნაჩვენებია ჩამნაცვლებელ ვებ-გვერდის ეკრანზე, უკანასკნელ სამუშაო დღეს, როდესაც TIBR გამოქვეყნდა შესაბამის ეკრანზე ან ჩამნაცვლებელ ეკრანის გვერდზე (როგორც შესაბამისია)

ზემოაღნიშნული დებულებების მიუხედავად, თუ ეროვნული ბანკი გამოაქვეყნებს მითითებებს იმის შესახებ, (i) თუ როგორ უნდა განისაზღვროს TIBR ან (ii) ნებისმიერი განაკვეთი, რომელიც ჩაანაცვლებს TIBR-ს, „კალკულაციის აგენტი“ უნდა მიჰყვეს ასეთ მითითებებს, რამდენადაც ეს გონივრულად შესაძლებელია, რათა განისაზღვროს TIBR დღიური არაკუმულაციური რთული TIBR განაკვეთის მიზნებისთვის მანამ, სანამ TIBR არ არის ხელმისაწვდომი ან სხვაგვარად არ არის გამოქვეყნებული ეროვნული ბანკის ან ჩამნაცვლებელი ადმინისტრატორის მიერ,

(i) თუ TIBR შეწყვეტს არსებობას ან აღარ არის ინდუსტრიაში მიღებული საბაზისო განაკვეთი სავალო ბაზრის ინსტრუმენტებისთვის „ობლიგაციების“ მოქმედების განმავლობაში, და „კალკულაციის აგენტი“ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდუსტრიაში მიღებული საბაზისო განაკვეთი სავალო ბაზრის ინსტრუმენტებისთვის, რომელიც დაკავშირებულია TIBR-თან და რომ არც ერთი შემცვლელი ან სხვა ჩამნაცვლებელი საბაზისო განაკვეთი არ არის შედარებული TIBR-თან, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება „კალკულაციის აგენტის“ მიერ მისი შეხედულებისამებრ და კეთილსინდისიერად და კომერციულად გონივრული გზით.

„კალკულაციის აგენტმა“ (არაუგვიანეს შესაბამისი „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“ თბილისში სამუშაო დღის დახურვის) დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს (წერილობით) „ემიტენტს“, „ობლიგაციონერებს“, საქართველოს საფონდო ბირჟას, „დეპოზიტარს“ იმ განსაზღვრული შესაბამისი განაკვეთის შესახებ, რომელიც ამ საპროცენტო განაკვეთის „ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობების“ შესაბამისად გახდება „ალტერნატიული ბენჩმარკი“.

(დ) საპროცენტო განაკვეთის ზრდა (Interest Step-Up)

2027 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, თუკი „ემიტენტის“ კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი რომელიმე ექვსთვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღისთვის უდრის ან აღემატება ქვემოთ მითითებულ ზღვარს, შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება განსაზღვრული კორექტირების შესაბამისად:

(a) **25 საბაზისო პუნქტით (0.25%)** – თუ კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი აღემატება ან უტოლდება 4.0x-ს, მაგრამ ნაკლებია 5.0x-ზე;

(b) **50 საბაზისო პუნქტით (0.50%)** – თუ კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი აღემატება ან უტოლდება 5.0x-ს.

განაკვეთის ზრდა შევა ძალაში იმ მომდევნო საპროცენტო პერიოდიდან, რომელიც მოჰყვება „შეთანხმების პირობების შესაბამისობის სერტიფიკატის” (Covenant Compliance Certificate)

წარმოდგენას, რომელიც ადასტურებს „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის“ ზრდას და დარჩება ძალაში იქამდე, სანამ წარმოდგენილი იქნება „შეთანხმების პირობების შესაბამისობის სერტიფიკატი”, რომელიც დაადასტურებს, რომ „კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ დაბრუნდა შესაბამის ზღვარზე ქვემოთ, რის შემდეგაც ცვლილება ამოქმედდება მომდევნო საპროცენტო პერიოდიდან.

7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა

(ა) გამოსყიდვა:

ემიტენტს“ უფლება აქვს „დაფარვის დათქმულ თარიღამდე“ „ემიტენტს“ უფლება აქვს „დაფარვის დათქმულ თარიღამდე“ გამოისყიდოს „ობლიგაცია(ები)“ გაუქმების მიზნით, ამ თავის მე-7 თავის („ობლიგაციების გამოსყიდვა და შესყიდვა“) ქვეპუნქტების (დ), (ე) და (ვ) შესაბამისად.

თუ „ობლიგაციები“ მანამდე არ იქნა გამოსყიდული, შეძენილი ან გაუქმებული, „ობლიგაციების“ გამოსყიდვა განხორციელდება ძირითადი (ნომინალური) თანხის ოდენობით „დაფარვის დათქმულ თარიღზე“, როგორც განსაზღვრულია „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“. „ობლიგაციების“ განაღდება შესაძლებელია „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ მხოლოდ იმ შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია „პროსპექტში“ (მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად).

(ბ) გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით:

ემიტენტის შეხედულებით, „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება შესაძლოა მოხდეს სრული ოდენობით (მაგრამ არა ნაწილობრივ), „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ობლიგაციონერებისთვის“ არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნითა და ძირითადი თანხის (გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად) გადახდით, იმ შემთხვევაში, თუ: (ბ.1) შეტყობინების გაგზავნამდე ემიტენტი დაარწმუნებს „ობლიგაციონერებს“ რომ მათ უწევს, ან მოუწევს გადასახადების სახით დამატებითი თანხების გადახდა ობლიგაციებთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ინტერპრეტაციით „გამოშვებისა და განთავსების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და (ბ.2) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად ემიტენტის მიერ გონივრული ზომების განხორციელებისა.

(გ) შეძენა:

„ემიტენტსა“ და მის „შვილობილებს“ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეიძინონ „ობლიგაციები“ ნებისმიერ ფასად ღია საბაზრო ოპერაციის მეშვეობით ან სხვაგვარად. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ მიერ ან მათი სახელით შეძენილი ამგვარი „ობლიგაციები“ არ სარგებლობენ ხმის უფლებით „ობლიგაციონერთა კრებაზე“ და არ მიიღებიან მხედველობაში (არ ჩაითვლება „დაუფარავად“) „პირობების“ 10(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნით, ან „ობლიგაციონერთა კრების“ ქვორუმის დადგენის მიზნით.

(დ) ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვის ოფციები:

„დაფარვის თარითამდე“ 6 თვით ადრე ან ამ ვადაში ნებისმიერ დროს, „ემიტენტს“ უფლება ექნება „ობლიგაციები“, სრულად ან ნაწილობრივ, ვადამდე გამოსყიდოს, რასთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი შეხედულებითა და საკუთარი დისკრეციის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ გამოსყიდვა შესაძლებელი იქნება გამოსყიდვის

თარიღამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე „ობლიგაციონერებისთვის“ გაგზავნილი გამოუთხოვადი წერილობითი შეტყობინების („**გამოსყიდვის ოფციის შეტყობინება**“) საფუძველზე, ქვემოთ მითითებულ ფასად. ნაწილობრივი გამოსყიდვის შემთხვევაში, ობლიგაციების მოცულობის/ოდენობის განსაზღვრა ხდება წინამდებარე „პირობების“ 7(ვ) ქვეპუნქტის („*ნაწილობრივი გამოსყიდვა*“) შესაბამისად/გათვალისწინებული პირობის დაცვით.

ასეთ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია გამოისყიდოს ობლიგაციები შემდეგ ფასად:

(i) ყველა გამოსასყიდი „ობლიგაციის“ ძირითადი თანხის ჯამი; დამატებული

(ii) პროცენტები და ნებისმიერი დამატებითი თანხა ან სხვა სახის გადასახდელი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დარიცხულია, მაგრამ არ არის გადახდილი გამოსყიდვის ოფციის შესრულების თარიღამდე („გამოსყიდვის ოფციის ანაგარიშსწორების თარიღი“) ყველა გამოსასყიდ „ობლიგაციაზე“; დამატებული
(iii) „გამოსყიდვის პრემიუმი“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ).

„გამოსყიდვის ოფციის შეტყობინება“ აუცილებლად უნდა შეიცავდეს „გამოსყიდვის ანგარიშსწორების თარიღს“.

გარდა იმ შემთხვევისა, თუ „ემიტენტი“ არ იხდის გამოსყიდვის საფასურს, გამოსასყიდ „ობლიგაციებზე“ (ან მის ნაწილზე) პროცენტის დარიცხვა წყდება შესაბამის გამოსყიდვის თარიღზე.

ნებისმიერი გამოსყიდვა და შესაბამისი შეტყობინება, „ემიტენტის“ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, შესაძლოა დამოკიდებული იყოს ერთ ან მეტ წინაპირობაზე (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ისეთი ვალდებულების (სესხის/დავალიანების) აღებაზე, რომლის შემოსავლით მოხდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვა). დამატებით, თუ გამოსყიდვა ან შეტყობინება დამოკიდებულია ერთ ან რამდენიმე წინაპირობის შესრულებაზე, აღნიშნულ შეტყობინებაში შეიძლება აღინიშნოს, რომ „ემიტენტის“ ერთპიროვნული შეხედულებით გამოსყიდვის თარიღი გადაიწევს მანამდე, ვიდრე აღნიშნული წინაპირობები შესრულდება, ან გამოსყიდვა საერთოდ არ მოხდება და შეტყობინება გაუქმდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წინაპირობები არ შესრულდება დასახულ ან გადავადებულ გამოსყიდვის თარიღამდე.

(ე) გამოსყიდვა „ობლიგაციონერთა“ არჩევით „კონტროლის ცვლილების“ შემთხვევაში

„კონტროლის ცვლილების“ (როგორც ქვემოთ არის განსაზღვრული) განხორციელების შემდეგ, თუ „ემიტენტმა“ მე-7 პირობის მიხედვით არ გააგზავნა ყველა ობლიგაციის გამოსყიდვის შესახებ შეტყობინება, თითოეულ „ობლიგაციონერს“ უფლება ექნება მოითხოვოს, რომ „ემიტენტმა“ გამოისყიდოს მის მფლობელობაში არსებული ყველა ან ნებისმიერი რაოდენობის „ობლიგაცია“ გამოსყიდვის ფასად ნაღდი ანგარიშსწორებით, რომელიც უტოლდება ობლიგაციების ძირითადი თანხის 101%-ს (ასი ერთი პროცენტი) შესყიდვის თარიღისთვის, დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის დამატებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესყიდვის თარიღამდე, თუმცა მისი გამოკლებით (იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციონერს“, რომელსაც ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე გააჩნია შესაბამისი საკრედიტო ნაშთი შესაბამისი „სააღრიცხვო თარიღისთვის“, ექნება უფლება მიიღოს შესაბამისი საპროცენტო გადახდა შესაბამის „პროცენტების გადახდის თარიღზე“).

მე-7(ე) პირობის მიზნებისთვის, **„კონტროლის ცვლილება“** ნიშნავს: პირდაპირი ან არაპირდაპირი გაყიდვა, იჯარით გადაცემა, გადაცემა, გადაზიდვა ან სხვა ფორმით განკარგვა (მათ შორის შერწყმის ან კონსოლიდაციის გზით), ერთ ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ტრანზაქციაში: 1) „ემიტენტის“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილების“ (ერთობლივად აღებული) მთლიანი ან არსებითად

მთლიანი ქონების ან აქტივების ნებისმიერი „პირზე“ (გარდა „GCAP”-ის ან მის აფილირებულ პირთა) გადაცემა; ან (2) (i) „ემიტენტის“ გამოშვებული სააქციო კაპიტალის, ან (ii) „ემიტენტის“ ხმის უფლებების (მათ შორის ტრასტის, ხელშეკრულების ან სხვა მექანიზმის საშუალებით) 50.0% ან მეტი ოდენობის გადაცემა ნებისმიერ პირზე, გარდა „GCAP“-ის ან მისი აფილირებული პირებისა, ორივე შემთხვევაში; ან (3) „ემიტენტის“ გამოშვებული სააქციო კაპიტალის ან ხმის უფლებების (მათ შორის ტრასტის, ხელშეკრულების ან სხვა გზით) გადაცემა „დასანქცირებულ პირზე“, ორივე შემთხვევაში; ან

(ბ) ნებისმიერი „პირის“ ან ჯგუფის მიერ, გარდა „GCAP”-ის ან მისი აფილირებული პირებისა, ისეთი უფლებამოსილების მოპოვება (გამოყენებული იყოს ის თუ არა), რომელიც მათ საშუალებას აძლევს დანიშნონ „ემიტენტის“ ერთადერთი „დირექტორი“ ან „დირექტორთა საბჭოს“ უმრავლესობა.

(ვ) ნაწილობრივი გამოსყიდვა:

თუ გამოსყიდვას ექვემდებარება არა ყველა, არამედ მხოლოდ „ობლიგაციების“ ნაწილი, გამოსყიდვისთვის შერჩეული ობლიგაციები განისაზღვრება იმ წესების შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც მოქმედებს იმ საფონდო ბირჟაზე, სადაც დალისტულია „ობლიგაციები“, ან თუ ასეთი „ობლიგაციები“ არ არის დალისტული ან ასეთი წესები არ არსებობს, მაშინ ასეთი „ობლიგაციები“ შეირჩევა იმგვარი წესითა და ფორმით, რაც მოცემულ ვითარებაში სამართლიანად და გონივრულად ჩაითვლება, არსებული საბაზრო პრაქტიკის გათვალისწინებით.

თუ გამოსყიდვას ექვემდებარება მხოლოდ იმ „ობლიგაციების“ ნაწილი, რომელთა მიმართაც გაიცა გამოსყიდვის შესახებ შეტყობინება, აღნიშნულ შეტყობინებაში უნდა იყოს მითითებული „ობლიგაციების“ გამოსასყიდი ძირითადი თანხის ოდენობა.

(ზ) გამოსყიდვის სამართლებრივი შედეგები

„ემიტენტის“ მიერ„ობლიგაციების“ ნაწილობრივ ან სრულად გამოსყიდვის შემთხვევაში, აღნიშნული „ობლიგაციები“ ჩაითვლება სახაზინო ფასიან ქაღალდებად, რაც ნიშნავს, რომ: (ა) „ემიტენტს“ არ ექნება „ობლიგაციონერის“ სტატუსი და ვერ გამოიყენებს შესაბამის უფლებამოსილებებს, როგორც ეს განსაზღვრულია „ემისიის პროსპექტში“; და (ბ) „ემიტენტს“ არ ექნება ფინანსური მოთხოვნები, რომლებიც ეფუძნება აღნიშნულ „ობლიგაციებს“, შესაბამისად, არ ჩაითვლება „იპოთეკის ხელშეკრულების“ იპოთეკარად ან/და „გირანობის ხელშეკრულების“ მოგირავნედ ან/და „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციონერად“.

8. ანგარიშსწორება და გადახდები

(ა) გადახდის მეთოდი:

(I) ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა მოხდება იმ „ინვესტორებისთვის“, რომელთაც შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე, 18.00 საათის მდგომარეობით (შემდგომში „სააღრიცხვო თარიღი“) „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე გააჩნიათ შესაბამისი საკრედიტო ნაშთის . ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, „სააღრიცხვო თარიღისთვის“ „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ინვესტორების“ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით. „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ინვესტორებმა“ უნდა უზრუნველჰყონ „ანგარიშის მწარმოებლის“ ან/და „დეპოზიტარისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი

სახის გადახდა. არც ემიტენტი, „დეპოზიტარი“, „ანგარიშის მწარმოებელი“ და არც „ანგარიშსწორებისა და გადახდის აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი გადახდის არ / ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ „ანგარიშის მწარმოებელს“ ან/და „დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან ემიტენტის ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „დეპოზიტარი“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველჰყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(II) თუ „ობლიგაციონერის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი „ანგარიშის მწარმოებელთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს მიმსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ საბანკო ანგარიში არ არის ლარში, ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით (გარემოებებიდან გამომდინარე).

(III) ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „პირობებით“ გათვალისწინებული „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი არსებული თანხა გადაანაწილოს „ობლიგაციონერებს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

(IV) ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და „კალკულაციის აგენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

(ბ) აგენტების დანიშვნა:

„კალკულაციის აგენტი“ , „განთავსების აგენტ(ებ)ი“ და „დეპოზიტარი“ და მათი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“ და“ პროსპექტის“ ბოლოს. „კალკულაციის აგენტი“, „განთავსების აგენტ(ებ)ი“ და „დეპოზიტარი“ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტებს და ამ „პროსპექტის“ და შეთავაზების მიზნებისათვის, და ისინი არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას, არ აქვთ აგენტის ან ტრასტის მომსახურების უერთიერთობა „ობლიგაციონერებთან“ ან „ანგარიშის მწარმოებლებთან“ „ობლიგაციონერების წარმომადგენლებთან“ და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას, „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის” წინასწარი თანხმობით, ნებისმიერ დროს შეცვალოს ან შეწყვიტოს „კალკულაციის აგენტთან“ ან/და “განთავსების აგენტთან” ხელშეკრულება, და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციის აგენტი“ ან/და „განთავსების აგენტ(ებ)ი“, იმ პირობით, რომ ამასთან „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს „კალკულაციის აგენტი“ და „დეპოზიტარი“, რომელიც დამტკიცებული იქნება „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის“ მიერ.

ნებისმიერ ასეთ ცვლილებაზე ან მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „პირობების“ მე-14 („შეტყობინებები“) პუნქტით განსაზღვრული პროცესის შესაბამისად ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

(გ) გაანგარიშება და გადახდა:

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე „პროსპექტის“ პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, „კალკულაციის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „კალკულაციის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამის გადახდის თარიღამდე

არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია, არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „დეპოზიტარისთვის“ გაზიარებულ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები ლარში და მისცეს „დეპოზიტარს“ დავალება აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, „ემიტენტის“ მიერ აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხების განთავსების შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების (საპროცენტო სარგებლის ან/და ძირი თანხის) გადარიცხვა „ობლიგაციონერთა“ ანგარიშებზე, მათ სახელზე არსებული ფასიანი ქაღალდების პროპორციულად; ხოლო, „ემიტენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხის განუთავსებლობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტსა“ და „ანგარიშის მფლობელებს“/„ანგარიშის მწარმოებლებს“.

(დ) ფისკალური კანონმდებლობა:

ნებისმიერი გადახდა უნდა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური, საგადასახადო, საანგარიშსწორებო და სხვა შესაბამისი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრული შესაბამისობით.

(ე) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს რაიმე ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ვადამოსული გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“, გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“ („სამუშაო დღის კონვენციის“ გათავლისწინებით) და ასეთ შემთხვევაში, მომდევნო „სამუშაო დღემდე“ (ამ დღის გამოკლებით) დაირიცხება და გადაიხდება შესაბამისი კუპონიც.

9. დაბეგვრა

„ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის გადახდა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ.

10. დეფოლტის შემთხვევები

(I) თუ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენა (შემდგომში – „დეფოლტის შემთხვევა“) დადგება და გრძელდება, ობლიგაციების მფლობელებს უფლება აქვთ, საგანგებო რეზოლუციით ან იმ მომენტისთვის ვადამოსული ობლიგაციების ძირითადი თანხის არანაკლებ 25%-ის მფლობელთა გადაწყვეტილებით, ან მხოლოდ პირობასთან 10(ა) დაკავშირებით — ობლიგაციების ძირითადი თანხის არანაკლებ 15%-ის მფლობელის ან მფლობელთა გადაწყვეტილებით, პირდაპირ ან შესაბამისი ინსტრუქციის გაცემით ობლიგაციების მფლობელთა წარმომადგენლის მეშვეობით, წერილობით შეატყობინონ „ემიტენტს”, რომ ობლიგაციები დაუყოვნებლივ ექვემდებარება გადახდას და მიიჩნევა დაუფარავად და გადასახდელად მათი ძირითადი თანხის 100%-ის ოდენობით, დარიცხულ პროცენტებთან ერთად (არსებობის შემთხვევაში).

(ა) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა:

„ემიტენტი“ ვერ შეძლებს „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე რაიმე სხვა თანხის გადახდას, და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული თარიღიდან 5 (ხუთი) „სამუშაო დღის“ ვადაში;

(ბ) სხვა ვალდებულებების დარღვევა:

„ემიტენტი“ და/ან ნებისმიერი „გარანტორი“, „მოძრავი ქონების მესაკუთრე“ ან „უძრავი ქონების მესაკუთრე“ არ ასრულებს ან ვერ ასრულებს წინამდებარე „პროსპექტით“, „თავდებობის ხელშეკრულებით“, „გირავნობის ხელშეკრულებით“ ან „იპოთეკის ხელშეკრულებით“ ნაკისრ ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას (გარდა იმ ვალდებულებისა, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე პირობების მუხლით 10(ა)), და „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის“ გონივრული მოსაზრებით: (ბ)(i) ასეთი დარღვევა არ ექვემდებარება გამოსწორებას და არის არსებითად მნიშვნელოვანი ან განმეორებითი ხასიათის; ან (ბ)(i) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების“ მიერ „ემიტენტისათვის“ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, არ იქნა აღმოფხვრილი;

(გ) ჯვარედინი დეფოლტი:

(I) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულება“ ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით, ხდება (ან შესაძლებელია, გახდეს) შესაბამის დაფარვის შეთანმებულ ვადამდე გადასახდელი რომელიმე დეფოლტის შემთხვევის მიზეზით (როგორც განსაზღვრულია), ან
(II) ნებისმიერი ასეთი „ვალდებულების“ გადახდა არ მომხდარა განსაზღვრულ ვადაში, ან შესაბამის შემთხვევებში, თავდაპირველად დადგენილი საშეღავათო პერიოდის გათვალისწინებით,

იმ პირობით, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 10(გ)(I) და 10(გ)(II) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე შემთხვევის შედეგად წარმოშობილი შესაბამისი „ვალდებულებების“ ჯამური ოდენობა, „ობლიგაციონერთა“ გონივრული შეფასებით, შეადგენს ან აღემატება „ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 2%-ს (ორ პროცენტს), როგორც ეს განსაზღვრულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS) შესაბამისად მომზადებული ბოლო კონსოლიდირებული ბალანსით, მიმდინარე ან ბოლო დასრულებული „ფისკალური პერიოდის“ ბოლოს მდგომარეობით.

(დ) გადახდისუუნარობა:

(I) ნებისმიერი შემდეგი ვითარების დადგომა:

(i) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ მიერ ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყება;

(ii) ნებისმიერი „პირის“ მიერ „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ საწინააღმდეგოდ სარჩელის აღძვრა გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყებისთვის, თუკი ასეთ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 120 (ას ოცი) კალენდარულ დღის განმავლობაში;

(iii) „ემიტენტსა“ და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკების წარმოება „ემიტენტის“ ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით;

(iv) ლიკვიდაციის პროცედურის დაწყება „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიმართ, რომელიც ეფუძნება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას; ან

(II) „ემიტენტი“ ან მისი ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს ან შეუძლებელია მისთვის დროულად გადაიხადოს ვადამოსული ვალდებულებები; ან

(III) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან გაუქმების ნებისმიერ გეგმას; ან

(ე) შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები:

„ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ გამოტანილი სასამართლოს ან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიღებული და აღუსრულებელი საბოლოო გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება თანხის დაკისრების ან გადახდევინების თაობაზე აღემატება 5,000,000 (ხუთ მილიონ) აშშ დოლარს (ან მასთან ეკვივალენტურ თანხას სხვა ვალუტაში); ან ასეთი აღუსრულებელი გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება გამოიწვევს: (ა) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ მმართველი ორგანოს სრულად ან ნაწილობრივ ჩამოშორება, ან მათთვის საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდვა; (ბ) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ სააქციო კაპიტალის სრული ან უდიდესი წილის, ან მისი შემოსავლებისა ან აქტივების იმ ნაწილის, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს „ჯგუფის“ მთლიანი აქტივების 20% (ოცი პროვენტი) ან მეტს, ჩამორთმევა, ნაციონალიზაცია, კონფისკაცია ან იძულებითი გასხვისება.

(ვ) აღსრულება:

„ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების სრული ან არსებითი ნაწილის მიმართ ნებისმიერი სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის მიერ მიერ მათი საკუთრებაში მიღება ან გასხვისება; ან

(ზ) უფლებამოსილება და თანხმობები:

არ არის შესრულებული, მოპოვებული ან მიღებული ნებისმიერი ქმედება, პირობა ან ზომა (მათ შორის ნებისმიერი საჭირო თანხმობის, განკარგულების, მოწონების, ავტორიზაციის, გამონაკლისის, მიმართვის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა ავტორიზაციის მოპოვება), რომელიც უნდა ყოფილიყო მიღებული, განხორციელებული ან შესრულებული იმისათვის, რომ (i) „ემიტენტმა“ კანონიერად შეძლოს, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე თავისი მნიშვნელოვანი უფლებების მიღება და განხორციელება, გადახდის ვალდებულებების შესრულება, ასევე ამ „პირობების“ მე-5 პუნქტიდან („დათქმები“) გამომდინარე ვალდებულებების, და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი სხვა არსებითი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, (ii) უზრუნველყოფილ იქნას ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების ნამდვილობა და მათი აღსრულებადობა, და (iii) „ობლიგაციები“, „ხელშეკრულება“, „პროსპექტი“, „იპოთეკის ხელშეკრულება“, „გირავნობის ხელშეკრულება“ და „თავდებობის ხელშეკრულება“ დასაშვებ იქნას დავების განმხილველ ნებისმიერ ორგანოში მტკიცებულების სახით; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონობა:

„ემიტენტი“, ან შესაბამისად, რომელიმე „გარანტორი“, „მოძრავი ქონების მესაკუთრე“ ან „უძრავი ქონების მესაკუთრე“ სადავოდ ხდის „ობლიგაციების“, „ხელშეკრულების“, „პროსპექტის“, „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ ან „თავდებობის ხელშეკრულების“ ნამდვილობას, ან უარყოფს „ობლიგაციებიდან“, „ხელშეკრულებიდან“. „პროსპექტიდან“, „გირავნობის ხელშეკრულებიდან“, „იპოთეკის ხელშეკრულებიდან“ ან „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე რომელიმე მატერიალურ ვალდებულებას, ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“, „ხელშეკრულების“, „პროსპექტის“, „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ ან „თავდებობის ხელშეკრულების“ ფარგლებში ნაკისრი ერთი ან მეტი მატერიალური ვალდებულების

შესრულება არის ან გახდება უკანონო, ან რომელიმე ხსენებული ვალდებულება გახდება აღუსრულებადი, ან აღარ ჩაითვლება კანონიერად, ნამდვილად, აღსრულებადად ან სავალდებულო ძალის მქონედ.

(II) „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, რომ: შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობებს ობლიგაციონერთა წარმომადგენელს“ „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თაობაზე, ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის და/ან სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად“ („**პოტენციური დეფოლტის შემთხვევა**“).

(III) წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებიდან 14 დღის ვადაში, „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ 14 დღის განმავლობაში “ობლიგაციონერებს“ მიაწვდის მისი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს იმის თაობაზე, რომ გონივრული მოკვლევის შემდეგ, მისი ინფორმაციით და რწმენით, წერილობითი დასტურის თარიღის (შემდგომში „**დადასტურების თარიღი**“) მდგომარეობით არ დამდგარა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, და „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“ ადგილი არ ჰქონია არც წინა „დადასტურების თარიღის“ შემდგომ პერიოდში (ან, წინა „დადასტურების თარიღის“ არ არსებობის შემთხვევაში, „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში), ხოლო „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ არსებობისას ვალდებულია აცნობოს ამგვარი შემთხვევის დეტალები; ან

(IV) „ობლიგაციონერთა წარმომადგენელი“ ვალდებულია საკუთარი სახელით აცნობოს „ობლიგაციონერებს“ „დეფოლტის შემთხვევის“ ნებისმიერი დადგომის შესახებ და განუმარტოს მათ თავიანთი უფლებები, რაც დაკავშირებულია „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის (მე-10 პირობის შესაბამისად) ან/და აღსრულების პროცესის დაწყების (მე-12 პირობის შესაბამისად) ოფციასთან.

11. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა

(a) „ობლიგაციონერების“ კრებები

„ობლიგაციების“ გამოშვების „ხელშეკრულება“ და „პირობები“ შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების“ კრებების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც გავლენა აქვს „ობლიგაციონერების“ ინტერესზე, მათ შორის „პროსპექტის“ და „ხელშეკრულების” შესაბამისად სათანადოდ მოწვეულ კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმების 75% (სამოცდათხუთმეტი პროცენტი)-ით გადაწყვეტილების (შემდგომში „**რიგგარეშე გადაწყვეტილება**“) მიღების თაობაზე, წინამდებარე „პროსპექტის“ ან „ხელშეკრულები“ ნებისმიერ დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის მიზნით. კრება შეიძლება მოწვეული იქნეს იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლის“) მიერ, რომლებიც ფლობენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 10%-ს (ათ პროცენტს). „რიგგარეშე გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეულ ნებისმიერ კრებაზე კვორუმი შეადგენს ორ ან მეტ პირს, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ საერთო ნომინალური ღირებულების ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერ მომდევნო (განმეორებით) კრებაზე - პირს (პირებს), რომლებიც არიან ან წარმოადგენენ ობლიგაციების მფლობელებს, მიუხედავად იმისა, თუ რა ნომინალური ღირებულების ობლიგაციებს ფლობენ ან წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კრების დღის წესრიგში არ შედის, სხვა დაკავშირებულ თემებთან ერთად, შემდეგი საკითხების განხილვა: (i) „ობლიგაციების“ ნებისმიერი ფინანსური პირობის ცვლილებას; (ii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილებას; (iii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას, გარდა პროცენტის კორექტირების/გაზრდის შემთხვევისა, რომელიც ხორციელდება მე-6(დ) პირობის *(საპროცენტო განაკვეთის ზრდა (Interest Step-Up))* შესაბამისად; (iv) „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი

ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილებას; (v) თანხმობის განცხადებას „ემიტენტის“ ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში „ობლიგაციების“ გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე, (vi) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლას (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი „მარეგულირებელი კანონმდებლობით“), (vii) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო კვორუმის ან „რიგგარეშე გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილებას; ან (viii) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას 11 (ბ) ქვეპუნქტის შეუზღუდავად (დებულების ცვლილება და უარის თქმა); ასეთ შემთხვევებში, „რიგგარეშე გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების კვორუმის აუცილებელი ოდენობა არის 2 (ორი) ან მეტი პირი, რომლებიც განსახილველ დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან „განმეორებით კრებაზე“ - არანაკლებ ერთ მესამედს. ნებისმიერი სათანადოდ მიღებული „რიგგარეშე გადაწყვეტილება“ მბოჭავია „ობლიგაციონერებისთვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

იმ „ობლიგაციონერების“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 75% (სამოცდათხუთმეტი პროცენტი) ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „სპეციალურ გადაწყვეტილებას“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ. „ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი თავმჯდომარის მიერ ხელმოწერის შემდგომ.

მე-10 პირობის *(„დეფოლტის შემთხვევა“)* დებულებების შეუზღუდავად, „ობლიგაციონერების“ ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, მოთხოვნა, თანხმობა ან/და „პირობებში“ ნახსენები ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ კვალიფიცირდება „რიგგარეშე გადაწყვეტილებად“, კენჭისყრაში მონაწილე ხმების არანაკლებ 51%-ით (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) (შემდგომში - „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“). ამგვარი კრება შეიძლება მოიწვიოს „ემიტენტმა“ ან/და იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 10% (ათი პროცენტი) მფლობელმა „ობლიგაციონერებმა“ (ან/და მათი სახელით მოქმედმა „ანგარიშის მწარმოებლებმა“). „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს 2 (ორი) ან მეტი პირი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის 25% (ოცი ხუთი პროცენტი) ან მეტს, ხოლო ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - 2 (ორი) ან მეტი პირი, რომელიც არის ან წარმოადგენს „ობლიგაციონერებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი ობლიგაციების ძირითადი თანხის ოდენობისა.

„დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 51% (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) ან მეტის მფლობელი „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შედის ისევე, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ. „ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი თავმჯდომარის მიერ ხელმოწერის შემდგომ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დეფოლტის შემთხვევის დადგომისას პირობის 10(ა) (გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა) ფარგლებში, ნებისმიერი ობლიგაციის მფლობელს ან ობლიგაციების მფლობელთა ჯგუფს, რომელიც ფლობს ვადამოსული ობლიგაციების ძირითადი თანხის არანაკლებ 15%-ს (თხუთმეტი პროცენტი), შეუძლია წერილობით აცნობოს „ემიტენტს”, რომ ობლიგაციები ითვლება დაუყოვნებლივ დაუფარავად და გადასახდელად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დეფოლტის შემთხვევის დადგომისას ნებისმიერი სხვა პირობის საფუძველზე, გარდა პირობისა 10(ა) (გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა), ნებისმიერ ობლიგაციის მფლობელს ან ობლიგაციების მფლობელთა ჯგუფს, რომელიც ფლობს ვადამოსული ობლიგაციების ძირითადი თანხის არანაკლებ 25%-ს (ოცდახუთი პროცენტი), შეუძლია წერილობით აცნობოს „ემიტენტს", რომ ობლიგაციები ითვლება დაუყოვნებლივ დაუფარავად და გადასახდელად.

(b) დებულებების ცვლილებები და უარის თქმა:

„ობლიგაციონერთა წარმომადგენელს" შეუძლია „ობლიგაციონერთა" თანხმობის გარეშე შეთანხმდეს „ემიტენტთან": (i) ამ „პირობების" ან „ხელშეკრულების" რომელიმე დებულების ისეთ ცვლილებაზე, რომელიც არის ფორმალური, მცირე ან ტექნიკური ხასიათის, ან რომელიც მიზნად ისახავს აშკარა შეცდომის გამოსწორებას; და

(ii) ნებისმიერ სხვა ცვლილებაზე (გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც აღნიშნულია „პროსპექტსა" და „ხელშეკრულებაში" ან რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე არ ექვემდებარება ცვლილებას), ასევე ნებისმიერი დარღვევის ან შესაძლო დარღვევაზე პრეტენზიის წაყენებაზე უარის თქმაზე ან ნებართვის მიცემაზე, თუკი აღნიშნული, „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის" აზრით, არსებითად არ აზიანებს „ობლიგაციონერების" ინტერესებს.

ასეთი ცვლილება, ნებართვა ან უარის თქმა სავალდებულოა ყველა „ობლიგაციონერისთვის" და, თუკი ამას მოითხოვს „ობლიგაციონერთა წარმომადგენელი", ასეთი ცვლილება „ობლიგაციონერებს" მიეწოდებათ რაც შეიძლება მალე, „პირობების" მე-14 პუნქტის შესაბამისად.

(c) „ობლიგაციონერთა" წარმომადგენლის დანიშვნა:

თავისი ფუნქციების განხორციელებისას, „ობლიგაციონერთა წარმომადგენელი" ხელმძღვანელობს „ობლიგაციონერთა" ჯგუფის ინტერესებით და არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისიწნებს კონკრეტული „ობლიგაციონერის" ინტერესების გატარებას, რომელიც, მათ შორის და არა მხოლოდ ამით, შესაძლოა იყოს დომიცილირებული, რეზიდენტი, სხვა სახით დაკავშირებული ან ექვემდებარებოდეს რომელიმე კონკრეტული ტერიტორიის ან მისი ადმინისტრაციული ერთეულის იურისდიქციას. ამასთან, „ობლიგაციონერთა წარმომადგენელს" არ ექნება უფლება მოითხოვოს და არც რომელიმე „ობლიგაციონერს" ან „ანგარიშის მწარმოებელს" ექნება უფლება მოითხოვოს „ემიტენტისგან" ანაზღაურება ან ნებისმიერი სახის გადახდა იმ საგადასახადო შედეგებთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა წარმოიშვას ამგვარი განხორციელების შედეგად კონკრეტული ინდივიდუალური „ობლიგაციონერისთვის".

(d) „ობლიგაციონერთა" კრების მოწვევა და ჩატარება:

„ემიტენტს" ან „ობლიგაციონერების წარმომადგენელს" ან იმ „ობლიგაციონერებს", რომლებიც ერთობლივად ფლობენ „დაუფარავი" „ობლიგაციების" სულ მცირე 10% (ათი პროცენტი) (შემდგომში **„კრების მოწვევის ინიციატორი"**) შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოიწვიონ კრება. „კრების მოწვევის ინიციატორმა" „ობლიგაციონერებს", „ობლიგაციონერების წარმომადგენელს" და/ან „ემიტენტს" (კონტექსტის შესაბამისად) უნდა გაუგზავნოს შეტყობინება კრებამდე სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს მე-14 პუნქტის („შეტყობინებები") შესაბამისად. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების დღე, დრო და ადგილი. კრებაზე დასწრების უფლება აქვს „ემიტენტს" ან/და მის წარმომადგენელს.

კრებაზე წარმოდგენილი „ობლიგაციონერები", „ანგარიშის მწარმოებლები" ან მათი წარმომადგენლები აირჩევენ თავმჯდომარეს ერთმანეთს შორის; ამგვარად თავჯდომარის არჩევის შეუძლებლობის

შემთხვევაში თავმჯდომარეს აირჩევს „ემიტენტი“. თავმჯდომარე შესაძლებელია, მაგრამ არ არის აუცილებელი, იყოს „ობლიგაციონერი“ ან მისი წარმომადგენელი. თავმჯდომარედ მესამე პირის წარდგენის შემთხვევაში, აღნიშნული პირი უნდა იყოს მიუკერძოებელი. განმეორებითი კრების თავმჯდომარე არ არის აუცილებელი იყოს იგივე პირი, ვინც წარმოადგენდა თავდაპირველი კრების თავმჯდომარეს.

არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ შეიძლება იქნას განხილული კრებაზე თუ ქვორუმი არ არის შემდგარი. თუ კრების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) წუთის გასვლის შემდეგ არ არის კვორუმი შემდგარი, კრება უნდა დაიშალოს და იგი უნდა გადაიდოს იმ თარიღზე, რომელიც იქნება პირველი კრებიდან არაუადრეს 14 (თოთხმეტი) და არაუგვიანეს 42 (ორმოცდაორი) კალენდარული დღისა, ასევე იმ დროსა და ადგილას, რომელსაც განსაზღვრავს თავმჯდომარე.

(e) ხმის მიცემა:

კრებაზე დასმული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა (ხელის აწევამდე ან შედეგის გამოცხადებამდე) თავჯდომარის, „ემიტენტის“, ან „ობლიგაციონერების“ ან „ანგარიშის მწარმოებლების“ ან ერთი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც წარმოადგენენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 2%-ს (ორი პროცენტი). ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოცხადდება თავმჯდომარის მიერ.

თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა, ის უნდა ჩატარდეს ისეთი ფორმით და (ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად) და დროს (დაუყოვნებლივ ან კრების გადადების შემდეგ), როგორც განსაზღვრავს თავმჯდომარე. ფარული კენჭისყრის შედეგი მიიჩნევა იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იქნა მოთხოვნილი ფარული კენჭისყრის ჩატარება. ფარული კენჭისყრის მოთხოვნა არ შეუშლის ხელს სხვა საკითხების განხილვის მიზნით კრების გაგრძელებას.

თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხის შესახებ მოთხოვნილი ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ.

კრებაზე თითოეულ „ობლიგაციონერს“ და/ან „ანგარიშის მწარმოებელს“ აქვს 1 (ერთი) ხმა იმ თითოეულ ერთეულ „ობლიგაციაზე“, რომელსაც ის ფლობს ან წარმოადგენს (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში). პირი, რომელსაც აქვს 1-ზე (ერთი) მეტი ხმა, არ არის ვალდებული გამოიყენოს ან მისცეს ყველა ხმა ერთგვაროვნად. ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, როგორც ხელის აწევის, ისე ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა იმ სხვა ხმებზე დამატებით, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს.

ყველა კრების მიმდინარეობის და მასზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა შედგეს ოქმი და თუ საჭიროებს კრების ან შემდეგი წარმატებული კრების თავმჯდომარის მიერ ხელმოწერას, მიჩნეულ უნდა იქნას დასკვნით მტკიცებულებად განხილულ საკითხებთან მიმართებით. სანამ საწინააღმდეგო დამტკიცდება, ყოველი კრება, რომლისთვის შედგენილია და ხელმოწერილია კრების ოქმი, ითვლება სათანადოდ მოწვეულად და ჩატარებულად და ყველა გადაწყვეტილება მიღებულად ან პროცესები სათანადოდ განხორციელებულად. „ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ძალაში შედის შესაბამისი გადაწყვეტილების სათანადოდ მიღებისა და მისი თავმჯდომარის მიერ ხელმოწერისთანავე.

„ემიტენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ობლიგაციონერებს“ „ობლიგაციონერთა“ კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების (გარდა „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევისა), მიღების შესახებ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში, თუმცა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას. ხოლო „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, „ემიტენტი“

ვალდებულია, დაუყოვნებლივ, გახადოს ინფორმაცია საჯარო ამგვარი ცვლილების შესახებ, თუმცა ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას.

(f) დეფოლტის შემთხვევის დადგომისას მიღებული გადაწყვეტილება

მე-10 პირობის („დეფოლტის შემთხვევა“) შესაბამისად დამდგარი „დეფოლტის შემთხვევის“ გამო „ობლიგაციების“ ვადამოსულად გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო წარმოების დაწყების მიზნით, ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ზემოთ განსაზღვრული წესით. ასეთი გადაწყვეტილება, მათ შორის, უნდა შეიცავდეს შემდეგს: (ა) გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ აღსრულების რომელ მეთოდს მიმართავენ „ობლიგაციონერები“, „ანგარიშის მწარმოებლები“ ან/და „ობლიგაციონერების წარმომადგენელი“ (გარემოებების გათვალისწინებით); (ბ) მითითებას „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „გარანტორის“, „მოძრავი ქონების მესაკუთრის“ ან „უძრავი ქონების მესაკუთრის“ წინააღმდეგ შესაბამისი გადაწყვეტილების აღსრულებაზე უფლებამოსილი ან/და პასუხისმგებელი პირის თაობაზე; და (გ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირებას, რასაც „ობლიგაციონერები“ ან/და „ანგარიშის მწარმოებლები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომასთან დაკავშირებული თემების ადმინისტრირების მიზნით.

12. აღსრულება

(ა) მე-10 პირობის *(„დეფოლტის შემთხვევა“)* შესაბამისად, „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას, შესაბამისი აღსრულების პროცედურების/პროცესების დაწყება „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მიერ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) ამაზე „ობლიგაციონერების“ ან/და „ანგარიშის მწარმოებლების“ მიერ მიღებულია შესაბამისი „გადაწყვეტილება“ და შესაბამისი გადაწყვეტილებით „ობლიგაციონერთა წარმომადგენელი“ დანიშნულია აღსრულების პასუხისმგებელ პირად, და (ბ) მას მიეცა წინასწარი ანაზღაურება ან/და დაფინანსება მისთვის დამაკმაყოფილებელი მოცულობით.

(ბ) თითოეული „ობლიგაციონერი“ ან/და „ანგარიშის მწარმოებელი“ (კონტექსტის შესაბამისად) აღიარებს, მე-12 (გ) პირობის შესაბამისად და პირობით, არ აქვთ უფლება განახორციელონ რაიმე პირდაპირი აღსრულების ღონისძიება „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და/ან „თავდებობის ხელშეკრულების“ საფუძველზე. გარდა ამისა, აღსრულების პროცედურების დაწყება არ უნდა მოხდეს შესაბამისი „რიგგარეშე გადაწყვეტილების“ მიღებიდან 10 (ათი) „სამუშაო დღის განმავლობაში, რა ვადაშიც „ემიტენტს“ აქვს უფლება გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება წინამდებარე „პირობებით“ განსაზღვრულ დავების განმხილველ ორგანოში.

[(გ) თითოეულ „ობლიგაციონერს“ და/ან „ანგარიშის მწარმოებელს“ შეუძლია წამოიწყოს შესაბამისი სააღსრულებო პროცედურები (ინდივიდუალურად ან სხვა „ობლიგაციონერებთან“ და/ან „ანგარიშის მწარმოებლებთან“ ერთად), თუ: (i) გასულია არანაკლებ 3 (სამი) თვე იმ თარიღიდან, როდესაც „ობლიგაციები“გახდა გადასახდელი და ვადამოსული, და (ii) აღნიშნული თანხა სრულად არ გადაუხდია „ემიტენტს“ და/ან „გარანტორ(ებ)ს“ და (iii) „ობლიგაციონერთა წარმომადგენელს“ არ მიუღია შესაბამისი ზომები 12(ა) „პირობის“ შესაბამისად.]

13. „წარმომადგენლისთვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

„ხელშეკრულება“ შეიცავს „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის“ ანაზღაურებისა და მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ დებულებებს.

„ობლიგაციონერთა წარმომადგენელს“ უფლება აქვს, პასუხისმგებლობის გარეშე „ობლიგაციონერების“ ან „ანგარიშის მწარმოებლების“ წინაშე, დაეყრდნოს ნებისმიერ ანგარიშს, დადასტურებას, სერტიფიკატს ან კონსულტაციას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრის, ფინანსური კონსულტანტის, ფინანსური ინსტიტუტის ან სხვა ექსპერტის მიერ - მიუხედავად იმისა, არის თუ არა აღნიშნული დოკუმენტი

მისთვის განკუთვნილი, და ასევე მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული დოკუმენტი მათ პასუხისმგებლობაზე რაიმე შეზღუდვას (იქნება ეს დოკუმენტის პირობებით, „ობლიგაციონერთა წარმომადგენლის“ მიერ დადებული რომელიმე შეთანხმების წერილით, ან სხვა გზით), რაც შეიძლება განისაზღვრებოდეს თანხობრივი ლიმიტით, მეთოდოლოგიით ან სხვა ფორმით.

14. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციონერებს“ უნდა წარედგინოს ან შეტყობინების გამოქვეყნებით (მათ შორის, შეუზღუდავად, „ემიტენტის“ ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით), ან წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ „ობლიგაციების“ „ანგარიშის მწარმოებლის“ ელ. ფოსტის ან ფატქობრივ მისამართზე შეტობინების გაგზავნის გზით.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება გამოქვეყნების ან შესაბამისი ელ. ფოსტის მისამართზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გამოქვეყნების ან მისი ელ-ფოსტით გაგზავნის თარიღზე, ან, თუკი შეტყობინების გამოქვეყნება ან ელ. ფოსტის მისამართზე გაგზავნა მოხდა ერთ ჯერზე მეტად, შეტყობინება სათანადოდ მიწოდებულად ჩაითვლება - მისი პირველად გასაჯაროების ან ელ. ფოსტის მისამართზე პირველად გაგზავნის თარიღზე. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება მისამართზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გაგზავნის თარიღიდან მე-4 „სამუშაო დღეს“.

„ობლიგაციონერებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ანგარიშის მწარმოებლებს“ წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მის ელ. ფოსტის ან ფაქტობრივ მისამართზე, თუ „ანგარიშის მწარმოებლები“ „ობლიგაციონერებს“ სათანადოდ წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებენ.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ფიზიკური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ანგარიშის მწარმოებლებს“ ინფორმაციას „ობლიგაციებიონერების“ კრების მოწვევის შესახებ ან/და შეტყობინებას გამოაქვეყნებს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით, გამოყენებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი საჯარო წყარო (https://reportal.ge/; https://gse.ge/; სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; „ემიტენტის“ ვებგვერდი), რომლებზეც გამოქვეყნდება რეგულირებული ინფორმაცია, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის წესის (ნორმატიული აქტის №181/04) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესასრულებლად (წინამდებარე წესი შესაძლებელია პერიოდულად შეიცვალოს):

a) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;

b) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების,კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ;

c) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;

d) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;

e) „ემიტენტი“ რეგულირებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით, გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:

i. პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: https://reportal.ge/

ii. კრებებთან, მიღებულ გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, შესაძლებლობის ფარგლებში: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი;

iii. სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია ან კანონის შესაბამისად გამჭვირვალობის ფარგლებში მოთხოვნილი მიმდინარე ანგარიშები: „ემიტენტის“ ვებგვერდი ან საქართველოს საფონდო ბირჟა (https://gse.ge/).

15. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ ტერმინებს (თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

„შეძენილი ვალი“ ნიშნავს ნებისმიერი განსაზღვრული „პირის“ მიმართ:

(a) იმ ნებისმიერი სხვა პირის დავალიანებას, რომელიც უკვე არსებობდა იმ დროს, როცა აღნიშნული „პირი“ შერწყმის გზით გაერთიანდა ან გახდა განსაზღვრული „პირის“ „შვილობილი კომპანია“, მიუხედავად იმისა, წარმოიშვა თუ არა აღნიშნული ვალდებულება ამ შერწყმის შედეგად ან მისი მოლოდინით; და

(b) იმ დავალიანებას, რომელიც უზრუნველყოფილია გირავნობით იმ აქტივზე, რომელიც შეიძინა აღნიშნულმა განსაზღვრულმა „პირმა“.

„განმეორებითი კრება“ არის „ობლიგაციონერთა“ განმეორებითი კრება, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმი.

„აფილირებული პირი“ რომელიმე კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ამ კონკრეტულ „პირს“ ან პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება ამ კონკრეტული „პირის“ მიერ ან იმყოფება ამ „პირთან“ ერთად, პირდაპირ ან ირიბად, საერთო კონტროლის ქვეშ, (ამ განსაზღვრების მიზნებისთვის, **„კონტროლი“** აღნიშნავს ძალაუფლებას მართოს ან მოახდინოს გავლენა პირის მენეჯმენტსა და პოლიტიკაზე, პირდაპირ ან ირიბად, ხმის მქონე ფასიანი ქაღალდების ფლობის, ხელშეკრულების ან სხვა საშუალებით); და ან (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც არის ამ კონკრეტული „პირის“, მისი „შვილობილიის“ ან (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ოფიცერი.

„ობლიგაციონერი“ ნიშნავს ინვესტორს, „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით.

„სამუშაო დღე“ არის ნებისმიერი დღე (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში.

„ფულადი ეკვივალენტები“ ნიშნავს:

(a) პირდაპირი ვალდებულებები (ან სერტიფიკატები, რომლებიც აღნიშნულ ვალდებულებებში ინტერესს ასახავს), რომლებიც გაცემულია ან უპირობოდ გარანტირებულია შემდეგი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობის მიერ: 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია ან კანადა (თითოეულ შემთხვევაში, ასევე გათვალისწინებულია მათ მიერ შექმნილი სააგენტოები ან სახელმწიფო დაწესებულებები), რომლის

გადახდის უზრუნველყოფა სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი სახელმწიფოს სანდოობითა და საკრედიტო რესურსით; ამ ვალდებულობებს უნდა ჰქონდეთ არაუმეტეს თორმეტი თვის ვადიანობა შეძენის დღიდან და არ უნდა ექვემდებარებოდნენ „ემიტენტის“ შეხედულებით წინასწარ გამოსყიდვას ან გაუქმებას.

(b) საქართველოს მთავრობის ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ ან გარანტირებულ ფასიან ქაღალდებში, რომლებიც განთავსებულია „უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე“ (საქართველოს კანონმდებლობაში მოცემული განმარტების შესაბამისად) განხორციელებული ნებისმიერი ინვესტიცია, არაუმეტეს 50 მილიონი აშშ დოლარის (ან შესაბამისი თანხის სხვა ვალუტაში/ვალუტებში) ოდენობით ერთ კონკრეტულ მომენტში, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარ ფასიან ქაღალდებს მინიჭებული აქვს Moody-ის (Ba) და S&P-ის (BB) ან რომელიმე სხვა აღიარებული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს ექვივალენტური რეიტინგი

სადეპოზიტო სერტიფიკატები, ვადიანი დეპოზიტები, ევროდოლარის ვადიანი დეპოზიტები, ფულის ბაზრის დეპოზიტები, ერთდღიანი საბანკო დეპოზიტები ან ბანკის აქცეპტები (ან მსგავსი ინსტრუმენტები), რომლებსაც შეძენის დღიდან არაუმეტეს თორმეტი თვის ვადიანობა აქვთ და რომლებიც გაცემულია კომერციული ბანკის მიერ, იმ პირობით, რომ: (i) აღნიშნული ბანკის გრძელვადიანი სესხის რეიტინგი შეძენის მომენტში მინიმუმ „A+“ ან შესაბამისია S&P-ის შეფასებით, ან „A1“ ან შესაბამისია Moody's-ის შეფასებით, ან მიეკუთვნება სხვა საერთაშორისოდ აღიარებული სარეიტინგო სააგენტოს შესაბამის კატეგორიას, და ამ ბანკს აქვს მინიმუმ 250 მილიონი აშშ დოლარის (ან მის შესაბამისი ოდენობა უცხოურ ვალუტაში)გაერთიანებული კაპიტალი და სარეზერვო ფონდი; ან (ii) ბანკის ძირითადი რეგისტრაცია ხდება იმ იურისდიქციაში, სადაც „ემიტენტი“ ან მისი შეზღუდული შვილობილი კომპანია საქმიანობს ან არის რეგისტრირებული, და რომელიც: (x) გაერთიანებული კაპიტალის, სარეზერვო ფონდის ან დაუნაწილებელი მოგების ოდენობით, ან გრძელვადიანი ვალის რეიტინგის მიხედვით, შედის ამ იურისდიქციაში რეგისტრირებულ ტოპ ათ ბანკს შორის; და (y) რომლის გრძელვადიანი ვალის რეიტინგი შეძენის მომენტში შეადგენს მინიმუმ „B1“ Moody's-ის შეფასებით ან „B+“ Fitch-ის შეფასებით.

(d) არაუმეტეს შვიდდღიანი ვადიანი რეპო (უკან გამოსყიდვის) ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ზემოთ ქვეპუნქტებში (ა) და (ბ) აღწერილ ფასიან ქაღალდებთან და დადებულია ისეთ ფინანსურ ინსტიტუტთან, რომელიც აკმაყოფილებს ქვეპუნქტ (ბ)-ში მითითებულ კრიტერიუმებს;

(e) მოკლევადინაი თამასუქები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ S&P-ის ან Moody's-ის ორი უმაღლესი სარეიტინგო კატეგორიიდან რომელიმე, ან სხვა საერთაშორისოდ აღიარებული სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული ეკვივალენტური რეიტინგი იმ შემთხვევაში, თუ S&P და Moody's ერთდროულად შეწყვეტენ რეიტინგების გამოქვეყნებას; და ნებისმიერ შემთხვევაში, რომლებიც იწურება შეძენის დღიდან არაუგვიანეს ერთ წელიწადში.

(f) მონაწილეობა ნებისმიერ საინვესტიციო კომპანიაში ან ფულის ბაზრის ფონდში, რომლის აქტივები შედგება არანაკლებ 95%-ით ზემოთ ქვეპუნქტებში (ა) დან (დ)-მდე მითითებული ტიპის ფულის ექვივალენტებისგან.

„ლიზინგის ვალდებულება“ ნიშნავს ვალდებულების იმ ოდენობას, რომელიც იმ დროისთვის დაკავშირებულია ფინანსურ ლიზინგთან და რომელიც საჭირო იქნება ბალანსში კაპიტალიზაციისთვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS) შესაბამისად მომზადებული ანგარიშგების მიხედვით. ამ ვალდებულების დადგენილი დაფარვის ვადად (Stated Maturity Date) ითვლება ის თარიღი, როცა უნდა მოხდეს იჯარის (ან სხვა გადასახდელი თანხის) ბოლო გადახდა ლიზინგის ხელშეკრულების ფარგლებში, სანამ ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება წინასწარ შეწყდეს ან შეწყდეს იჯარით მოსარგებლეს მიერ ჯარიმის გადახდის გარეშე.

„საწესდებო კაპიტალი“ ნიშნავს:

(ა) კორპორაციის შემთხვევაში - კორპორაციულ აქციებს;

(ბ) ასოციაციის ან საწარმოს სხვა ფორმის იურიდიული ერთეულის შემთხვევაში - ნებისმიერ და ყველა წილს, ინტერესს, მონაწილეობას, უფლებას ან კორპორაციული კაპიტალის სხვა ეკვივალენტს (დასახელეების მიუხედევად);

(გ) პარტნიორობის ან შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის შემთხვევაში - პარტნიორობის წილს (როგორც სრული, ისე შეზღუდული პარტნიორის სახით) ან მონაწილეობრივ წილს;

(დ) ნებისმიერ სხვა ინტერესს ან მონაწილეობას, რომელიც აძლევს „პირს" მოგების ან ზარალის, ან გამოშვებული "პირის" აქტივების განაწილებაში წილის მიღების უფლებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზემოაღნიშნულს წარმოადგენს სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომელიც გარდაქმნადია საწესდებო კაპიტალში - იქნება ეს კაპიტალში მონაწილეობ უფლებით თუ მის გარეშე.

„კონსოლიდირებული EBITDA" ნიშნავს, დუბლირების გარეშე, „ემიტენტისა" და მისი „შვილობილი კომპანიების" მიერ შესაბამის პერიოდში მიღებულ კონსოლიდირებულ წმინდა მოგებას, *დამატებული* ის ელემენტები, რომლებიც გამოკლებულია ასეთი კონსოლიდირებული წმინდა მოგების გამოთვლისას და ამავე დროს არ არის დუბლირებული იმ სხვა ელემენტებთან, რომლებიც უკვე გამორიცხულია „კონსოლიდირებული წმინდა მოგების" განსაზღვრების შესაბამისად:
(ა) კონსოლიდირებული საპროცენტო ხარჯები;
(ბ) კონსოლიდირებული მოგებაზე გადასახადი (საშემოსავლო გადასახადები);
(გ) კონსოლიდირებული ცვეთის ხარჯები;
(დ) კონსოლიდირებული ამორტიზაციის ხარჯები;
(ე) კონსოლიდირებული სავალუტო კურსით გამოწვეული მოგებები ან ზარალები;
(ვ) სხვა არაფულადი ხარჯები (აქციებით კომპენსაციის გარდა), ჩამოწერები ან ისეთი პოზიციები, რომლებიც ამცირებს კონსოლიდირებულ წმინდა მოგებას, მათ შორის და არა მხოლოდ: გუდვილზე განხორციელებული ჩამოწერა, აღჭურვილობის ან სხვა აქტივების გაყიდვით ან განკარგვით გამოწვეული ზარალი, აქტივების გაუფასურების აღდგენის რეზერვების შექმნა ან აღდგენა (დებიტორული დავალიანების გაუფასურების გარდა (impairment charges)), მარაგების ჩამოწერა, ასევე ნებისმიერი სხვა მუხლი, რომელიც „ემიტენტის" მიერ კლასიფიცირებულია როგორც სპეციალური, საგანგებო, გამორჩეული, არარეგულარული ან ერთჯერადი ხასიათის მუხლი - გამოკლებული არაფულადი შემოსავლების მუხლები, რომლებიც ზრდის კონსოლიდირებულ წმინდა მოგებას (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აღნიშნული არაფულადი შემოსავალი წარმოადგენს ფულადი სახსრების მიღებას მომავალ პერიოდში), ყველა შემთხვევაში განხილული კონსოლიდირებულად, შესაბამისი პერიოდისთვის, განსაზღვრული IFRS-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების) შესაბამისად.

„კონსოლიდირებული მოგების გადასახადები" ნიშნავს გადასახადებს ან სხვა ტიპის გადახდებს (მათ შორის, გადავადებულ გადასახადებს), რომლებიც ეფუძნება „ემიტენტის" ან მისი რომელიმე შვილობილი კომპანიის შემოსავალს, მოგებას ან კაპიტალს - განურჩევლად იმისა, არის თუ არა ისინი გადახდილი, გაანგარიშებული, დარიცხული ან გადასახდელი რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მიმართ.

„კონსოლიდირებული საპროცენტო ხარჯები" ნიშნავს ნებისმიერ პერიოდისთვის (ყოველ შემთხვევაში განსაზღვრული „IFRS"-ის შესაბამისად) „ემიტენტის" და მისი „შვილობილი კომპანიების" წმინდა კონსოლიდირებულ საპროცენტო შემოსავალს/ხარჯს, გადახდილი ან დარიცხული სახით, მათ შორის საპროცენტო ხარჯებს საპენსიო ვალდებულებებთან დაკავშირებით, დამატებით ან მათ შორის (დუბლირების გარეშე) ნებისმიერ პროცენტს, ხარჯს ან გადასახდელ თანხას, რომელიც შედგება:

(ა) ვალდებულებების დისკონტის, სავალო ვალდებულებების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პრემიის ამორტიზაცია;
(ბ) არაფულადი საპროცენტო ხარჯები;
(გ) საკომისიოები, ფასდაკლებები და სხვა მოსაკრებლები და გადასახდელი თანხები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსირებასთან, რაც არ შედის ზემოთ (ბ) ქვეპუნქტში;
(დ) დივიდენდები ან სხვა განაწილებები, რომლებიც ეხება ყველა უფლების შემზღუდველ აქციას „ემიტენტის“ მხრიდან და ყველა პრივილეგირებულ აქციას ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ მხრიდან, იმდენად, რამდენადაც ეს აქციები ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც არ არიან „ემიტენტი“ ან მისი შვილობილი კომპანია.

“კონსოლიდირებული წმინდა მოგება“ ნიშნავს ნებისმიერ განსაზღვრულ პირთან მიმართებით კონკრეტულ პერიოდში მიღებულ ამ პირის და მისი შვილობილი კომპანიების წმინდა მოგება/ზარალის ჯამს, კონსოლიდირებულ საფუძველზე, განსაზღვრულს IFRS-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების) შესაბამისად, პრეფერენციულ აქციებზე დივიდენდების გამოკლების გარეშე; მიუხედავად ამისა, ასეთი კონსოლიდირებული წმინდა მოგების ფარგლებში არ ჩაითვლება:

(ა) ნებისმიერი წმინდა მოგება (ან ზარალი), რომელიც მიღებულია აქტივის ან „ემიტენტის“ ან მისი შვილობილი კომპანიების ოპერაციების გაყიდვით ან სხვა ფორმით ჩამოშორებით (მათ შორის, გაყიდვა/უკუიჯარის გარიგებით), იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივი არ იყო გაყიდული ან სხვაგვარად ჩამოშორებული ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში (როგორც კეთილსინდისიერად განისაზღვრება „ემიტენტის“ მმართველი პირის ან დირექტორთა საბჭოს მიერ);
(ბ) ნებისმიერი არარეალიზებული მოგება ან ზარალი, რომელიც უკავშირდება ჰეჯირების ვალდებულებებს, ან ნებისმიერი არაეფექტიანობა, რომელიც აღიარებულია მოგებაში კვალიფიცირებად ჰეჯირების ტრანზაქციებთან დაკავშირებით, ან ჰეჯირების გარიგებად არაკვალიფიცირებადი დერივატული ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც აღიარებულია მოგებაში - თითოეულ შემთხვევაში, ჰეჯირების ვალდებულებების მიმართებაში;
(გ) კაპიტალიზებული, დარიცხული, დარიცხვის პროცესში მყოფი ან არაფულადი (pay-in-kind) პროცენტის ან ძირითადი თანხის ზეგავლენა სუბორდინირებულ აქციონერულ დაფინანსებაზე;
(დ) ნებისმიერი მოგება ან ზარალი, დაკავშირებული უცხოურ ვალუტასთან;
(ე) ნებისმიერი გადასახადი შემოსავლისა ან მოგების მიმართებაში;
(ვ) ნებისმიერი სხვა ერთჯერადი (არარეკურენტული) ხარჯი, რომელიც არ მოიცავს ზემოთ ქვეპუნქტებით (ა)–(ვ) მოცემულ შემთხვევებს.

„კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯი“ ნიშნავს ნებისმიერი განსაზღვრული პირის მიმართ და ნებისმიერი განსაზღვრის თარიღისთვის თანხას, რომელიც უდრის (და დუბლირების გარეშე ითვლება როგორც): (ა) ამ პირისა და მისი შვილობილი კომპანიების საერთო დავალიანებას, კონსოლიდირებულად, გაანგარიშებულს შესაბამისი პირის მიერ IFRS-ის შესაბამისად მომზადებული ბოლო ხელმისაწვდომი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, გამოკლებული (ბ) ამ პირისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფულადი სახსრებისა და ფულთან გათანაბრებული საშუალებების ჯამური ოდენობა (IFRS-ის შესაბამისად), გარდა იმ ფულადი სახსრებისა ან/და ფულადი ეკვივალენტებისა, რომლებიც წარმოადგენს იმ ვალის მიღებულ შემოსულობას, რომელიც გაჩნდა სწორედ იმ განსაზღვრის თარიღისთვის, რომლისთვისაც ხდება კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის გამოთვლა, ასევე გამოკლებით; (გ) „ემიტენტის“ ბალანსზე აღირცხული იმ ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულებისა, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო ლისტინგი და რომლებსაც მინიჭებული აქვთ S&P-ის „BB“ ან მასზე მაღალი რეიტინგი (ან ექვივალენტური რეიტინგი) და რომლის დაფარვის თარიღამდეც დარჩენილია არაუმეტეს 6 თვისა..

„კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი“ ნიშნავს ნებისმიერი განსაზღვრული პირის მიმართ და ნებისმიერი განსაზღვრის თარიღისთვის, ამ პირის კონსოლიდირებულ წმინდა ლევერიჯსა და მისი კონსოლიდირებული EBITDA-ს შორის თანაფარდობას იმ ბოლო 4 (ოთხი) თანმიმდევრული ფინანსური კვარტლის საფუძველზე, რომლებზეც აღნიშნული პირის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შედგენილი IFRS-ის შესაბამისად) არის საჯაროდ ხელმისაწვდომი ან მიწოდებული იქნა უშუალოდ იმ თარიღამდე, როდესაც შეიქმნა შესაბამისი დამატებითი ვალდებულება ან გამოშვებულ იქნა უფლების შემძღუდველი აქციები ან პრივილეგირებული აქციები, გადაუდებელი გარემოების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი ან მისი რომელიმე შვილობილი კომპანია იღებს, საკუთარ თავზე იღებს, გარანტიას უწევს, ფარავს, გამოისყიდის ან სხვაგვარად აანაზღაურებს რომელიმე ვალდებულებას (გარდა ჩვეულებრივი სამუშაო საბრუნავი კაპიტალური სესხებისა) ან გამოუშვებს, გამოისყიდის ან ფარავს პრეფერენციულ აქციებს იმ პერიოდის დაწყების შემდეგ, რომლისთვისაც ხორციელდება კონსოლიდირებული EBITDA-ს გამოთვლა, და იმ თარიღზე ან ამ თარიღამდე, რომელზეც ხდება კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის გამოთვლა **(„გაანგარიშების თარიღი“),** კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტი განისაზღვრება ასეთ ოპერაციათა ჰიპოთეტური (პრო-ფორმა) გავლენის გათვალისწინებით - ანუ, როგორც რომ ეს ვალდებულება ან პრეფერენციული აქციების გამოშვება/გამოსყიდვა/განაღდება და შესაბამისი სახსრების გამოყენება განხორციელებულიყო შესაბამისი ოთხკვარტლიანი საანგარიშო პერიოდის დასაწყისშივე.

გაანგარიშების მიზნებისთვის, კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის გამოთვლისას:

(a) ყველა ისეთი საწარმოს ან აქტივის შეძენა, რომელიც განხორციელდა აღნიშნული პირის ან მისი რომელიმე შვილობილი კომპანიის მიერ - მათ შორის შერწყმის, გაერთიანების, კონსოლიდაციის ან სხვა ტიპის ბიზნესის გაერთიანების გზით - და მათ შორის ნებისმიერი დაკავშირებული ფინანსური ოპერაცია, რომელიც მოხდა ოთხკვარტლიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ან მის დასრულების შემდეგ და გამოთვლის თარიღზე ან მანამდე (ან რომელიც უნდა განხორციელდეს გამოთვლის თარიღზე), ჩაითვლება პრო-ფორმა ეფექტით, თითქოს ეს გარიგებები განხორციელდა ოთხკვარტლიანი საანგარიშო პერიოდის პირველ დღეს, და შესაბამისად, კონსოლიდირებული EBITDA და კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯი აღნიშნული პერიოდისთვის განისაზღვრება პრო-ფორმა პრინციპით, IFRS-ის შესაბამისად;

(ბ) იმ კონსოლიდირებულ EBITDA-ს, რომელიც უკავშირდება შეწყვეტილ საქმიანობას (როგორც განსაზღვრულია IFRS-ის მიხედვით), აგრეთვე ყველა იმ ოპერაციას ან საწარმოს (მათ შორის - მათში მონაწილეობას), რომლებიც გაანგარიშების თარიღამდე გასხვისდა ან შეწყვეტილად მიიჩნევა, ექვემდებარება გამორიცხვას;

(გ) ნებისმიერი პირი, რომელიც გაანგარიშების თარიღისთვის წარმოადგენს შვილობილ კომპანიას, ჩაითვლება შვილობილ კომპანიად მთელი ოთხკვარტლიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში;

(დ) ნებისმიერი პირი, რომელიც გაანგარიშების თარიღისთვის არ წარმოადგენს შვილობილ კომპანიას, ჩაითვლება ისეთად, რომ არც ერთ მომენტში ამ ოთხკვარტლიანი პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა შვილობილი კომპანია.

წინამდებარე განმარტების, ასევე კონსოლიდირებული EBITDA-სა და კონსოლიდირებული წმინდა მოგების დეფინიციების მიზნებისთვის, პრო-ფორმა (ჰიპოთეტური) გაანგარიშებები უნდა განისაზღვროს კეთილსინდისიერად „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ფინანსური ოფიცრების ან ბუღალტრების მიერ. მიუხედავად წინამდებარე „პირობებში” არსებული ნებისმიერი სხვა დებულებისა, კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის განსაზღვრისას არ უნდა გათვალისწინდეს ფულადი სახსრები ან მათთან გათანაბრებული საშუალებები, რომლებიც წარმოადგენს იმ ვალდებულების შედეგად მიღებულ შემოსავალს, რის გამოც ხორციელდება კონსოლიდირებული წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტის გაანგარიშება.

„კონსოლიდირებული მთლიანი აქტივები“ ან **„კონსოლიდირებული აქტივები“** ნიშნავს შესაბამის პირთან მიმართებით და შესაბამისი განსაზღვრის თარიღისთვის, ამ პირისა და მისი კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებულ მთლიან აქტივებს, როგორც ეს ასახულია ამ პირის მიერ IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ უახლეს ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

„კონტროლი“ ნიშნავს უფლებამოსილებას მართო „ემიტენტის“ მენეჯმენტი, პოლიტიკა და საქმიანობა - იქნება ეს წილობრივი კაპიტალის მფლობელობის, ხელშეკრულების ან სხვა გზით, (შესაბამისად, ტერმინი „კონტროლირებადი“ განისაზღვრება ამ მნიშვნელობით).

„**შეთანხმების პირობების შესაბამისობის სერტიფიკატი**” ნიშნავს ემიტენტის ფინანსური დირექტორის მიერ ობლიგაციების მფლობელების მიმართ გაცემულ სერტიფიკატს, რომელიც შეიცავს შესაბამის გამოთვლებს და ადასტურებს, რომ უახლესი ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, დაკმაყოფილებულია ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრულია შემდეგ სექციებში: გარანტორის დაფარვის მოთხოვნა, შენარჩუნების პირობები (კოვენანტი) და საპროცენტო განაკვეთის ზრდა.

„გადადებული განთავსების თარიღი“ ნიშნავს ნებისმიერ თარიღს, რომელიც დგება „ობლიგაციების“ გამოშვების თარიღის შემდეგ და განთავსების პერიოდის დასრულებამდე, როდესაც ობლიგაციები გამოიცემა გადადებული განთავსების ფასად.

„გადადებული განთავსების ფასი“ ნიშნავს ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებას დამატებული იმ პროცენტის თანხა, რომელიც დარიცხულია ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან გადადებული განთავსების თარიღამდე.

„უფლების შემზღუდველი აქციები“ აღნიშნავს ისეთ აქციებს, რომელთა პირობების (ან იმ ფასიანი ქაღალდის პირობების, რომელშიც ისინი კონვერტირდება ან რომელზე გადაცვლა შესაძლებელია აქციათმფლობელის არჩევით) ან გარკვეული მოვლენის დადგომისას, სავალდებულოა მათი გამოსყიდვა ან ამოღება ამორტიზაციის ფონდით ან სხვა გზით, ან შეიძლება მათი სრულად ან ნაწილობრივ გამოსყიდვა აქციათმფლობელის მოთხოვნის საფუძველზე, თარიღზე ან თარიღამდე, რომელიც დგება „ობლიგაციების“ დაფარვის თარიღიდან 6 (ექვს) თვის განმავლობაში. საგანგაშო წინადადების მიუხედავად, აქციები არ ჩაითვლება უფლების შემზღუდველ აქციებად მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მათ მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ გამოსყიდვა კონტროლის ცვლილების ან აქტივების გაყიდვის შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ასეთი აქციების პირობებით გათვალისწინებულია, რომ „ემიტენტს“ არ აქვს უფლება გამოისყიდოს ან დაფაროს ასეთი აქციები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მოქმედება შეესაბამება პირობების მე-5(g) პუნქტს („აკრძალული გადახდები“)

EBIT აღნიშნავს ამონაგებს მოგების გადასახადის და საპროცენტო ხარჯის დარიცხვამდე

„კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა“ აღნიშნავს აქციებს, ასევე ყველა გარანტიას, ოფციონს ან სხვა უფლებას აქციების შეძენაზე (თუმცა არ მოიცავს ვადიან ფასიან ქაღალდებს, რომლებიც კონვერტირდება ან ექვემდებარება გადაცვლას აქციებზე).

„პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ ნიშნავს ისეთი მოვლენის ან გარემოების დადგომას, რომელიც შეტყობინების გაგზავნის, ვადის გასვლის ან/და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის შემდეგ ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად“.

გარიგების **„სამართლიანი საბაზრო ღირებულება“** ნიშნავს იმ ღირებულებას, რომელიც მიღებული იქნებოდა ბაზარზე მოქმედი კომერციული პირობების შესაბამისად, ინფორმირებულ და გაყიდვის სურვილის მქონე გამყიდველსა და ინფორმირებულ და შეძენის სურვილის მქონე მყიდველს შორის, გარეშე რაიმე გაუმართლებელი ზეწოლისა ან იძულებითი პირობებისა. დამოუკიდებელი შეფასების სპეციალისტის მიერ მომზადებული ანგარიში გარიგების სამართლიან საბაზრო ღირებულებაზე შეიძლება მიღებულ იქნას ობლიგაციების მფლობელთა წარმომადგენლის მიერ დამატებითი მოთხოვნის ან მტკიცებულების გარეშე.

„ფისკალური პერიოდი“ ნიშნავს ნებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლისთვისაც „ემიტენტს“ მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

„მარეგულირებელი კანონმდებლობა“ ნიშნავს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

„ჯგუფი“ აღნიშნავს „ემიტენტს“ და „შვილობილ კომპანიებს“ მთლიანობაში, რომლებიც კონსოლიდირებულია „ემიტენტის“ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის დონეზე.

„GSE “ აღნიშნავს **სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“**.

„გარანტია“ ნიშნავს ძირითადი თანხის, ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტებისა და სხვა ნებისმიერი ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებას, რომელიც ექვემდებარება „ემიტენტის“ მიერ გადახდას და რომელიც უპირობოდ და უარუყოფლად უზრუნველყოფილია გარანტორების მიერ სოლიდარულად „გარანტიის შეთანხმების“ შესაბამისად („**გარანტიები**“ და ცალ-ცალკე - „**გარანტია**“).

„გარანტორი“ ნიშნავს შემდეგ კომპანიებს: სს ვიანი (ს/ნ: 402295716), სს ევექსი (ს/ნ: 405670000), სს საქართველოს კლინიკები (ს/ნ: 404476205), სს მეგა-ლაბ (ს/ნ: 405211319), შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი (ს/ნ: 404925747), შპს ვიან-ლოჯისტიკა (ს/ნ: 405085161), შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი (ს/ნ: 212841424), სს ექიმო (ს/ნ: 402199599), და ნებისმიერი სხვა “შვილობილი”, რომელიც გახდება “გარანტორი” გარანტორის დაფარვის მოთხოვნის (ნ) პირობის შესაბამისად.

„ჰეჯირების ვალდებულებები“ ნიშნავს, ნებისმიერი მითითებული პირის მიმართ, ამ პირის ვალდებულებებს: (ა) სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის ან საქონლის ღირებულებაზე დაფუძნებულ სვოპებზე, სავალუტო, საპროცენტო ან საქონლის „კეპ“ შეთანხმებებზე, სავალუტო, საპროცენტო ან საქონლის „კოლარ“ შეთანხმებებზე, ასევე ვალუტურ ან ფიუჩერსულ კონტრაქტებზე; (ბ) სხვა ნებისმიერ შეთანხმებებს ან მოლაპარაკებებს, რომლებიც მიმართულია საპროცენტო განაკვეთების ან საპროცენტო რისკების მართვისკენ; (გ) სხვა ნებისმიერ შეთანხმებებს ან მოლაპარაკებებს, რომლებიც მიმართულია ამ პირის დაცვაზე ვალუტის კურსების ან საქონლის ფასების მერყეობისგან.

„მოძრავი ქონების მესაკუთრეები“ ნიშნავს შემდეგ კომპანიებს: შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი (ს/ნ: 404925747), სს ვიანი (ს/ნ: 402295716), შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი (ს/ნ: 212841424), სს ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი (ს/ნ: 212674738) და სს საქართველოს კლინიკები (ს/ნ: 404476205).

„უძრავი ქონების მესაკუთრეები“ ნიშნავს შემდეგ კომპანიებს: შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი (ს/ნ: 212841424), სს ვიანი (ს/ნ: 402295716), შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი (ს/ნ: 404925747), სს ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი (ს/ნ: 212674738), სს საქართველოს კლინიკები (ს/ნ: 404476205), შპს წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო (ს/ნ: 221269963), სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (ს/ნ: 405746634).

„ინსტიტუციონალური ინვესტორი“ წინამდებარე პროსპექტის მიზნებისთვის ნიშნავს შესაბამისი ლიცენზიის ან ნებართვის მქონე, საქართველოში ან/და მის ფარგლებს გარეთ ოპერირებად/ფუნქციონირებად კომერციულ ბანკებს, საკრედიტო ან/და საფინანსო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიებს, საპენსიო სააგენტოებს, საპენსიო ფონდებს, აქტივების მმართველ ორგანიზაციებს/კომპანიებს, საინვესტიციო ფონდებს და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს (საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წრე განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 თებერვლის №198 დადგენილებით (საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სიის განსაზღვრის თაობაზე) დამტკიცებული „საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სიით“).

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები” ("IFRS“) არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები), რომელიც გამოიცემა საბუღალტრო სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (IASB) მიერ და ამავე საბჭოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმარტების კომისიის მიერ გამოცემული განმარტებები (მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით)

„ვალდებულება“ ნებისმიერი „პირის“ მიმართ, ნებისმიერი მომენტისათვის გულისხმობს (დარიცხული პროცენტების, სავაჭრო მოთხოვნებისა და დუბლირების გარეშე):

(ა) ამ „პირის“ მიერ თანხების სესხების შედეგად წარმოქმნილი ყველა დავალიანება/ვალდებულებას,
(ბ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რაც გამომდინარეობს ობლიგაციებიდან, სადებეტო ოპერაციებიდან, თამასუქებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან,
(გ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან საბანკო გარანტიების, თავდებობების, საბანკო აკცეპტების ან ანალოგიური ინსტრუმენტებიდან (გარდა იმ შემთხვევაში (ან იმ მოცულობით), რამდენადაც ასეთი ანაზღაურების ვალდებულებები ეხება სავაჭრო (კომერციულ) დავალიანებებს), მისი ჩვეული ბიზნესის საქმიანობის ფარგლებში გამოშვებული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გამოკლებით,
(დ) ნებისმიერ „ჰეჯირების ვალდებულებას“;
(ე) ნებისმიერი თანხას, რომელიც მიღებულია ნებისმიერი სხვა გარიგების საფუძველზე (მათ შორის, და არა მხოლოდ შემდეგით - ნებისმიერი ფორვარდული შესყიდვის ან გაყიდვის შეთანხმება), რომელსაც აქვს ეკონომიკური ან კომერციულიგავლენა სესხზე, ხოლო ვალდებულება კონკრეტული პირის მხრიდან ნებისმიერ თარიღზე განისაზღვრება როგორც ყველა უპირობო ვალდებულების დაუფარავი ნაშთი იმ დღეს, როგორც ეს ზემოთაა აღწერილი; ან
(ვ) ებისმიერი სხვა პირის მიერ აღებული ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფილია მითითებული პირის აქტივით, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მითითებულ პირს ამ ვალდებულებაზე პასუხისმგებლობა (იმ პირობით, რომ ასეთი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრება იმ ორიდან ნაკლებით: (i) აღნიშნული აქტივის სამართლიანი საბაზრო ღირებულება შესაბამისი თარიღისთვის (როგორც განსაზღვრულია „ემიტენტის“ კეთილსინდისიერი შეხედულებით), ან (ii) აღნიშნული ვალდებულების სრული ოდენობა); და იმ მოცულობით, რამდენადაც იგი სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, აღნიშნულ განსაზღვრულ „პირთა“ მიერ ნებისმიერი სხვა „პირის” ვალდებულების გარანტია,
(ზ) ფინანსური იჯარის ვალდებულება IFRS 16-ის შესაბამისად

(ა)-(ზ) ქვეპუნქტებში ზემოხსენებული ვალდებულებები ჩაითვლება „ვალდებულებების“ ამ განსაზღვრებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, იმ პირობით და იმ მოცულობით, თუ და რა მოცულობითაც

აღნიშნული ვალდებულება გამოჩნდებოდა ასეთი „პირი“ IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ საბალანსო უწყისში ვალდებულებად.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ნებისმიერი „პირის“ ვალდებულების ჯამური მოცულობა ნებისმიერ მომენტში, ავტომატურად განახლებადი საკრედიტო ხაზის ან მსგავსი დაფინანსების პირობებში, უნდა განისაზღვროს როგორც იმ მომენტისთვის რეალურად უკვე აღებული (ნასესხები)/საკრედიტო ხაზის ან სხვა მსგავსი ტიპის სესხის ფარგლებში აღებული და დაუფარავი თანხების საერთო ოდენობა.

ტერმინი „ვალდებულება“ არ მოიცავს შემდეგს:

(ა) ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით - ნებისმიერ პირობით ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია თანამშრომელთა ანაზღაურების მოთხოვნებთან, ნაადრევ პენსიაზე გასვლის ან დათხოვნის ვალდებულებებთან, საპენსიო ფონდში გადასახდელ ვალდებულებებსა და შენატანებთან ან ანალოგიური სახის მოთხოვნებთან, ვალდებულებებსა და შენატანებთან, ასევე სოციალური უზრუნველყოფის ან ხელფასზე დაკისრებულ გადასახადებთან;

(ბ) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის“ მიერ ნებისმიერი ბიზნესის შეძენასთან დაკავშირებით, ნებისმიერი საკომპენსაციო გადახდების კორექტირებას გარიგების დახურვის შემდეგ, რომლის მოთხოვნის უფლება შესაძლოა მიენიჭოს გამყიდველს იმ ფარგლებში, რამდენადაც ასეთი გადახდა განისაზღვრება გარიგების დახურვის დროისთვის არსებული საბოლოო ბალანსით ან დამოკიდებულია აღნიშნული ბიზნესის შედეგებზე გარიგების დახურვის შემდეგ; იმ პირობით, რომ გარიგების დახურვის მომენტისთვის ასეთი გადახდის ოდენობა არ შეიძლება დადგინდეს, და იმ მოცულობით, რამდენადაც ასეთი გადახდა შემდგომში გახდება ფიქსირებული და დაზუსტებული - გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

გ) დეპოზიტები ან წინასწარი გადახდები, რომლებიც მიღებულია „ემიტენტის“ ან “მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის” მიერ მომსახურების გაწევის ან პროდუქციის მიწოდების სანაცვლოდ, რომელიც უნდა შესრულდეს მომავალში;

(დ) ქვემდგომი აქციონერების მიერ განხორციელებული დაფინანსება;

(ე) „ემიტენტის“ ან/და შვილობილი კომპანიების მიერ „ობლიგაციების“ შესყიდვა ან განაღდება, „ემიტენტის“ ან/და მისი შვილობილი კომპანიების სახელით ან მათ სასარგებლოდ

„დამოუკიდებელი შეფასების ექსპერტი“ ნიშნავს აუდიტორულ ფირმას ან კონკრეტულ საკითხში მესამე მხარის ექსპერტს, რომელიც განისაზღვრება და შეირჩევა „ემიტენტის“ მიერ და რომელიც: (i) წარმოადგენს ერთ-ერთ „დიდ ოთხეულ“ აუდიტორულ კომპანიას („Deloitte & Touche“, „Ernst & Young“, „KPMG“ ან „PricewaterhouseCoopers“, მათ წევრ კომპანიებსა და აფილირებულ პირებს); ან (ii), ობლიგაციების მფლობელთა წარმომადგენლის თანხმობით, ნებისმიერ სხვა აუდიტორულ ფირმას ან მესამე მხარის ექსპერტს, იმ პირობით, რომ იგი არ წარმოადგენს „ემიტენტის“ აფილირებულ პირს.

„გამოშვების თარიღი“ ნიშნავს ობლიგაციების გამოშვების თარიღს, როგორც ეს მითითებულია შეთავაზებაში.

„უზრუნველყოფის ღონისძიება“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღას ან სხვა სახის უზრუნველყოფას, იმის მიუხედავად აღნიშნული რეგისტრირებული, დაფიქსირებული ან სხვაგვარად აღრიცხული არის თუ არა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი პირობითი გაყიდვის ან სხვა საკუთრების შენარჩუნების ხელშეკრულების ჩათვლით, ნებისმიერი იჯარა, ნებისმიერი ოფცია ან სხვა შეთანხმება უზრუნველყოფის უფლების გაყიდვის ან გადაცემის შესახებ და ნებისმიერი განცხადებით მიმართვა ან შეთანხმება ფინანსირების შესახებ (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამართლებრივ უზრუნველყოფას).

„არსებითად უარყოფითი გავლენა” ნიშნავს მატერიალურ უარყოფით ცვლილებას ან მატერიალურ უარყოფით გავლენას (ა) ბიზნესზე, ქონებებზე, მდგომარეობაზე (ფინანსური ან სხვაგვარი), „ემიტენტის“ ან „ჯგუფის“ ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივაზე; (ბ) "ემიტენტის“ უნარზე, შეასრულონ მათი "ობლიგაციებით“ ან "გარანტიებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები; (გ) "ობლიგაციების“ ან "გარანტიების“ მოქმედებაზე ან აღსრულებადობაზე.

„მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანია“ ნიშნავს ისეთ „შვილობილ კომპანიას“, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე პირობას:

(ა) „შვილობილი კომპანიის“ აქტივების პროპორციული წილი კონსოლიდირებულ საერთო აქტივებში (შიდა ჯგუფური აქტივების გამოკლებით და IFRS-ის შესაბამისად დადგენილი), აღემატება 5% (ხუთ პროცენტს) „ემიტენტის“ და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებულ საერთო აქტივებს უკანასკნელი დასრულებული ფინანსური წლის ბოლოს მდგომარეობით; ან

(ბ)„შვილობილი კომპანიის“ შემოსავლის წილი კონსოლიდირებულ საქმიან შემოსავალში (გადასახადების გადახდამდე, არაგეგმიური/არასამარველო მუხლების გამოკლებით და ანგარიშგების სტანდარტების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი კუმულაციური ეფექტის გარეშე) აღემატება 5% (ხუთ პროცენტს) „ემიტენტის“ და მისი შვილობილი კომპანიების შესაბამის კონსოლიდირებულ EBITDA-ს უკანასკნელი დასრულებული ფინანსური წლისთვის; ან

(გ) არის ისეთი „შვილობილი კომპანია“, რომელსაც გადაეცა სხვა „შვილობილი კომპანიის“ თითქმის ყველა აქტივი და ვალდებულება, სადაც ასეთი გადამცემი კომპანია უშუალოდ გადაცემამდე წარმოადგენდა მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიას (გადაცემის დღიდან); ან

(დ) წარმოადგენს „გარანტორს“.

„დაფარვის თარიღი“ ნიშნავს ამ „პირობებში” მითითებულ თარიღს, როდესაც „ემიტენტი“ ვალდებულია დაფაროს ობლიგაციები მათი ნომინალური ღირებულებით, ნებისმიერ დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტთან ერთად.

„მშობელი“ ნიშნავს ნებისმიერ "პირს“, რომლის „შვილობილსაც“ წარმოადგენს, ან "გამოშვების თარიღის“ შემდგომ გახდება, "ემიტენტი“, რის შედეგადაც ასეთ "პირს“ აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი უფლებამოსილება, წარმართოს ან განსაზღვროს "ემიტენტის“ მენეჯმენტისა და პოლიტიკის მიმართულება, ხმის მიცემის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების ფლობის მეშვეობით თუ სხვაგვარად.

„ნებადართული უზრუნველყოფა“ არის:

(ა) „გამოშვებისა და განთავსების თარიღისთვის“ არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“, იმ პირობით, რომ არსებული უზრუნველყოფები სრულად დაფარული იქნება „გამოშვებისა და განთავსების თარიღიდან“ 20 სამუშაო დღის ვადაში და დროულად გათავისუფლდება დაკავშირებული „უზრუნველყოფის ღონისძიებები“;

(ბ) „პირის“ „ვალდებულების“ „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც არსებობდა იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ამგვარი „პირის“ შერწყმა ემიტენტთან ან მის „შვილობილთან“, ან როდესაც ეს „პირი“ გახდა ემიტენტის „შვილობილი“, ამასთან, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ (i) არ წარმოქმნილა ამგვარი შერწყმასთან დაკავშირებით, და (ii) არ ვრცელდება ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ რაიმე აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, ამ შეძენილი „პირის“ და მისი „შვილობილების“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივებისა ან ქონებისა);

(დ) ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ მიერ შეძენილ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ

წარმოქმნილა ამგვარი შეძენასთან დაკავშირებით, და არ ვრცელდება რაიმე სხვა აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, შეძენილი აქტივების ან ქონების ნაყოფისა);
(ე) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი, რომლის მხარესაც წარმოადგენს „ჯგუფის“ რომელიმე წევრი მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კრედიტისა და დებიტის ბალანსის ურთიერთ გაქვითვის მიზნით, იმ პირობით რომ აღნიშნული „უზრუნველყოფის ღონისძიება“არ ზღუდავს კონსოლიდირებულ ძირითად საშუალებებს;
(ვ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე, ასევე მათ ნაწილზე, რომელიც გაიცემა მისაღები თანხებით სექიურითიზაციასთან, ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდისვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ იმ აქტივებისა და შემოსავლების ჯამური ღირებულება, რომლებზეც ვრცელდება „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10% (ათ პროცენტს), იმ პირობით რომ აღნიშნული „უზრუნველყოფის ღონისძიება“არ ზღუდავს ძირითად საშუალებებს;
(ზ)„უზრუნველყოფის ღონისძიება“, არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე, ან მათი ნაწილზე, რაც შექმნილია „რეპო ოპერაციის“ შესაბამისად, იმ პირობით რომ აღნიშნული „უზრუნველყოფის ღონისძიება“არ ზღუდავს ძირითად საშუალებებს;
(თ) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი შეთანხმებიდან (ან სხვა შესაბამისი პირობიდან), რაც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკის ჰეჯირების ოპერაციებს;
(ი) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც წარმოიქმნება კანონის ძალით ან/და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის ღონისძიება“;
(კ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ „უზრუნველყოფის საგანზე“, რომლითაც უზრუნველყოფილია „ობლიგაციონერების“ მოთხოვნები; და
(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც სხვაგვარად არ ყოფილა განსაზღვრული / ნებადართული ზემოთმოყვანილ პუნქტებში (ა)–დან (კ)–ს ჩათვლით, იმ პირობით, რომ ამგვარი

> „უზრუნველყოფის ღონისძიებით” დატვირთული კონსოლიდირებული ძირითადი საშუალებების ჯამური საბალანსო ღირებულება, (ა) დან (ი) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ „ნებადართულ უზრუნველყოფებთან” ერთად, არ აღემატება „ჯგუფის” კონსოლიდირებული ძირითადი საშუალებების 10%-ს (ათ პროცენტს), რაც თითოეულ შემთხვევაში, განისაზღვრება „ჯგუფის” უახლესი კონსოლიდირებული საბალანსო უწყისის მიხედვით, რომელიც მომზადებულია IFRS-ის შესაბამისად.

„პირი“ არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია ან სახელმწიფო ორგანო, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი.

„პრივილეგირებული აქციები“ ნიშნავს ნებისმიერი პირის კაპიტალში მონაწილეობას (ნებისმიერი კლასისა ან სახელწოდების), რომელიც პრივილეგირებულია დივიდენდის გადახდის ან აქტივების განაწილების თვალსაზრისით აღნიშნული პირის ნებისმიერი სხვა კლასის აქციებთან შედარებით, როგორც ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი ლიკვიდაციის ან დაშლის შემთხვევაში.

„დასანქცირებული პირები“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, ორგანიზაციას ან ხომალდს, რომელიც: (i) მითითებულია OFAC-ის სპეციალურად დანიშნულ პირებისა და აკრძალულ პირების სიაში,

ევროკავშირის ფინანსური სანქციების ქვეშ მყოფ პირთა, ჯგუფთა და ორგანიზაციათა შეჯამებულ სიაში, ან მისი უდიდებულესობის ხაზინის მიერ წარმოებულ ფინანსური სანქციების სამიზნე სუბიექტთა სიაში, ან სხვა შესაბამისი სანქციების მართვის ორგანოს მიერ გამოქვეყნებულ სანქცირებულ პირთა სიაში; (ii) წარმოადგენს ან არის იმ ქვეყნის მთავრობა ან მისი ნაწილი, რომლის მიმართაც მოქმედებს სანქციები; (iii) ეკუთვნის ან იმართება ზემოხსენებული პირების მიერ, ან მოქმედებს მათ სახელით; (iv) მდებარეობს სანქცირებულ ქვეყანაში ან ახორციელებს საქმიანობას აღნიშნული ქვეყნიდან; ან (v) ახორციელებს გარიგებებს ან აწარმოებს საქმიანობას, რაც აკრძალულია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად

“პროსპექტს“, “წინასწარ პროსპექტს“, "საბოლოო პროსპექტს“, "შეთავაზების პირობების დოკუმენტს“, "საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს“ , “წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტს“ , "შეთავაზებას“ (იგივე, რაც საჯარო შეთავაზება) და ნებისმიერ სხვა ტერმინს, რომელიც არ არის განმარტებული წინამდებარე "პირობებში“ აქვს "ფასიანი ქაღალდების კანონის“ შესაბამისად განსაზღვრული მნიშვნელობა.

„რეპო ოპერაცია“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ–გამოსყიდვის ან უკუ-გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი.

„აკრძალული გადახდა“ ნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელიც განესაზღვრება წინამდებარე „პირობების“ მუხლში 5(g).

„სანქცირებული ქვეყანა“ ნიშნავს ნებისმიერ ქვეყანას, რეგიონს ან ტერიტორიას, რომელიც წარმოადგენს სანქციების ობიექტს ან სამიზნეს, მათ შორის, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით: ყირიმი, კუბა, ირანი, მიანმარი, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ სუდანი, სუდანი, სირია და სევასტოპოლი.

„**სანქციები“** ნიშნავს ნებისმიერ სანქციას ან მსგავს შეზღუდვით ზომებს, რომლებიც დაწესებულია და/ან აღსრულებულია აშშ-ის მთავრობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის კავშირის (ან მისი წევრი ქვეყნების), დიდი ბრიტანეთის ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი მთავრობის, მარეგულირებელი ორგანოს, ინსტიტუტის ან სააგენტოს მიერ, რომელიც აწესებს ეკონომიკურ, ფინანსურ ან სავაჭრო სანქციებს, ასევე ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ორგანოს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურებისა და სააგენტოების მიერ. ამაში ასევე შედის, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით: OFAC, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი (მათ შორის, „სპეციალურად დანიშნული პირის“ ან „დაბლოკილი პირის“ სახით), აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტი, გაეროს უშიშროების საბჭო და დიდი ბრიტანეთის ხაზინა

“ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“ ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს "ფასინი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

“ფასიანი ქაღალდების კანონი” ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

„დადგენილი დაფარვის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ ნიშნავს იმ ძირითადი თანხისა და/ან პროცენტის იმ ნაწილის გადახდის თარიღს, რომელიც განეკუთვნება ნებისმიერი კატეგორიის „ვალდებულებას“, და რომელიც თავდაპირველად არის განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაციით, რომელიც აწესრიგებს აღნიშნული „ვალდებულების“ პირობებს მისი წარმოშობის თარიღიდან

გამომდინარე, წინამდებარე პირობების შესაბამისად. აღნიშნული არ მოიცავს ისეთ პირობებით დადგენილ ვალდებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს ვადამდე დაფარვას, გამოსყიდვას ან დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გადახდის თარიღი თავდაპირველად არის დადგენილი. „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, ძირითადი თანხისა და დარიცხული, მაგრამ გამოუხდელი პროცენტის (თუკი ასეთი არსებობს) გადახდის დადგენილი თარიღი განსაზღვრულია „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

„დამფუძნებელთა სუბორდინირებული დაფინანსება“ ნიშნავს ნებისმიერ სახსრებს, რომლებიც გადაეცემა „ემიტენტს“ რომელიმე „მშობელი კომპანიის“, ამგვარი კომპანიის „აფილირებული პირის“ ან მათი შვილობილი პირების მიერ, ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის, ინსტრუმენტის ან შეთანხმების საფუძველზე ან სანაცვლოდ (გარდა წილის ფორმის ქონებრივი უფლებებისა), რომელიც გაცემულია და ეკუთვნის ზემოხსენებულ პირებს, მათ შორის ყველა შესაბამის ფასიან ქაღალდთან, ინსტრუმენტთან ან შეთანხმებასთან ერთად და ყველა სხვა ფასიან ქაღალდთან ან ინსტრუმენტთან (გარდა წილის ქონებრივი უფლებებისა), რომელიც გაცემულია სუბორდინირებული აქციონერული დაფინანსების ფარგლებში არსებული ვალდებულების დასაფარად; იმ პირობით, რომ აღნიშნული სუბორდინირებული აქციონერული დაფინანსება:

(ა) არ განსაზღვრავს დაფარვის ვადას და არ ითვალისწინებს ძირითადი თანხის ამორტიზაციას, დაფარვას ან სხვა გზით დაბრუნებას, ან ამორტიზაციის ფონდის ფარგლებში რაიმე გადახდას, სანამ არ გავა ერთი წელი ობლიგაციების დადგენილი დაფარვის თარიღიდან (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაფინანსება კონვერტირდება ან გაცვლით ფორმით იცვლება „ემიტენტის“ წილის (გარდა „დისკვალიფიცირებული აქციებისა“) ან ამავე განსაზღვრების მოთხოვნებს შესაბამის დაფინანსებაზე);
(ბ) არ ითხოვს პირველი წლისთავის დადგომამდე (ობლიგაციების დადგენილი დაფარვის თარიღიდან) ნაღდი ფულით პროცენტის, ნაღდ ფულზე დაყრდნობით დაგროვილი თანხის ან მსგავსი ხასიათის სხვა თანხების გადახდას;
(გ) არ შეიცავს კონტროლის ცვლილების თაობაზე რაიმე დებულებას ან მსგავსი ტიპის რეგულირებას, რომელიც იწვევს ვადამდელ შესრულებას, დეფოლტად გამოცხადების უფლებას, სააღსრულებო ღონისძიების განხორციელებას ან ნებისმიერი სახის ფულადი მოთხოვნის დაყენებას – თითოეულ შემთხვევაში, ობლიგაციების დადგენილი დაფარვის თარიღიდან პირველი წლისთავამდე.
(დ) არ ითვალისწინებს და არ მოითხოვს რაიმე სახის უზრუნველყოფის არსებობას ან მძიმე ტვირთის (სიკუსკის) დადებას „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილი კომპანიის“ აქტივებზე;
(ე) არ შეიცავს რაიმე ვალდებულებას (ფინანსურს ან სხვა სახის), გარდა ასეთი სუბორდინირებული აქციონერული დაფინანსების დაფარვის ვადაში გადახდის ვალდებულებისა; და
(ვ) მისი პირობებით ან სხვა შეთანხმების საფუძველზე სრულად სუბორდინირებულია და მნიშვნელოვნად უპირატესობას ანიჭებს „ობლიგაციებსა“ და „გარანტიებს“ გადახდის მხრივ, რაც ეფუძნება იმ ტიპის სუბორდინაციის, გადახდების დაბლოკვისა და აღსრულების შეზღუდვის პირობებს, რომლებიც არსებითად ჩვეულებრივად გამოიყენება ამ ტიპის დაფინანსებისთვის.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად განვმარტავთ, რომ აღნიშნული “დამფუძნებელთა სუბროდინირებული დაფინანსება“ სრულად უნდა იყოს დაქვემდებარებული ობლიგაციებზე გადასახდელ თანხებს როგორც გადახდის, ასევე ლიკვიდაციის უფლების თვალსაზრისით, და ამგვარ დაფინანსებაზე გადახდები არ განხორციელდება მანამ, სანამ ობლიგაციები არ იქნება სრულად დაფარული და ჩამოწერილი.

„შვილობილი“ ნებისმიერ “პირთან” (შემდგომში “პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ მეორე “პირს“ (შემდგომში "მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობა და პოლიტიკა პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება “პირველი პირის“ მიერ, ან (ბ) რომელშიც "პირველი პირი“ პირდაპირ ან ირიბად ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს;

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, მოსაკრებელს, საფასურს ან სხვა მსგავს საკრებულო გადასახადს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი იურისდიქციის ფარგლებში წარმოიშობა იგი (მათ შორის, შესაბამის ჯარიმებს და საურავებს), ასევე განურჩევლად მისი დაკისრების ან გადახდის ფორმისა.

“დაუფარავი ” აღნიშნავს იმ „ობლიგაციებს“, რომლებიც უკვე განთავსებულია, თუმცა არ არის დაფარული, გამოსყიდული, უკან გამოსყიდული ან გაუქმებული მისი დაფარვის თავდაპირველად განსაზღვრულ თარიღამდე ან რომელთა დაფარვის ვადა არ დამდგარა ამ „პირობებით“ და იმ „ობლიგაციებს“, რომლებიც არ არის „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილის“ ბენეფიციარულ საკუთრებაში, შემდეგი მიზნებისთვის: (i) „ობლიგაციონერთა“ ნებისმიერ კრებაზე დასწრების და ხმის უფლების განსაზღვრა; (ii) მე-11 პირობის („ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა) მიზნებისთვის დაუფარავი ობლიგაციების რაოდენობის განსაზღვრა; (iii) “პროსპექტში“, „ხელშეკრულებაში“, „თავდებობის ხელშეკრულებაში“, „გირავნობის ხელშეკრულებაში“, „იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების, რომლის განხორციელებაც მოეთხოვება „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ „ობლიგაციონერების“ ინტერესების განსახორციელებლად ან მაგვარ ინტერესებთან დაკავშირებით.

„ანგარიშის მწარმოებელი“ – ნიშნავს თითოეულს - სს „გალტ ენდ თაგარტი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 211359206) და შპს „თიბისი კაპიტალი” (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961) და „დეპოზიტარი“, ასევე ნებისმიერი სხვა ფინანსური დაწესებულება, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს უფლება, „ობლიგაციონერისთვის“ გახსნას და აწარმოოს კლიენტს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.

„დეპოზიტარი“ – სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204935400).

„ხელმომწერი ინვესტორი“ – ინვესტორი, რომლის მიერ გამოხატული ინტერესი „ობლიგაციების“ შეძენაზე დაკმაყოფილდა და რომლის მხრიდან აღნიშნული ინტერესის დაკმაყოფილება შემდგომ იქნა დადასტურებული ამ „პროსპექტში“ დადგენილი წესით.

„Georgia Capital PLC“ („GCAP“) ნიშნავს „ემიტენტის“ 100%-იან საბოლოო მფლობელ ჰოლდინგურ კომპანიას, რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟაზეა განთავსებული/დალისტული.

„თავდაპირველი ობლიგაციონერი“ ნიშნავს იმ „ობლიგაციონერს“, რომელიც „ობლიგაციებს“ შეიძენს „ობლიგაციების“ პირველად ბაზარზე განთავსების ფარგლებში.

„გამოსყიდვის პრემიუმი“, „პირობების“ 7(დ) ქვეპუნქტის (*„ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვის ოფციები“*) შესაბამისად გამოსყიდულ ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით ნიშნავს, ნებისმიერ გამოსყიდვის თარიღზე, იმ ოდენობას, რაც წარმოიქმნება შემდეგ ორს შორის სხვაობით: (i) ამ ობლიგაციაზე ისეთი საპროცენტო გადახდების მიმდინარე ღირებულება გამოსყიდვის თარიღისთვის, რომლებიც სხვაგვარად გადასახდელი იქნებოდა „გამოსყიდვის ანგარიშსწორების თარიღიდან“ „ობლიგაციების“ განსაზღვრული „დაფარვის თარიღამდე“ (გამოსყიდვის თარიღამდე დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტის გამოკლებით), რაც გამოითვლება „გამოსყიდვის ანგარიშსწორების თარიღისთვის“ TIBR-ს (თბილისის შიდასაბანკო საპროცენტო განაკვეთი) დამატებული 200 საბაზისო პუნქტის დისკონტირებული მაჩვენებლის თანაბარი ოდენობით, და დამატებული „გამოსყიდვის ანგარიშსწორების თარიღისთვის“ ამ ობლიგაციის მთლიანი ნომინალური ღირებულება, რომელიც გამოითვლება „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ დანიშნული „პირის“ მიერ, და (ii) „გამოსყიდვის ანგარიშსწორების თარიღისთვის“ დაუფარავი/გაუნაღდებელი „ობლიგაციის“ მთლიანი ნომინალური ღირებულება, რომელიც გამოითვლება „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ დანიშნული პირის მიერ, იმის

გათვალისწინებით, რომ თუ „გამოსყიდვის პრემიუმის“ ოდენობა ნებისმიერ მომენტში სხვაგვარად იქნებოდა ნულზე ნაკლები, ასეთ შემთხვევაში, „გამოსყიდვის პრემიუმის“ ოდენობა გაუტოლდება ნულს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „გამოსყიდვის პრემიუმის“ კალკულაცია/გამოთვლა არ წარმოადგენს „დეპოზიტარის“ ან ნებისმიერი „კალკულაციის აგენტის“ მოვალეობას ან ვალდებულებას.

„სასესხო ვალდებულება“ ნიშნავს ნებისმიერი „პირის“ მიმართ, ნებისმიერი მომენტისათვის, ამ „პირის“ მიერ საქართველოში და/ან მის საზღვრებს გარეთ ლიცენზირებული კომერციული ბანკიდან და/ან საკრედიტო დაწესებულებიდან ნასესხები თანხების შედეგად წარმოქმნილ ყველა დავალიანებას და/ან ვალდებულებას (დარიცხული პროცენტების, სავაჭრო მოთხოვნებისა და დუბლირების გარეშე).

„უზრუნველყოფის საგანი” ნიშნავს „უძრავი ქონების მესაკუთრეების” საკუთრებაში არსებულ „უძრავ ქონებას” და „მოძრავი ქონების მესაკუთრეების” საკუთრებაში არსებულ „მოძრავ ქონებას”, რომლითაც უზრუნველყოფილია „ობლიგაციოენერების” მოთხოვნები, „იპოთეკის ხელშეკრულების” და „გირავნობის ხელშეკრულების” შესაბამისად.

„დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“ ნიშნავს 2023 წლის 16 ნოემბრის „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონს, შემდგომში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

16. პუნქტის ბათილობა

წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას „პირობების“ სხვა დებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ რომელიმე დებულების ფარგლები ფართოა, რის შედეგადაც დაუშვებელია მისი აღსრულება, ეს დებულება იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია კანონმდებლობით.

17. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) მარეგულირებელი სამართალი: პროსპექტი და ობლიგაციები, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.

(ბ) **იურისდიქცია:** „პროსპექტიდან“ ან/და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან სარჩელი (რაც მოიცავს ნებისმიერ სარჩელს, დავას ან უთანხმოებას „პროსპექტის“ ან „ობლიგაციების“ გამოშვებასთან, არსებობასთან, მოქმედების შესრულებასთან, დარღვევასთან ან შეწყვეტასთან, ან „პროსპექტიდან“ ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებასთან დაკავშირებით) უნდა გადაეცეს და საბოლოოდ გადაწყდეს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს („LCIA“) წესების შესაბამისად საარბიტრაჟო განხილვაში. საარბიტრაჟო განხილვის სამართლებრივი ადგილი იქნება ლონდონი, ინგლისი, ხოლო საარბიტრაჟო განხილვის ენა იქნება ინგლისური.

პირობა 17(ბ) (საარბიტრაჟო ხელშეკრულება) განიმარტება და განიხილება ინგლისისა და უელსის სამართლის შესაბამისად.

(ii) „ემიტენტი“ უარს ამბობს ნებისმიერ უფლებაზე, რომელიც ექნებოდა 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის და სხვა აქტების საფუძველზე, პირველადი იურიდიული საკითხის სასამართლოში განხილვის მოთხოვნის ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაზე ინგლისის სასამართლოში.

(iii) მიუხედავად „LCIA“-ს წესებისა ან საარბიტრაჟო აქტის 1996 წლის ნებისმიერი საწინააღმდეგო მოთხოვნისა ან დებულებისა, „ემიტენტი“ თანხმდება, რომ არ ითხოვს საარბიტრაჟო ტრიბუნალისგან, არც რომელიმე საგანგებო არბიტრისგან (emergency arbitrator) ან სასამართლო ხელისუფლებისგან რაიმე დროებითი ან შემაკავებელი ან უზრუნველყოფის ღონისძიებების (წინასწარი ან შემდგომი) გამოყენებას „ობლიგაციონერების“ წინააღმდეგ. არც საარბიტრაჟო ტრიბუნალს და არც საგანგებო არბიტრს არ ექნება უფლებამოსილება გასცეს მსგავსი ზომები „ემიტენტის“ მოთხოვნით „ობლიგაციონერების წინააღმდეგ“.

(გ) **იმუნიტეტზე უარის თქმა:** იმდენად, რამდენადაც „ემიტენტს“ ან მის ნებისმიერ აქტივს აქვს („ობლიგაციების“ გამოშვების თარიღზე), ან შესაძლოა შემდგომში შეიძინოს, ნებისმიერი სახის უფლება, რომელიც მას ანიჭებს იმუნიტეტს გამოქვითვისგან, სამართალწარმოებისგან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისგან, სხვა ტიპის უზრუნველყოფის ღონისძიებისგან ან სააღსრულებო წარმოებისგან სუვერენიტეტის ან რაიმე სხვა მიზეზით, „ემიტენტი“ წინამდებარით შეუქცევადად ამბობს უარს იმუნიტეტთან დაკავშირებულ ნებისმიერ ამგვარ უფლებასა და ნებისმიერ მსგავს დაცვაზე, და შეუქცევადად აცხადებს თანხმობას ნებისმიერ სამართლებრივი დაცვის საშუალების ან ღონისძიების გამოცემაზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის ქონებაზე ნებისმიერი სააღსრულებო წარმოების მიქცევას ან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ნებისმიერი ბრძანების, გადაწყვეტილების ან განჩინების საფუძველზე, რომელიც გამოცემულია ნებისმიერ წარმოებასთან დაკავშირებით.

(დ) **აგენტი უწყების ჩასაბარებლად:** „ემიტენტი“ შეუქცევადად ნიშნავს Georgia Capital Plc-ის, თავის აგენტად ინგლისში, რათა ჩაიბაროს ნებისმიერი უწყება (service of process) ინგლისში ნებისმიერ წარმოებასთან დაკავშირებით. თუ რაიმე მიზეზით ამგვარი აგენტი შეწყვეტს უწყებების ჩაბარებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევას, „ემიტენტი“ დანიშნავს ახალ აგენტს ინგლისში და 30 დღის განმავლობაში მიაწვდის „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ ახალი აგენტის მიერ ამ დანიშვნაზე დასტურის ასლს.

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხებისა ამომწურავ შეფასებას. ობლიგაციების პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩევლებთან ობლიგაციების შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე ობლიგაციებიდან პროცენტის, ძირითადი თანხის და/ან სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის ობლიგაციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

პროცენტზე საშემოსავლო გადასახადის დაკავება

რეზიდენტი ფიზიკური პირებისა და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ იგი არ უკავშირდება არარეზიდენტის საქართველოში არსებულ მუდმივ დაწესებულებას), ობლიგაციებზე გადახდილი პროცენტი თავისუფლდება შემოსავლისა და მოგების გადასახადისგან იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციები წარმოადგენს საქართველოში რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო განთავსებით გამოშვებულ ვალდებულებებს და ვაჭრობა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე. [ამ „პირობების“ შედგენის თარიღის მდგომარეობით, სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ და სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ აღიარებულია „სებ“-ის მიერ როგორც ორგანიზებული ბაზრები.]

რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო ინსტიტუტების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტების) მიერ მიღებული პროცენტი ჩაითვლება ასეთი პირის მოგებაში და დაექვემდებარება 15%-იან მოგების გადასახადს მოგების განაწილების შემდეგ.

საბანკო ინსტიტუტების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტების მიერ მიღებული პროცენტი ჩაითვლება მთლიან დასაბეგრ შემოსავალში და ნებადართული გამოკლების შემდეგ დაექვემდებარება მოგების გადასახადს 20%-ის განაკვეთით

ობლიგაციების გასხვისების დაბეგვრა

იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციები წარმოადგენს საქართველოში რეზიდენტის მიერ საჯარო განთავსებით გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს და ივაჭრება „სებ“-ის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე, რეზიდენტი ფიზიკური პირებისა და არარეზიდენტების (იურიდიული ან ფიზიკური პირების) მიერ ობლიგაციების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი (ზოგადად, ობლიგაციების საწყის შესყიდვასა და შემდგომ გაყიდვას შორის დადებითი სხვაობა, რომელიც არ მოიცავს ობლიგაციების გასხვისებამდე დარიცხულ და გადაუხდილ პროცენტს, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) გათავისუფლებულია შემოსავლისა და მოგების გადასახადისგან (თუ ეს შემოსავალი არ უკავშირდება არარეზიდენტის საქართველოში არსებულ მუდმივ დაწესებულებას).

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა საბანკო ინსტიტუტებისა, საკრედიტო კავშირებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისა) ვალდებულია გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-ის განაკვეთით ობლიგაციების რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე, მოგების მიღების შემდეგ.

საბანკო ინსტიტუტების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტების მიერ ობლიგაციების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ჩაითვლება მთლიან დასაბეგრ შემოსავალში და ნებადართული გამოკლების შემდეგ დაექვემდებარება მოგების გადასახადს 20%-ის განაკვეთით.

ობლიგაციების გამოსყიდვისას მფლობელების მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, თუ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ობლიგაციების რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.

იპოთეკის ხელშეკრულების მიერთების შეთანხმება

წინამდებარე ხელშეკრულება („**გადაცემის ხელშეკრულება**“ ან „**აქტი**“) დადებულია [●] შემდეგი მხარეების მიერ და შორის:

[●] *(შესაყვანია საიდენტიფიკაციო დეტალები)* (შემდგომში **“უფლების დამთმობი**”); და

[●] *(შესაყვანია საიდენტიფიკაციო დეტალები)* (შემდგომში **“უფლების მიმღები”**)

(„უფლების დამთმობი“ და „უფლების მიმღები“ შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც **„მხარეები**“ და ცალ-ცალკე - როგორც „**მხარე**“).

ყველა ტერმინი, რომელიც სხვაგვარად არ არის განსაზღვრული აქვე, განიმარტება პროსპექტში და იპოთეკის ხელშეკრულებაში (როგორც ეს განმარტებული ქვემოთ) მითითებული განსაზღვრებების შესაბამისად.

პრეამბულა:

ვინაიდან, უფლების დამთმობმა შეისყიდა [●] ლარის ღირებულების უზრუნველყოფილი ობლიგაცია, რომელიც გამოშვებულ იქნა **სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“** მიერ 2025 წლის [●] პროსპექტის (შემდგომში და გახდა 2025 წლის [●] იპოთეკის ხელშეკრულების (შემდგომში „**იპოთეკის ხელშეკრულება**“) მხარე;

ვინაიდან, უფლების დამთმობს სურს დათმოს და უფლების მიმღებს სურს მიიღოს [●] ოდენობის ძირითადი ღირებულების [●] ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები და მიიღოს შესაბამისი იპოთეკის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები ამ უკანასკნელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ამრიგად, მხარეებს სურთ შეიბოჭონ და შესაბამისად თანხმდებიან შემდეგზე:

1. უფლების მიმღები თანხმდება და უფლების დამთმობი უთმობს ყველა საკუთარ უფლებას, ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას პროსპექტის (ობლიგაციების პირობების) და იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად;
2. უფლების მიმღები აცხადებს თანხმობას, რომ ის შეიბოჭება პროსპექტის, იპოთეკის ხელშეკრულების პირობებითა და უფლების დამთმობის შესაბამისი ვალდებულებებით, ყველანაირი ცვლილების შეტანის გარეშე;
3. მხარეები აცხადებენ, რომ ობლიგაციებიდან გამომდინარე და მათთან დაკავშირებული ყველანაირი თანხა წინამდებარე აქტის დადების დღიდან უნდა გადაეცეს უფლების მიმღებს. უფლების მიმღების ამგვარი უფლებამოსილება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ცენტრალური დეპოზიტარი განახორციელებს გადახდას უფლების დამთმობის მიმართ იმ საფუძვლით, რომ მხარეებმა დროულად ვერ შეატყობინეს ემიტენტსა და ცენტრალურ დეპოზიტარს დათმობის ფაქტის შესახებ;

4. წინამდებარე გადაცემის ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5. წინამდებარე გადაცემის ხელშეკრულება ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას უფლების მიმღების იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, უფლების მიმღების, როგორც უფლების გადამცემის სამართალმემკვიდრედ რეგისტრაციის მიზნებისთვის. მიუხედავად აღნიშნულისა, უფლების მიმღებმა და უფლების დამთმობმა ამის თაობაზე ერთობლივად და არაგონივრული დაყოვნების გარეშე უნდა აცნობონ ემიტენტს, ცენტრალურ დეპოზიტარს და შესაბამის ანგარიშის მწარმოებელს;

6. თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი წინამდებარე აქტში, იპოთეკის ხელშეკრულების და ობლიგაციების ყველა პირობა შეინარჩუნებს მოქმედებას უფლების მიმღების მიმართ და ეს უკანასკნელი შებოჭილი იქნება აღნიშნული უფლება-მოვალეობებით ყველანაირი ცვლილებისა და დამატების გარეშე;

7. ვადასტურებთ, რომ უფლების დამთმობი და უფლების მიმღები აცნობიერებენ და თანხმობას აცხადებენ წინამდებარე აქტში მითითებულ უფლება-ვალდებულებებზე, რის დასტურადაც ხელს ვაწერთ წინამდებარეს.

„უფლების დამთმობის“ სახელით:	**„უფლების მიმღების“** სახელით:
ხელმოწერა: _____	ხელმოწერა: _____
სახელი, გვარი:	სახელი, გვარი:
პოზიცია:	პოზიცია:
თარიღი:	თარიღი:

გირავნობის ხელშეკრულების მიერთების შეთანხმება

წინამდებარე ხელშეკრულება („**გადაცემის ხელშეკრულება**“ ან „**აქტი**“) დადებულია [●] შემდეგი მხარეების მიერ და შორის:

[●] *(შესაყვანია საიდენტიფიკაციო დეტალები)* (შემდგომში **“უფლების დამთმობი**”); და

[●] *(შესაყვანია საიდენტიფიკაციო დეტალები)* (შემდგომში **“უფლების მიმღები”**)

(„უფლების დამთმობი“ და „უფლების მიმღები“ შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც **„მხარეები**“ და ცალ-ცალკე - როგორც „**მხარე**“).

ყველა ტერმინი, რომელიც სხვაგვარად არ არის განსაზღვრული აქვე, განიმარტება პროსპექტში და გირავნობის ხელშეკრულებაში (როგორც ეს განმარტებული ქვემოთ) მითითებული განსაზღვრებების შესაბამისად.

პრეამბულა:

ვინაიდან, უფლების დამთმობმა შეისყიდა [●] ლარის ღირებულების უზრუნველყოფილი ობლიგაცია, რომელიც გამოშვებულ იქნა **სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“** მიერ 2025 წლის [●] პროსპექტის (შემდგომში „**პროსპექტი**“) შესაბამისად და გახდა 2025 წლის [●] გირავნობის ხელშეკრულების (შემდგომში „**გირავნობის ხელშეკრულება**“) მხარე;

ვინაიდან, უფლების დამთმობს სურს დათმოს და უფლების მიმღებს სურს მიიღოს [●] ოდენობის ძირითადი ღირებულების [●] ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები და მიიღოს შესაბამისი გირავნობის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები ამ უკანასკნელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ამრიგად, მხარეებს სურთ შეიბოჭონ და შესაბამისად თანხმდებიან შემდეგზე:

1. უფლების მიმღები თანხმდება და უფლების დამთმობი უთმობს ყველა საკუთარ უფლებას, ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას პროსპექტის (ობლიგაციების პირობების) და გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად;

2. უფლების მიმღები აცხადებს თანხმობას, რომ ის შეიბოჭება პროსპექტის, გირავნობის ხელშეკრულების პირობებითა და უფლების დამთმობის შესაბამისი ვალდებულებებით, ყველანაირი ცვლილების შეტანის გარეშე;

3. მხარეები აცხადებენ, რომ ობლიგაციებიდან გამომდინარე და მათთან დაკავშირებული ყველანაირი თანხა წინამდებარე აქტის დადების დღიდან უნდა გადაეცეს უფლების მიმღებს. უფლების მიმღების ამგვარი უფლებამოსილება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ცენტრალური დეპოზიტარი განახორციელებს გადახდას უფლების დამთმობის მიმართ იმ საფუძვლით, რომ მხარეებმა დროულად ვერ შეატყობინეს ემიტენტსა და ცენტრალურ დეპოზიტარს დათმობის ფაქტის შესახებ;

4. წინამდებარე გადაცემის ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5. წინამდებარე გადაცემის ხელშეკრულება ექვემდებარება შეზღუდვების რეესტრში რეგისტრაციას უფლების მიმღების გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, უფლების მიმღების, როგორც უფლების გადამცემის სამართალმემკვიდრედ რეგისტრაციის მიზნებისთვის. მიუხედავად აღნიშნულისა, უფლების მიმღებმა და უფლების დამთმობმა ამის თაობაზე ერთობლივად და არაგონივრული დაყოვნების გარეშე უნდა აცნობონ ემიტენტს, ცენტრალურ დეპოზიტარსა და შესაბამის ანგარიშის მწარმოებელს;

6. თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი წინამდებარე აქტში, გირავნობის ხელშეკრულების და ობლიგაციების ყველა პირობა შეინარჩუნებს მოქმედებას უფლების მიმღების მიმართ და ეს უკანასკნელი შებოჭილი იქნება აღნიშნული უფლება-მოვალეობებით ყველანაირი ცვლილებისა და დამატების გარეშე;

7. ვადასტურებთ, რომ უფლების დამთმობი და უფლების მიმღები აცნობიერებენ და თანხმობას აცხადებენ წინამდებარე აქტში მითითებულ უფლება-ვალდებულებებზე, რის დასტურადაც ხელს ვაწერთ წინამდებარეს.

„უფლების დამთმობის“ სახელით:	**„უფლების მიმღების“** სახელით:
ხელმოწერა: _____	ხელმოწერა: _____
სახელი, გვარი:	სახელი, გვარი:
პოზიცია:	პოზიცია:
თარიღი:	თარიღი: